# კვირის პალიტრა

დამოუკიდებელი გაზეთი

№ 25 (486) ◆ 21 – 27 ივნისი. 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

## „დამნაშავეებთან გარიგებული პოლიციელები ციხეში წავლენ“

გვ.5,7

თუ ვინმეს ჰგონია, ჩემს დროს პროკურატურის მიერ დაპატიმრებული ხალხი გათავისუფლდება, ძალზე შემცდარა. შესაძლოა, ოფიციალური გარიგების შედეგად ვილაც მართლა გაათავისუფლონ... მაგრამ გარწმუნებთ, არც ერთი პირი არ იქნება ისეთი, რომელსაც მსჯავრი არ დაედება და სასამართლო გაამართლებს.

...პოლიციის უფროსებს სეიფში ნარკოტიკი ედოთ და „საჭიროების“ შემთხვევაში იყენებდნენ, ქვეშევრდომის ხელით პირს უდებდნენ ნარკოტიკს, ექსპერტიზის შემდეგ კი მას ცვლიდნენ. ნივთმტკიცებად გაურკვეველი სახის ნივთიერებას ტოვებდნენ, იმ ნარკოტიკს კი უკვე სხვისთვის ჩასადებად იყენებდნენ, უარეს შემთხვევაში კი ყიდდნენ(?!).



„შს სამინისტროში ნარკობარიგები ისხდნენ!..“



დასანგრევი უნდა დაინგრეს და გამოსასწორებელი უნდა გამოსწორდეს — თუნდაც ეტაპობრივად, ათი, თხუთმეტი წლის შემდეგ... აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მალე შეიძლება თბილისის ცენტრიდან არა თუ მთაწმინდა, უბრალოდ, ცა ვერ დავინახოთ...

...როდესაც სააკაშვილი ბათუმში, რევოლუციის პერიოდში სასტიკად ნაცემ ხაბაზზე ლაპარაკობდა, რატომღაც არანაკლებ სასტიკად ნაცემი დავითაშვილი ან ბერძენიშვილი არც კი გახსენებია. რა, ისინი აჭარაში სხვა რამისთვის სცემეს? გვ.3

## შეუგნებლობით გამოწვეული კატასტროფა?!

**SOS** „ვინც ახლა იქ ცხოვრობს, უკვე ნახევრად ავადმყოფია“...

გასაოცარია ზოგიერთის უპასუხისმგებლობა და უცოდინარობაც კი — დღეს ხშირად ნახავთ საავადმყოფოს ეზოში საქონელს — ვიმეორებ, ხუდადოვის ტყეში კი არა, ტუბდისპანსერის ეზოში. იქაური გარემო ხომ საშინლად დაბინძურებულია. ტუბერკულოზის ჩხირი მტვრის სახით 20 წლის განმავლობაში ცოცხლობს და თუ საქონელმა ბალახთან ერთად მიიღო (რაც სავსებით მოსალოდნელია), ჩხირი რძეშიც გადადის. თუმცა, იმ რძეს თვითონ არ სვამენ, ყიდიან(!). გვ.25

იცით, ეს ხალხი ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ხაჭაპურს ყიდის(!)...

### ძველი ამბების დასტა

## ინვალიდის ეტლი მსოფლიოს ქართველმა აჩუქა

საკუთარ თავთან ჭიდილში შექმნა ინვალიდის თვითმოძრავი სავარძელი, რომელიც სნეულთათვის იყო განკუთვნილი, მის მფლობელს კი შეეძლო იგი სპორტულ შეჯიბრებაშიც გამოეყენებინა... თვითმოძრავი მანქანა 1912 წელს მოსკოვში გამოსცადეს.

ინგლისელებმა მაშინვე ჩაუშვეს ეს გამოგონებანი წარმოებაში. გვ.20

## არ უნდოდა, საქართველოში ჩამოვსულიყავი და „შური მეძია“...

გვ.20

ბედის ირონიის გამო მოვხვდი ამ გაუგებრობაში. ბუნებით შეურიგებელი ადამიანი ვარ. ვერ ვიტან ბრძანებებს.

გამამწესეს თბილისის ფსიქონერვიულ საავადმყოფოში. მერე ვიყავი ბაქოში, მერე — ტაშკენტში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში. ამ დროს მამაჩემის „შეთითხნილი“ საქმის გამოძიება მიმდინარეობდა თბილისში. ვიდრე ის არ დამთავრდა, მეც ასე მატარეს...

*ერეკლე ბადურაშვილი*

## „თითოეული პენსიონერისგან 5-10 თეთრი ხომ უნდა მიიღოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმაო“(?!)

### ვინ გადაუგდებს „საქართველოს ფოსტას“ მაშველ რგოლს?




აუდიტით ერთი ტონა ჯართის ღირებულება შეფასდა 10 აშშ დოლარად, რაც ჯართის საბაზრო ფასებიდან გამომდინარე, არარეალური და ძალზე დაბალია. დასკვნაში მითითებულია, რომ 12 ერთეული ვაგონის გაბარიტული ჯართის წონა შეადგენს 112 ათას კილოგრამს. აქტში მითითებული წონიდან გამომდინარე, ერთი ვაგონის წონა საშუალოდ 9,4 ტონა გამოდის, მაშინ როდესაც თითოეული საფოსტო ვაგონის წონა 47-50 ტონას აღწევს... გვ.6,13

### სამხედრო თემაზე:

## რას წარმოადგენს სეპარატისტთა „გრძელი ხელი“

მართლა შეუძლია თუ არა კოკოითის „არმიას“ გორის დაბომბვა?

### უმუშევარი გენერლების სინდრომი

ამ პრობლემის წარმოშობის მიზეზი შევარდნაძის „გულუხვობაა“ — აქეთიქით ისე არიგა გენერლის ჩინი, რომ საქართველოს სამხედრო ძალები გაივსო გენერალ-მაიორებითა თუ ბრიგადის გენერლებით გვ.8,9

### ექსპერტის აზრით:

## აფხაზეთში მოსალოდნელი პოლიტიკური ვენდეტა

აფხაზები გადარეულები არიან, სოხუმის პორტში გემების რიცხვი თანდათან იკლებს. შავი ფულის მკეთებლებს, აფხაზეთში ურთულესი კრიმინოგენული სიტუაციის გამო, კონტრაბანდის შეტანისა და გასაღების სურვილი უქრებათ. აფხაზები რუსეთის ტერიტორიიდან შემოტანილ კონტრაბანდასაც ენგურს აქეთ თავისუფლად ველარ ასაღებენ. ეს კი სეპარატისტების ეკონომიკას ანადგურებს. გვ.5,27

### პრიორიტეტი

## იქნებ ჩვენს მდინარეებშიც ჩაიყაროს ხურდა ფული

გვ.6,11

**უგერგილო დამოკიდებულება, ანუ დანაშაული ქვეყნის წინაშე**



საქართველოს ეკონომიკური სტაბილურობის გასაღები

ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო საქართველოში ორმოცი დოლარით ძვირია, ვიდრე იმავე ტიპის სასტუმრო ეგვიპტეში. ეს მაშინ, როცა ეგვიპტის სასტუმროში კვება უფასოა, ჩვენთან კი საკვებს სამმაგი ფასი ადევს(?!). კარგი იქნება, თუ ქართველები ვისწავლით, რომ რამდენიმე ერთლარიანის ერთხელ სწრაფად მოგებას, ბევრი ოცთეთრიანის სტაბილურად მოგება სჯობს.

*საქართველოში ტურიზმის განვითარების შვიდი შესაძლო მიმართულება — სათავგადასავლო მოგზაურობა, რელიგიური ტურიზმი, კულტურის ღირსშესანიშნაობათა მონახულება — სპექტურები ისტორიის, არქეოლოგიის და მეღვინეობის ტრადიციების გათვალისწინებით, ზამთრის სახეობების ტურიზმი, სამდინარო რაფტინგი, სამთო ველოსპორტი და მეშვიდე, ნადირობა და თევზაობა.*

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

## აჭარაში არჩევნები შედგა

20 ივნისს აჭარაში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ამომრჩეველთა მაღალი აქტივობით შედგა. წინასწარი მონაცემებით, ლიდერობს სახელისუფლებო გუნდი. რეგიონში არჩევნების საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აჭარაში პრეზიდენტის რწმუნებულ ლევან ვარშალომიძესთან ერთად ადევნებდა თვალს. „ჩვენ არა გვაქვს უბნებზე შესვლის უფლება, ამიტომაც მხოლოდ მოსახლეობის აქტივობას ვაფიქსირებთ. დღევანდელ დღეს აქვს პრინციპული მნიშვნელობა არა მარტო აჭარისთვის, არამედ საერთოდ საქართველოსთვის. ხელისუფლების მთავარი საზრუნავი არის ერთხელ და სამუდამოდ აჭარაში და საერთოდ, საქართველოში დასრულდეს საბჭოური გაყალბებული არჩევნები. ჩვენ მონდომებული ვართ, რომ მაქსიმალურად სამართლიანად ჩატარდეს არჩევნები და უმკაცრესი რეაგირება მოხდეს გაყალბების ნებისმიერ ფაქტზე", — განაცხადა ბურჯანაძემ, რომელმაც დედაქალაქში დაბრუნებამდე უკვე იცოდა აჭარაში საპარლამენტო არჩევნების დროს დაფიქსირებული დარღვევების შესახებ.

არჩევნების მიმდინარეობას დამკვირვებელთა სახით 24 არასამთავრობო ორგანიზაცია ადევნებდა თვალს. მათი განცხადებით, არჩევნები საერთო ჯამში ნორმალურად ჩატარდა. თუმცა ცალკეულ უბნებზე დაფიქსირდა, ძირითადად, ადმინისტრაციული სახის უხეში დარღვევები, რაშიც დამკვირვებლები ბათუმის უმაღლეს საარჩევნო კომისიას ადანაშაულებენ. ქობულეთის ოლქში არ ჩატარდა მარკირება, ხელვაჩაურის ოლქში არეული იყო პარტიის ნომრები და მაჟორიტარები. მაგალითად, მრეწველების კანდიდატს, გურამ ბერიძის გასწვრივ მითითებული იყო ლეიბორისტული პარტიის ნომერი. მაჟორიტარები და პარტიები სხვადასხვა ნომრით იყვნენ წარმოდგენილი, რამაც გაუგებრობა გამოიწვია. აჭარის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი ფალავამ კი, პრაქტიკულად ყველა დარღვევა უარყო. ფალავამ კობა დავითაშვილის და მისი „რაზმის" აქტიურობა ანტიკონსტიტუციურად შერაცხა. ხოლო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მის მიმართ გაკეთებული მკაცრი განცხადებების შემდეგ ბრალდებები დავითაშვილისადმი უკან წაიღო და თქვა, რომ აჭარაში ავტონომიის გაუქმების შესახებ ხელმოწერების შეგროვების უფლება ყველას აქვს, მაგრამ ამან არჩევნებს ხელი არ უნდა შეუშალოსო. კობა დავითაშვილმა საგანგებო პრესკონფერენციაზე, ცილისწამების გამო აჭარის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა.

## კობა ვარ დავითაშვილი, არაფერი შეგეშალოსო...

აჭარაში, არჩევნების პარალელურად, არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ერთიანობის კავშირის" წევრები კობა დავითაშვილთან ერთად, ხმის მიცემის პარალელურად, მოსახლეობისგან ავტონომიის გაუქმების შესახებ ხელმოწერებსაც აგროვებდნენ, რამაც „ნაციონალების" წარმომადგენელთა გაღიზიანება გამოიწვია — ზაზა გოროზიასა და კობა დავითაშვილს შორის კინაღამ ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. გოროზიას განცხადებით, დავითაშვილს და „ერთიანი საქართველოს" წევრებს უფლება არ ჰქონდათ, თვითნებურად ჩაეტარებინათ გამოკითხვა. მისი მოწოდებების მოსმენისას დავითაშვილმა გოროზიას შეახსენა — „კობა ვარ, დავითაშვილი, ხომ არავისში გეშლები. მაგრამ აგივარდათ რაღაც თავში და არ დაგავიწყდეთ, რომ „დრონი მეფობენ და არა მეფენი"-ო. დავითაშვილი აჭარის უზენაესი საბჭოს მომავალ თავმჯდომარეს, ლევან ვარშალომიძესაც შეხვდა, რომელსაც მცირეხნიანი გასაუბრების შემდეგ ასევე შესთავაზა ავტონომიის გაუქმებაზე თანხმობის ნიშნად ხელის მოწერა, თუმცა ამაოდ. ვარშალომიძემ კობა დავითაშვილის და „ერთიანი საქართველოს" კავშირის წევრების მოქმედება არასავალდებულოდ სცნო. ეს არ არის რეფერენდუმი ან პლებისციტი, ამიტომაც, ხელის მოწერა სავალდებულო არ არის, განაცხადა მან. ხმაურიანი აღმოჩნდა დავითაშვილი-ხაბაზის შეხვედრაც. ხაბაზმა დავითაშვილის მოქმედება გააკრიტიკა. — შენ არ იყავი, ჩემ გვერდით რომ იდექი და აჭარის ავტონომიის გაუქმებას ითხოვდი. ახლა აჭარის პარლამენტის თავმჯდომარეობა გინდა და პოზიციებს ამიტომ იცვლიო, — წამოაძახა ყოფილ თანამებრძოლს დავითაშვილმა.

## უფსკრული „რესპუბლიკელებსა" და ხელისუფლებას შორის

აჭარაში საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს, „რესპუბლიკელებმა" კიდევ ერთხელ წამოაყენეს პრეტენზიები პრეზიდენტის აჭარული სახელისუფლებო გუნდის მიმართ. 19 ივნისს ოფისში მისულ დავით ბერძენიშვილს შენობის კედლები მიხეილ სააკაშვილის პლაკატებით მორთული დახვდა, რასაც მან კონკურენტების — „სააკაშვილი — გამარჯვებული აჭარის" წარმომადგენლების ნამოქმედარი უწოდა. „ბრალდებულებმა" კი მომხდარი „რესპუბლიკელების" მიერ განხორციელებულ პროვოკაციად მიიჩნიეს. — ხელისუფალნი ჩნდებოდნენ, იცვლებოდნენ, კვდებოდნენ, თუმცა მეთოდები იგივე რჩებოდა და როგორც ჩანს, რჩება დღესაც. ეს კი ჩვენი კონკურენტების სისუსტის დამადასტურებელიც გახლავთ და იმის ნიშანიც, რომ, ცოტა არ იყოს, შორს დგანან წესიერებისგანო, — განაცხადა ბერძენიშვილმა. „სააკაშვილი — გამარჯვებული აჭარის" წარმომადგენლები კი პირველი „რესპუბლიკელის" მისამართით აცხადებენ — ბერძენიშვილს აღარანაირი ხრიკი აღარ დარჩა მეტოქეების წინააღმდეგ რომ არ გამოეყენებინოს. „ახლა დგას და გვაბრალებს, თითქოს ჩვენ პლაკატებს ვაკრავთ მის ოფისთან. კიდევ კარგი, იმას მაინც არ ამბობენ, ვიღაც ჩვენიანი გაგვილახესო და ამის „დასტურად" ერთმანეთს არ სცემენ. არავის არ სჭირდება დათო ბერძენიშვილის შტაბის წინ მიხეილ სააკაშვილის პლაკატების გაკვრა — თუ გავაკრავთ, მადლობა გვითხრან", — განაცხადეს „სააკაშვილი — გამარჯვებული აჭარის" წარმომადგენლებმა. აჭარაში წინა საპარლამენტო კამპანიის დროს რესპუბლიკელებისა და სახელისუფლებო გუნდის დაპირისპირებას, პოლიტიკურ კულუარებში არჩევნების შემდგომაც მწვავე გაგრძელებას უწინასწარმეტყველებენ. განვითარებული მოვლენები ამის ეჭვს თითქმის აღარ იწვევს.

## როდის შედგება კვორუმი

წინა მოწვევის პარლამენტში საფუძველჩაყრილ ტრადიციას ახალი დეპუტატებიც არ ღალატობენ და მათი დიდი ნაწილი პარლამენტის სხდომებზე ან უსაშველოდ აგვიანებს, ან სრულიად არ ესწრება, რაც ბეჯით დეპუტატთა უკმაყოფილებას იწვევს.

სიღნაღის მაჟორიტარი დეპუტატი ნუგზარ შოშიაშვილი პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს პარლამენტის ინტერესების დაცვისკენ მოუწოდებს და სხდომაზე კვორუმის არარსებობას აპროტესტებს. შოშიაშვილის განცხადებით, იგი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, როცა სხვათა არყოფნისა და უპასუხისმგებლობის გამო სხდომები ვერ იწყება. შოშიაშვილი თურმე იმითაც უკმაყოფილოა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე „აიძულებს დეპუტატებს გადატვირთული რეჟიმით იმუშაონ, რეგლამენტის ვადების დარღვევით, დაჩქარებულად განიხილონ კანონპროექტები, რომლებიც დეპუტატებს პირდაპირ სხდომათა დარბაზში ურიგდებათ და მათ წაკითხვასაც ვერ ასწრებენ". „თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩემი ფუნქცია სხდომებზე დეპუტატების შეკრების უზრუნველყოფაა, ცდება, სხდომაზე მოსვლა თითოეული დეპუტატისა და ფრაქციის თავმჯდომარის ვალია", — უპასუხა შოშიაშვილს ნინო ბურჯანაძემ და აღნიშნა, რომ აჭარაში 20 ივნისისთვის დაგეგმილი არჩევნების დასრულება პარლამენტში კვორუმის შედგენას შეუწყობს ხელს. პარლამენტარ ზვიად ძიძიგურის აზრით, „ურიგო არ იქნება, თუ უდისციპლინო დეპუტატებს დასჯიან და მათ ხელფასებს ბეჯითებზე გადაანაწილებენ, იქნებ მერე მაინც ინებონ პარლამენტში მობრძანება", — აცხადებს ძიძიგური.

## გამყრელიძე აპროტესტებს

„20 ივნისს აჭარაში უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება მთავრობის კაპრიზების შესრულებაა. სამწუხაროა, რომ საქართველოში დიდი, პოზიტიური, რევოლუციური ცვლილებების შემდეგ ამგვარი არჩევნები ტარდება. აჭარის მოსახლეობამ არ იცის, რა სტატუსის უმაღლეს საბჭოს ირჩევს", — აცხადებს ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" ლიდერი დავით გამყრელიძე, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ კონსტიტუციური კანონის განხილვის გარეშე აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარებას აპროტესტებს. მისი თქმით, მოსახლეობა აჭარაში ერთპალატიან პარლამენტს ირჩევს, კონსტიტუციური კანონპროექტის მიხედვით კი იქ ორპალატიანი პარლამენტის არჩევითობაა გათვალისწინებული. 18 ივნისს საქართველოს პარლამენტმა დღის წესრიგიდან ამოიღო „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" კონსტიტუციური კანონის განხილვა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, კანონპროექტზე მუშაობა კვლავ მიმდინარეობს, ამიტომ პარლამენტი აჭარის არჩევნებამდე აღნიშნული საკითხის განხილვას ვერ მოასწრებს. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ კონსტიტუციური კანონი" რიგგარეშე სხდომაზე განიხილება.

## საქართველოს დიპლომატიური კორპუსი ფართოვდება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, 2004 წლის 16 ივლისიდან საელჩოებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების რეორგანიზაცია იგეგმება. კერძოდ, გაუქმდება საქართველოს საელჩო ავსტრიის, სლოვაკიის, სლოვენიის, უნგრეთის და ჩეხეთის რესპუბლიკებში და მათ ნაცვლად ჩამოყალიბდება შემდეგი დიპლომატიური წარმომადგენლობები: საქართველოს საელჩო ავსტრიასა და უნგრეთში; საქართველოს საელჩო სლოვენიასა და სლოვაკიაში; საქართველოს საელჩო ჩეხეთის რესპუბლიკაში. გაუქმდება ასევე საქართველოს საელჩო ეგვიპტეში და მის ნაცვლად შეიქმნება საქართველოს საელჩო ეგვიპტესა და სირიის არაბთა რესპუბლიკაში. საქართველოს საელჩო გაიხსნება პოლონეთის რესპუბლიკაშიც. დღემდე პოლონეთში საქართველოს ელჩის მოვალეობას გერმანიაში საქართველოს ელჩი ასრულებდა.

## მიჰბაძეთ ტიროლელებს

ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემას გულშემატკივრები იტალიაშიც გამოუჩნდნენ. ბრიუსელში ვიზიტად მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ევროპარლამენტის შენობაში „ევრომწვანეთა" ფრაქციის დეპუტატებს შეხვდა, რომლებიც ევროპის საკანონმდებლო ორგანოში იტალიის სამხრეთ ტიროლის რეგიონს წარმოადგენენ. ტიროლელმა დეპუტატებმა შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრს განუცხადეს, რომ ისინი მზად არიან, სამხრეთ ტიროლში მიიწვიონ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წარმომადგენლები, რათა განუმარტონ მათ, რამდენად უსაფუძვლოა მათი პრეტენზია — შეუერთდნენ ჩრდილო ოსეთს მხოლოდ რეგიონის სახელწოდებისა და ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე. ავსტრიელებით დასახლებული სამხრეთ ტიროლი ავსტრიის პროვინცია — ჩრდილოეთ ტიროლს ესაზღვრება, თუმცა, სეპარატისტული გამოხდომები სამხრეთტიროლელებს აზრადაც არ მოსდით და თავს იტალიის საზღვრებშიც მშვენივრად გრძნობენ. ჯერჯერობით, უცნობია, რა აზრის არიან ტიროლში მიწვევაზე ე. წ. სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია ხელისუფლების წარმომადგენლები. საეჭვოა, მათ ტიროლელების მიწვევა მიიღონ.

## დამნაშავეა ჩინოვნიკიც, მესაკუთრეც და აშენებელიც

ვაკის მაჟორიტარი დეპუტატი ლევან გაჩეჩილაძე დედაქალაქში უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს და პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს, რომელიც თბილისში უკანონო მშენებლობების საკითხს შეისწავლის. ქალაქის იერსახე დარღვეულია და უკანონოდ აშენებული ბინები საცხოვრებლად უვარგისია. მართალია, კერძო მესაკუთრის ინტერესები არ უნდა დაზარალდეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თბილისში სახლები დანაშაულებრივი, კორუფციული გარიგებების შედეგად არის აშენებული. ამიტომ ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ის ჩინოვნიკი იქნება დამნაშავე, რომელმაც მიწა უკანონოდ გასცა, თუ კერძო მესაკუთრე, რომელმაც კანონის დარღვევით ააშენა შენობა", — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

18 ივნისს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სამთავრობო საათი თბილისის მერს, ზურაბ ჭიაბერაშვილს დაეთმო, რომელმაც ქალაქში უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილა. მისი განცხადებით, მომზადებულია საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელმაც დედაქალაქში უკანონო მშენებლობების საკითხი უნდა მოაგვაროს. „კანონპროექტის მიხედვით „არქმშენინსპექცია" დედაქალაქის დაქვემდებარებაში უნდა გადმოვიდეს და მას უნდა ჰქონდეს უფლება გააჩეროს მშენებლობა. ბიზნესმენი, რომელიც მშენებლობას აწარმოებს, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა წავიდეს სასამართლოში და შეეცადოს მშენებლობის შეჩერების შესახებ გამოცემული აქტი გაასაჩივროს", — განაცხადა ჭიაბერაშვილმა, რომელსაც მიაჩნია, რომ ასეთი ცვლილების შემთხვევაში, მშენებლები არ იჩქარებენ შენობების უკანონოდ აშენებას და სასამართლოს გადაწყვეტილებას დაელოდებიან. მერის ინიციატივით, უნდა შეიცვალოს უკანონო მშენებლობებთან დაკავშირებული საჯარიმო სანქციები. „თითოეულ რაიონში აშენებული საცხოვრებლის ფართის ფასი უნდა განისაზღვროს მისი საბაზრო ღირებულების მიხედვით. ჯარიმა კი, არსებულ საბაზრო ფასზე მეტი უნდა იყოს", — განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

## უკანონო მშენებლობებს ურეკშიც ებრძვიან

გურიის გუბერნატორ ვახტანგ გოლიაძის განცხადებით, 21 ივნისიდან ურეკში, შეკვეთილსა და მაგნეტიტში, გურიის შავიზღვისპირა ზოლში არსებული უკანონო მშენებლობების დემონტაჟი დაიწყება(!). 15 ივლისისთვის — საკურორტო სეზონის დასაწყისისთვის კი ურეკში ზღვასთან მისასვლელი ყველა გზა მოწესრიგდება.

გურიის ხელმძღვანელობის ძირითადი მიზანია, საკურორტო ზოლში შემოსავლები მინიმუმ ორჯერ გაიზარდოს, — განაცხადა გუბერნატორმა და მოუწოდა ურეკში არსებული ობიექტების თბილისელ მეპატრონეებს 21 ივნისამდე თავად მოაწესრიგონ უკანონო ნაგებობები, სავაჭრო ჯიხურები და ღობეები.

## აფხაზური ოპოზიცია ხაჯინბას უპირისპირდება

აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ამცახარა" და მოძრაობა „ერთიანი აფხაზეთი" თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯინბას უნდობლობას უცხადებენ და სოხუმის ხელისუფლებას შემოდგომისათვის დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებამდე „თანხმობის მთავრობის" ჩამოყალიბებისაკენ მოუწოდებენ.

„ამცახარას" და „ერთიანი აფხაზეთის" ლიდერები უკმაყოფილებას გამოთქვამენ აფხაზეთის გმირის, გარი აიბას მკვლელობის საქმის დღემდე გაუხსნელობის გამო და აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნების წინ შექმნილ რთულ კრიმინოგენულ ვითარებაზე პასუხისმგებლობას ე.წ. პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯინბას აკისრებენ. სერგეი შამბას განცხადებით, „ამცახარასა" და „ერთიანი აფხაზეთის" ლიდერები იზიარებენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რაულ ხაჯინბას მთავრობის ფუნქციონირების პირობებში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება „არა მარტო აზრს კარგავს, არამედ შესაძლოა, აფხაზეთს უდიდესი უბედურება მოუტანოს". მისივე შეფასებით, მხოლოდ „თანხმობის მთავრობის" მიერ არჩევნების ჩატარებას შეუძლია უზრუნველყოს აფხაზეთში სამოქალაქო მშვიდობა (იხ. გვ. 5, 27).

## კიდევ ერთი გემი დააკავეს

ქართველმა მესაზღვრეებმა საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე რუსეთის ფედერაციის დროშით მცურავი მშრალტვირთმზიდი გემი „ცირკონი" დააკავეს. საქართველოს სასაზღვრო უწყების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გემი, რომელიც ხოფიდან (თურქეთი) ტაგანროგში (რუსეთის ფედერაცია) მიემართებოდა, სანაპირო დაცვის აჭარის რეგიონის განყოფილებამ დააკავა. ამჟამად დაკავებული გემი ეკიპაჟის წევრებთან ერთად ბათუმის პორტის რეიდზე იმყოფება. მიმდინარეობს მოკვლევა.

საქართველოს ტერიტორიული წყლებისა და ნაოსნობის წესების დარღვევის ფაქტზე სანაპირო დაცვის სამსახურმა მიმდინარე წელს სულ თერთმეტი მცურავი საშუალება დააკავა.

## 200-მეტრიანი სასურსათო „ქარავანი"

20 ივნისს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით შერვაშიძე და შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული მიხეილ ქარელი ცხინვალის რეგიონში პურის ფქვილით, სურსათით და სხვა ნივთებით დატვირთული გაემართა. სასურსათო „ქარავნის" 200-მეტრიანი კოლონა დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში იმ ახალი გზით ჩავიდა, რომელიც ცხინვალის გვერდის ავლით, ახლახან გაკეთდა პატარა ლიახვის ხეობის ქართული სოფლებიდან დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებთან დასაკავშირებლად. 1-ელი ივნისის შემდეგ პირველად მოხდა, რომ დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში ხელისუფლების წარმომადგენლები უპრობლემოდ, ცხინვალთან დავის გარეშე შევიდნენ.

## გიორგი და დიანა აბაშიძეები ბათუმში ჩადიან?!

აჭარაში ასლან აბაშიძის გარეშე ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ციებ-ცხელება კინაღამ დაჩრდილა ინფორმაციამ ბათუმში ყოფილი პირველი პირის ოჯახის წევრების ჩამოსვლის შესახებ. ასლან აბაშიძის ქალიშვილი დიანა აბაშიძე 20 ივნისს ბათუმში ჩამოფრინდა. მისი ვიზიტის მიზეზი არა პოლიტიკა, არამედ დედის, მაგული გოგიტიძის გარდაცვალების წლისთავი გახდა. ბათუმში ყოფილი მერის გიორგი აბაშიძის ჩამოსვლასაც ელიან. ელისტაში ჭადრაკში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე ყოფნისას ტელეკომპანია „იმედთან" საუბრის დროს მან ამის შესახებ განაცხადა, რომ დედის წლისთავზე ბათუმში ჩასვლას არ გამორიცხავს.




## საერთო ევროპული კონსტიტუცია?!

ბრიუსელში ოთხდღიანი დაძაბული მოლაპარაკების შემდეგ ევროპის კავშირის 25 ქვეყნის ლიდერებმა ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის საბოლოო ვარიანტი შეათანხმეს. კონსტიტუციის პროექტი ევროპის კონვენტმა საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის, ჟისკარ დ'ესტენის ხელმძღვანელობით შეიმუშავა. დოკუმენტი იმ ოთხ ძირითად ხელშეკრულებას შეცვლის, რომლებზეც ევროპის კავშირის საქმიანობაა დაფუძნებული.

კონსტიტუციის მიხედვით, ევროკავშირი ევროპის ქვეყნების უბრალო გაერთიანება კი არ არის, არამედ საერთაშორისო სამართლის ნამდვილი სუბიექტია. ევროკავშირის გადაწყვეტილებების უმეტესი ნაწილი, სულ ცოტა, იმ 15 ქვეყნის თანხმობით მიიღება, რომლებიც კავშირის მოსახლეობის 65%-ს წარმოადგენენ. ევროკავშირის სახელმწიფოები ვეტოს უფლებას ინარჩუნებენ ისეთ საკითხებში, როგორიცაა დაბეგვრა, საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა. კონსტიტუციის პროექტი ევროკავშირში შემავალმა თითოეულმა ქვეყანამ უნდა მოიწონოს.

## ჩეჩნები კოალიციის წინააღმდეგ

ერაყში ჩეჩენი მებრძოლების სამასკაციანი რაზმი ჩავიდა, რომლის მთავარი დანიშნულება კოალიციის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლა და ერაყელი პარტიზანების დახმარება იქნება(!). ამ ინფორმაციას რუსული საინფორმაციო სააგენტო ბრიტანულ და იტალიურ სპეცსამსახურებზე დაყრდნობით აქვეყნებს. ჩეჩენ მებრძოლებს ალ-ქაიდას წარმომადგენლები წვრთნიდნენ და მათი პირველი სამიზნე ერაყში იტალიელთა სამხედრო ბაზები იქნება. იტალიელმა სამხედროებმა უსაფრთხოების საგანგებო ზომები უკვე მიიღეს.

# „დასანგრევი უნდა დაინგრეს და გამოსასწორებელი უნდა გამოსწორდეს“

აჭარაში არჩევნების დასრულებით ქართულ პოლიტიკაში მღელვარება ალბათ რამდენიმე თვით მაინც მინელდება. სამაგიეროდ, საზოგადოებაში უკვე აქტიურდება სოციალური პრობლემატიკა — როგორც ჩანს, დედაქალაქს უკანონო თუ კანონიერი მშენებლობის გამო დიდი ქარიშხლის გადატანა ელის. რამდენი ახალაშენებული კორპუსი გაუძლებს მის ქროლვას ან რამდენად სამართლიანი იქნება ეს „ქარიშხალი“, მომავალი გვიჩვენებს. საქართველოს პარლამენტმა პლაჟსა და პლაჟს შორის გამართულ სხდომაზე მედიასთან, უფრო სწორად კი, სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონი მიიღო. ეს უკანასკნელი მის გათავისუფლებას შეუწყობს ხელს თუ შებოჭვას, ამასაც მომავალი დაგვანახვებს, რადგან კანონების წალმა-უკუღმა გამოყენებას ძველმა ხელისუფლებამ ისე მიგვაჩვია, თუ საქმით არ დაამტკიცა, ახალი ხელისუფლების თეორიებს ველარ დავუჯერებთ. მომავალი გვიჩვენებს იმასაც, თუ რამდენად ყაირათიანად დაიხარჯება ის მილიარდობით დოლარი, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებამ ქართული რევოლუციის შედეგის — ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარებაში დააბანდა. მას შემდეგ, რაც ცხინვალის სამშვიდობო ძალების სარდლის თვითნებურ განცხადებასა და ქმედებას დიდი ლიახვის ხეობაში, საქართველოს ხელისუფლების სრულიად ადეკვატური ქმედება მოჰყვა, როგორც ჩანს, აფხაზეთში მდგარი რუსი სამშვიდობოების სარდალს ცხინვალელი კოლეგის ბედის გაზიარება არ სურს; ამიტომ გენერალმა ევტეევმა ზუგდიდში გადმოსვლა და ქართულ მხარესთან შეხვედრა იკადრა. თუმცა შეხვედრები და მოლაპარაკებები, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თემაზე, გასულ წლებშიც არაერთგზის ყოფილა; მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ეს მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების დასაქმებასა და სეპარატისტული ხელისუფლების სიცოცხლის გახანგრძლივებას ემსახურებოდა. ასე რომ, საქართველოში მომავალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული — გააჩნია, როგორ იმოქმედებს ახალი ხელისუფლება და, რაც მთავარია, მოსახლეობა — ძალა, რომელიც სახელმწიფოში მოვლენათა განვითარების ერთადერთი კატალიზატორი და ბერკეტი უნდა იყოს. ამჯერად, რეალობიდან გამომდინარე, მომავლის პერსპექტივებზე საუბარი გადავწყვიტეთ იურისპრუდენციის ექსპერტთან, **დავით უსუფაშვილთან**, რადგან სახელმწიფოში, რომლის შექმნისკენ დეკლარირების დონეზე მაინც მივისწრაფით, ერთადერთი პრიორიტეტი სწორედ სამართალს და კანონის უზენაესობას უნდა ჰქონდეს მინიჭებული.

**— გასულ კვირაში მიღებულმა პრესის შესახებ კანონმა მედიის თავისუფლება უნდა დაიცვას, თუმცა ამავე დროს, საზოგადოებაც უნდა დაიცვას ცილისწამებისგან; რამდენად იოლია ამ ორ მოვლენას შორის ზღვრის დაჭერა — მით უმეტეს, დღევანდელი სასამართლოს პირობებში. ან, რამდენად საჭირო იყო ცალკე კანონი, როდესაც სიტყვის თავისუფლება, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვა და პიროვნების შეურაცხყოფაც საქართველოს კონსტიტუციაში ისედაც გათვალისწინებული იყო... კანონში დანერგილი ნოვაციებიდან ალბათ ყველაზე საინტერესო ის ფაქტია, რომ შეურაცხყოფაზე, ან მცდარი ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებლობა მედიასაშუალების მესაკუთრეს ეკისრება და არა თავად ავტორს ანუ ჟურნალისტს...**

— აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით საზოგადოებაში არასწორი განსაზღვრება დამკვიდრდა — ეს არის კანონი ზოგადად სიტყვის თავისუფლების შესახებ და მხოლოდ მედიას არ ეხება. თუმცა, რადგან სიტყვის გამოთქმის ყველაზე გავრცელებული საშუალება სწორედ მედიაა, მასთან მიმართებაში კანონი მრავალ ნიუანსს ითვალისწინებს და ალბათ ეს მცდარი განსაზღვრებაც, „პრესის კანონის“ სახით, სწორედ აქედან მომდინარეობს. ამ უკანასკნელს კი თავად ახლად მიღებული კანონის კონცეფცია ეწინააღმდეგება, რომლის თანახმადაც, პრესასთან დაკავშირებით ცალკეული კანონის მიღება მის თავისუფლებას კი არა, პირიქით, შეზღუდვას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ ნოვაციას — ამ კანონში ეს მართლაც არ გახლავთ ერთადერთი. ქართულ სამართლებრივ სივრცეში, თავისი შინაარსით, მას ბევრი სიახლე შემოაქვს. უმთავრესი კი ის არის, რომ მოსამართლეს ინტერპრეტირების დიდი საშუალება ეძლევა, რითაც, სასამართლო პროცესის საზოგადოებრივი გამჭვირვალობის წყალობით, მისი პასუხისმგებლობა იზრდება. სიახლეა ისიც, რომ სიტყვის გამოთქმასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა ამიერიდან თავისუფლების აღკვეთით აღარ განისაზღვრება — ანუ ამა თუ იმ ადამიანს, თუნდაც მცდარი აზრის გამოთქმისთვის ან დეზინფორმაციის შეგნებული გავრცელებისთვის, ციხეში ველარ ჩასვამენ. ყველაზე მინიმალური „სასჯელი“, რომელიც ასეთ შემთხვევაში სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს, მედიის იმავე საშუალებით გავრცელებული ფაქტის უარყოფა იქნება, მაქსიმალური სასჯელი კი — ინფორმაციის შედეგად გამოწვეული მორალური თუ მატერიალური ზარალის ფინანსური ანაზღაურება. ძალიან საინტერესოა ისიც, რომ გავრცელებულ ინფორმაციაზე პასუხი არა მის ავტორს, ჟურნალისტს, არამედ მედიასაშუალების მესაკუთრეს მოეკითხება. ამ ფაქტორის წყალობით, გაზეთებისა და ტელევიზიების ხელმძღვანელები (დამფუძნებლები, რედაქტორები, დირექტორები) იძულებულნი გახდებიან, მეტი ყურადღება მიაქციონ მათთან გამოქვეყნებული მასალების ხარისხს, მათ მიერ დაქირავებული ჟურნალისტების პატიოსნებასა და პროფესიონალიზმს ანუ სკანდალურობასა და აჟიოტაჟს ინფორმაციის ხარისხი არ შესწირონ; მაგალითად, ბაქო-ჯეიჰანთან ან რაიმე გლობალურ საკითხთან დაკავშირებით მასალა ერთ საათში ან ერთ დღეში კი არ მომზადდეს, არამედ საკითხი ჯერ გამოწვლილვით უნდა იქნას შესწავლილი. თავის მხრივ, გამომცემელი ამ პრობლემას ადვილად მოაგვარებს და მხოლოდ ის არ იქნება პასუხისმგებელი ჯარიმის გადახდაზე. მას აქვს საშუალება, ჟურნალისტთან (კორექტორთან, სტილისტთან) ურთიერთობა ხელშეკრულებით დაარეგულიროს და დაუთქვას პირობა, რომ მის მიერ დაშვებული შეცდომისა თუ წინასწარ განზრახული დეზინფორმაციის გამო(!), დაკისრებულ და მესაკუთრის მიერ გადახდილ თანხას (ან მის ნაწილს) რეგრესის წესით მისგან ამოიღებს. რასაკვირველია, აქ უკვე მედიის შიგნით ხელშეკრულებებისა და შინაგანაწესის მეშვეობით, მთელი რიგი საკითხებისა იქნება დასარეგულირებელი, რადგან დეზინფორმაცია შესაძლოა არა მხოლოდ ჟურნალისტის, არამედ კორექტორის ან სტილისტის შეცდომის გამოც გავრცელდეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ფაქტორი მედიასაშუალებებს აიძულებს, უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ მათ შიგნით მიმდინარე პროცესებს წმინდა ორგანიზაციული თვალსაზრისით. რაც შეეხება კითხვას, საჭირო იყო თუ არა საერთოდ ცალკე კანონის მიღება სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, სიმართლე რომ ვთქვათ, ეს საკითხი ჩვენი კონსტიტუციითაც და საერთაშორო კონვენციებით სრულიად საკმარისად არის დაცული. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საქართველოში, სუსტი სასამართლო სისტემისა და საზოგადოებრივი პასიურობის გამო, ამ საკითხს მოსამართლეები ხშირად ძალიან კონიუნქტურულად უდგებოდნენ. რასაკვირველია, შეიძლებოდა, ვთქვათ, ფართო საგანმანათლებლო მუშაობის გაშლა და საკითხის ისე მოწესრიგება. თუმცა კანონის მეშვეობით ამის გაკეთება ბევრად ეფექტიანი იქნება.

**— საზოგადოებრივ აქტიურობასთან, გამჭვირვალობასა და კანონის უზენაესობასთან უნდა იყოს დაკავშირებული უკანასკნელ პერიოდში მიღებული ფინანსური დახმარების სამოქალაქო კონტროლიც. მით უმეტეს, რომ გასულ კვირაში ეს პროცესი ევროპის მიერ გადმოცემული მილიარდი დოლარის დახმარებით დაგვირგვინდა. იმისთვის, რომ წარსულის შეცდომები აღარ განმეორდეს და ეს დახმარება მიზანმიმართულად დაიხარჯოს, სწორედ გამჭვირვალობა და, ამ მიზნით, საზოგადოებრივი მექანიზმების შექმნა იქნება საჭირო...**

— მართალია, გასულ კვირას გადმოცემული მილიარდი დოლარის დეტალური დოკუმენტაცია არ მინახავს და კონკრეტულ ციფრებს ვერ დავასახელებ, მაგრამ ის კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს თანხა საჩუქარი არ არის. რასაკვირველია, აქ იგულისხმება გრანტებიც და ადრე, გასულ წლებში დაწყებული პროგრამების გაგრძელებაც, მაგრამ მათ დიდ ნაწილს სესხის სახე ექნება და საქართველოს დროთა განმავლობაში მისი დაბრუნება მოუწევს. ასე რომ, მავანთა სპეკულაციას, ევროპის მიერ ნაჩუქარი თანხებით, არანაირი საფუძველი არ აქვს. თუმცა მსოფლიოში შექმნილი სიტუაცია გვაძლევს უნიკალურ შანსს — საერთაშორისო საზოგადოებიდან იმდენი ფული წამოვიღოთ, რამდენსაც მოვერევით. თუ ამ თანხებს საქართველო პრაქტიკულად გამოიყენებს, ჩვენ ეკონომიკური განვითარების მართლაც განუსაზღვრელი საშუალება მოგვეცემა. ეს ეხება როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებს, ისე კერძო ბიზნესს. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა საერთაშორისო ინსტიტუტები, რადგან ცნობილი მოვლენების შედეგად, საქართველო „დემოკრატიული განვითარების“ ერთგვარ პოლიგონად იქცა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის არსებული კონკურენციის მომენტიც მათში სპორტულ ინტერესს აჩენს. რაც შეეხება კერძო სექტორს — მსოფლიოში დღეს ჭარბი კაპიტალი უხვად დაგროვდა და, ამავე დროს, გასაგები მიზეზების გამო, ძალიან ცოტა რეგიონი რჩება მათ დასაბანდებლად. აღარაფერს ვამბობ საქართველოს ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე. მაგრამ ამ თანხებით ქვეყნის აშენების და დაქცევის ერთნაირი შანსი გვაქვს. კერძო კაპიტალთან დაკავშირებით საქმე უფრო იოლად არის — როდესაც საერთაშორისო კორპორაცია თუ უცხოელი ბიზნესმენი თანხას იხდის და გარკვეული დროის შემდეგ მოგებას ვერ ნახავს, უბრალოდ, ქვეყნიდან წავა. საერთაშორისო ინსტიტუტებიდან შემოსულ დახმარებებთან კი გაცილებით რთულად გვაქვს საქმე, რადგან მათ ყოველთვის უჭირდათ გაცემული თანხის ეფექტიანად ხარჯვის გადამოწმება. ამ მხრივ ყველაზე კარგად საქმე ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს აქვს დაყენებული. დახმარების ეფექტიანობის შემოწმებაზე ამ ორგანიზაციაში ასობით ადამიანი მუშაობს და რამდენიმე ტომი დოკუმენტაციაა შექმნილი, თუმცა სრულყოფილი გაკონტროლება მათაც უჭირთ. ასე რომ, ყველაფერი ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, ამერიკის „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა“, რომელიც რატომღაც ახალმა ხელისუფლებამ უკვე განაღდებულ, თავის პირად დამსახურებად გამოაცხადა, ფრიად საინტერესო მექანიზმებს ითვალისწინებს. იმისთვის, რომ საქართველომ ეს დახმარება მიიღოს, მის მიერ წინასწარ შედგენილმა პროექტმა სხვა ქვეყნების პროექტებს უნდა აჯობოს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. პროგრამის კონცეფციის თანახმად, პროექტი, ამერიკაში წარდგენამდე, ადგილზე, საქართველოში, საჯაროდ უნდა განიხილონ, ანუ უპირველესად, ხალხი გადაწყვეტს, თუ სად დაიხარჯება ფული, რომელიც, სხვათა შორის, არა ამა თუ იმ პარტიას, არამედ მთელ სახელმწიფოს და უწინარესად, ხალხს ეძლევა — ამ პარტიის თუნდაც ძალიან დიდი დამსახურების მიუხედავად...

**— აჭარაში არჩევნების დასრულებით ქართულ პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი დასრულდა. თუმცა, წინასაარჩევნო კამპანიისას ბევრმა საჭოჭმანო კითხვამ იჩინა თავი — ბათუმური რევოლუციის დროს მოკავშირე პარტიები ერთმანეთს საკმაოდ სერიოზულ ბრალდებებს უყენებდნენ, რესპუბლიკური პარტია კი „ნეოაღორძინებაზე“ ალაპარაკდა...**

— ის ფაქტი, რომ აჭარაში არჩევნები მძაფრი კონკურენციით მიმდინარეობდა, მისასალმებელია, რადგან ეს დემოკრატიის განვითარებაზე მიუთითებს — არ შეიძლება ყველას ერთნაირი აზრი ჰქონდეს. რესპუბლიკური პარტიისადმი ჩემი იდეურ-პოლიტიკური სიმპათიებისა და კუთვნილების გამო, სრულიად მიუკერძოებელი ვერ ვიქნები, მაგრამ მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ უკანასკნელ პერიოდში, უბრალოდ, ჩემი გულისტკივილი გამოიწვია პრეზიდენტის ბათუმში გაკეთებულმა განცხადებებმა... გასაგებია, რომ სურს თავისი პოლიტიკა გაატაროს და მხარი მისთვის სასურველ პოლიტიკურ ძალას დაუჭიროს, მაგრამ ამ დროს ისეთი რამ არ უნდა გააკეთოს, რაც პრეზიდენტს არ ეკადრება. როდესაც სააკაშვილი ბათუმში, რევოლუციის პერიოდში სასტიკად ნაცემ ხაბაზზე ლაპარაკობდა, რატომღაც არანაკლებ სასტიკად ნაცემი დავითაშვილი ან ბერძენიშვილი არც კი გახსენებია. რა, ისინი აჭარაში სხვა რამისთვის სცემეს? არაერთხელ გვითქვამს, რომ დროა, რევოლუციური ფორსმაჟორიდან გამოვიდეთ. არა მგონია, ბათუმში ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის გამარჯვებით სახელმწიფო ისე ზარალდებოდეს, რომ პოლიტიკოსებმა ათასნაირ ტრიუკს მიმართონ. პირიქით — რაც მეტი პარტია იქნება ამ რეგიონის საკანონმდებლო ორგანოში, მით მეტი იქნება გარანტია იმისა, რომ წარსულის მახინჯი გადმონაშთები არ აღორძინდება. აჭარის რეგიონს ხომ დამოუკიდებელი არჩევნების პრაქტიკა არ ჰქონია. ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლებას სწორედ ამ მენტალიტეტის დარღვევაზე უნდა ეფიქრა და არა — სათავისოდ გამოყენებაზე... თუ კანონის უზენაესობაზე გვაქვს პრეტენზია, ის ყველგან უზენაესი უნდა იყოს — მთაშიც, ბარშიც, დედაქალაქშიც და რეგიონშიც.

დემოკრატიას ღირებულებების ინტერპრეტაცია არ უყვარს, რადგან ასეთ შემთხვევაში დიქტატურამდე ერთი ნაბიჯი რჩება ხოლმე...

**— მშენებლობების გამო ატეხილი აჟიოტაჟიც უთუოდ კანონის უზენაესობას უკავშირდება. როგორც ჩანს, პოლიტიკის დალაგებასთან ერთად, აქტუალური ხდება სხვა, ყოფითი საკითხებიც. თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც სამართალი დილემის წინაშე დგას — ახლად აშენებულ კორპუსებს ვერ დაანგრევს, რადგან იქ უკვე ხალხი ცხოვრობს. მეორე მხრივ კი, პოსტფაქტუმ შეღავათების დაშვება კანონის უზენაესობის დამკვიდრებას ხელს ნამდვილად არ შეუწყობს...**

— მართლაც რთული ვითარებაა. ბევრად რთული, ვიდრე შეიძლება წარმოიდგინოთ. თუ ამ მშენებლობების დოკუმენტაციას გადახედავთ, სრულ ქაოსში მოხვდებით და, ამავე დროს, იმასაც გაიგებთ, რომ რეალური დამნაშავის დასჯა, ამ შემთხვევაში, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება, რადგან წლების განმავლობაში იქმნებოდა ძალიან აბურდული სამართლებრივი უზრუნველყოფის ქსელი. მაგრამ სანამ არსებულის გამოსწორებაზე ვიზრუნებდეთ, აჯობებს, დავრწმუნდეთ, რომ მსგავსი რამ დღესაც არ მიმდინარეობს და მომავალშიც არ განმეორდება; უნდა გითხრათ, რომ ამის არანაირი გარანტია არ არსებობს. მიმდინარეს არ ვებრძვით და მომხდარს როგორ გამოვასწორებთ?

დილემაზე ლაპარაკობდით. რასაკვირველია, დღესვე, ერთი ხელის მოსმით, ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელია, მაგრამ თუ სახელმწიფო ნება იქნება, ყველაფერი მოგვარდება. ყოველგვარი შეღავათის გარეშე, ყველა მიმდინარე თუ დამთავრებული მშენებლობა უნდა გადაიხედოს და კომპლექსურად შემოწმდეს — აქ ერთდროულად რამდენიმე, უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია — სეისმომედეგობით დაწყებული და ელემენტარულად, ქალაქის იერსახით დამთავრებული. დასანგრევი უნდა დაინგრეს და გამოსასწორებელი უნდა გამოსწორდეს — თუნდაც ეტაპობრივად, ათი, თხუთმეტი წლის შემდეგ, მაგრამ უკვე დღეს და ხვალ ეს საკითხი გარკვეული და დეკლარირებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, რა შეიძლება მოხდეს, ამაზე თუნდაც მეზობელ ქვეყნებში მომხდარი მიწისძვრის შედეგად გამოწვეული ტრაგედიების მიხედვით ვიმსჯელოთ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მალე შეიძლება თბილისის ცენტრიდან არა თუ მთაწმინდა, უბრალოდ, ცა ვერ დავინახოთ...

***დაჩი გრძელიშვილი***



**მსოფლიოში შექმნილი სიტუაცია გვაძლევს უნიკალურ შანსს – საერთაშორისო საზოგადოებიდან იმდენი ფული წამოვიღოთ, რამდენსაც მოვერევით. თუ ამ თანხებს საქართველო პრაქტიკულად გამოიყენებს, ჩვენ ეკონომიკური განვითარების მართლაც განუსაზღვრელი საშუალება მოგვეცემა.**

**„საქართველო „დამოკრატიული განვითარების“ ერთგვარ პოლიგონად იქცა...“**

**— როდესაც სააკაშვილი ბათუმში, რევოლუციის პერიოდში სასტიკად ნაცემ ხაბაზზე ლაპარაკობდა, რატომღაც არანაკლებ სასტიკად ნაცემი დავითაშვილი ან ბერძენიშვილი არც კი გახსენებია. რა, ისინი აჭარაში სხვა რამისთვის სცემეს? არაერთხელ გვითქვამს, რომ დროა, რევოლუციური ფორსმაჟორიდან გამოვიდეთ. არა მგონია, ბათუმში ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის გამარჯვებით სახელმწიფო ისე ზარალდებოდეს, რომ პოლიტიკოსებმა ათასნაირ ტრიუკს მიმართონ.**

**— დასანგრევი უნდა დაინგრეს და გამოსასწორებელი უნდა გამოსწორდეს — თუნდაც ეტაპობრივად, ათი, თხუთმეტი წლის შემდეგ, მაგრამ უკვე დღეს და ხვალ ეს საკითხი გარკვეული და დეკლარირებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, რა შეიძლება მოხდეს, ამაზე თუნდაც მეზობელ ქვეყნებში მომხდარი მიწისძვრის შედეგად გამოწვეული ტრაგედიების მიხედვით ვიმსჯელოთ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მალე შეიძლება თბილისის ცენტრიდან არა თუ მთაწმინდა, უბრალოდ, ცა ვერ დავინახოთ...**

# რა აღარდებთ დედოფლებს, ანუ თოჯინების მუზეუმი ცხრაკლიტულში...

ბევრმა თბილისელმა არ იცის, რომ დედაქალაქში ჯერ კიდევ 4-5 წლის წინ უნიკალური თოჯინების მუზეუმი არსებობდა, რომლის ძვირად ღირებული ექსპონატები დღეს ცხრაკლიტულივით ბნელ ოთახებში, ყუთებში ჩაყრილი, მზის სინათლეს და დამთვალიერებელთა აღტაცებას ამაოდ ნატრობენ. ერთადერთ იმედად კი ქართველ მეფეთა შთამომავალი, თოჯინების მუზეუმის დირექტორი **ვასილ ბაგრატიონი** ჰყავთ, რომელიც ერთგულ მეციხოვნესავით იცავს საქართველოს კულტურისა და ხელოვნების ერთი შეხედვით მცირე, მაგრამ უნიკალურ ნაწილს. თოჯინების მუზეუმის ამჟამინდელ ადგილსამყოფელში შესვლისთანავე იგრძნობთ სუნთქვის შემკვრელ ნესტის და მტვრის მძიმე სუნს. ვიწრო ოთახში თითქმის ერთმანეთზე აწყვია გაზეთგადაფარებული ულამაზესი თოჯინები: დედოფალა, რომელიც საპნის ბუშტებს უშვებს და ანცად იცქირება; ლუარსაბი





და დარეჯანი; როიალთან მოკალათებული პიანისტი; მშვენიერი „ნატო ვაჩნაძე“... ისინი დიდი ხანია დამთვალიერებლის წინაშე არ წარმდგარან. ბატონმა ვასილმა მათ ჩემ წინაშე თავის მოწონების საშუალება მისცა. არადა, თოჯინები კარგა ხანია აღარ „იცინიან“ და ახლა მარტო საკუთარი სიმარტოვე კი არ აწუხებთ, იმასაც დარდობენ, ბავშვებს რა ეშველებათ, ავტომატებზე, ტანკებსა და ათასგვარ უსახურ და არაფრის მომცემ სათამაშოებზე რომ ზრდიან...

**— ბატონო ვასილ, თქვენ რას ფიქრობთ იმ გაშარჟებულ გამოთქმაზე, რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი იყოო?**

— ეს შეიძლება გადაჭარბებული შეფასებაა, თუმცა ჭეშმარიტებასთან ახლოს დგას. რაც არ უნდა ჯანსაღი წესით აღზარდო ბავშვი, სპორტზე ატარო, წიგნებთან ურთიერთობას მიაჩვიო, მაინც აუცილებელია თვალი მიაჩვიოს ესთეტიკურ სანახაობას, ლამაზ ნაკეთობებს, სათამაშოებს, ეს გონებრივ წარმოსახვას, ფანტაზიას აძლიერებს.

**— ამბობენ, ძველად ზოგიერთ ქვეყანაში ფეხმძიმე ქალს გამუდმებით დაატარებდნენ ლამაზი ქანდაკებების, ფერწერული ტილოების და სხვა მხატვრული ქმნილებების დასათვალიერებლად, რომ ბავშვს სილამაზისა და ხელოვნების აღქმის უნარი დედის მუცლიდანვე განვითარებოდა. თოჯინების მუზეუმში თუ მოდიოდნენ ფეხმძიმე ქალები?**

— არა მარტო ისინი, აქ მოსული ბავშვები თავს საკუთარ სამყაროში გრძნობდნენ. ეფერებოდნენ სათამაშოებს, წასვლა აღარ უნდოდათ და შინ იმ პირობით მისდევდნენ მშობლებს, რომ მეორე დღეს ისევ ჩვენთან მოეყვანათ. ძალიან ბევრი უცხოელი სტუმრობდა მუზეუმს. განსაკუთრებით, იაპონელები. როცა ჩვენს თითქმის მინიატურულ მუზეუმს ნახულობდნენ, უკვირდათ — ჩვენთან რამდენიმესართულიანი სათამაშოების მუზეუმები გვაქვსო. ბევრი უცხოელი საქართველოში მეორედ ჩამოსვლისას საჩუქრით მოგვაკითხავდა ხოლმე. სამშობლოდან რაიმე ორიგინალური (რა თქმა უნდა, თოჯინა ან სათამაშო) აუცილებლად მოჰქონდათ ჩვენი მუზეუმისთვის.

**— ქართველები თუ იჩენდნენ ასეთ ყურადღებას?**

— თითქმის არა. მხოლოდ აკადემიკოსი ევგენი ხარაძე იყო ჩვენი მეგობარი და გულშემატკივარი. უცხოეთიდან არასდროს დაბრუნდებოდა ხელცარიელი. აუცილებლად ჩამოჰქონდა თოჯინები ჩვენთვის. ერთი დიდი კარადა სულ მისი საჩუქრებითაა სავსე. საზღვარგარეთ თურმე, ბატონი ევგენი ყავას არ დალევდა და იტყოდა — ეს ფული თოჯინებისთვის უნდა გადავდოო. მერე დადიოდა და ჩვენთვის საჩუქრებს ეძებდა. დღეს კი, ყურადღებას ვიღა დაეძებს, „ბავშვთა გალერეის“ ჩვენთვის განკუთვნილი დარბაზიდანაც გამოგვაძევეს და აი, ამ ნესტიან ოთახში გამოგვკეტეს.

**— თქვენ კი საყვარელ თოჯინებს ვერ ტოვებთ...**

— პროფესიით იურისტი ვარ. თოჯინების შეკეთება ბავშვობიდან მიყვარდა. ამის გამო მუზეუმის დამფუძნებელმა და პირველმა დირექტორმა თინათინ თუმანიშვილმა მომიწვია რესტავრატორად. მერე ფასეულობათა მცველად დამნიშნა. დირექტორიც გავხდი. ჩემი შვილები მუზეუმში გაიზარდნენ. ვერ წარმომიდგენია, რომ ოდესმე თოჯინების მუზეუმი აღარ იქნება და ამ დედოფლებს მტვერი და ნესტი შეჭამს.

მუზეუმს საარსებოდ წელიწადში 15-20 ათასი ლარი ეყოფა, დღეს ეს კი არა, იმის ფულიც არ არის, ახალი სათამაშო რომ შევიძინოთ ან ძველი შევარემონტოთ. ისევ მე ვუვლი და ვეფერები „იარებზე“ თოჯინებს, რომლებსაც სახეზე „შეეყინათ“ ღიმილი. ბნელი და ნესტიანი ოთახები საპყრობილეს ჰგავს. რას იზამ, ცხოვრება თოჯინებისთვისაც დამძიმდა. აქაურობის ბინადართ კი ერთ დროს ფილმებშიც იღებდნენ. ახლა აღარავის ახსოვს ისინი. არადა, მათ საუკუნეებს გაუძლეს.

სომხები გვეხვეწებოდნენ დიდხანს — წამოდით ჩვენთან, ერევანში, ამ თოჯინებს ზღაპრულ პირობებს შევუქმნით, ორსართულიან შენობას გამოვუყოფთო. უარი ვუთხარი, მაშინ ასეც არ გვიჭირდა. ამ ოთახში შემოსახლების შემდეგ 27 უნიკალური თოჯინა მოიპარეს. კიდევ კარგი, ქურდებმა მეტის „შერჩევა“ ვერ მოახერხეს. თუმცა, რა აზრი აქვს, ქურდი წაიღებს თუ მტვერი შეჭამს. ძნელია ამაზე ფიქრიც კი. მართალია, ქვეყანას უჭირს, მაგრამ მაინც მგონია, თოჯინების მუზეუმისთვის არასდროს იქნება „დალხინებული“ ქვეყანა.

***ეკა ლომიძე***



# ო, ენავ ჩემო!..

**ენა დედაა ერისა — ბრძანებდა ილია. მოფრთხილების ნაცვლად კი ქართულს ხშირად სხვადასხვაგვარი ჟარგონითა და მიუღებელი სიტყვებით ვანაგვიანებთ. საჯარო გამოსვლებში, ზეპირი მეტყველების დროს დაშვებული უზუსტობანი მკვიდრდება მსმენელში, განსაკუთრებით ახალგაზრდობა აიტაცებს ხოლმე არასწორ ტერმინოლოგიას, რომელიც მათი ლექსიკის განუყოფელი ნაწილი ხდება...**

## მობილური თუ მობილი

დღეს თითქმის ყველა ხმარობს მობილურ ტელეფონს, მაგრამ ზოგჯერ მისი მფლობელი „ამოკლებს“ ამ აპარატის სახელს და უწოდებს მას „მობილს“, რაც არასწორია.

**მობილური** — ლათინური სიტყვაა და მოძრაობის უნარის მქონეს, მოძრავს, გადამტანს ნიშნავს.

**მობილი** — კი აშშ-ში საცხოვრებლად მოწყობილი ავტომისაბმელის აღმნიშვნელი სიტყვაა (ე.წ. „ტრაილერი“). ასე, რომ მობილურისა და მობილის გაიგივება არ შეიძლება.

**მარიაჟი** — ისედაც ბარბარიზმია ქართულისათვის. უარესი კი ის არის, რომ იგი სულ სხვა მნიშვნელობით დამკვიდრდა არა მარტო ზეპირ მეტყველებაში, არამედ პრესაშიც „შეაღწია“. არასწორად იხმარება ზედმეტი პრანჭიაობის, უადგილო თავმოწონების გადმოსაცემად. მარიაჟი — ფრანგული წარმომავლობის სიტყვაა და თავის სამშობლოში ორი მნიშვნელობა აქვს: 1) ქორწილი, 2) როცა ბანქოს თამაშის დროს ერთი მოთამაშის ხელში აღმოჩნდება ერთი და იმავე ფერის „კაროლი“ და „დამა“.

## იყო ასეთი „ლაპარაკები“

ბოლო ხანს მოდაში შემოვიდა აბსტრაქტული სახელების მრავლობითში ხმარება: „სიყვარულები“, „ლაპარაკები“ (იყო ასეთი „ლაპარაკები“), რაც არასწორია.

ზეპირ მეტყველებაში ძალზე საჩოთიროდ ჟღერს აგრეთვე იჯდნენ („ვინც ამ სკამზე იჯდნენ“). ქართულში ერთ პიროვნებაზე ითქმის იჯდა, ბევრზე — ისხდნენ (ჯდომა — სხდომა), ისე როგორც დავარდა და დაცვივდა (ვარდნა — ცვივნა), კვდომა და ხოცვა (ის კვდება, ისინი იხოცებიან), გდება და ყრა (გადააგდო და გადაყარა).

კუთხურია და სამეტყველო ენაში დასამკვიდრებლად „იბრძვის“ სიტყვები — „წინეთ“, „სწორეა“, „იქედან“ და ა.შ. რაც არამც და არამც არ უნდა დავუშვათ.

## კარები თუ კარებები?

კარის ნაცვლად მეტყველებაში მცდარად დამკვიდრდა კარების ხმარება. კარი შეიძლება ერთფრთიანი იყოს, შეიძლება ორფრთიანი, მაგრამ მთლიანობაში ერთია — ერთი კარი! კარები ორი ან მეტი, რამდენიმე კარია. უკიდურესად არასწორია, როცა კარების ნაცვლად ვამბობთ „კარებები დახურე“. სწორი ფორმებია მხოლოდ კარი და კარები.

***„კვირის პალიტრა“***

# წინაპარი – ჩემი „წინა ფარია“

გალერეა „ჰობში“ გამართულ ქართველ მხატვართა გრაფიკული ნამუშევრების გამოფენაზე კოკა იგნატოვის, ესმა ონიანის, დიმა ერისთავის და სხვა ცნობილი მხატვრების ნამუშევრების გვერდით, **ოთარ მეგრელიძის** შემოქმედებაც იყო წარმოდგენილი. მისი ნახატები იმდენად ეროვნული და განსხვავებულია, რომ ვერც ქართველი და ვერც უცხოელი დამთვალიერებელი გულგრილად ვერ ჩაუვლის. ოთარ მეგრელიძის ნამუშევრების უმრავლესობა საზღვარგარეთის კერძო კოლექციებშია გაბნეული. 1994 წელს მოსკოვში გამოფენის ნახვის შემდეგ, იაპონელმა კოლექციონერმა, ვან გოგის „მზესუმზირების“ მფლობელმა ამიძაკიმ, ოთარის ერთ-ერთი ნახატიც შეისყიდა.

მხატვარს იმ ერთი ციდა ოთახში ვესტუმრეთ, რომელსაც მისი სახელოსნო ჰქვია.

**— თქვენს ნახატებში XIX საუკუნის და უფრო ადრინდელი ჩაცმულობის ქართველები გვხვდებიან, მაგრამ ისინი თითქოს თანამედროვენი არიან. აქ იშლება ზღვარი წარსულსა და რეალობას შორის...**

— წინაპარი ხომ „წინა ფარია“. ბაბუაჩემი — ქიშვარდი სწავლული კაცი გახლდათ. აკადემიური განათლება ჰქონდა მიღებული. გურიაში, სოფელ ხიდისთავის სკოლის დირექტორი იყო. ბათუმშიც დააარსა სკოლა. კომუნისტები რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, დევნა დაუწყეს. მათ იცოდნენ, რომ ცოდნით შეიარაღებული კაცი თოფით შეიარაღებულზე უფრო საშიში იყო, ამიტომაც ბაბუა 1937 წელს დახვრიტეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის გაქრა... მისი გენი ხომ არის ჩემში? ჩემი „წინა ფარია“, რომ არა ეს ფარი, ცხოვრება ყველას გადაგვთელავდა. წარსული არ არის ისტორიის სახელმძღვანელოში ჩაწერილი ფურცელი. ჩვენ თვითონ ვართ წარსულის მატარებლები, ამიტომაც ვქმნით მომავალს.

**— შემოქმედებით ძალას რა გაძლევთ? არ გღლით განუწყვეტელი მუშაობა?**

— სულაც არა... დაუღალელობის მაგალითს დედაჩემი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნათელა წერეთელიც მაძლევდა. ის ბათუმის თეატრის წამყვანი მსახიობი იყო. არასოდეს მინახავს დაღლილი. სპექტაკლიდან დაბრუნებული მეზობლებთან ხუმრობდა. ყველა შემხვედრს მატებდა ხალისს, შინ ამოდიოდა და ახლა იქ იწყებოდა დღესასწაული. დღეს ვეკითხები ჩემს თავს, რა აძლევდა შემოქმედებით ძალას დედაჩემს?

მამაჩემი მხატვარია. ჩემს შემოქმედებით სამყაროს ყველაზე მეტად მამა იცნობს და არც არასოდეს ცდება შეფასებაში.



*ქართველები*

**— ფერწერა, გრაფიკა, გამოყენებითი ხელოვნება, პოპ-არტი, გობელენი... საკმაოდ მრავალფეროვანია თქვენი შემოქმედება. სულ ახლახან თქვენ მიერ ილუსტრირებული ქართული ხალხური ზღაპრებიც გამოვიდა. ეს პირველი მცდელობაა?**

— 7 წლის წინ ჰოლანდიაში გავაფორმე საბავშვო წიგნი. მაშინ ძალიან დამწყდა გული, რომ ქართველ ბავშვებს არ ჰქონდა პოლიგრაფიულად ასე მაღალხარისხოვანი წიგნები. საბედნიეროდ, ახლა ასე აღარ არის. უკვე გავაფორმე „ხუთკუნჭულა“ და „ქართული ზღაპრები“. ჩემი სულის ნაწილი ჩავდე შიგ. ბავშვებს საოცარი გემოვნება აქვთ, ვერაფერს გამოაპარებ.

**— სამომავლოდ რას აპირებთ?**

— წინასწარ განსაზღვრული გეგმა არასოდეს მქონია. ღმერთმა ღირსეულ ადამიანად აღმაზრდევინოს შვილი და მოვასწრო სათქმელის ტილოზე გადატანა.

***ლელა ჯიყაშვილი***

## მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ. *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ეკა ლომიძე** — „ტყეში ნავით გასეირნება ხომ არ გნებავთ?“ — 90 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „გახსნეს ვეებერთელა სეიფი და გაშეშდნენ“ — 81
3. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „ეჭვი გვაქვს, რომ სწორედ ამ ბამბის ფუთებში იყო ნარკოტიკები“ — 72

მკითხველის სახელით პრემია — 50 ლარი გადაეცემა ჟურნალისტ **ეკა ლომიძეს.**

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელი 414-მა რესპონდენტმა გამოავლინა***



# „ნელი მოქმედების ნაღმების“ განაღმვა თუ ასაფეთქებლად გამზადება?

მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერი დავით გამყრელიძე სკანდალურ ფაქტს ახმაურებს — პროკურატურამ კონტროლის პალატის მასალების ასობით ტომი სატვირთო მანქანებით სადღაც გაზიდაო. ვის და რისთვის სჭირდებოდა ის მასალები, რომლებიც კონტროლის პალატის ყოფილი შეფის, რეზო შავიშვილის შეფასებით, ნელი მოქმედების ნაღმები იყო და ადრე თუ გვიან უთუოდ აფეთქდებოდა? ხომ არ ხდება დღეს ამ ნაღმების განაღმვა ან სულაც მათი ასაფეთქებლად გამზადება?! სანამ ნაღმები ჯერ არ აფეთქებულა და სრულიად გაუჩინარებულა, დასკვნის გაკეთება ნაადრევია, თუმც ამაზე ოპოზიციას თავისი აზრი აქვს. სანამ კონტროლის პალატის „აორთქლებულ“ მასალებზე გავესაუბრებოდით, მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერს, **დავით გამყრელიძეს** საგაზაფხულო სესიის ბოლო დღეს ახალი მთავრობის მუშაობისა და მიმდინარე მოვლენების შეფასება ვთხოვეთ:

— კარგია, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას დიდი ნდობა გამოუცხადეს და 1-მილიარდიანი კრედიტი გამოუყვეს, მაგრამ დეპუტატებმა და საზოგადოებამაც უნდა იცოდნენ, რამდენი პროცენტია ამ თანხაში კრედიტი და რამდენი გრანტი. თანხა გამჭვირვალედ უნდა დაიხარჯოს. დასავლეთის მხრიდან გამოხატულ ამ დიდ ნდობაში ძევს დიდი ხიფათი — თუ თანხა არასწორად და არაეფექტიანად დაიხარჯა, შესაძლოა სამუდამოდ დავკარგოთ მომავალში დახმარების და მხარდაჭერის შანსი.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება აჭარისა და ცხინვალის საკითხში სწორ პოლიტიკას წარმართავს, შინაპოლიტიკაზე ამას ვერ ვიტყვი. დემოკრატიული ცვლილებებისკენ ახალ ხელისუფლებას ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს. ხალხი და საზოგადოება ეიფორიაშია. ხელისუფლება, ძირითადად, პიარით არის დაკავებული და ლამაზ შოუებს დგამს, ადამიანის უფლებებისა და კერძო საკუთრების დასაცავად კი აგური აგურზე არ დადებულა.

ხელისუფლებამ ციხეში გამოკეტა ისინი, რომლებიც მას პოლიტიკურ საფრთხეს უქმნიდნენ, ან კიდევ ისინი, ვისზეც ძველი ბოღმა ჰქონდა. ეს არის და ეს. სახელმწიფო რეკეტის ხარჯზე უკანონოდ შედის ბიუჯეტში თანხები. სულაც არ ვფიქრობ, რომ ისინი, რომელთაც ფული გადაიხადეს, უდანაშაულონი იყვნენ. არა, ჩემთვის ფულის გადახდევინების ფორმაა მიუღებელი. თუკი დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, სადაც კანონის უზენაესობა უპირველესია, იმ ხალხს ფული მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ უნდა გადაეხადა და არა რომელიღაც პროკურორების პირადი შეხედულების ან მათთან გარიგების ხარჯზე.

**— ახალი ხელისუფლების ინიციატივა იყო ახალი საგადასახადო კოდექსიც, რომელიც მეტისმეტად ლიბერალურადაც მოინათლა. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— მივესალმები იმ ინიციატივებს, რაც საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით გახმიანდა. ეს უთუოდ პროგრესული ნაბიჯია. საშემოსავლო და სოციალური გადასახადის, ასევე დღგ-ის შემცირება, სავსებით მისაღები და მისასალმებელია. ჩვენ არათუ მხარს დავუჭერთ ამ საკითხში ხელისუფლებას, არამედ ვიბრძოლებთ, რომ მალე განხორციელდეს ეს ცვლილებები. ასევე აუცილებელია, გამარტივდეს საგადასახადო კოდექსის ტექსტი, რაც მის გაგებასაც გააიოლებს და არც საგადასახადოს კორუმპირებულ ჩინოვნიკებს მიეცემათ მისი სურვილისამებრ ინტერპრეტაციის საშუალება. თუ ყველა მეწარმე კანონის წინაშე თანაბარი იქნება, ეს დროთა განმავლობაში ეკონომიკასაც დაეტყობა. ინვესტიციების ბუმი ნამდვილად არ არის საქართველოში. ერთადერთი, რითაც შეიძლება ისინი მოვიზიდოთ, დაბალი გადასახადებია. თუმცა დაბალ გადასახადებთან ერთად, ინვესტორს კანონით დაცვაც სჭირდება — იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული ხელისუფლების სიმპათია-ანტიპათიაზე.

**— დიდი მითქმა-მოთქმაა კანონზე, რომელიც სიტყვის თავისუფლებას ეხება. თქვენი აზრით, რა ღირსება და რა ნაკლი აქვს ამ კანონპროექტს?**

— მთავარი კანონპროექტში ის არის, რომ იხსნება ცილისწამებაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ასეთი კანონპროექტი ერთგვარად სახიფათოც არის. ამას მედიის მხრიდან უთუოდ უნდა მოჰყვეს ეთიკის კოდექსის შემუშავება და მისი მკაცრად დაცვა. მედიას დიდი თავისუფლება ეძლევა, შესაბამისად, იმუნიტეტშეზღუდული დეპუტატები და უბრალო მოქალაქეებიც საფრთხის წინაშე არიან. გამაოცა კანონპროექტის მიმართ თავად მედიის წარმომადგენლების დამოკიდებულებამ. მათი პოზიცია არ მომისმენია. კანონპროექტის ავტორებმა წინასწარ რატომ არ იმსჯელეს მედიის წარმომადგენლებთან? ვერც წარმოვიდგენდი, რომ იგი მიუწვდომელი იქნებოდა გამომცემლების, რედაქტორებისა და ჟურნალისტებისთვის. სწორედ ეს ბადებს ეჭვს.

სიამოვნებით მოგაწვდით კანონპროექტის ვარიანტს ჟურნალისტებს, მინდა, რომ თქვენს შენიშვნებზე სერიოზულად ვიმსჯელოთ.

**— თქვენ სერიოზული ბრალდება წამოაყენეთ — კონტროლის პალატის მასალების ასობით ტომი პროკურატურამ მანქანებით გაზიდაო. თუ იცით, კონკრეტულად, რას შეეხებოდა ის მასალები და რატომ დაინტერესდა მათით გამოიძიება?**



— ოფიციალური ინფორმაცია თავად კონტროლის პალატამ მოგვაწოდა — პროკურატურამ სატვირთო მანქანით გაზიდა მასალები. 2003 წლის დეკემბერიდან დღემდე უამრავი მასალა გაიტანა თბილისის პროკურატურამ, თანაც ის მასალები, რომლებიც მას, ფაქტობრივად, არც ეხება.

გაუგებარია, რატომ აინტერესებს თბილისის პროკურატურას წყალტუბოს, ხობის, ჩხოროწყუსა და სამტრედიის რაიონების ბიუჯეტი.

**— თქვენ რაზე გაქვთ ეჭვი?**

— ცხადია, ეს გამიზნულად გაკეთდა. შესაძლოა დღევანდელი ხელისუფლების ან ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების ბიოგრაფიის გასუფთავება ან არასასურველ ხალხზე კომპრომატების შეგროვება სურთ. ეს ინფორმაციები შეიძლება ზემოქმედების სერიოზულ ბერკეტად იქცეს. საგულისხმოა ის, რომ წაღებულია დედნები და არა მასალების ქსეროასლები. დაზღვეული არ ვართ, რომ ეს მასალები სრულიად არ გაქრება ან არ შეიცვლება ზოგიერთ ინსტანციაში.

***მარი ზანდუკელი***

# აფხაზეთში მოსალოდნელი პოლიტიკური ვენდეტა

## „რუსები თუ ფსოუზე გზას გახსნიან, სოხუმის პორტებიდან შემოსული ბოევიკები რუსეთში გადავლენ“




„ამცახარას“ ლიდერის აიბას მკვლელობის შემდეგ, აფხაზეთში სიტუაცია დღითი დღე უარესდება. საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი ზოგიერთი ჩრდილოკავკასიელისა და რუსი დეპუტატის ვიზიტები ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს სოხუმი რაღაც მნიშვნელოვანის მოლოდინშია. თუმცა, ეს საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინს არ ჰგავს და არც „კარგის“ მომასწავებელი სუნი ასდის. სპეცსამსახურების ექსპერტთა და პოლიტოლოგთა პროგნოზებით, უახლოეს მომავალში. აფხაზეთში პოლიტიკური დაპირისპირებები კრიმინალურ დაპირისპირებებში გადაიზრდება და არაერთი პოლიტიკური შინაარსის აფხაზური ვენდეტას მოწმე გავხდებით, რამაც შესაძლოა სეპარატისტები სამოქალაქო ომის ზღვარზეც მიიყვანოს. მიუხედავად იმისა, რომ სოხუმში თავდაცვის მინისტრის მოადგილედ რუსი გენერალი დანიშნეს, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის მიხედვით, დღითი დღე იძაბება ურთიერთობები რუსებსა და აფხაზებს შორის, რასაც ჯერჯერობით, მაქსიმალურად ჩქმალავს ორივე მხარე. მაგრამ იგი შეუმჩნეველი არ რჩებათ ქართულ სპეცსამსახურებს. თუმცა გასული კვირის დასაწყისში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა გალში რუსებსა და აფხაზებს შორის სისხლიანი შეხლა-შემოხლა მოხდა, მათ მიერ არ დასტურდება. აფხაზეთში მიმდინარე მოვლენების და სიტუაციის შესაძლო განვითარების შესახებ ვესაუბრეთ აფხაზეთის უშიშროების მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, **ლევან კიკნაძეს**.

— გალში ინციდენტი აფხაზ მესაზღვრეთა მე-11 საგუშაგოზე მოხდა. ამის შესახებ აფხაზები ამბობენ — ჩაგვისაფრდნენ და სროლა აგვიტეხესო. თუმცა, არ აკონკრეტებენ, ვინ იყვნენ ჩასაფრებულები. სროლის დროს დაიჭრა აფხაზი, მაგრამ რუსული გვარის მქონე, მესაზღვრე სტუპნიკი, რომელიც გვარის გამო საინფორმაციო საშუალებებს რუს სამშვიდობო ჯარისკაცში აერიათ. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ იმავე დღეს რუსი სამშვიდობოების 211-ე საგუშაგოზე, ენგურის ხიდთან, რუსმა ჯარისკაცმა რუსი მოკლა.

**— ე.ი. თქვენ ამბობთ, რომ რუსებსა და აფხაზებს შორის არანაირი შეხლა-შემოხლა არ ყოფილა?**

— ასეთი ინფორმაცია გავრცელდა, თუმცა, არ დადასტურდა. რამდენადაც ცნობილია, მესაზღვრეების საგუშაგოზე ასული იყო აფხაზი კრიმინალის, ბოევიკ ბუთბას ჯგუფი, ისინი აფხაზ მესაზღვრეებს დაერივნენ. აფხაზებიდან ხმები გამოდის, თითქოს ქართველი პარტიზანები დაესხნენ თავს. სისულელეა. სადღა არიან პარტიზანები. როცა იყვნენ, მაშინაც ცდილობდნენ, არ გაერთულებინათ სიტუაცია. ქართველებისთვის არაფრის მომცემია აფხაზ მესაზღვრეებზე თავდასხმა. რუსებსა და აფხაზებს შორის კი ძალიან ხშირია ერთმანეთში დარევის ფაქტები, მაგრამ მის მიჩქმალვას გამუდმებით ცდილობენ. დათვრებიან და არც აფხაზი ინდობს რუსს და არც რუსი — აფხაზს. ამავე დროს, რუსები ვერაფერს უხერხებენ საკუთარ ჯარში „პიანნი რაზბორკებს“.

**— მაინც რის გამო ვერ რიგდებიან რუსები და აფხაზები?**

— მიზეზი უამრავი აქვთ: პირველ რიგში — კონტრაბანდა. წილების გადანაწილებაზე ერთმანეთს ხოცავენ. ბოლო დროს ძალიან მწარდებიან ქართველების კონტროლირებად ტერიტორიებზე კონტრაბანდული ტვირთების დაკავების გამო. ამ პროცესის გამკაცრება უფრო გააგიჟებს რუსებსაც და აფხაზებსაც. უკვე გაიძახიან, აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენას ქართული სპეცსამსახურები უშლიან ხელსო. თურმე ნდობის აღდგენას კონტრაბანდის შემოშვება უწყობდა ხელს. სასაცილოა. არადა, აფხაზები გადარეულები არიან, სოხუმის პორტში გემების რიცხვი თანდათან იკლებს. შავი ფულის მკეთებლებს, აფხაზეთში ურთულესი კრიმინოგენული სიტუაციის გამო, კონტრაბანდის შეტანისა და გასაღების სურვილი უქრებათ. აფხაზები რუსეთის ტერიტორიიდან შემოტანილ კონტრაბანდასაც ენგურს აქეთ თავისუფლად ვეღარ ასაღებენ. ეს კი სეპარატისტების ეკონომიკას ანადგურებს. ხომ იცით რაზეა მათი ეკონომიკა დამოკიდებული — ხეტყის გაჩანაგება-გაყიდვასა და კონტრაბანდაზე. აფხაზი და რუსი კრიმინალები და ბობოლები სწორედ ამით ითბობენ ხელს. ჩვეულებრივი ხალხი უაღრესად გაჭირვებული და გაწამებულია.

**— გავრცელდა მოსაზრება, რომ აფხაზეთში კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავება პოლიტიკური სიტუაციის გაუარესებამ გამოიწვია, თქვენ რას ფიქრობთ?**

— სრულიად ვეთანხმები ამ მოსაზრებას და ამასთანავე დავძენ, რომ აფხაზეთში კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავება იმანაც გამოიწვია, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებში უხვად არიან მოკალათებული კრიმინალები. გულრიფშის რაიონში არსებობს სასტიკი ბანდა, რომელიც მოსახლეობას აწიოკებს. პოლიცია კი, იმის ნაცვლად, რომ ბანდას ებრძოლოს, თვითონ ხელმძღვანელობს მათ. ასეთი სიტუაციაა მთელ აფხაზეთში.

**— ალბათ ეს გაცნობიერებული აქვთ სეპარატისტული ხელისუფლების იმ სამართალდამცველ ჩინოსნებსაც, რომლებიც „ამცახარას“ ლიდერის, აიბას მკვლელობის გამო გადადგნენ?**

— რა თქმა უნდა. გამორიცხულია, რომ საქმე გახსნან. ყველამ კარგად იცის, რომ ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა. აიბა ბიზნესში არ ყოფილა, ვინმეს ბიზნესინტერესების გამო რომ მოეკლა. „ამცახარას“ ბოლო დროს გააქტიურებული პოლიტიკური საქმიანობის გამო აიბა ძალიან ეჩხირებოდა თვალში არძინბას ხელისუფლებას და სხვებიც ეჩხირებიან მათ. ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ „ამცახარას“ და „ედინნაია აბხაზიას“ გამოკვეთილ ლიდერებს, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობენ, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა გადაუკეტონ. არძინბას ხელისუფლებამ ამით იმას „მიაღწია“, რომ „ედინნაია აბხაზია“ და „ამცახარა“ გაერთიანდა, რის შემდეგაც აფხაზეთში სიტუაციის უკიდურესად გამწვავებაა მოსალოდნელი. ეს ერთი მხრივ, კარგია საქართველოში მიმდინარე მოვლენების ფონზე, სადაც სიტუაცია დღითი დღე უკეთესი ხდება. აფხაზეთის დღევანდელი თვითმარქვია ხელისუფლება შეშინებულია იმის გამო, რომ ხალხში ქართველების მიმართ კეთილგანწყობა არ გაიზარდოს. გამუდმებით ავრცელებენ დეზინფორმაციებს, ვითომდა თბილისში აფხაზეთის საწინააღმდეგო ძალისმიერი მოქმედებები იგეგმება.

**— რა კომენტარს გააკეთებთ აფხაზეთის ე. წ. საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას გადადგომის შესახებ, როგორ ფიქრობთ, იყრის თუ არა ის კენჭს საპრეზიდენტო არჩევნებში?**

— შამბამ თითქის აიბას მკვლელობისთანავე განაცხადა გადადგომის შესახებ, რაც იმით ახსნა, რომ თურმე მას არ სურს იმ ხელისუფლებაში ყოფნა, რომელიც საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს(?!). შამბა მართალია, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეიძლება მან შანსი გამოიყენა, შემთხვევით ისარგებლა და ხელისუფლებას ჩამოშორდა, რათა კენჭი იყაროს საპრეზიდენტო არჩევნებში. ეს სუბიექტური ვარაუდია, რეალური ვითარება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე კანდიდატურების წარდგენისას გამოჩნდება. შამბა „ედინნაია აბხაზიას“ წარმომადგენელია. მოსკოვში მცხოვრებ ხაჯბას აფხაზეთის პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული კანონით საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობა აეკრძალა, რადგან მას 5 წელი აფხაზეთში არ უცხოვრია. ამიტომ ვფიქრობ, „ედინნაია აბხაზია“ ხაჯბას შამბათი შეცვლის, თუმცა, „ამცახარასთან“ გაერთიანების გამო ზუსტად რა მოხდება, ძნელი სათქმელია.

(გაგრძელება იხ. გვ. 27)

# „დამნაშავეებთან გარიგებული პოლიციელები ციხეში წავლენ“

ერთადერთი, რაც ბარამიძეს საკუთარ სტრუქტურაში თვალში არ მოსდიოდა, პოლიციელების ზედმეტი წონა (ღიპი) და კორუმპირებულობა იყო და ებრძოდა კიდეც ამ სიმპტომებს, მაგრამ როგორც ჩანს, მისმა შემცვლელმა ახალი მიზანი დაისახა — **ირაკლი ოქრუაშვილი** სამსახურში პირადი ღირსებებით გამორჩეული ხალხის დატოვებას აპირებს, სხვებს კი პენსიაზე უშვებს. შეუპოვრობით ცნობილი ახალი შს მინისტრი საშუალო რანგის დამნაშავეებსა და ქურდებთან შეკრულ პოლიციელებთან აპირებს შერკინებას. დალხინებული დღეები რომ არ ელის, თავადაც იცის, მაგრამ რაკი ბატონ მინისტრს სირთულეების დაძლევა ჰყვარებია, გამოდის, რომ სიამოვნება წინ ელის... ყველაზე „მოუცლელ“ მინისტრთან ინტერვიუს ჩაწერა „კვირის პალიტრამ“ მაინც მოახერხა.

**— ბატონო ირაკლი, როგორ ფიქრობთ, პროკურატურაში მეტი პასუხისმგებლობა გეკისრებოდათ თუ ახალ პოსტზე?**

— რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში მეტია პასუხისმგებლობა. ამ სტრუქტურასთან საზოგადოების გაცილებით დიდი ნაწილი არის დაკავშირებული, ვიდრე პროკურატურასთან. თუმც, ერთი რამ უნდა აღვნიშნო, პროკურატურაში თანამშრომელთა ინტელექტის დონე გაცილებით მაღალია. ამ განცხადებით სულაც არ მინდა შს სამინისტროს ფუნქცია და როლი დავაკნინო, ან ვინმე შეურაცხვყო, მაგრამ ეს რეალობაა...

წლების განმავლობაში შს სამინისტრო ყველაზე ამორფულ, ასე ვთქვათ, გაუგებარ სტრუქტურად იქცა, სადაც ჩამოყალიბდა განსაზღვრული (კორუფციული. — ი. რ.) ფუნქციების რგოლები. მოხდა პოლიციის შერწყმა დამნაშავეთა სამყაროსთან და ამან დღევანდელ არცთუ სახარბიელო მდგომარეობამდე მიგვიყვანა.

**— თქვენი დაპირება, ექვს თვეში უწყებაში სიტუაცია გამოსწორდებაო, რამდენად რეალურია?**

— აქ არსებულ პრობლემებს მარტივად ვუდგები — უაზრობა იქნებოდა, ისეთი კონცეპტუალური რეფორმების დაწყება, რაც 10 წლის შემდეგ თუ მოგვცემდა შედეგს. მაგალითს მოგიყვანთ — სოხუმის სახანძრო რაზმში 104 თანამშრომელია და ხელფასს ბიუჯეტიდან იღებენ(!). არადა, გაუგებარია, რას აკეთებენ ისინი? რად უნდა დიდი ფიქრი და განსჯა იმას, რომ ეს რგოლი სრულიად არ უნდა არსებობდეს. იმავეს ვიტყოდი ეკო და ტრანსპორტის პოლიციაზე, ასევე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარ სამმართველოზეც. ბევრია ისეთი სტრუქტურა, რომლებსაც ერთი და იგივე ფუნქცია აქვთ. სინამდვილეში სწორედ ეს არის კორუფციის წყარო.

კორუფციის ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო ასევე კადრების დანიშვნაც. ვაცხადებ — არც ერთი პოლიციელი არ დაინიშნება თანამდებობაზე ქრთამის ან ვინმეს პატივისცემის წყალობით. ასეთი კაცი თანამდებობის მიღებისთანავე გადახდილი თანხის ამოღებაზე დაიწყებს ფიქრს. ამ სისტემაში კორუფციის მოსპობის პრინციპი ასეთი იქნება — პოლიციაში მუშაობას ის კი არ დაიწყებს, ვინც ფულს გადაიხდის, არამედ ის, ვინც პროფესიონალი იქნება. ჩვენთვის მთავარი თანამშრომელთა პიროვნული თვისებები იქნება. ვეცდებით ჩვენს თანამშრომლებს მატერიალური სტიმულიც ჰქონდეთ, რათა ვინმესგან ქრთამი არ აიღონ. პოლიციელისთვის მატერიალურ სტიმულად კარგი ხელფასი უნდა იქცეს.

რეალობას გავუსწოროთ თვალი და ვაღიაროთ — პოლიციის უფროსსა და მის მოადგილეს იმდენად არ უჭირთ, რომ დავიწყოთ იმაზე ფიქრი, სამასდოლარიანი ხელფასი ეყოფათ თუ ხუთასიანი. საჭიროა იმ ქვემდგომი რგოლების მატერიალური წახალისება, რომლებიც საქმეს აკეთებენ. თანამშრომლებს, რომელთაც დავალებაზე აგზავნიან, საკუთარი ფულით უწევთ ბენზინის ჩასხმაც, სამსახურის მანქანის შეკეთებაც და აგენტის დასაინტერესებელი თანხის გაღებაც.

(გაგრძელება იხ. გვ. 7)

პრიორიტეტი

# იქნებ ჩვენს მდინარეებშიც ჩაიყაროს ხურდა ფული



## უგერგილო დამოკიდებულება, ანუ დანაშაული ქვეყნის წინაშე...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა დამოუკიდებელი საქართველო პირველ ნაბიჯებს დგამდა, ხშირად გაიგონებდით, — სხვა რომ არაფერი გვქონდეს, ქვეყანას მარტო კურორტებითა და ტურიზმით შეუძლია თავის რჩენაო. მაშინ ამ მოსაზრებას თავისი საფუძველი ჰქონდა. ყოველწლიურად საქართველოში დაახლოებით 4 მილიონი ტურისტი ჩამოდიოდა. ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეს არ იყო ურიგო მაჩვენებელი. დღეს ტურიზმი მთელ მსოფლიოში ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და მომგებიან დარგად ითვლება. ასე რომ, ტურიზმის განვითარება საქართველოს მართლაც უქადდა ეკონომიკურ სტაბილურობას, მაგრამ... დღევანდელ სტატისტიკას თუ გადავხედავთ, უცხოელებს ქუდი რომ შემოუგდოთ, მაინც არ აპირებენ საქართველოში სამოგზაუროდ ჩამოსვლას. სპეციალისტებს თუ ვერწმუნებით, ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. უპირველესად აფხაზეთისა და სამაჩაბლოს კონფლიქტებმა უცხოელებს ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლის ხალისი დაუკარგა, მაგრამ არც საომარი მოქმედებები ყოფილა ერთადერთი მიზეზი, რამაც ჩვენთან ტურიზმის განვითარება ჩაკლა. იმავე სპეციალისტების განმარტებით, ამაში დიდი როლი შექმნილმა კრიმინოგენულმა სიტუაციამაც ითამაშა. ტურისტები, რომლებმაც ყველაფრის მიუხედავად, მაინც გაბედეს საქართველოში ჩამოსვლა, ბევრჯერ გაძარცვეს — რაც ებადათ, ყველაფერი წაართვეს, ხშირია გაუპატიურების შემთხვევებიც. ყაჩაღობას რომ თავი დავანებოთ, საქართველოში აღარ დარჩა ადგილი, სადაც შეიძლება უცხოელი ტურისტების მიღება და გამასპინძლება. ქვეყანაში არსებული 102 კურორტიდან თითქმის ყველა გაძარცული და გაპარტახებულია. უცხოელები მომსახურების სიძვირესაც უჩივიან... ერთი სიტყვით, ტურიზმის განვითარებას საქართველოში ბევრი ფაქტორი უშლის ხელს. ასე რომ, აქსიომა — „საქართველოს ტურიზმით აყვავება შეუძლია“ — მხოლოდ სურვილად დარჩა. არადა, ჩვენი აზრით, ის ერთ-ერთი (ერთადერთი თუ არა) და აუცილებელი სფეროა, რომლის განვითარებითაც ჩვენმა ქვეყანამ შეიძლება დიდი მოგებაც ნახოს, მით უმეტეს, რომ ამ სფეროს განვითარებისთვის ყველა ბუნებრივი წინაპირობა არსებობს, მთვარი ხელისშემშლელი ფაქტორი ისევ და ისევ ჩვენივე უგერგილო დამოკიდებულება ხდება, რომელიც ხშირად ქვეყნის წინაშე დანაშაულადაც კი შეიძლება ჩაითვალოს... „კვირის პალიტრა“ შეეცდება საზოგადოებას დაანახვოს ის სიკეთეები, რაც შეიძლება ტურიზმის სწორად განვითარებამ მოგვიტანოს და ასევე თვალი აუხილოს იმ მანკიერ მხარეებზე, რომლებიც ამ სფეროში წლების წინ ხდებოდა და სამწუხაროდ, დღესაც ხდება.

რა მდგომარეობაა დღეისათვის ტურიზმის ინდუსტრიაში და როგორ პერსპექტივას უქადის მომავალი მის განვითარებას საქართველოში, ამ საკითხის გასარკვევად „კვირის პალიტრამ“ ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტს მიაკითხა.

**საბა კიკნაძე,** დეპარტამენტის თავმჯდომარე:
— მართლაც აქსიომაა, რომ საქართველო ტურიზმის ქვეყანაა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ საჭიროებს დამტკიცებას. სახელმწიფოს არ ჰქონდა კეთილი ნება, რომ ტურიზმისთვის მიეხედა; ხოლო ქვეყანაში არსებულმა არასტაბილურმა სიტუაციამ დარგს თავისი დაღი დაასვა. მოგეხსენებათ, ტურიზმი დასვენების არაძალდატანებითი ფორმაა. უცხოელებს შეიძლება ძალიანაც სურდათ ჩვენთან დასვენება, მაგრამ აქ ჩამოსვლა საშიში იყო.

— **რამდენიმე სახელმწიფომ ოფიციალურად ურჩია კიდეც თავის მოქალაქეებს, არ ჩამოსულიყვნენ საქართველოში.**

— ისეთი ქვეყანა, როგორიც არის, მაგალითად, იაპონია, ცხადია, ზრუნავს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოებაზე. ის ურჩევს თავის მოქალაქეებს, რომ არ წავიდნენ, ვთქვათ, ბირმაში, რადგან იქ შეიძლება თავები დააჭრან, ან — ისრაელში, რადგან იქ ომია. ასეთივე საშიში ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება საქართველოც. ჩვენთან შეიძლება მოგიტაცონ, გაგძარცვონ ან ლიფტი ჩამოვარდეს, ან საბაგირო გზა გაწყდეს. ერთი სიტყვით, ისეთი რეპუტაცია გვაქვს, არავის რომ არ შეშურდება. უბედურება ის არის, რომ წინა ხელისუფლება არაფერს აკეთებდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. სიტყვას საქმე არ მოჰყოლია. არც ტურისტების ძარცვისა და გაუპატიურებისთვის დასჯილა ვინმე. ყველა საქმე დღემდე გაუხსნელია. როდესაც მესტიის ერთ-ერთ ბანკში ადგილობრივი მცხოვრები მიდის და გადასახურდავებლად მიაქვს იაპონური იენები, მას რატომღაც არავინ ეკითხება, საიდან აქვს იაპონური ვალუტა. მით უმეტეს, რომ რამდენიმე დღის წინ იქ იაპონელები გაძარცვეს. დავით გარეჯში ტურისტების ჯგუფს ჯი-პი-ესი წაართვეს. საკმარისი იყო, მძარცველს ერთხელ დაეჭირა ღილაკზე თითი (დარწმუნებული ვარ, დააჭერდა კიდეც), რომ ჯი-პი-ესის მომსახურე სატელიტურ კომპანიას მძარცველის ადგილსამყოფელი დაედგინა, მაგრამ ყურიც არავინ შეიბერტყა.

— **კრიმინალური სიტუაციის გარდა, ტურისტების მომსახურების დაბალი ხარისხი და სიძვირეც არცთუ უმნიშვნელო ფაქტორია. თურქეთის ან საბერძნეთის ფეშენებელურ კურორტებზე ბევრად იაფია დასვენება, ვიდრე საქართველოს რომელიმე გაპარტახებულ კურორტზე.**

— მართალია. ჩვენთან მომსახურების მართლაც დაბალი დონეა. რაც შეეხება სიძვირეს, ქვეყნის ეკონომიკური სისტემა სხვადასხვა სახის ბიზნესს (არც ტურიზმი იყო გამონაკლისი) ჩრდილოვანი საქმიანობის ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა. ტურისტის მიერ გახარჯულ 1 დოლარში თუ ყველა ბეგარა ასახული და, შესაბამისად, გადახდილი იქნებოდა, საქართველო გაცილებით ძვირი ტურისტული ქვეყანა იქნებოდა, ვიდრე დღეს არის. საქართველო არის გაცილებით ძვირი ქვეყანა, ვიდრე საბერძნეთი, თურქეთი, ეგვიპტე და იტალიაც კი(?!) და ეს იმიტომ, რომ საგადასახადო სისტემა იყო უკუღმართად აწყობილი. თუ ხეტყის ჩეხა ან ჯართის გატანა არის ხელშეწყობის საგანი და თავისუფალია სხვადასხვა გადასახადისგან, ჩვენ ხომ არაფერი არ გაგვაქვს? ტურიზმის ინდუსტრიას აბსოლუტურად არაფერი ეხარჯება, პირიქით, ვიღაც შემოდის და ვალუტას ხარჯავს ჩვენთან. ყოველი ოცი ტურისტი ას კაცზე ხარჯავს ფულს; ანუ, რამდენი ოცი უცხოელი ჩამოვა, საქართველოში იმდენი ასი კაცი იხეირებს.

(გაგრძელება იხ. გვ. 11)

# „თითოეული პენსიონერისგან 5-10 თეთრი ხომ უნდა მიიღოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმაო“(?!)

## ვინ გადაუგდებს „საქართველოს ფოსტას“ მაშველ რგოლს?

ამას წინათ, ჩვენი გაზეთის რედაქციას შპს „საქართველოს ფოსტის“ ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე ხუთი თანამშრომელი ესტუმრა. სტუმრობის საბაბი „საქართველოს ფოსტაში“ არსებული დარღვევები აღმოჩნდა. გვიამბეს, თუ როგორ დაიტაცეს ფოსტის უმაღლესი თანამდებობის პირებმა საპენსიო თანხები, როგორ დაადეს ხელოვნურად ვალად „საქართველოს ფოსტას“ რამდენიმე მილიონი ლარი, როგორ ითვისებდნენ საბიუჯეტო თანხებს და ანიავებდნენ „საქართველოს ფოსტის“ უძრავ ქონებას. მათ რომ ვუსმენდი, ერთი ტრაგიკომიკური ამბავი გამახსენდა, რომელიც ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ რაიონში მოხდა. იმ რაიონში ერთი მარტოხელა პენსიონერი ცხოვრობდა. ძალიან უჭირდა, არადა, ახალგაზრდობაში ხელგაშლილობას იყო ნაჩვევი და ახლა პენსიით თავი ძლივს გაჰქონდა. ერთხელ გაზეთ „თბილისში“ სამგლოვიარო განცხადებების კითხვისას, პენსიონერს ერთი იდეა დაებადა და მალე პრაქტიკულად განახორციელა კიდეც. წინასწარ დაწვრილებით შეისწავლიდა რომელიმე სამგლოვიარო განცხადებაში მოხსენიებულ გვარ-სახელებს, მერე კი გარდაცვლილს დაახლოებით ასეთი შინაარსის წერილს გაუგზავნიდა: „ჩემო ძვირფასო მეგობარო, ვიცი კარგად ხარ და შენს მშვენიერ ცოლ-შვილსა და შვილიშვილებში ხარობ, მე კი უშვილძიროდ გადავეგე. არ შეგაწუხებდი, მაგრამ გაჭირვებამ მაიძულა შენთვის მომემართა. შეიძლება არც გახსოვდეს, მაგრამ ამ სამი წლის წინ, ქუჩაში რომ შემხვდი, 30 მანეთი დამესესხე (თანხა არასოდეს 50 მანეთზე მეტი არ ყოფილა). რამდენი ხანია არ შევხვედრივართ და ალბათ იმიტომ დაგავიწყდა ეს მცირე ვალი. გთხოვ, როგორმე გამომიგზავნო. ბოდიში, რომ გაწუხებ. ვიცი, ეს თანხა შენთვის არაფერია, ჩემთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია. წამალს მაინც ვიყიდი“. ეტყობა, თაღლითი პენსიონერი კარგად იცნობდა ადამიანის ფსიქოლოგიას — არც ერთხელ არ მიუღია უარი ჭირისუფლისგან. პირიქით, ზოგჯერ „ვალს“ გაორმაგებულს უგზავნიდნენ ფოსტით და თან მორიდებით აცნობებდნენ ძმაკაცის გარდაცვალების ამბავს. ერთი სიტყვით, დაიძრა პენსიონერის სახელზე მთელი საქართველოდან ფულადი გზავნილები. ყოველდღე ფოსტალიონს მის სახელზე ათამდე ფულადი გზავნილის შეტყობინება მიჰქონდა. ბოლოს, ისევ ფოსტაში დაეჭვდნენ, თუ ვინ უგზავნიდა მარტოხელა პენსიონერს ყოველდღე 300-500 მანეთს საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან. ფოსტის გამგემ დაიბარა ჩვენი გმირი და საიდუმლოს გამხელა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაემუქრა, რომ შესაბამის ორგანოებს აცნობებდა ყველაფერს. სხვა გზა არ იყო და მოხუცი გამოტყდა. ფოსტის გამგეს მოხერხებული პენსიონერის წამოწყება მოეწონა და წილშიც ჩაუჯდა(!). თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ ეს ამბავი მაინც გახმაურდა. უშიშროების ერთ-ერთ თანამშრომელს, რომელსაც მამა გარდაეცვალა, მეგობრებისთვის მამის ვალის შესახებ უამბია. როგორც აღმოჩნდა, ისეთივე წერილები მათაც მიუღიათ და ჩვენი პენსიონერი გაბაწრეს, გვერდით ფოსტის გამგეც მიუსვეს და ფოსტალიონიც.

შპს „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლების ნაამბობიც დაახლოებით ასეთივე ტრაგიკომიკური იყო. თუმცა, როგორც მათგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმებამ ცხადყო, „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლების მონათხრობი და პრეტენზიები სიმართლესთან ახლოს დგას. ისიც საგულისხმოა, რომ მასალების მოპოვების პროცესში ზოგიერთი ჩემი სტუმრის არაკეთილსინდისიერად შედგენილი და გაყალბებული დოკუმენტებიც ჩამივარდა ხელთ... ისევ იმ დღეს დავუბრუნდეთ — საბუთებით დატვირთული სტუმრები მაგიდასთან მივიწვიე და ერთმანეთი გავიცანით. ისინი აღმოჩნდნენ: შპს „საქართველოს ფოსტის“ მარკეტინგის დირექტორის მოადგილე მალხაზ ფერაძე, კომერციული სამსახურის უფროსი გაბრიელ წულაია, ფოსტის გადაზიდვების უფროსის მოადგილე სიმონ კაკაურიძე, არატრადიციული მომსახურების უფროსი ავთანდილ ანთაძე და საერთაშორისო ფოსტის მთავარი სპეციალისტი სვეტლანა ავაქოვა. ამ ხუთეულიდან ყველაზე მეტად მალხაზ ფერაძე აქტიურობდა, ხოლო სხვები თავის კანტურით ადასტურებდნენ მის ნათქვამს. საუბარში მხოლოდ მაშინ თუ ჩაერეოდნენ, როცა ფერაძეს სათქმელიდან რაღაც გამორჩებოდა.

**მალხაზ ფერაძე:** — გასული 12 წლის მანძილზე დატრიალებულმა მოვლენებმა დაღი დაასვა საფოსტო დარგს და იგი დანგრევის პირას მიიყვანა. „საქართველოს ფოსტის“ სამმართველოს აპარატში 2001 წლიდან განხორციელებულმა საკადრო ცვლილებებმა კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა — ამ ხნის განმავლობაში ექვსჯერ შეიცვალა დირექტორთა შემადგენლობა. უმეტესწილად, დარგს ხელმძღვანელობდნენ არაპროფესიონალები, რომელთა არაკომპეტენტურმა და ზოგჯერ მიზანმიმართულმა ქმედებებმა განადგურების პირას მიიყვანა „საქართველოს ფოსტა“. შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოდ მისი ჩამოყალიბებიდან დღემდე ჩალის ფასად იყიდებოდა და იყიდება საფოსტო დარგის კუთვნილი შენობები და ტექნიკური საშუალებები, დაიდო სხვადასხვა კაბალური ხელშეკრულება, რომელთა გამო დღეს ფოსტას ხელოვნურად შექმნილი მილიონობით ლარი აქვს ვალად. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იმედი მოგვეცა, რომ კორუფციასა და ძარცვა-ყაჩაღობას ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღებოდა, მაგრამ „საქართველოს ფოსტას“ ჯერჯერობით საამისო არაფერი ეტყობა. კერძოდ, 2004 წლის 17 იანვარს „საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ნესტორ ხურცილავა, რომელიც 2003 წლის 19 აგვისტომდე შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორი იყო. ის სამსახურიდან სხვადასხვა ფინანსური დარღვევის გამო დაითხოვეს... ამის დასტურად ამ დოკუმენტს გაგაცნობთ.

2003 წლის 14 აგვისტო. „საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი (სტილი დაცულია): „საზოგადოების გენერალური დირექტორის ნესტორ ხურცილავას მიერ დაშვებულ იქნა მთელი რიგი დარღვევები. კერძოდ, სახელფასო დავალიანება საწარმოში არ მცირდება, მიუხედავად იმისა, რომ საშტატო ერთეულები შემცირებულია, აგრეთვე გენერალური დირექტორის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით მოხდა საწარმოს წმინდა მოგების განაწილება, რაც კანონმდებლობის უხეში დარღვევაა. იმ დროს, როდესაც საწარმოს გააჩნია სოლიდური სახელფასო დავალიანება, მის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება და გაფორმებულია არახელსაყრელი ხელშეკრულება „საქართველოს ფოსტის“ მუშაკთა ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ... ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ახორციელებს ბანკიდან აღებული კრედიტის მეშვეობით, რაც დაუშვებელია. დაზღვევის თანხა კრედიტით კი არა, მოგებიდან უნდა დაიფაროს...“ და იქვე, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა ერთხმად დაადგინეს: „საქართველოს ფოსტის გენერალური დირექტორი განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან“. ხურცილავას ფინანსური დანაშაულებანი მხოლოდ ამით არ დასრულებულა. მან „საქართველოს ფოსტის“ კუთვნილი 12 საფოსტო ვაგონი (ერთი ვაგონი წონით 47 ტონაა) ჩალის ფასად 2.647 ლარად, ჯართად გაყიდა. ეს გარიგება უშუალოდ ნესტორ ხურცილავას ინიციატივით და მისი დირექტორობის დროს მოხდა.

2003 წლის 3 ივნისით დათარიღებულ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში ვკითხულობთ (სტილი დაცულია): „გამყიდველი შპს „საქართველოს ფოსტა“ მისი გენერალური დირექტორის ნ. ხურცილავას სახით და მყიდველი შპს „აჭარტერმინალექსპედიტორსერვისის“ დირექტორი ო. დუმბაძე მონიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ვდებთ ხელშეკრულებას ჯართის ყიდვა-გაყიდვაზე. ჯართის წონა შეადგენს 112 ათას კილოგრამს(?!). ათასი კილოგრამი არაგაბარიტული ჯართის ფასი შეადგენს 10 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში(?!)“. „საქართველოს ფოსტაში“ ჩატარებული კონტროლის პალატის საფინანსო-ეკონომიკური რევიზიის აქტიდან კი ვიგებთ, რომ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ 2003 წლის 8 აპრილის წერილით „საქართველოს ფოსტას“ 12 ერთეული საფოსტო ვაგონის ჩამოწერის ნება დართო... შეიქმნა კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა ჩასაბარები ჯართის წონა ლითონების სახეობების მიხედვით, მაგრამ კომისიას აღნიშნული სამუშაო არ შეუსრულებია. ხურცილავას იმავე წლის 12 ივნისის ბრძანებით ვაგონები „საქართველოს ფოსტის“ ბალანსზე გადავიდა. აუდიტით ერთი ტონა ჯართის ღირებულება შეფასდა 10 აშშ დოლარად, რაც ჯართის საბაზრო ფასებიდან გამომდინარე არარეალური და ძალზე დაბალია. დასკვნაში მითითებულია, რომ 12 ერთეული ვაგონის გაბარიტული ჯართის წონა შეადგენს 112 ათას კილოგრამს. აქტში მითითებული წონიდან გამომდინარე კი ერთი ვაგონის წონა საშუალოდ 9,4 ტონა გამოდის, მაშინ როდესაც თითოეული საფოსტო ვაგონის წონა 47-50 ტონას აღწევს...

გადაზიდვების უფროსი **სიმონ კაკაურიძე:**
— ამ დოკუმენტების გაცნობის შემდეგ ნებისმიერი სალად მოაზროვნე ადამიანი იმ დასკვნამდე მივა, რომ გენერალურმა დირექტორმა 12 ვაგონი, რომელიც შეკეთებას ექვემდებარებოდა და მათი გარემონტების პროექტიც არსებობდა, თითქმის ჩალის ფასად გაყიდა, თითქოს მისი საკუთრება ყოფილიყო.

ხდებოდა საპენსიო თანხების უკანონოდ განკარგვაც. ჰოლანდიური გრანტის, 900 ათასი გულდენის გაფლანგვის, 2 მილიონამდე ლარის სახელფასო და 1 მილიონამდე ლარის სახელშეკრულებო დავალიანების გამო კი დღესაც მიმდინარეობს გამოძიება.

**მალხაზ ფერაძე:** — როგორც „საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მაშინდელმა მოადგილემ სერგო ტოპრაკაშვილმა 2003 წლის 27 ივნისის საბჭოს სხდომაზე აღნიშნა, „საქართველოს ფოსტის“ გენერალურმა დირექტორმა „საფოსტო ბანკსა“ და სოციალური უზრუნველყოფის ერთიან ფონდს შორის გარიგება დადო. გარიგების გაფორმება და მოლაპარაკებები სამეთვალყურეო საბჭოსთან შეუთანხმებლად მოხდა. თითქმის ორ წელიწადზე მეტხანს „საფოსტო ბანკსა“ და ფონდს შორის პენსიების გადარიცხვისა და დარიგების საბუთების ურთიერთშედარება არ მომხდარა, არ დაწერილა აქტები. ხელოვნურად შექმნილი ვალი — 780 ათასი ლარი — „საფოსტო ბანკმა“ „საქართველოს ფოსტას“ ისევ ხურცილავას ხელშეწყობით ჩამოაჭრა.

— **თქვენ თუ აცნობეთ მისი საქმიანობის შესახებ ხელისუფლებას?**

— კაცი, რომელმაც „საქართველოს ფოსტის“ განადგურებაში ლომის წილი დაიდო, გაიძახის, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბატონ ზურაბ ჟვანიასთან ნათელმირონობა აკავშირებს — ამ ფაქტს ხურცილავა კარგად იყენებს. წამდაუწუმ ახსენებს ფოსტის თანამშრომლებს, თუ ვისი ახლობელია(!). მისი აქტიური მხარდამჭერი და მეგობარია ასევე ხონის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ბობოხიძე. ვერ ვიტყვი, პრემიერ-მინისტრმა იცის თუ არა ხურცილავას შესახებ ყველაფერი ეს, მაგრამ შემიძლია მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ნესტორ ხურცილავა ყოველთვის ორ ფრონტზე თამაშობდა. როდესაც სამეთვალყურეო საბჭომ გენერალური დირექტორობიდან გაათავისუფლა, ხურცილავამ მაშინდელ სახელმწიფო მინისტრ ავთანდილ ჯორბენაძეს აცნობა, რომ 2 ნოემბრის არჩევნების დროს ნაციონალებმა და ბურჯანაძე-დემოკრატებმა „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით სარეკლამო ბუკლეტები დაგზავნეს. მაშინ მისი დაბეზღების წყალობით მაშინდელი ფოსტის დირექტორი სამსახურიდან დაითხოვეს — ამის შემდეგ ხურცილავა აცხადებს, რომ იგი დღევანდელი პრეზიდენტის გუნდის წევრია...

ჩვენს რესპონდენტებთან საუბრის შემდეგ, ბუნებრივია, შპს „საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, ნესტორ ხურცილავას შევხვდით. მისი თანამშრომლების განცხადებები გავაცანით და კომენტარი ვთხოვეთ.

**ნესტორ ხურცილავა:** — ყველაფერი ჩემი მომჩივნების შეთხზულია, დამკვეთის დავალებას ასრულებენ.

1995 წლის მოწვევის პარლამენტის დეპუტატი ვიყავი „მოქალაქეთა კავშირის“ სიით. ჩემი მომჩივნები მიყიჟინებენ, თითქოს ზურაბ ჟვანია ჩემი ბავშვის ნათლია იყოს და სწორედ მისი მხარდაჭერით დავინიშნე „საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

# „დამნაშავეებთან გარიგებული პოლიციელები ციხეში წავლენ“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

თუ ეს სქემა არ მოიშალა, არაფერი გვეშველება. ხელფასს რომ მისცემენ, პოლიციელმა უნდა იცოდეს, რომ ფულს შინ წაიღებს და შვილებს მოახმარს. ის არ უნდა ფიქრობდეს სამსახურში ფულის ინვესტიციის სახით ჩადებას, რათა მერე სამმაგად ამოიღოს ვინმესგან. პოლიციელებს ექნებათ კარგი ხელფასი. მაგალითად, საპატრულო პოლიციელებს, რომლებიც თბილისში, ქუთაისში, აჭარასა და ავტომაგისტრალებზე იმუშავებენ, ხელფასი 400 ლარი ექნებათ. მას დაუბეგრავად აიღებენ. საპატრულო პოლიცია არ უნდა ჰგავდეს ხეს ამოფარებულ საგზაო ინსპექტორებს, რომლებიც გაფაციცებულნი არიან — აბა, ვინ დაარღვევს მოძრაობის წესებს, რომ ფული გამოვძალოთო. საპატრულო პოლიციის ფუნქცია არ იქნება ჩასაფრება და წესრიგის დამრღვევთა გამოვლენა. ის იმაზე იზრუნებს, რომ დანაშაული არავინ ჩაიდინოს. სხვათა შორის, ლაპარაკი იყო ჟანდარმერიის შექმნაზეც, მაგრამ ჩემი აზრით, ჟანდარმის ინსტიტუტის შექმნა სრული უტოპიაა.

**— ითქვა, ირაკლი ოქრუაშვილი დაინტერესდა იმ გრანტებით, რომელიც შს სამინისტროს მის მოსვლამდე გამოუყვესო. თქვენი დაინტერესება რაიმე საფუძვლიანმა ეჭვმა ხომ არ გამოიწვია?**

— ბოლო სამი თვის მანძილზე პრეზიდენტის რეფორმებისა და განვითარების ფონდიდან დაახლოებით ნახევარ მილიონ დოლარამდე ჩაირიცხა შს სამინისტროში. არ მინდა, ვინმეს ჩრდილი მივაყენო და არც ის მინდა იფიქრონ, თითქოს ჩემს წინამორბედს ვაკრიტიკებდე, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ თანხის ნახევარი წყალშია გადაყრილი.

**— როგორ, თანხის განაწილება დაიგეგმა არასწორად თუ ეს ფული მავანთ ჩაიდეს ჯიბეში?**

— არა, არასწორად განაწილდა... როდესაც სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელს რეფორმების შემდეგ მხოლოდ 40 ლარით ეზრდება ხელფასი, ეს არაფერს ნიშნავს. ის მაინც მოტყუებულად თვლის თავს, წარამარა უთითებენ, — უკეთ იმუშავე, შენ ხომ ხელფასი მოგემატაო. არადა, 40 ლარით ხელფასის გაზრდა ამ კატეგორიის თანამშრომლისათვის ვერაფერი შეღავათია. ამას სჯობს, პოლიციელთა ერთ ნაწილს სრულიად არ მოვუმატოთ ხელფასი, მეორე ნაწილს კი მნიშვნელოვნად გავუზარდოთ. მაგალითად, თბილისის საგზაო პოლიციელებს 25-დან 100 დოლარამდე გაეზარდათ ხელფასი, რეალურად ესეც არაფრისმომცემი დანამატია. ავიღოთ, თუნდაც სამხარეო პოლიციის სამმართველოები — იქ მაღალი ხელფასი აქვს სამმართველოს უფროსს, მოადგილესა და განყოფილების უფროსს. საქმის შემსრულებელს კი, რომელიც ყაჩაღს, ბანდიტს და ათასი ჯურის დამნაშავეს დასდევს, ხელფასები არ გაზრდია. აუცილებლად უნდა გადაიხედოს ეს საკითხი.

**— ძალოვანი მინისტრების ბოლოდროინდელ საკადრო გადაადგილებას ასეთი ახსნა მოეძებნა — ამით ზოგიერთი მინისტრის პასუხისმგებლობისა და ცოდვების ჩამოწერა მოხდაო. რამდენად ეთანხმებით ასეთ შეფასებას?**

— არა მგონია, სწორი შეფასება იყოს — თითქოს ვიღაცამ არასწორად იმუშავა და იმიტომ გადაიყვანეს სხვა ადგილზე, რომ მისი შეცდომები ჩაეფარცხათ. ქვეყნის პირველი პირი, რომელსაც გადაწყვეტილებების მიღების პრეროგატივა აქვს, არ არის ისეთი პიროვნება, კომპრომისზე წასულიყო და კაცისთვის, რომელმაც ერთ ადგილზე ვერ იმუშავა, სხვა ადგილი მოეძებნა. პრეზიდენტი ხელს არავის არასოდეს დააფარებს.

**— ამბობენ, ბევრი კორუმპირებულად შერაცხული, რომელიც ირაკლი ოქრუაშვილმა დიდი ამბით მოათავსა ციხეში, შესაძლოა სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლონო. წარადგენს თუ არა პროკურატურა სასამართლო პროცესებზე საკმაო მტკიცებულებებს?**

— თუ ვინმეს ჰგონია, ჩემს დროს პროკურატურის მიერ დაპატიმრებული ხალხი გათავისუფლდება, ძალზე შემცდარა. საეჭვოა, სასამართლო პროცესებზე არ დამტკიცდეს ამ ხალხის ბრალეულობა. თუმც, შესაძლოა, ოფიციალური გარიგების შედეგად ვიღაც მართლა გაათავისუფლონ. ოფიციალური გარიგებები ჩემი გენპროკურორობის დროსაც მომხდარა. ყოფილა შემთხვევა, პირს 3 წლამდე პატიმრობა ეკუთვნოდა და თვეებს ვითხოვდით იმის გამო, რომ ჩვენთან თანამშრომლობდნენ და ფულს იხდიდნენ ხაზინაში. არ გამოვრიცხავ, რომ მომავალ სასამართლო პროცესებზე მავანთ პირობითი სასჯელი მიიღონ, მაგრამ გარწმუნებთ, არც ერთი პირი არ იქნება ისეთი, რომელსაც მსჯავრი არ დაედება და სასამართლო გაამართლებს.

**— თქვენი წინამორბედისთვის პრიორიტეტული ქურდებთან ბრძოლა იყო, ვინ იქნება თქვენთვის მთავარი სამიზნე?**

— ქურდებთან ბრძოლა ჩემთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, მაგრამ არა მთავარი. ჩემი მიზანი იმ პოლიციელებთან ბრძოლაა, რომლებიც ქურდებთან არიან შეკრული. მხოლოდ ქურდებთან ბრძოლით ფონს ვერ გავალთ. მე ისეთი სისტემის შექმნა მინდა, სადაც პრიორიტეტული საზოგადოდ, დამნაშავეობასთან ბრძოლა იქნება და არა მისი ცალკეული სფერო.

გია ბარამიძის მინისტრობისას ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ საქართველოში კანონიერ ქურდებს არ ეპარპაშათ. დღეს უფრო მნიშვნელოვან პრობლემას გვიქმნიან დაბალი

## პოლიციელი არ უნდა ფიქრობდეს სამსახურში ფულის ინვესტიციის სახით ჩადებას, რათა მერე სამმაგად ამოიღოს ვინმესგან...

თუ ვინმეს ჰგონია, ჩემს დროს პროკურატურის მიერ დაპატიმრებული ხალხი გათავისუფლდება, ძალზე შემცდარა. საეჭვოა, სასამართლო პროცესებზე არ დამტკიცდეს ამ ხალხის ბრალეულობა. თუმც, შესაძლოა, ოფიციალური გარიგების შედეგად ვიღაც მართლა გაათავისუფლონ... მაგრამ გარწმუნებთ, არც ერთი პირი არ იქნება ისეთი, რომელსაც მსჯავრი არ დაედება და სასამართლო გაამართლებს.



## შს სამინისტროში ნარკობარიგები ისხდნენ

რანგის დამნაშავეები, რომლებიც გაცილებით მრავალრიცხოვანნი და საზოგადოებისთვის საშიშნი არიან, ყოველდღიურად ქვეყნის მასშტაბით 4 მანქანის გატაცება მაინც ხდება. არადა, საქართველოში ჩიტიც ვერ გადაიფრენს ისე, რომ რომელიმე სამართალდამცავ უწყებას ინფორმაცია არ ჰქონდეს. თუ პოლიციელი ინფორმაციას მხოლოდ თავის სასარგებლოდ იყენებს, ბუნებრივია, სახელმწიფო ვერაფერს იხეირებს. წვრილმან დამნაშავეებსაც პოლიცია მფარველობს. ბაზრობაზე ვინ ჯიბის ქურდია და ვინ — ჯიბგირი, ყველა პოლიციის უფროსმა იცის, ასევეა მეტროშიც. პოლიციის უფროსები დავიბარე და ვუთხარი, თუ წვრილმანი დამნაშავეების თარეშს 1 თვეში არ აღკვეთთ, მხოლოდ სამსახურის დატოვებას არ დაგაჯერებთ-მეთქი. ადრე მათ ერთი თვით დაითხოვდნენ პოლიციიდან და მერე ისევ აბრუნებდნენ. ამას ბოლო მოეღება — დამნაშავეებთან გარიგებული პოლიციელები სისტემას დატოვებენ და ვეღარასოდეს დაბრუნდებიან აქ — მეტიც, ციხეშიც წავლენ.

**— რამდენადაც ვიცი, 15 ათასი პოლიციელის სამსახურიდან დათხოვნას აპირებთ, ეს არცთუ პოპულარული ნაბიჯია, ფაქტობრივად, თქვენ ამ ხალხს იმდურებთ. ითქვა ისიც, რომ ყველაზე საშიში სწორედ სამსახურიდან დათხოვნილი პოლიციელები არიან, ისინი დამნაშავეებს გაურიგდებიანო.**

— არა მგონია. პოლიციაში ჯერ ისევ შემორჩენილი აქვთ მუნდირის ღირსება. თუ ავტოინსპექტორი წესრიგის დარღვევის გამო ვიღაცას 2 ლარსართმევს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უთუოდ დამნაშავეს გაურიგდება. მე უფრო დათხოვნილი პოლიციელების ბედი მაფიქრებს — ხვალ და ზეგ რას იზამენ. მათ უთუოდ მივცემთ კომპენსაციას (იმდენს, რისი საშუალებაც ექნება სახელმწიფოს). რა სოციალურ პირობებში აღმოჩნდებიან ისინი, მხოლოდ ჩემი კი არა, მთავრობისა და მთელი საზოგადოების თავსატეხია. მიუხედავად ამისა, 15 ათასი კაცის წასვლა შს სამინისტროდან აუცილებელია, რათა სტრუქტურა სტრუქტურას დაემსგავსოს. თბილისში თურმე ისევ არსებობს საპატრულო საგუშაგო სამსახური. ეს სტრუქტურა კომუნისტების დროს არსებობდა და დღეს რას აკეთებს, კაცმა არ იცის. ეკოპოლიციის ცენტრალურ აპარატში 100 კაცი, თბილისის სახანძროში კი 1000 კაცი მუშაობს(!), აფხაზეთის შს სამინისტროს რა ფუნქცია აქვს, არ ვიცი და ამ დროს წლიურად მასზე 2 მილიონი სახელფასო ფონდია გამოყოფილი. თუ სიმბოლურად მისი არსებობა აუცილებელია, მაშინ დავტოვოთ მასში 5 კაცი, მეტი რა საჭიროა?!

საპატრულო პოლიციელებს, რომლებიც თბილისში, ქუთაისში, აჭარასა და ავტომაგისტრალებზე იმუშავებენ, ხელფასი 400 ლარი ექნებათ. მას დაუბეგრავად აიღებენ. საპატრულო პოლიცია არ უნდა ჰგავდეს ხეს ამოფარებულ საგზაო ინსპექტორებს, რომლებიც გაფაციცებულნი არიან — აბა, ვინ დაარღვევს მოძრაობის წესებს, რომ ფული გამოვძალოთო.

**— ხშირად ხდებოდა, რომ წამლის ჩადებით პოლიცია ორმაგად ხეირობდა — მავანთ ფულს სძალავდა, ან თუკი დამნაშავეს ფაქტზე ვერ აიყვანდა, წამალს ჩაუდებდა და დააპატიმრებდა.**

— მეტსაც გეტყვით, პოლიციის უფროსებს სეიფში ნარკოტიკი ედოთ, და „საჭიროების“ შემთხვევაში იყენებდნენ, ქვეშევრდომის ხელით პირს უდებდნენ ნარკოტიკს, ექსპერტიზის შემდეგ კი მას ცვლიდნენ. ნივთმტკიცებად გაურკვეველი სახის ნივთიერებას ტოვებდნენ, იმ ნარკოტიკს კი უკვე სხვისთვის ჩასადებად იყენებდნენ, უარეს შემთხვევაში კი ყიდდნენ(?!).

პოლიციის უფროსებს სეიფში ნარკოტიკი ედოთ და „საჭიროების“ შემთხვევაში იყენებდნენ, ქვეშევრდომის ხელით პირს უდებდნენ ნარკოტიკს, ექსპერტიზის შემდეგ კი მას ცვლიდნენ. ნივთმტკიცებად გაურკვეველი სახის ნივთიერებას ტოვებდნენ, იმ ნარკოტიკს კი უკვე სხვისთვის ჩასადებად იყენებდნენ, უარეს შემთხვევაში კი ყიდდნენ(?!).

**— და ყველაფერი ეს ბარამიძემ იცოდა?**

— ეს ახალი მეთოდი არ არის და არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ დღესაც იგივე არ ხდება.

**— არაერთხელ გახმაურებულა წინასწარი დაკავების საკნებში ეჭვმიტანილთა წამების ფაქტი. ამას წინათ ერთ-ერთმა თავიც ჩამოიხრჩო. რამდენად სერიოზულია წინასწარი დაკავების საკნებში ეჭვმიტანილთა მდგომარეობის პრობლემა?**

— ეს სერიოზული პრობლემაა. წინასწარი დაკავების საკანში ეჭვმიტანილი სამ დღეზე მეტ ხანს არ ჩერდება. შემდეგ ის საგამოძიებო იზოლატორში გადაჰყავთ. სამდღიან პრესს ნებისმიერი დამნაშავე „გაუძლებს“. თუმც, არ გამოვრიცხავ ეჭვმიტანილზე ფიზიკური დაზიანების მიყენებას მისი დაპატიმრების მომენტში. ეს გარდაუვალი რეალობაა ყველა ქვეყნის პოლიციისათვის. რაც შეეხება ეჭვმიტანილთა წამების ფაქტებს, ვფიქრობ, ბოლო ერთი წლის მანძილზე ეს არ ხდება.

**— დღეს ისევ სერიოზულ პრობლემად რჩება ნარკომანია, როგორ აპირებთ მასთან ბრძოლას?**

— ნარკომანები ჩვენთვის სოციალური სახის პრობლემაა და არა — კრიმინალური. ჩვენთან დამკვიდრებული მენტალიტეტით ნარკოტიკის მოხმარება თითქოს პრივილეგიას ანიჭებს პირს. ზოგისთვის შესაძლოა, მისაბაძიც იყოს ნარკოტიკის მომხმარებლის სოციალური მდგომარეობა და ამ მხრივაც არის ეს სენი გადამდები, იმავდროულად, ნარკომანობა შესაძლოა, დანაშაულის ჩადენის ბიძგადაც იქცეს.

ნარკომანიასთან ბრძოლა ერთი მეთოდით შეიძლება — ნარკომანს იმედი არ უნდა ჰქონდეს, თუ პოლიციელს ფულს გადავუხდი, ყველაფერი გამივაო. თუ მას ექნება კანონის შიში და ეცოდინება, თუ ნარკოტიკს აღმოუჩენენ (ან მისი ზემოქმედების ქვეშ იქნება), ციხეში წავა, აღარ ექნება ნარკომანობის აფიშირების სურვილი. პოლიციელებსა და ნარკომანებს შორის არსებული გარიგებები რომ მოიშალოს, სრულიად უნდა გავაუქმო ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახური

— საჭირო არ არის ცალკე სამსახურად არსებობდეს. ნარკომანიასთან ბრძოლის სპეციალიზებული სამსახური რომ არსებობდა, იმიტომ ისხდნენ შს სამინისტროში ნარკობარიგები. ნარკოტიკი აქ, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში, იყიდებოდა. ნარკომანიასთან ბრძოლა სისხლის სამართლის სამძებროს ფუნქცია იქნება და იმ შემთხვევაში, თუ გამოძიების ერთიანი სამსახური იარსებებს (მოკვლევა და გამოძიება თუ გაერთიანდა), გამომძიებელი და სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკი ერთი და იგივე პირი იქნება.

**— გასაგებია, რომ ნარკომანიასთან ბრძოლის სამსახურს აუქმებთ, მაგრამ როგორ დასჯით იმ პოლიციელებს, რომლებიც თქვენი თქმით, ეჭვმიტანილებს ნარკოტიკს უდებენ ჯიბეში ან კიდევ წამალს ყიდიან?**

— არ შეიძლება მიზნად დავისახოთ ერთ კვირაში ყველა იმ პირის დაპატიმრება, რომლებიც ოდესმე წამლის რეალიზაციაში ყოფილან შემჩნეული. მთავარი ის არის, ვიჭერთ თუ არა ადამიანს ნივთმტკიცებით. რომ გამოვაცხადო, ნარკორეალიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლას ვიწყებ-მეთქი და გეგმაც დავუსახო ჩემს თანამშრომლებს, ეს იგივე შეტყობინება იქნება — ყველა ასეთ ადამიანს თუ ფაქტზე ვერ წაასწრებს, გეგმა რომ არ ჩაუვარდეს, სხვა მეთოდით, თუნდაც წამლის ჩადებით უნდა დაიჭიროს. ამიტომ ასეთი გეგმების დასახვა არაფერს მოგვიტანს.

**— გასულ კვირას დავით გამყრელიძემ განაცხადა, — კონტროლის პალატიდან პროკურატურამ სხვადასხვა საქმის ასობით ტომი გაიტანაო. რად სჭირდებოდა დედაქალაქის პროკურატურას კონტროლის პალატის ის მასალები, რომლებიც საქართველოს ცალკეული რაიონების ბიუჯეტს ეხებოდა. როგორც ირკვევა, მასალების გატანა თქვენი გენპროკურორობის დროს მოხდა. ხომ არ გაკეთდა ეს ამ ადამიანებზე შესაძლო ზეწოლის მიზნით?**

— ჩემს დროს განსაზღვრული მასალები მართლაც ამოიღო თბილისის პროკურატურამ სასამართლოს ბრძანების საფუძველზე. კონტროლის პალატაში „კამაზები“ და „ფურები“ არავის მიუყენებია. სულ 20-25 ორგანიზაციაზეა მასალები ამოღებული და აბსოლუტურად მიზანმიმართულად. ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ამ ორგანიზაციების შემოწმებისას ბევრი დანაშაული მიიჩქმალა და ქრთამიც აიღეს. მოლაშვილის საქმის გამოძიება გვიჩვენებს, რომ ბევრი შემოწმება უკანონოდ ჩატარდა. სწორედ ამ მიზნით გადაწყდა ზემოხსენებული მასალების გადამოწმება. შესაძლოა დღეს ისევ გრძელდება ჩემს დროს დაწყებული საქმეები. თუ სადმე რაიმე ბომბია ასაფეთქებელი და რაიმეა გამოსააშკარავებელი, ამას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმები. ჩემი ყურადღებაც მიიქცია იმ ფაქტმა, რომ თბილისის პროკურატურამ ამოიღო სხვა ქალაქის, კერძოდ, ფოთის პორტის შემოწმების მასალები, მაგრამ საქმე თბილისის პროკურატურის დაქვემდებარებაში სავსებით კანონიერად აღმოჩნდა. მასალებიდან გაირკვა, რომ ფოთის პორტისთვის დარიცხული თანხებიდან კონტროლის პალატას განსაზღვრული სახსრები თავის ანგარიშზე მიჰქონდა. დედაქალაქის პროკურატურა ამ სახსრების კანონიერებით დაინტერესდა იმდენად, რამდენადაც კონტროლის პალატა თბილისში მდებარეობს და ეს საქმე სწორედ მას უნდა შეესწავლა.

**— ბატონო ირაკლი, ბოლო დროს თქვენზე რაიმე ჭორი თუ გაგიგიათ?**

— არ მახსენდება...

**— მაშინ მე გეტყვით. ამბობენ, ექვს თვეში ირაკლი ოქრუაშვილი პრემიერ-მინისტრი გახდებაო.**

— ეს ჭორია და მეტი არაფერი. ამ ხმას არაკეთილმოსურნე ხალხი ავრცელებს. სამ თვეში ერთხელ თანამდებობის შეცვლის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. ეს სისტემაზეც უარყოფითად აისახება და ადამიანების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც. ხშირი ცვლილება ამ სტრუქტურის არამდგრადობას იწვევს. არც სურვილი მაქვს, არც მონდომება, არც უნარი და არც თვისებები, რომ პრემიერ-მინისტრობაზე ან რაღაც სისულელეებზე ვიფიქრო. ახლა შინაგან საქმეთა სამინისტროა მისახედი.

**— ბარამიძე ჩიოდა, ღამეში ზოგჯერ ორი საათი მძინავსო. თქვენი ძილის რეჟიმი როგორია?**

— გუშინწინ სრულიად არ მძინებია, გუშინ კი 4 საათი მეძინა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს, რაკი რთული სამუშაო აქვს, სრულიად არ უნდა ეძინოს. მოგატყუებდით რომ მეთქვა, ყოველღამე ქუჩაში დავრბივარ და დამნაშავეებს დავდევ-მეთქი.

**— კიდევ ერთი ჭორი გავიგე — სულ მალე ირაკლი ოქრუაშვილი მეორე შვილის დაბადებას ელოდებაო.**

— არასწორი ინფორმაციაა. ზოგიერთი ჟურნალი სიცრუის გარეშე ალბათ არ იყიდება და ამიტომაც თხზავენ სისულელეებს.

**— კმაყოფილი ხართ თქვენი თანამდებობით?**

— არა... იმიტომ, რომ იოლი არ არის ის საქმე, რის გაკეთებასაც ვაპირებ.

**— მაგრამ ამბობენ, რომ თქვენ სირთულეები გიყვართ.**

— (ეღიმება) ვნახოთ, შევეცდები სირთულეები დავძლიო და როგორ გამომივა ეს, თავად განსაჯეთ. მთავარია, საზოგადოებას პოლიციელთან პრეტენზიები არ ჰქონდეს და პოლიციელიც საკუთარი მუშაობით იყოს კმაყოფილი, ე.ი. სახელმწიფოსაგან დაფასება ჰქონდეს.

***იზო რიკაძე***

# უმუშევარი გენერლების სინდრომი



რას უპირებს სახელმწიფო ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე უმუშევრად დარჩენილ გენერლებსა და პოლკოვნიკებს?!



ექსპრეზიდენტ შევარდნაძის მრავალწლიანმა მმართველობამ, ბევრ სხვასთან ერთად, ერთი ისეთი თავსატეხიც დაგვიტოვა, რომლის სასწრაფოდ მოგვარების გარეშე ახალ ხელისუფლებას უთუოდ დაბრკოლება შეექმნება. ამ პრობლემის წარმოშობის მიზეზი შევარდნაძის „გულუხვობაა“ — აქეთ-იქით ისე არიგა გენერლის ჩინი, რომ საქართველოს სამხედრო ძალები გაივსო გენერალ-მაიორებითა თუ ბრიგადის გენერლებით — აღარაფერს ვამბობთ პოლკოვნიკებზე.

პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლას სამხედრო, პოლიციისა თუ სპეცსამსახურების ხელმძღვანელობის გადადგომაც მოჰყვა, რის შემდეგაც უმუშევარი დარჩა ორ ათეულამდე გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-მაიორი და ბრიგადის გენერალი.

უმეტესობას ჯერ არ მიუღწევია საპენსიო ასაკისთვის და ამ მუხლით მათი თადარიგში გაშვება ძნელია, არადა, ვერც შედარებით დაბალ თანამდებობაზე დანიშნავ — გენერლის სამხრეები არ მოერგება ვიცე-პოლკოვნიკის ადგილს.

ახალ ხელისუფლებას კი ახალი სახეები სჭირდება, ამიტომაც ძალოვან სტრუქტურებში ახალი გენერლები გამოჩნდნენ და ის ადგილებიც დაიკავეს, რომელსაც თავად პრეზიდენტ სააკაშვილის გარემოცვა „ვარდების რევოლუციის“ წინ ან შემდგომ პერიოდში ძველ გენერლებს აღუთქვამდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი და მათი ქვეშევრდომი ძალოვანი სტრუქტურები მათ მხარეზე გადმოვიდოდნენ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ნეიტრალიტეტს მაინც შეინარჩუნებდნენ და არ დაეხმარებოდნენ პრეზიდენტ შევარდნაძეს რეჟიმის შენარჩუნებაში.

რამდენიმე მაღალჩინოსანი გენერალი ასეც მოიქცა, თუმცა დღეს ისინიც „თანამოძმეებთან“ ერთად უმუშევარ გენერალთა არმიას შეუერთდნენ.

შეიძლება ეს ახალ ხელისუფლებას ხალხის მოტყუებად ჩაუთვალო, მაგრამ თავად ხელისუფლება ამას, ეტყობა, ჭკვიანურ პოლიტიკურ სვლად მიიჩნევს და თავს იმართლებს — „უმუშევარი“ გენერლების ნაწილი შეიძლება მართლაც მიემხრო „ვარდების რევოლუციას“ (ან არ წავიდა მის წინააღმდეგ), მაგრამ მათი დიდი ნაწილი მრავალწლიანი კორუფციითაა გასვრილი და მათ მაღალ თანამდებობებზე დაბრუნებას საზოგადოება არ გაამართლებსო.

ეს, გარკვეულწილად, მართალიც არის, რადგან თუნდ დღევანდელ სავალალო მდგომარეობამდე პოლიცია და, მით უმეტეს, არმია იმ გენერლების ნაწილმა მიიყვანა, რომლებიც წლების განმავლობაში მათ ხელმძღვანელობდნენ. ამიტომაც მათი მაღალ თანამდებობებზე დაბრუნება ნამდვილად მიზანშეუწონლად ჩანს.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა თავდაცვის სამინისტროს მიმართ, უფრო კი შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბთან მიმართებაში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავდაცვის სამინისტროში მაღალ თანამდებობებზე მხოლოდ სამოქალაქო პირები მუშაობენ და, შესაბამისად, „უმუშევარი“ გენერლების კრიტიკული მზერა სწორედ შტაბისკენაა მიმართული.

ბოლო პერიოდში აშკარად გამოჩნდა, რომ გენშტაბის დღევანდელი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ დაიწყო ერთგვარი დისკრედიტაციის კამპანია, რომელშიც ქართული მასმედიაც კი ჩაერთო. დღევანდელ გენერალურ შტაბს არც პრობლემები აკლია და არც შეცდომები, მაგრამ მათი იმ საქმეებში დადანაშაულება, რომელშიც ბრალი არ მიუძღვით, უბრალოდ, მასმედიის ზოგიერთი საშუალების არაპროფესიონალიზმზე მიუთითებს.

ძნელია ამის მტკიცება, მაგრამ გამოჩნდა იმის ნიშნები, რომ „უმუშევარი“ გენერლების მცირე ნაწილი უფრო და უფრო აქტიურად გამოხატავს უკმაყოფილებას. ეს არ ნიშნავს, რომ ვინმე აუცილებლად სამხედრო გადატრიალებისთვის ემზადება, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მათი საწუხარი. კორუფციონერსა და დამნაშავეს პასუხი მოსთხოვოს სისხლის სამართლის კოდექსით, ხოლო უდანაშაულო, მაგრამ უმუშევარი ახალგაზრდა გენერალი დააკმაყოფილოს სამსახურით.

# ბუშმა რუს მზვერავებს მადლობა დეზინფორმაციისთვის გადაუხადა?!

## შეიტყუა თუ არა კრემლმა თეთრი სახლი ერაყში?

18 ივნისს ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში გამოსვლისას რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, — რუსეთის სპეცსამსახურებმა მნიშვნელოვანი სადაზვერვო ინფორმაციები მიაწოდეს აშშ-ის პრეზიდენტ ბუშს სადამ ჰუსეინისა და „ალ-ქაიდას“ კავშირის შესახებ, რისთვისაც ბუშმა პირადად დიდი მადლობა გადაუხადა რუსეთის ერთ-ერთი სპეცსამსახურის ხელმძღვანელსო. ეს იყო მსოფლიო მასშტაბის სენსაციური აღიარება! გამოდის, რომ ერაყში ომის დაწყების წინ თეთრი სახლი, თავისი მშობლიური CIA-ს (ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო), მეგობარი დიდი ბრიტანეთის MI6-ის (საგარეო დაზვერვის) გარდა, ოდესღაც მტერი საბჭოთა КГБ-ს ერთ-ერთი ნაშიერის — რუსეთის СВР-ის (საგარეო დაზვერვის სამსახური) აგენტებისგანაც იღებდა ინფორმაციას სადამ ჰუსეინის რეჟიმის შესახებ.

პუტინის ამ განცხადებას ორიოდე დღით ადრე წინ უსწრებდა აშშ-ში შექმნილი 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების გამოსაძიებელი კომისიის წინასწარი დასკვნა — მიუხედავად იმისა, რომ „ალ-ქაიდას“ ხელმძღვანელობა რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად ცდილობდა სადამის დაყოლიებას ერაყში ტერორისტების მოსამზადებელი ბაზების გახსნაზე, თვით მრისხანე დიქტატორად აღიარებული ჰუსეინიც კი, არ დათანხმდა მასთან არანაირ გარიგებას; აქედან გამომდინარე, 11 სექტემბრის ტერაქტებთან სადამ ჰუსეინის რეჟიმს არავითარი კავშირი არა აქვს და არც პრეზიდენტ ბუშს არ ჰქონდა არანაირი საფუძველი, ამ მიზეზით ერაყში ომი დაეწყო...

გამოდის, რომ ან 11 სექტემბრის ტერაქტების გამომძიებელი კომისიის წევრები ცდებიან, ან უარესი — კრემლმა დეზინფორმაცია „შეუგდო“ პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციას და ჩაითრია ერაყის ომში, რომელიც მალე თავისი ტრაგიკული შედეგებით ვიეტნამის ომსაც კი გადააჭარბებს.

„კვირის პალიტრა“ ერაყში ომის დაწყებამდე ვარაუდობდა, — რუსეთი ეცდება, ამერიკელებს ერაყში მეორე ავღანეთი მოუწყოსო.

თავის დროზე, 1979 წლის ბოლოსთვის, ავღანეთში საბჭოთა სამხედრო დანაყოფების გადასროლა იმ სადაზვერვო ინფორმაციებმაც დააჩქარა, რომლებშიც დასავლეთში მომუშავე საბჭოთა აგენტები მოსკოვს აფრთხილებდნენ — თუკი საბჭოთა არმია არ დაიკავებს ავღანეთს, იქ დღე-დღეზე ამერიკელი კომანდოსები გადასხდებიანო.

ავღანეთის 9-წლიანი სისხლისმღვრელი პარტიზანული ომის შემდეგ, თადარიგში მყოფი მაღალჩინოსანი საბჭოთა მზვერავები აღიარებენ, რომ 1979 წელს საბჭოთა დაზვერვა, გარკვეულწილად წამოეგო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დეზინფორმაციაზე — პენტაგონი მაშინ სულაც არ აპირებდა დესანტის გადასხმას ავღანეთის მთებში, თუმცა ეს საბჭოთა არმიას გააკეთებინა!

გამოდის, რომ ავღანეთის ომის დაწყების გამო კრემლმა 24 წლის შემდეგ სამაგიერო გადაუხადა თეთრ სახლს და ამერიკის არმია ამჯერად მან შეიტყუა ერაყში.

ცხადია, საქმე მთლად ასე მარტივადაც არ არის, რადგან ერაყის ნავთობის გაკონტროლება და საერთოდ ახლო აღმოსავლეთში „ფესვების გადგმა“ ამერიკელ რესპუბლიკელ პრეზიდენტებს ყოველთვის სურდათ; პრეზიდენტმა ბუშმაც საბაბად გამოიყენა ჰუსეინის შესაძლო კავშირი „ალ-ქაიდასთან“ და ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა.

ამერიკელმა ექსპერტებმა ომის დაწყებიდან 15 თვის თავზე ერაყში ჯერ ვერც ერთი ქიმიური თუ ბირთვული ბომბი ან რაკეტა ვერ აღმოაჩინეს და ვერც სადამ ჰუსეინის კავშირი დაადგინეს უსამა ბინ ლადენთან.

სამაგიეროდ, აშშ-მა და, შესაბამისად, მთელმა დასავლეთმა (ისევე, როგორც მათმა მოკავშირე პოსტკომუნისტურმა სახელმწიფოებმა და ერაყიდან არც ისე შორს მყოფმა საქართველომ) მიიღო ისეთი ერაყი, სადაც ფუნდამენტალური ისლამიზმი დღითი დღე მტკიცდება, ათასი ჯურის მუსლიმანი ტერორისტი ხვეწს „ოსტატობას“ პარტიზანულ თავდასხმებში და სხვადასხვა ინფორმაციით, ისეთი გრანდიოზული ტერორისტული აქტებისთვის ემზადება, 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენები მასთან მონაგონი იქნება.

სადამ ჰუსეინი მართლაც იყო სისხლისმსმელი დიქტატორი — ათიათასობით ადამიანი წამებით მოაკვლევინა, მაგრამ საგულისხმოა, რომ იგი ჩანასახშივე ანადგურებდა ფუნდამენტალური ისლამიზმის ნებისმიერ გამოვლინებას ერაყში.

დღეს კი რადიკალური ისლამისტური მოძრაობები ფრთებს შლიან მთელ ერაყში და ამაში მათ მეზობელი ირანიც გულმოდგინედ ეხმარება.

ყოველივე ეს კი აძლიერებს ქრისტიანული დასავლეთისა და ფუნდამენტალური ისლამიზმით გაჯერებული ახლო აღმოსავლეთის გლობალურ დაპირისპირებას, რომელშიც საქართველო შეიძლება მოვლენების შუაგულში აღმოჩნდეს.



# ექსკლუზივი ქართული ტანკების რაოდენობა გაორმაგდება!

## მალე ქართული არმიის მძიმე შეიარაღება მეზობლებისას გაუსწრებს



ძნელია ექსკლუზიური მონაცემები მიაწოდო მკითხველს, რადგან შინაგანი ცენზურა ამის ნებას არ გაძლევს. ერთი მხრივ, აუცილებელია, პატრიოტმა კაცმა იცოდეს, რომ ქართული არმია მნიშვნელოვნად ძლიერდება, მაგრამ არ გვინდა ჩვენ მიერ მიწოდებული ცნობებით არაკეთილმოსურნემ ოპერატიულად მიიღოს დამატებითი ინფორმაცია ქართული არმიის შეიარაღებაზე.

ამიტომაც ვეცდებით, გაკვრით ვუთხრათ მკითხველს, რომ მალე ქართული არმიის მძიმე ჯავშანსატანკო შეიარაღება შეიძლება გაორმაგდეს!

დღემდე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების არმიების შეიარაღების ბალანსი დარღვეული იყო, სამწუხაროდ, არა ქართული არმიის სასარგებლოდ. საქართველოს შეიარაღებული ძალების 86 ტანკსა და 92 ჯავშანმანქანას (ჯავშანტრანსპორტიორები და ქვეითთა საბრძოლო მანქანები) პირობითად უპირისპირდებოდა აზერბაიჯანის არმიის 220 ტანკი (100 ერთეული T-55 და 120 ცალი T-72) და 210 საბრძოლო ჯავშანმანქანა, აგრეთვე სომხეთის რესპუბლიკის 110 ტანკი (102 ცალი T-72 და 8 ერთეული T-55) და 110 ჯავშანმანქანა. თუმცა გასათვალისწინებელია ის ორ ასეულზე მეტი ტანკი და ჯავშანმანქანაც, რომლებიც მთიანი ყარაბაღის თვითაღიარებულ რესპუბლიკას გააჩნია და ცხადია, ყოველთვის სომხეთის არმიას ამოუდგებიან მხარში.

თავის მხრივ, ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების — ГРВЗ-ს შეიარაღებაშია 156 ერთეული T-72 ტიპის ტანკი და 445 საბრძოლო ჯავშანმანქანა (82 ტანკი და 221 საბრძოლო ჯავშანმანქანა საქართველოს ტერიტორიაზე ჰყავთ რუს სამხედროებს).

უახლოეს პერიოდში ეს იძულებითი ბალანსი დაირღვევა და, საბედნიეროდ, საქართველოს სასარგებლოდ. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქართული არმია რომელიმე მეზობელ ქვეყანაზე იერიშის მისატანად იწყებს მზადებას, უბრალოდ, ქართული შეიარაღებული ძალები, ბოლოს და ბოლოს, უნდა დაკომპლექტდნენ და რეალურად ბრძოლისუნარიანნი გახდნენ, მით უფრო, რომ ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ პარიზისა და ტაშკენტის ხელშეკრულებები უფლებას გვაძლევს, გვყავდეს არა უმეტეს 220 ტანკისა და 220 ჯავშანმანქანისა.

ქართული არმიის არსენალი კი მალე აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი (არ დავაზუსტებთ!) პოსტკომუნისტური ქვეყნის მძიმე შეიარაღების ხარჯზე შეიძლება შეივსოს და თანაც იმ მეთოდით, რომელიც დღემდე არ გამოგვიყენებია.

წლების განმავლობაში ვწერდით — პრეზიდენტ შევარდნაძეს შეეძლო მეგობრად წოდებული გერმანიის კანცლერისთვის, ჰანს დიტრიხ გენშერისთვის ეთხოვა, — ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის ბუნდესვერთან მიერთების შემდეგ დარჩენილი შეიარაღების უზარმაზარი მარაგიდან რაიმე ეჩუქებინა გაძარცული ქართული არმიისთვის!

მაგრამ ეს არ გაკეთდა. არ გაკეთდა არა იმიტომ, რომ რუსეთი დაგვბლოკავდა, ან აშშ გაგვიწევდა წინააღმდეგობას, არამედ ჩვენი მექრთამე გენერლები ველარ იყიდდნენ მამასისხლად აღმოსავლეთ ევროპაში ხშირად უვარგის ტექნიკას, ცეცხლსასროლ იარაღსა და ტყვია-წამალს.

დღეს, საბედნიეროდ, სიტუაცია იცვლება. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ამჟამად შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების შეძენა აბსოლუტურად სუფთად მიმდინარეობს, ალბათ ვიღაც ხელმრუდე ახლაც ცდილობს მსუქანი ლუკმის მიღებას ასეთი გარიგებებიდან, მაგრამ კორუფციის მასშტაბი გვარიანად დაეცა.

ცოტა ხანში საქართველოში ჩამოვა ერთ-ერთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანაში შესყიდული საბრძოლო საჭურვლის მნიშვნელოვანი პარტია (ამ კონტრაქტის შესახებ „კვირის პალიტრა" ჯერ კიდევ ორი თვის წინ წერდა), მაგრამ რაც შეეხება ტანკებსა და ჯავშანმანქანებს (ლაპარაკია რამდენიმე ათეულ ერთეულზე), მათ ჩუქებას აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფო აპირებს. მათი ერთადერთი მოთხოვნაა, ეს მძიმე ჯავშანტექნიკა ქართულმა მხარემ თავისი ხარჯით წაიღოს. ამასთან, ცნობილი გახდა, რომ საჩუქრად გამზადებული T-72 ტიპის ტანკების უმრავლესობას თითქმის დაუხარჯავი რესურსი გააჩნიათ.

ამ საჩუქრის მიღების შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს საშუალება მიეცემა დასავლეთ საქართველოში მძიმე საბრძოლო ჯავშანტექნიკით თითქმის სრულად დააკომპლექტოს ქუთაისის 21-ე მოტომსროლელი ბრიგადა, რის შემდეგაც საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებში ეყოლება მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის მე-11 და 21-ე მოტომსროლელი ბრიგადები, რაც გამორიცხავს მძიმე საბრძოლო ტექნიკის სარკინიგზო ეშელონებით ასეულ კილომეტრებზე სასწრაფოდ გადაზიდვის აუცილებლობას და, შესაბამისად, ქართულ არმიასაც უფრო ოპერატიულად შეეძლება რეაგირება ამა თუ იმ საგარეო თუ საშინაო საფრთხეზე.

# რას წარმოადგენს სეპარატისტთა „გრძელი ხელი"

## მართლა შეუძლია თუ არა კოკოითის „არმიას" გორის დაბომბვა?

ლეიბორისტული (შრომის) პარტიის ლიდერმა ბატონმა შალვა ნათელაშვილმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში მკაფიოდ აღნიშნა, რომ კოკოითის მთავრობამ ჯავაში შემოიყვანა „სმერჩი", რომლის საშუალებითაც 35 კმ-ის მანძილზე ქ. გორის მოსახლეობის დაბომბვას შეძლებსო.

ძნელი სათქმელია, რომელ თავის სამხედრო მრჩევლებზე დაყრდნობით „აღმოაჩინა" ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა ჯავაში „სმერჩი", მაგრამ თუკი იგი გულისხმობდა 300 მმ კალიბრიანი ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემა 9K58 Смерч-ს, მაშინ აუცილებელია, განვმარტოთ, რომ „სმერჩი" 35 კმ-ზე კი არა, მაქსიმალურ 70 კმ-ზე ისვრის თავის 800 კგ-იან რაკეტას. ხოლო მოდერნიზებული რაკეტებით „სმერჩს" 90 კმ-ზე მიღწევაც შეუძლია.



ჩვენი დოსიე: 122 მმ კალიბრიანი თვითმავალი ჰაუბიცა 2C1 Гвоздика შექმნილია ჯავშნიანი გამწევის МТ-ЛБ-ს ბაზაზე. მისი საარტილერიო ნაწილი ფაქტობრივად, Д-30 ბუქსირებადი ჰაუბიციდანაა აღებული. საბრძოლო მანქანა მთლიანად 15,7 ტ-ს იწონის და შეუძლია წყალში ცურვა. Гвоздика-ს ეკიპაჟი 4 კაცისგან შედგება და იგი წუთში 5-8 გასროლას ასწრებს. ჭურვების მარაგი 40 ერთეულია. 21,7 კგ-იანი მსხვრევად-ფუგასურ ჭურვს Гвоздика მაქსიმალურ 15,3 კმ სიშორეზე ისვრის.

ასე რომ, კოკოითის მთავრობას მართლაც რომ ჰქონდეს „სმერჩი", იგი ჯავიდან გორს კი არა, კასპსაც თავისუფლად მისწვდება.

საბედნიეროდ, დღეს ცხინვალის რეგიონში დე ფაქტო სეპარატისტულ ხელისუფლებას არ აქვს შეიარაღებაში ისეთი მრისხანე იარაღი, როგორიც „სმერჩია" და, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, ამიტომაც არ ღირს ისედაც შეშფოთებული მოსახლეობის კიდევ ერთხელ დაშინება.

აჯობებდა, ყურადღების გამახვილება იმ რეალურ საშიშროებაზე, რაც კოკოითის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ შეიძლება შეუქმნას ცხინვალის სიახლოვეს მცხოვრებთ.

სეპარატისტული ხელისუფლების განკარგულებაში, „კვირის პალიტრის" ინფორმაციით, ბოლო პერიოდამდე იყო 5-6 ერთეული 122 მმ კალიბრიანი თვითმავალი ჰაუბიცა 2C1 Гвоздика და ოთხიოდე 122 კალიბრიანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21Град-ი.



ჩვენი დოსიე: 122 მმ კალიბრიანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 Град-ი „ურალის" ტიპის მაღალი გამავლობის ავტომობილზეა დამონტაჟებული, მისი მთლიანი საბრძოლო მასა 13,7 ტონაა. საბრძოლო კომპლექტის 40-ივე რაკეტის გასაშვებად სულ 20 წამია საკმარისი. Град-ის რაკეტის ფრენის მაქსიმალური სიშორე 20,5 კმ-ს აღწევს. თავად რაკეტის მასა 66 კგ-ზე მეტია, აქედან 19 კგ საბრძოლო ნაწილზე მოდის.

ეს სწორედ ის საარტილერიო შეიარაღებაა, რომლის გამოყენებაც შეიძლება სცადოს კოკოითის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ე.წ. „გრძელი ხელის" პრინციპით.

ზემოთქმულის შესაძლებლობაზე ერთგვარი მუქარით მიანიშნებს რუსეთის სახელმწიფო დუმის ზოგიერთი „ველიკოდერჟავიკი" დეპუტატიც. ისინი პრესის საშუალებით აცხადებენ, — ცხინვალს თავის დაცვა იმ სამი „გრადითაც" შეუძლია, რომლებიც თავის დროზე ქართველებს წაართვესო. 1992 წელს თბილისმა მართლაც გამოიყენა „გრადები" ცხინვალის მისადგომთან, მაგრამ ისინი არავის წაურთმევია, თუმცა ამ განცხადებით რუსი პოლიტიკოსები ამტკიცებენ, რომ კოკოითს მართლაც გააჩნია „გრადები", ოღონდ ამ რუს დეპუტატებს არ სურთ გაამხილონ, საიდან გაუჩნდა ცხინვალის „დე ფაქტო" ხელისუფლებას შეიარაღებაში ასეთი სერიოზული იარაღი.

ოსური „გრადებისა" და „გვოზდიკების" წარმომავლობის გარკვევას დიდი კვლევა-ძიება არ სჭირდება. იარაღის ამ სისტემების სახეობები არასოდეს ყოფილა საქართველოს ამ რეგიონში, რომ ისინი საბჭოთა სამხედრო ნაწილებიდან გაეტაცებინათ სეპარატისტებს (განსხვავებით იმ ათასობით ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმისა, რომლებიც ცხინვალში დისლოცირებულმა საინჟინრო-მენაღმეთა პოლკმა — „უფეშქაშა" ადგილობრივ სეპარატისტებს. მას შემდეგ „ნაღმურ ომს" რამდენიმე ათეული ქართველი მშვიდობიანი მოსახლის სიცოცხლე შეეწირა და დღესაც რჩება უდიდესი საშიშროება, რომ ერედვი-ხეითის შემოვლითი გრუნტიანი გზა სეპარატისტებმა ღამით ჩუმად არ დანაღმონ).

შორს მსროლელი არტილერიის ეს საშუალებები სეპარატისტულმა ხელისუფლებამ, სავარაუდოდ, ჩრდილო ოსეთში მდგარი რუსეთის 58-ე საერთო-საჯარისო არმიის შეიარაღებიდან მიიღო.

ახლა რაც შეეხება ოსური „გვოზდიკებიდან" და „გრადებიდან" მომდინარე საფრთხეს, უშუალოდ ჯავიდან გორამდე პირდაპირი ხაზით 48 კმ-მდეა. ასე რომ, ვერც ერთი მათგანი შიდა ქართლის „დედაქალაქს" ვერაფერს დაუშავებს. იმ შემთხვევაში, თუკი ამ საარტილერიო დანადგარებს სეპარატისტები ჯავიდან ცხინვალამდე ჩამოიყვანენ, მაშინ მანძილი გორამდე 28 კმ-მდე შემცირდება, მაგრამ ვერც ამ შემთხვევაში მისწვდება „გვოზდიკის" ჭურვი თუ „გრადის" რაკეტა სტალინის მშობლიურ ქალაქს.

ასე რომ, გორელებმა შეიძლება მშვიდად იძინონ, თუმცა ცხინვალის რეგიონში საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში (რაც არა მარტო ქართველებს, არამედ ოსებსაც არ უნდა აძლევდეთ ხელს), მშვიდი ძილისთვის აღარავის ეცლება.

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## საქართველო მზადაა NATO-ს მისაღებად!

ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტისას, საქართველოს დელეგაციის წევრმა, ახალდანიშნულმა თავდაცვის მინისტრმა, ბატონმა გიორგი ბარამიძემ დაადასტურა არა მარტო ის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შენობაში გაიხსნება სამხრეთ კავკასიაში NATO-ს შტაბბინა, არამედ ისიც, რომ საქართველო მზადაა, NATO-ს სამხედრო დანაყოფებს გამოუყოს ტერიტორია განსათავსებლად!

საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების ბედზე კი მორიგი მოლაპარაკებები 21 ივნისს გაიმართება მოსკოვში, ორი ქვეყნის სამხედრო ექსპერტების მონაწილეობით; მაგრამ მთავარ წინსვლას ალბათ უნდა ველოდოთ თვის ბოლოს — ეს საკითხი განიხილება 27-29 ივნისს, სტამბოლში, NATO-ს სამიტზე.

ამასთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მესამე ქვეყანა, სადაც ქართული სამშვიდობო კონტინგენტი გაიგზავნება კოსოვოსა და ერაყის შემდეგ, იქნება ავღანეთი. იქ NATO-ს მიერ დაწყებულ სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობისთვის სამხედრო მედიკოსებთან ერთად, საბრძოლო დანაყოფსაც მიავლენენ.

## რუსული ბომბდამშენი აშშ-ში არ შეუშვეს

წინა ნომერში გაცნობეთ, რომ ცნობილი რუსი მფრინავის, ვალერი ჩკალოვის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, რუსული სტრატეგიული ბომბდამშენი Ту-95МС ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე იმავე მარშრუტით უნდა ჩაფრენილიყო, რომლითაც ჩკალოვი თავის დროზე (1938 წ.) მოსკოვიდან ჩაფრინდა.

ბოლო მომენტში აშშ-ის ხელისუფლებამ რუსული სტრატეგიული ბომბდამშენის ეკიპაჟს აუკრძალა ჩრდილოეთ ამერიკის თავზე გამოჩენა იმის გამო, რომ რუსმა გენერლებმა საიდუმლოების დაცვის მომიზეზებით ამერიკელი შტურმანი არ დაუშვეს რუსული ეკიპაჟის შემადგენლობაში.

თავის მხრივ, არც პენტაგონი აპირებს შეუშვას აშშ-ის საჰაერო სივრცეში ერთ-ერთი მთავარი რუსული სტრატეგიული დამრტყმელი ძალა — ბირთვული რაკეტების მატარებელი Ту-95МС, რომლის „თანამოძმეები" ნახევარ საუკუნეზე მეტია, მზად არიან აშშ-ზე თავდასასხმელად.

## პენტაგონი არმიას ზრდის და მას ფორმას უცვლის

აშშ-ის სენატმა მიიღო გადაწყვეტილება, შეიარაღებული ძალების 20 ათასი კაცით გაზრდის შესახებ. ეს დამატებით 1,7 მლრდ დოლარს მოითხოვს. ამგვარად, ამიერიდან აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში 502 ათასი სამხედრო იქნება.

არმიის გაზრდის პარალელურად, სამხედრო მოსამსახურეებს პენტაგონი ახალ ფორმას უკერავს, რომელიც საგანგებოდ სახმელეთო ჯარებისთვისაა განკუთვნილი. ახალი ფორმა ძველისგან იმით განსხვავდება, რომ მას ღილების მაგიერ ელვა-შესაკრავები ექნება. ჯიბეები ისეა დაკერებული, რომ იქიდან საგნები თავისით არაფრით არ გადმოვარდება.



ამასთან ახალი ფორმა სულ სხვა — ნაცრისფერი, მწვანე და ჩალისფერი ლაქებით იქნება დაფარული, რაც ჯარისკაცების შენიღბვას უკეთესად უზრუნველყოფს როგორც ქალაქის ქუჩებში, ისე ტყესა და უდაბნოშიც კი.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

***ამას წინათ, სოფელში ჩასულს მეზობელ უბანში მცხოვრები ოთხმოცდახუთი წლის ლევან კაპანაძე შემეხმიანა: — შენმა წერილმა „ბორკილები ორდენის მაგივრად“ („კვირის პალიტრა“ 20-26 იანვარი, 2003 წ.), რომელშიც ლადიკო ეზიაშვილის გმირობაზე მოუთხრობდი მკითხველს, კიდევ ერთხელ გამახსენა ფაშიზმთან ბრძოლაში გავლილი ჯოჯოხეთი. ბევრი სხვა ქართველის მსგავსად, მეც ლადიკომ გადამარჩინა და ძალზე ვინანე, რომ აქამდე არაფერი გიამბეთ, — და ბატონი ლევანი ისეთ ისტორიას მოჰყვა, რომ საჭიროდ ჩავთვალე მკითხველისთვისაც გამეზიარებინა მოსმენილი. ამ ამბავს არაფერი აქვს საერთო ვერსიასთან. ეს არის ერთი იმერელი გლეხის ბიჭის ტრაგედია, რომელიც იმ ჯოჯოხეთურმა ომმა დაატეხა თავს.***

# ოთხჯერ მესროლა, მაგრამ ერთიც არ მომხვედრია

## ამდენ მიცვალებულში ერთი ცოცხალი და ისიც ქართველი ვიპოვე

— 1939 წელს გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში და ასტრახანის მეტყვიამფრქვეველთა სასწავლებელი დავამთავრე — ლეიტენანტის ჩინით. მერე ქალაქ ეისკში, ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის ერთ-ერთ დანაყოფში გამანაწილეს. ოლქის სარდალი მაშინ მარშალი კონევი იყო. უკიდურესად მკაცრი რეჟიმის გამო დანაყოფში ისეთი დისციპლინა იყო, რომ თვითონაც წესრიგის მოყვარულს ეს ერთადერთი სასიამოვნო მოგონება გამომყვა იმ წლებიდან. თუმცა, პირადად მე, იმხანად ოცეულის მეთაურს, მკაცრად არავინ დამსჯიდა. არც ყოფილა ამის საჭიროება, მხოლოდ ერთხელ, როცა მწყობრში არყით გალეშილი ჯარისკაცი შევნიშნე, აღარ დავზოგე და კარცერში ვუკარი თავი. კაზანცევი იყო გვარად. როგორ დამავიწყდება?! შენც დაიმახსოვრე. ჩემს მონათხრობში ის კიდევ გამოჩნდება... საუბედუროდ, მალე ომი დაიწყო და ახალგაზრდა ოფიცრების თხუთმეტკაციანი ჯგუფი მოსკოვის სპეცსკოლაში მიგვავლინეს, სადაც გერმანიაში გადასაგზავნად მოგვამზადეს. სცენარი ასეთი იყო: ღამით, ფრონტის ხაზზე, როცა საომარი მოქმედება შეწყდებოდა, თეთრი დროშით უნდა გავქცეულიყავით გერმანელთა ბანაკისაკენ. ჩვენები სროლას აგვიტეხდნენ, მაგრამ „გადავასწრებდით“ და გერმანელებს „ჩავბარდებოდით“. გვარ-სახელები შეგვიცვალეს. მე აბდუშელიშვილი ვარჩიე და ამ გვარით „გადავედი“ გერმანელთა მხარეს. ეს მოხდა 1941 წლის 25 ნოემბერს. ვიცოდით, პურმარილით რომ არ დაგვხვდებოდნენ, მაგრამ არც ის გვეგონა, თუ ასეთ ფილტრში გაგვატარებდნენ. როგორც იქნა, დავასაბუთე, რომ აზნაურისშვილები ვიყავით და ამიტომ ათი წლის წინ გაგვაკულაკეს. მამა ოცდაჩვიდმეტში დაიჭირეს და დახვრიტეს, დედა მის ჯავრს გადაჰყვა, უფროსი ძმები ახლაც ციმბირის საპყრობილეებში სხედან და საკმაოზე მეტი საფუძველი მაქვს, ასეთ სამშობლოს ვუღალატო-მეთქი. ყველა ფრაზა, მიმიკაც კი სასწავლებელში დამამუშავებინეს. მიშველა იმანაც, რომ საშუალო სკოლაში გერმანულს კარგად ვსწავლობდი და თითო-ოროლა სიტყვის თქმა არ მიჭირდა, მაგრამ მაინც არ მენდვნენ — მეც და დანარჩენი თოთხმეტი კაცი გერმანელთა კომენდატურაში ველოდებოდით განაჩენს. ის დღეებია, როცა გერმანელები შეუფერხებლად მიიწევენ აღმოსავლეთისაკენ. საბჭოთა ჯარები ზედიზედ ექცევიან მტრის ალყაში და ტყვედ ბარდებიან. ჩვენი კომენდატურის წინ დღეში ორ-სამჯერ მაინც უნდა ჩაიაროს საბჭოთა ტყვეების კოლონამ. საქმე არაფერი გვაქვს და მათი ცქერით „ვერთობით“. ისეთი გამომეტყველება გვაქვს, თითქოს დიდად გვახალისებდეს გერმანელთა წარმატებები. სამაგიეროდ, მათ ძალზე აოცებთ ჩვენი ხილვა გერმანელთა კომენდატურის ტერიტორიაზე. ამ ყოფაში ვართ და ერთბაშად რამდენიმე გერმანელი მომვარდა, ავტომატის კონდახები დამცხეს, გადამიგრიხეს ხელები, დამადეს ბორკილები და კომენდატურის სარდაფში ჩამაგდეს. ვერ ვხვდები, რა ხდება. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, თითქოს საშიშროებამ გაიარა...

ცოტა ხანში ყველაფერი გაირკვა. შემოიყვანეს ტყვე საბჭოთა ჯარისკაცი და ჩემზე ანიშნეს, ხომ არ შემცდარხარო. მან კი ჩემდა სავალალოდ დაუდასტურა, კომუნისტიაო. ეს სწორედ ის კაზანცევი იყო, რომელიც სიმთვრალისათვის კარცერში ჩავაგდე თითქმის ერთი წლის წინ. ახლა გადამიხადა სამაგიერო — როგორც კი დამინახა თურმე კომენდატურასთან, პატრულს ჩემზე მიუთითა — ეს კაცი ჩემი მეთაური იყოო. არადა, რა კომუნისტი მე ვიყავი, მაგრამ გაგანია ომია, ვინ დაიწყებს მტყუან-მართლის გარჩევას? მანქანის ძარაზე შემაგდეს და რამდენიმე ჩემისთანა გაყიდულ კაცთან ერთად აღმოსავლეთ პოლონეთში, მაიდანეკის საკონცენტრაციო ბანაკში მიკრეს თავი. ვხედავ, ტყვეები მოჰყავთ და მოჰყავთ, ბანაკში კი მაინც სიხალვათეა. რას ვიფიქრებ, თუ აქ ხალხს ხოცავენ, არც სროლის ხმა ისმის და არც ვაი-ვიში. ეგაა მხოლოდ, ჩემგან შორს, ბანაკის ბოლოში, რაღაც დიდი აგრეგატი ისე გუგუნებს, რომ ტყვეებს ერთმანეთისაც არ გვესმის. უკვე შევეგუე იმას, რომ დამხვრეტენ (ხედავთ, რა იოლია ამაზე ლაპარაკი სამოცდასამი წლის შემდეგ?) — აქ კომისრებისა და კომუნისტებისთვის მხოლოდ ეს განაჩენი გამოაქვთ. კი შევეგუე, მაგრამ აქ ასეთი არაფერი ხდება, მხოლოდ ის მაფიქრებს, სად უნდა დამხვრიტონ.

ერთ დილით ბანაკის ჭიშკარში ტანმორჩილმა ეფრეიტორმა შემოაგელვა თეთრი ულაყი. თავი სიზმარში მეგონა — მართალია, მხედარს გერმანული ფორმა აცვია, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს მთლად სიზმარი არ იყო — ეს კაცი ჩემი მეზობელი და მეგობარი ლადიკო ეზიაშვილი აღმოჩნდა. მივხვდი, რომ შემნიშნა და მიცნო. მინდა ვიყვირო, მაგრამ ვიცი, ამით მასაც წავუხდენ საქმეს და აღსასრულსაც მოვიახლოებ. დამაშტერდა და ჩემკენ მათრახის ტარი გამოიშვირა — ეს კაცი (თარჯიმნის მეშვეობით რუსულად ელაპარაკებოდა იმხანად გერმანელებს) ჩემი მტერია და ნება მომეცით, განაჩენი მე აღვასრულოო. უარს რატომ ეტყოდნენ? მაშინვე წინ გამიგდო ლადიკომ. სანამ ბანაკის ტერიტორიიდან გავიდოდით, ორჯერ ისე გადამიჭირა მათრახი, ლამის ჩავიკეცე. ხევის მხარეს, ძეძვნარში წამიყვანა. ისედაც ხომ სიტყვაძუნწი იყო, ახლა სულ არ იღებს ხმას. მორჩა, ალბათ არ მაცოცხლებს-მეთქი, დავასკვენი გუნებაში. ისეთი დრო დადგა, კაცმა შეიძლება სულიც გაყიდა და სინდისიც... ამ ფიქრში რომ ვიყავი, ხევის პირას მისკენ ზურგით დამაყენა და მივხვდი, იარაღი რომ დამიმიზნა. ზედიზედ ოთხჯერ ისროლა, მაგრამ არც ერთი ტყვია არ მომხვედრია. ვდგავარ და თვალებდაჭყეტილი ხევს ჩავყურებ. უეცრად სიჩუმე ლადიკომ დაარღვია, ცივად გამოცრა — უკან არ მოიხედო, მაგ ძეძვნარში შეიმალე და დაღამებულზე ჩრდილოეთით წადიო. ამის თქმა იყო და იქაურობას გაერიდა.

იმ ძეძვნარში ვზივარ, დაღამებას ველოდები და თან ცნობისმოყვარეობა მკლავს — მინდა გავიგო, სად მიჰყავთ ყოველდღე მაიდანეკიდან ასობით ტყვე. ბანაკის რომელი ჭიშკრიდან გაჰყავთ ეს ხალხი. ერთის გარდა, იქ სხვა ჭიშკარი არ მინახავს. იმ ღამით ძეძვნარში დავრჩი. ის გუგუნა აგრეგატი ბანაკში კარგა ხნის გამორთული იყო, დღეში მხოლოდ სამი-ოთხი საათის განმავლობაში ამუშავებდნენ. გამთენიისას ხევის გაყოლებაზე რამდენიმე ახალი, ვეებერთელა მიწაყრილი შევნიშნე. ბულდოზერის ნამუშევარი იყო. თუმცა ბულდოზერი არ დამინახავს. ხევის ნაპირს გავყევი და ახალგაჭრილი განიერი არხი აღმოვაჩინე — დალოცვილებმა აქ გაჭრეს, იქ ამოავსეს, მაგრამ მილებსაც რომ არ უჩანს თავი? ოცი წლის სოფლელი ბიჭი რას ვიფიქრებ, რომ ეს წყალსადენის არხი არაა. კიდევ უფრო ქვემოთ, ჰაერში გადმოკიდებული ელევატორი დავინახე. ცოტა ხანში ის აგრეგატი ჩაირთო და ელევატორიც დატრიალდა. ჩემი სამალავიდან ბანაკის ღობე არ მოჩანდა, მაგრამ ვხვდებოდი, რომ ელევატორი სწორედ იმ ეზოდან იწყებოდა. ალბათ მიწას იქ თხრიან და აქეთ ყრიან-მეთქი, ვიფიქრე და უცებ ელევატორმა ადამიანის გვამი გადმოისროლა არხში, შემდეგ მეორე, მესამე, მეათე, მეასე. ღმერთო, რა უბედურებაა ეს, რამ დახოცა ეს ხალხი, არც სისხლის კვალი ეტყობათ, არც ნაჭრილობევი... უეცრად გონება გამინათდა, ყველაფერს მივხვდი — ამ ეშმაკის მანქანით წყვეტდნენ ადამიანებს. ამ ადგილს უნდა გავცლოდი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ხუთასი ან უფრო მეტი გვამი გადმოყარა ელევატორმა. როგორი სანახავი იქნებოდა, მაგრამ მონუსხულივით თვალს ვერ ვაშორებ. უცებ ერთი გვამი შეირხა, ნელ-ნელა გადაბრუნდა, მერე გვამების გროვაზე დაგორდა. მერე იქაურობა დაზვერა და ფორთხვით გამოაღწია ძეძვნარამდე. შიშისგან ენა მუცელში ჩამივარდა. მერე ძალა მოვიკრიბე და რუსულად გავძახე: — ბიჭო, ცოცხალი ხარ-მეთქი. „გვამმა“ ქართულად შეიგინა: — ამის დედაც, ეტყობა, სიკვდილი მაინც არ ამცდებაო და ტყვიის მოლოდინში ჩაიმუხლა. ქართული რომ გავიგონე, სულ გადავირიე. ახლოს მივედი და გახარებულმა იმით, რომ ამდენ მიცვალებულში ერთი ცოცხალი, თანაც ქართველი ვიპოვე, ვუთხარი: — ბიჭო, ქართველი ყოფილხარ, ნუ გეშინია, მეც შენს დღეში ვარ. მითხარი, სადაური ხარ-მეთქი. როგორც იქნა, საწყალმა სული მოითქვა და მითხრა: ჭიათურელი ექიმი იოაკიმე კაპანაძე ვარ. ვიცოდი, რაც გადამარჩენდა გაზით მოგუდვას. პერანგს სახელო მოვაგლიჯე, შარდით დავასველე, სახეზე ავიფარე და ასე გამოვაღწიეო. ამ ლაპარაკში ვართ და უცებ იარაღის ჩხარუნი მოგვესმა. მიმოვიხედეთ და რას ვხედავთ — ალყაში ვართ, მაგრამ არც ერთი ვყოფილვართ განწირული და არც — მეორე. მოალყეები პოლონელი პარტიზანები აღმოჩდნენ. ვთხოვე, ეს კაცი ჩაიბარეთ, იქნებ როგორმე სამშვიდობოს გაიყვანოთ, მე კი ჩემი გზა მაქვს-მეთქი. იოაკიმე კაპანაძე რომ სამშვიდობოს დავიგულე, მე წვალებ-წვალებით საარბრიუკენში ჩავაღწიე. ხელმძღვანელობისგან მოცემული ინსტრუქციის თანახმად, ყოველ დილას, თერთმეტიდან თორმეტის ნახევრამდე, ქალაქის რკინიგზის სადგურის ბაქანზე უნდა შევხვედროდი მეკავშირეს, როგორც გვითხრეს, გამორჩეული გარეგნობის მქონე მამაკაცს. პაროლი იყო ფრაზა — „აი, მეც აქა ვარ“. უკვე თვეზე მეტია გასული ჩემი ტყვედ „ჩაბარების“ შემდეგ. ვშიშობ, ვაითუ არ დამხვდეს, ან ვერ ვიცნო, გამორჩეული გარეგნობის იქნებ რამდენიმე კაცი იყოს სადგურზე. თუმცა იქაურობა მოვათვალიერე თუ არა, მაშინვე ვიცანი — მაღალი, მხარბეჭიანი, ლამაზი ვაჟკაცი იყო. პაროლის გაგონებაზე გახარებულმა მიჩურჩულა: — შორიახლო გამომყევიო და წინ გამიძღვა. თურმე იმ თხუთმეტი კაციდან, აქამდე მხოლოდ ჩვენი ჯგუფის უფროსს, ოდესელ ვლადიმირ შამარდინს მოუღწევია. დანარჩენი ცამეტის ამბავი დღესაც არ ვიცი. იმ კაცმა კი საბჭოთა ტყვეთა ბანაკში მიმიყვანა თავის ხელმძღვანელობასთან, როგორც რუსებს გამოქცეული, ისე წარმადგინა და ბანაკის გარეთ გადაადგილების უფლებაც მომცეს. სარკინიგზო დეპოშიც მომაწყო მუშად, იქვე შემახვედრა შამარდინსაც. ოღონდ, ის სხვა უბანზე მუშაობდა. დავალება მივიღე — იმ დღეებში საარბრიუკენის სარკინიგზო ჩიხში ჩამოდგებოდა უკრაინელი ტყვეებით დატვირთული ეშელონი, საიდანაც ერთი ახალგაზრდა ქალი გადმოვიდოდა და სადგურის მიმართულებით წავიდოდა. მას უნდა გადავდგომოდი წინ და სხვა მუშების დასანახად გამეთამაშებინა სცენა, თითქოს ქალი ჩემი ნათესავი იყო. მერე მე და იმ ქალს ერთად უნდა გვემუშავა. მართლაც ჩამოდგა ტყვე ქალთა ეშელონი. აი, ახალგაზრდა ქალი გადმოვიდა და ჩვენკენ წამოვიდა. ზედამხედველ გერმანელს ვთხოვე, ეს ჩემი ნათესავია და ნება მომეცი, შევხვდე-მეთქი. არ დაუშლია. ერთმანეთს გადავეხვიეთ და თვალცრემლიანმა მოვიკითხე „მშობლები“. ლიდას უნდა მოეწოდებინა ინფორმაცია, რომელსაც მე შამარდინს გადავცემდი. გარდა ამისა, ყოველდღე უნდა მეცნობებინა, რამდენი ეშელონი გავიდოდა აღმოსავლეთის მიმართულებით. ეს იყო და ეს. მეტი არაფერი მევალებოდა, მაგრამ ვერ წარმოიდგენ, რა ძნელი იყო ამის გაკეთება. აბა, წარმოიდგინე, გერმანელების გარემოცვაში ყოველდღე ერთსა და იმავე კაცთან შეხვედრა და მასთან გამოლაპარაკება. ასე ვცხოვრობდით მანამ, ვიდრე 1944 წლის 20 ივლისს ჰიტლერზე თავდასხმა მოხდებოდა. ამის შემდეგ ქვეყანაში რეჟიმი გამკაცრდა, მაგრამ ასეთ პირობებშიც კი ჩვენმა ხელმძღვანელობამ მოახერხა და მე და ლიდა სხვა, პატარა ბანაკში გადაგვიყვანეს. აქ ოჯახებიანად ცხოვრობდნენ საბჭოთა ტყვეები, უმეტესად უკრაინელები. მე და ლიდა იქ უკვე შეუღლებულ წყვილად წარვდექით და ამით თითქოს ძველი კვალიც წავშალეთ, მაგრამ გაშიფვრის შიში მაინც არ მასვენებდა — ერთი რუსი, რომელიც ძველ ბანაკში სულ თან დამდევდა, აქაც გადმომყვა და ახლაც ჩვენი ოთახის თხელი ტიხრის იქით დაბინავდა. ერთ დღეს ბანაკში სამი გერმანელი ოფიცერი შემოვიდა, გამოგვიცხადეს: — ვიცით, რომ გშიათ, გწყურიათ და გცივათ. ეს იმიტომ, რომ გერმანიას ცოტა გაუჭირდა, მაგრამ სულ ახლოსაა ის დღე, როცა გადამწყვეტ შეტევაზე გადავალთ და გამარჯვება რომ მოვიპოვოთ, თქვენც ჩვენთან ერთად უნდა იბრძოლოთო. ეს ის დროა, როცა რუსები შიგადაშიგ უკვე ბერლინს ბომბავენ. ფიურერი ბავშვებს იწვევს არმიაში. ოფიცრებმა შემოგვთავაზეს, — ვინც ამ წინადადებას დათანხმდება, გაძლიერებულ კვებაზე გადავიყვანთო და ბევრი ჩვენიანი ჩაეწერა მოხალისედ. ვერაფერს ვიტყვი, შიმშილი ძნელი ასატანი ყოფილა. ჩემმა მეზობელმა, აი, იმან, დღედაღამ რომ დამდევდა, გვარად შევჩენკომ, მირჩია: — მოდი, ჩვენც ჩავეწეროთ, თორემ შიმშილით დავწყდებითო. როგორ არ მიტრიალა, მაგრამ ვერ დამითანხმა. გამოვუცხადე, — ომი რომ მნდომოდა, აქამდეც ვიომებდი ან აქეთ, ან იქითა მხარეს. ეს რომ არ მინდოდა, ჩემი ნებით იმიტომ მოვედი აქ. მშვიდობიანი შიმშილი მირჩევნია ტყვიების წვიმაში მაძღრად ყოფნას-მეთქი. ამასობაში, მე და ლიდას გოგონა შეგვეძინა და ამან ცოტა გვიშველა — ბავშვს იმდენ ულუფას აძლევდნენ, რომ ჩვენც ვიბრუნებდით სულს. თუმცა, მოგვიანებით ისევ გაგვიჭირდა. მეორე ფრონტი გაიხსნა და ამერიკელები გამუდმებით ბომბავდნენ გერმანულ ტერიტორიებს. როგორც კი საჰაერო თავდასხმა დაიწყებოდა, გვირაბებში ვემალებოდით მაღლა ამერიკულ ავიაციას, ძირს კი ესესელთა ტყვიას. ნესტიან გვირაბებში გატარებულმა ღამეებმა ჩვენი გოგონა მძიმედ დაასნეულა. როგორც იქნა, ამერიკელებმა გერმანელები განდევნეს. რომ მეგონა, გვეშველა-მეთქი, გერმანელებმა დიდიან-პატარიანად ერთ დიდ უზარმაზარ ბანაკში შეგვყარეს და მართალია, საჭმელს გვაძლევდნენ, მაგრამ საშინელი განუკითხაობა იყო — ტყვეები ქურდობდნენ, ყაჩაღობდნენ, ერთმანეთს კლავდნენ. დაცვა მხოლოდ ბანაკის შემოსასვლელში იდგა. ტყვეები ღობეზე გადავიდოდნენ, სადღაც ტექნიკურ სპირტს მიაგნებდნენ, გამოთვრებოდნენ და ვინ იცის, რას აღარ სჩადიოდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბანაკის შიგნით თავის დასაცავად დროებითი პოლიცია ჩამოვაყალიბეთ, რომელშიც მეც ვიყავი.

ამერიკელების შემოსვლის შემდეგ „მეზობელი“ შევჩენკო სადღაც გადაიკარგა.

ერთ დღეს ბანაკში ხმა დაირხა, ფრანგებს ჩვენი შეჭირვებული მდგომარეობა გაუგიათ და დღეს ჩვენთან საფრანგეთის სამხედრო ატაშე მოდისო. მე, როგორც აქაური წესრიგის დამცველი, ბანაკის შემოსასვლელში შევეგებე სტუმრებს, მაგრამ რას ვხედავ, საბჭოთა პოდპოლკოვნიკის ფორმით ჩემკენ შევჩენკო მოაბიჯებს. მანამდე რომ პირში არც ერთი კბილი არ ჰქონდა, ახლა ოქროს კბილები ჩაუდგამს და შორიდანვე მიღიმის. თავი ვერ შევიკავე და შევძახე, შევჩენკო, ეს შენ ხარ-მეთქი.

გადამეხვია და მითხრა: მე ისეთივე შევჩენკო ვარ, როგორიც შენ — აბდუშელიშვილი. გამოგცადე, კაპანაძე, როცა გერმანელების მხარდამხარ ბრძოლას გთავაზობდი. ყოჩაღ, ვაჟკაცი ყოფილხარ. სამშობლო არ დაივიწყებს თავის გმირებსო.

მალე ჩვენი ბანაკი აღმოსავლეთ გერმანიაში, ელბას აქეთ გამოისტუმრეს. ეშელონი მე ჩამაბარეს და როცა ბოლო პუნქტში, ტორგაუში გავჩერდით, ეშელონი საჩხერის რაიკომის ყოფილმა ინსტრუქტორმა, იმჟამად კი ტორგაუს კომენდანტმა შალიკო ცუცქირიძემ ჩაიბარა ჩემგან.

ომი უკვე დამთავრებული იყო და მე და ლიდამ ავადმყოფი ბავშვით უკრაინაში, დედამისთან გამოვიარეთ. საცოდავი ნანგრევებში ცხოვრობდა. ისიც თან წამოვიყვანე, მაგრამ გზაში მომიკვდა და მოსკოვში დავასაფლავე. აქ ჩამოსულს კი ავადმყოფი ბავშვიც დამეღუპა. ლიდა კი ამ ოცდაათი წლის წინ გარდაიცვალა, მაგრამ მანამდე ორი ვაჟი მაჩუქა. ერთი ახლა უკრაინაში ცხოვრობს, მეორე აქ არის.

***ვაჟა გავაშელი***



ლევან კაპანაძე, გერმანია, 1942 წ.

**წარმოიდგინეთ, რა ძნელი იყო ლევან კაპანაძისთვის გერმანელების გარემოცვაში ერთსა და იმავე კაცთან შეხვედრა და მასთან გამოლაპარაკება. მას ყოველდღე უნდა ეცნობებინა ხელმძღვანელობისთვის რამდენი ეშელონი გავიდოდა აღმოსავლეთის მიმართულებით...**

**მართალია, მხედარს გერმანული ფორმა აცვია, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს მთლად სიზმარი არ იყო — ეს კაცი ჩემი მეზობელი და მეგობარი ლადიკო ეზიაშვილი აღმოჩნდა. მივხვდი, რომ შემნიშნა და მიცნო. მინდა ვიყვირო, მაგრამ ვიცი, ამით მასაც წავუხდენ საქმეს და აღსასრულსაც მოვიახლოებ. დამაშტერდა და ჩემკენ მათრახის ტარი გამოიშვირა — ეს კაცი (თარჯიმნის მეშვეობით რუსულად ელაპარაკებოდა იმხანად გერმანელებს) ჩემი მტერია და ნება მომეცით, განაჩენი მე აღვასრულოო.**

# გაქცევა ქუთაისურად

## პატიმრებისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია



გასულ კვირას გეგუთის ციხიდან ერთბაშად 41 პატიმარი გაიქცა. სამწუხაროდ, გაქცევის აქტი მსხვერპლით დასრულდა — მოკლულია ციხის კონტროლიორი. პატიმრებმა ორი ავტომატის წაღებაც მოახერხეს.

ბოლო პერიოდში ჯგუფური გაქცევა უკვე მეორედ მოხდა. იანვარში რუსთავის კოლონიიდან ასევე ორმოცამდე პატიმარი გაიქცა. მართალია, მაშინ ბევრი დაიჭირეს, ბევრიც თავისი ფეხით დაბრუნდა კოლონიაში, მაგრამ რამდენიმე პატიმარი დღემდე იძებნება. ეტყობა, ამ გაქცევის შემდეგ სამართალდამცველებმა სათანადო დასკვნები ვერ გააკეთეს, რაზეც გეგუთის ციხიდან პატიმართა გაქცევის ფაქტიც მეტყველებს.

ჯგუფური გაქცევიდან რამდენიმე საათში ძალოვან უწყებათა ხელმძღვანელები ქუთაისში იყვნენ. შს ახალმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა გაქცეულებს ორი დღის ვადა მისცა ციხეში ნებით დასაბრუნებლად. ასეთ შემთხვევაში მათზე სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრებოდა. როგორც ჩანს, ეს წინადადება მხოლოდ ზოგიერთი პატიმრისთვის აღმოჩნდა მისაღები — ნებით ციხეს მხოლოდ სამი კაცი დაუბრუნდა. იმერეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის, ავთანდილ ბესელიას თქმით, დაბრუნებულებზე სამართლებრივი დევნა არ განხორციელდება. დღეისთვის გაქცეული 41 პატიმრიდან 13 პატიმარი არის დაკავებული, რომელთაც რვიდან თხუთმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთა მოელით.

ოპერატიული თვალსაზრისით, სამართალდამცველები გაქცევის ორგანიზატორთა ვინაობას, ე. წ. კრიმინალურ ავტორიტეტებს არ ასახელებენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ისინი აფხაზეთის ტერიტორიაზე გეგმავდნენ გადასვლას. სამართალდამცველები შიშობენ, რომ გაქცეულთა უმრავლესობამ მოახერხა ჩანაფიქრის განხორციელება. ასეთ შემთხვევაში მათი დაკავება, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება.

არადა, ფაქტია, რომ ავტომატებით შეიარაღებული დამნაშავეების თავისუფლად თარეში საზოგადოებას დიდ საფრთხეს უქადის. იუსტიციის მინისტრ გიორგი პაპუაშვილის ბრძანებით, სასწრაფოდ შეიცვალა ციხის ხელმძღვანელობა და გამორიცხული არ არის, რამდენიმე მათგანს პროკურატურამ სერიოზული ბრალდებაც წაუყენოს. მაგრამ კომპეტენტურ წრეებში ფიქრობენ, რომ საკადრო წმენდის გარდა, პენიტენციარულ სისტემაში კიდევ ბევრი რამ არის შესაცვლელი.

**გოჩა მაისურაძე**, პენიტენციარული სისტემის ექსპერტი: — არ მინდა მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ მართლაც სახეზეა დანაშაულებრივი გულგრილობა. პატიმრებს დაბრკოლება არ შეჰქმნიათ, მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ეს გარემოება აუცილებლად უნდა გახდეს განსჯის საგანი. გამორიცხული არ არის, ქუთაისელ პატიმრებს სხვა კოლონიიდანაც მიჰბაძონ.

**— მაინც რა არის გასაკეთებელი?**

— უპირველესად, საჭიროა კვალიფიციური კადრების შერჩევა. ციხის კონტროლიორი, რომელიც ერთი შეხედვით ყველაზე უმნიშვნელო მუშაკია, სპეციალურ სწავლებას სისტემატურად უნდა გადიოდეს, ისევე, როგორც პენიტენციარული სისტემის ყველა თანამშრომელი. დღეს ციხეებში მომუშავეთა 60%-ს არაკვალიფიციური განათლება აქვს. მოსაგვარებელია ხელფასების საკითხიც. კონტროლიორი არ უნდა ცდილობდეს ფულის შოვნას პატიმრისთვის არყის ან ნარკოტიკის შეტანით.

**— პოლიციაში მიაჩნიათ, რომ პატიმართა გაქცევები მას შემდეგ გახშირდა, რაც ციხეები შსს-ს აღარ ექვემდებარება.**

— ამ მოსაზრებაში სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის. იუსტიციის სამინისტროსთვის ციხეების გადაცემით ათწლეულების მანძილზე შექმნილი მთელი სისტემა დაიშალა. რამდენად უსიამოვნოც უნდა იყოს ამაზე ლაპარაკი, მერწმუნეთ, „ნასედკების“ ინსტიტუტი თავის საქმეს აკეთებდა — ციხის ხელმძღვანელობისთვის თითქმის ყოველთვის ცნობილი იყო პატიმართა განზრახვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, პატიმრები დიდი ხნის მანძილზე გეგმავდნენ გაქცევას. როცა საიდუმლო სულ ცოტა ორმოცდაერთმა კაცმა იცის, ინფორმაციის მოპოვება ძნელი არ არის. მაგრამ ეტყობა, დაინტერესებულიც არავინ ყოფილა მისი მოპოვებით. ამიტომ მიმაჩნია, რომ გაქცევების თავიდან ასაცილებლად ოპერატიული მუშაობა ათმაგად უნდა გაძლიერდეს.

***დავით დევდარიანი***


კავკასიის აკადემიური ცენტრი
CAC (სი ეი სი)




# იქნებ ჩვენს მდინარეებშიც ჩაიყაროს ხურდა ფული

*(დასაწყისი იხ. გვ. 6)*

**— დღეს რა კეთდება ტურიზმის სარეაბილიტაციოდ და თუ დაუთვლია ვინმეს, მაინც რა თანხებია საჭირო?**

— გამოთვლა სჭირდება. ჯერ კონკრეტული მოქმედების გეგმა გვაქვს დასამუშავებელი(?!). როგორც ვხედავთ, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეც აღიარებს დარგში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას. საბა კიკნაძე მიიჩნევს, რომ ტურიზმის განვითარების გეგმა უახლოეს მომავალში მზად იქნება. დღეს კი ფაქტია, რომ იგი არ არსებობს; ანუ არც საქართველო არსებობს როგორც ტურისტული ქვეყანა.

სტატისტიკოსების თქმით, ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად მხოლოდ 10 ათასამდე ტურისტი შემოდის. ეს უმნიშვნელო მაჩვენებელია, რაც ყოველივე ზემოთ თქმულით არის განპირობებული.

**გია თომაძე,** დამოუკიდებელი ექსპერტი ტურიზმის დარგში: — საქართველოში ასზე მეტი ტურისტული და ორასამდე საკურორტო ადგილია. ასეთი პატარა ქვეყნისთვის ეს ღვთის საჩუქარია, მაგრამ რად გინდა, კურორტების უმრავლესობა აღარ არსებობს. მაგალითად, მენჯი, საირმე და წყალტუბო თითქმის განადგურებულია. უცხოელი ტურისტები კი არა, იქ მეზობელი რაიონებიდანაც აღარ მიდიან დასასვენებლად.

**— რა არის ამის მიზეზი?**

— კურორტებზე აშენებული ტურბაზები და სასტუმროები ლტოლვილებმა დაიკავეს. ხალხი უსახლკაროდ დარჩა და სადაც ხელი მიუწვდათ, იქ შესახლდნენ. სახელმწიფოს რაღაც სხვა საშუალება უნდა გამოენახა და კურორტები გადაერჩინა. ახლა ფასებს აღარ იკითხავთ? თუ ვინმე შეცდა და დასასვენებლად მაინც ეწვია ჩვენს კურორტებს, გაატყავებენ. ანტალიაში ან ოქროს ქვიშებზე ბევრად იაფად დაისვენებს კაცი.

**— მითხრეს, რომ სიძვირის მიზეზი დღემდე არსებული საგადასახადო სისტემაა.**

— რა თქმა უნდა, მაგრამ უფრო სამწუხაროა ის, რომ ქართველებმა კიდევ ვერ გავიგეთ, რა არის ბიზნესი. მაგალითს მოგიყვანთ: ვთქვათ, რომელიმე კურორტზე ისვენებთ და საღამოს რომელიმე ქართული ლუდის დალევა მოინდომეთ — ერთი ბოთლი ლუდი ლარ-ნახევრიდან ორ ლარამდე ღირს. თბილისის ძვირად ღირებულ რესტორნებშიც კი არ არის ლუდი ამ ფასად. ადამიანის ფსიქოლოგიაა: თითქოს არაფერია, მაგრამ შეურაცხყოფის გრძნობა გიჩნდებათ. ასეთ ადგილზე ლუდს აღარასოდეს იყიდით — მეტიც, იქ მეორედ აღარასოდეს დაბრუნდებით. აღარაფერს ვიტყვი მომსახურებაზე. მაგალითად, ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო საქართველოში ორმოცი დოლარით ძვირია, ვიდრე იმავე ტიპის სასტუმრო ეგვიპტეში. ეს მაშინ, როცა ეგვიპტის სასტუმროში კვება უფასოა, ჩვენთან კი საკვებს სამმაგი ფასი ადევს(?!).

გადასახადებს საქართველოში დღემდე არავინ იხდიდა და მომსახურების დაბალი დონის ამით ახსნა სწორი არ იქნება. კარგი იქნება, თუ ქართველები ვისწავლით, რომ რამდენიმე ერთლარიანის ერთხელ სწრაფად მოგებას, ბევრი ოცთეთრიანის სტაბილურად მოგება სჯობს. ამით გაცილებით მეტი შემოსავალი იქნება და ტურისტებიც აღარ ამოიკვეთენ ფეხს ჩვენი კურორტებიდან.

**— თუკი ქვეყანაში მდგომარეობა გამოსწორდება, ალბათ კარგი პერსპექტივა ექნება სამონადირეო ტურიზმის განვითარებასაც. ჩემი დაკვირვებით, ტურიზმის ეს სახეობა სულ უფრო მეტ ადამიანს იზიდავს საზღვარგარეთ.**

— ჩვენ შეგვიძლია შვიდი მიმართულებით განვავითაროთ ტურიზმი — ეს არის სათავგადასავლო მოგზაურობა, რელიგიური ტურიზმი, კულტურის ღირსშესანიშნაობათა მონახულება, სპექტურები (მოთხოვნით) ისტორიის, არქეოლოგიის, გეოლოგიისა და მეღვინეობის ტრადიციების გათვალისწინებით. ზამთრის სახეობების ტურიზმი — ალპური სათხილამურო სპორტი, სნოუბორდი. სამდინარო რაფტინგი, სამთო ველოსპორტი და მეშვიდე — ნადირობა და თევზაობა. ამ დარგების კომპლექსური განვითარებით საქართველო დიდ შემოსავლებს მიიღებს.

**— რას ნიშნავს რელიგიური ტურიზმი?**

— ტურიზმის ეს ფორმა ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი სახეობაა. ქრისტიანი ტურისტები, ძირითადად, მოგზაურობენ ისრაელში, მუსლიმანები — მექასა და მედინაში, ბუდისტები — ინდოეთში. ტურიზმის ეს სახე მომლოცველობას უკავშირდება და თუკი ჩვენ სათანადო პირობებს შევქმნით, ჩვენი უძველესი სალოცავების მოსალოცად ათასობით მორწმუნე ჩამოვა.

სამონადირეო ტურიზმში კი შედის, როგორც ცხოველ-ფრინველებზე ნადირობა, ასევე თევზაობაც. ამ სფეროშიც კატასტროფული მდგომარეობაა. შარშან იაპონელი ტურისტების ოთხკაციანმა ჯგუფმა კალმახზე თევზაობა ისურვა. თიანეთის რაიონში წავიყვანეთ. ივრის ხეობის დასაწყისში ბევრი პატარა კალმახიანი მდინარე ჩამოდის. სამი დღე დავყავით მთებში და სამი კალმახიც ვერ დავიჭირეთ. იქაურებმა რომ დაინახეს ანკესებით შეიარაღებული იაპონელები, სიცილი დააყარეს. გვითხრეს, აქ დენის აპარატით ისე გაანადგურეს ყველაფერი, კალმახს კი არა, ბაყაყსაც ვერსად ნახავთო. გულდაწყვეტილები წავიდნენ იაპონელები. ალბათ, აღარასოდეს ჩამოვლენ საქართველოში და თავიანთ მეგობრებსაც ურჩევენ, არ ჩამოვიდნენ. მსგავსი სიტუაციაა თითქმის ყველა ნაკრძალსა თუ საკურორტო ზონაში.

ერთი სიტყვით, ტურიზმის ასაყვავებლად ბევრი რამ არის გასაკეთებელი. იქნება ეს ეკოლოგიური მდგომარეობის თუ კრიმინალური სიტუაციის გამოსწორება. რა მოგების მოტანა შეუძლია ამ ბიზნესს, ერთი მაგალითითაც დარწმუნდებით: მეოცე საუკუნის დამდეგს, რევოლუციამდე საქართველოში ინგლისელი პრინცი ალბერტი ჯიხვებზე სანადიროდ ჩამოვიდა. მაშინდელმა ხელისუფლებამ ოცდაათკაციანი მონადირეთა ჯგუფი გამოუყო. პრინცმა კარგად ინადირა და ინგლისში კმაყოფილი წავიდა. რაც ყველაზე საინტერესოა: პრინცმა საქართველოში 60 ათასი მანეთი დატოვა. ეს მაშინ ძალზე დიდი თანხა იყო... დღევანდელი კურსით 200 ათას დოლარამდე. გულუხვმა პრინცმა საკუთარი სიამოვნების გარდა, ქველმოქმედებისთვისაც სერიოზული თანხები გაიღო და ადგილობრივი მცხოვრებლები კარგად დაასაჩუქრა. ფული ჩაურიცხა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც.

დღეს წითელ წიგნში შეტანილ ცხოველებზე ნადირობა, მართალია, აკრძალულია, მაგრამ თუკი სამონადირეო სავარგულებში ხელოვნურად მოვაშენებთ ხოხბებს ან ღორებს, მერწმუნეთ, ნადირობის მსურველი ბევრი იქნება. ეს, ცხადია, ქვეყანასაც წაადგება და ხალხსაც.

**— როგორ ფიქრობთ, რა დროა საჭირო ტურიზმის ასაყვავებლად?**

— ყველაფერი ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. სახელმწიფო უნდა მიხვდეს, რომ ტურიზმი არის დიდი შემოსავლების წყარო. არავის არაფერი გააქვს აქედან — პირიქით, შემოაქვთ. ქართველები ზღვაზე დასასვენებლად თურქეთში გარბიან მაშინ, როცა თვითონ საზღვაო ქვეყანა ვართ. უცხოელ ტურისტებს როგორ მოვიზიდავთ, თუკი ჩვენებიც არ ისვენებენ ჩვენსავე კურორტებზე.

P.S. ასეთია საქართველოში ტურიზმის განვითარების ზოგადი სურათი. „კვირის პალიტრა“ ამ პრიორიტეტულ საკითხს კვლავ გააშუქებს. გვინდა, უახლოეს მომავალში მდგომარეობა გამოსწორდეს და საქართველო ერთ-ერთ ყველაზე სასურველ ტურისტულ ქვეყნად იქცეს. აღდგება ერთი ლამაზი ტურისტული ტრადიციაც: როცა უცხოელები ქვეყანას ტოვებენ, მდინარეში, ზურგს უკან, ხურდა ფულს ყრიან. ეს იმის ნიშანია, რომ აქ ჩამოსვლა კიდევ უნდათ. იქნებ ჩვენს მდინარეებსა და წყაროებშიც ჩაიყაროს ხურდა ფული და უცხოელები იმ იმედით წავიდნენ, რომ საქართველოში ოდესმე კიდევ დაბრუნდებიან.

***დავით დევიძე***


თავი დააღწიოთ ყელის ტკივილს იოქსი



# „ჩუეულებისაებრ მამულისა სვლა“

გაზეთ „ხვალინდელი დღის“ 2004 წლის 29 აპრილის ნომერში დაიბეჭდა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის, ბატონ კახა ლომაიას ინტერვიუ საგულისხმო სათაურით — „განათლების სისტემა ტოტალური ცვლილებების მოლოდინშია“. აქაოდა, „ქვეყნის ცხოვრებაში ფუნდამენტური ცვლილებებია შესატანიო“, მან ეროვნული კულტურის ფუნდამენტს — ქართულ ლიტერატურას, გამორჩევით ძველს — ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობას — შეუტია. მინისტრი აცხადებს: „ჰაგიოგრაფია სძულთ მოსწავლეებს, იმიტომ, რომ ვერაფერს იგებენ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ წიგნის დახურვისთანავე ივიწყებენ. ეს არის მკვდარი ტექსტი, რომელიც დღევანდელ ცხოვრებაში გაჩენილ კითხვებზე პასუხს ვერ სცემს. მერე რა, რომ ის ჩვენი ისტორიაა, ისტორიაში იმდენი ნაგავია, სად გადავყაროთ, არ ვიცით“.

ჩვენი ხალხი, სამწუხაროდ, კი მოსწრებია ქართველი კაცის ნიჰილისტურ დამოკიდებულებას მშობლიური კულტურისადმი, მაგრამ ეროვნულ წმინდანებად შერაცხილთა ცხოვრებათა ტექსტების „მკვდრად“ და „ნაგავად“ გამოცხადებას — არა.

მკვდარი ის ტექსტია, რომელშიც საგულისხმო და ამამაღლებელი არაფერია, რომლის გმირები არც თანამედროვეთ, არც მომავალ თაობებს სიბრძნეს არ აზიარებენ და სულს არ უფაქიზებენ, არ ამხნევებენ ადამიანობის გზაზე. ნუთუ ასეთებად ესახება ვინმეს წმინდა ნინო, წმინდა შუშანიკი, წმინდა აბო თბილელი, წმინდა გრიგოლ ხანძთელი, წმინდა ექვთიმე და გიორგი ათონელები... ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის გმირები?!

არა და არ უხერხდება ამ ეპითეტს — „მკვდარი“ — შეკეთება, რასაც საზოგადოების რეაქციით ცოტა შეცბუნებული მინისტრი და მისი თანამოაზრენი დღეს ცდილობენ: იგულისხმება, რომ დღევანდელი მკითხველისთვისაა მკვდარიო. რომ არც ისტორიულ წარსულში არ ჭვრეტს რაიმე ღირებულების მქონედ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს ბატონი მინისტრი, ეს ცხადზე უცხადესია მომდევნო ფრაზაში: „მერე რა, რომ ის ჩვენი ისტორიაა, ისტორიაში იმდენი ნაგავია, სად გადავყაროთ, არ ვიცით“. რა არის ამ ცოდვიან სტრიქონებში ამოსაცნობი, გარდა იმ დამოკიდებულებისა, რაც ბატონ კახა ლომაიას აქვს ქრისტიანობისადმი, ეროვნული კულტურისადმი და რასაც იგი მოსწავლე ახალგაზრდობას მიაწერს: „ჰაგიოგრაფია სძულთ მოსწავლეებსო“. არ გამოდის შავის გათეთრება.

ასე რომ, ბატონი კახა ლომაია მკრეხელობს, შეურაცხყოფს საქართველოს წმინდანთა დასს, ქართულ ეკლესიას, ჩვენს წარსულსა და აწმყოს, ერთიანად — ჩვენს ქვეყანას.

ქართული ჰაგიოგრაფია თურმე „დღევანდელ ცხოვრებაში გაჩენილ კითხვებზე პასუხს ვერ სცემს“ და ამიტომაცაა „მკვდარი“.

ჰაგიოგრაფია, ვითარცა მხატვრული ლიტერატურა, ვითარცა წმინდა წერილზე აღმოცენებული მსოფლშეგრძნება, პასუხს იძლევა სამარადჟამო და ზოგადსაკაცობრიო კითხვებზე, იმასაც ბრძნულად გვასწავლის, როგორ შევაზავოთ ყოფითი და წარმავალი წარუვალთან, მიწიერი როგორ დავუახლოოთ ზეციურს.

ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები რწმენასთან ორგანულად შენივთებულ გრძნობას სამშობლოს სიყვარულისა თესავს მკითხველში. საქართველოს დამხობა-შთანთქმის მოწადინენი გააფთრებით თხრიდნენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, ჩვენი ხალხის სულიერ-კულტურული და სახელმწიფოებრივი თვითმყოფობის ქვაკუთხედს და ზღუდეს. წმინდანები სიცოცხლისა და მუხლჩაუხრელი კულტურული ღვწის საფასურად ადუღაბებდნენ ამ კედელს. სამოელ ქართლის კათალიკოსი იოვანე საბანისძეს სწერს, რომ აბო თბილელმა „იმარტვილა მეოხად ქრისტეს მიმართ ჩუენდა და ყოვლისა ამის სოფლისა ჩუენისა ქართლისათვის“. ამ თხზულების ავტორი თავის თანამედროვეთ და მომავალ თაობებს საგულისხმოდ განგვიმარტავს, რომ ქართველი კაცისთვის ბუნებრივი, მისი შინაგანი არსის ორგანულად შესატყვისი ორიენტაცია, — „ჩუეულებისაებრ მამულისა სვლა“ — არის სვლა ქრისტიანობის გზაზე. გამორჩეულად სწორედ ქართველ წმინდანთა ღვაწლით გამოიკვეთა ძველსავე საქართველოში ეროვნული მთლიანობის იდეა, სწორედ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ რომაა გამოთქმული.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა პერსონაჟებიდან გონიერ მკითხველზე ჭეშმარიტი თავისუფლების ნიჭის დიდი მადლი გადმოდის. ჭეშმარიტი თავისუფლების არსი კი კაცთა მოდგმამ ბიბლიიდან ისწავლა. იგი არის არა თავისუფლება (აშვება) თვითნებობისა, არამედ თავისუფლება თვითნებობისაგან. ნამდვილად თავის უფალი მაშინ არის ადამიანი, როცა მას, ბუნებრივ არსებას, ბუნებრივ საჭიროებათაგან მოცულს, ძალუძს დაუსხლტეს მის დიქტატს, უფრო მეტიც, თვით იბატონოს იმაზე, რაც მასზე ცდილობს გაბატონებას. ამგვარი „გაბატონების“ დაუვიწყარ გაკვეთილებს გვაძლევენ ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების გმირები. ჰუმანიზმის იდეალებისათვის ისინი ზნეობრივ რიგორიზმს და სულის მშვენიერებას ძერწავენ საკუთარ თავში, ამკვიდრებენ თავის გარშემო. ამაღლებულნი არიან ეგოისტურ პრაგმატიზმზე, თავის მშვენიერ „მეს“ გზად და ხიდად დებენ მოყვასისა და საზოგადოებისათვის.

ამ იდეალებს იმემკვიდრებს „ოქროს ხანის“ ქართული საერო არისტოკრატია და „ვეფხისტყაოსანში“ მიწისა და ზეცის შეზავების რენესანსულ სამყაროსთან მივა.

სასულიერო მწერლობის წიაღში შემზადდა ნიადაგი, დაგროვდა ინტელექტუალური ენერგია ქართული ეროვნული კულტურის ევროპული კულტურის ასპარეზზე გასატანად.



გელათის ოთხთავი, XII ს.

საქართველოსა და უცხოეთის სავანეებში მოფუსფუსე ბერები თარგმნიან ბერძნულიდან ქართულად და ქართულიდან ბერძნულად გადაღებული თხზულებებით ამდიდრებენ ბიზანტიურსა და ევროპულ მწერლობას.

დიდი მოწიწება დიდი ბიზანტიური კულტურის წინაშე ქართული სასულიერო მწერლობის მსახურთ სრულიად არ ხდის ეპიგონებად, უცხოურის ბრმა თაყვანისმცემლებად. გიორგი მცირე, ავტორი „გიორგი ათონელის ცხოვრებისა“, მოგვითხრობს: როცა XI საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქოში ბერძნებმა საეჭვოდ მიიჩნიეს ქართველთა ეკლესიურ-კულტურული დამოუკიდებლობა, ჩვენი ქვეყნის ინტერესების დასაცავად წმინდა გიორგი ათონელი გამოვიდა. მისი სიბრძნითა და ნაჭედი ლოგიკით ბერძნები დამარცხდნენ. თვით ანტიოქიის პატრიარქმა აღიარა ეს დამარცხება და გიორგი ათონელს მიმართა: „შენ, ო, ნეტარო მამაო, დაღაცათუ ნათესავით (ეროვნებით) ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩვენივე სწორი ხარ“.

ეროვნული განათლების საჭესთან მდგომს უნდა მოეხსენებოდეს ქრესტომათიული ჭეშმარიტება: როდესაც ჩვენს ხალხს სახელმწიფოებრივ თვითმყოფადობასართმევდნენ, ეროვნული ცნობიერების გადარჩენის მთელ ტვირთს კულტურა, ძირითადად, ქართული მწერლობა ეზიდებოდა. „რუსეთის საქართველომ“ „თურქეთის საქართველოსაგან“ განსხვავებით, იმიტომაც შეინარჩუნა თავისი ენა და მეობა, მწერლობა რომ ჰყავდა ყოველთვის“, — იტყვის ერთი თანამედროვე ქართველი მწერალი.

უნდა გვახსოვდეს და პატივს მივაგებდეთ იმ დიდ ქართველ მეცნიერთ, რომელთაც იკვლიეს ქართული ჰაგიოგრაფიის შედევრები, მათი დიდი ღირსებანი წარმოაჩინეს, საშუალო და უმაღლესი განათლების სახელმძღვანელოებში დაამკვიდრეს ისინი (ივ. ჯავახიშვილი, ნ. მარი, კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, ალ. ბარამიძე, არ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ი. აბულაძე). ევროპელი მეცნიერები იკვლევდნენ და იკვლევენ ამ ტექსტებს. ნუ ვეტყვით მათ, რომ ჩვენვე არ მოგვწონს ეს ნაწარმოებები.

გავიდა 20 დღე მას შემდეგ, რაც „ხვალინდელ დღეში“ ბატონმა მინისტრმა თავისი ლიტერატურული „აღმოჩენების“ შესახებ გვაუწყა, და აი, იგი სრულიად სახეცვლილი წარმოგვიდგა ინტერვიუში, რომელიც მან მისცა გაზეთ „კვირის პალიტრას“. იგი აქ იმასაც განმარტავს, რომ „ნებისმიერი ერის საგანმანათლებლო სისტემა თავისი ერის კულტურული ფესვებიდან საზრდოობს“, ამასაც გვპირდება: „რასაც ჩვენ მოზარდს შევასწავლით, თავისი არსით დაფუძნებული იქნება ქრისტიანულ საწყისებზეო“.

კიდევ უფრო გასაოცრად გაისმის მინისტრის ეს აღთქმა: „გავზრდით ჰაგიოგრაფიული ძეგლების რაოდენობას სასკოლო პროგრამაშიო“. როგორ და რატომ გაზრდიან ჰაგიოგრაფიული ძეგლების რაოდენობას სასკოლო პროგრამაში, როცა ორი კვირის წინათ დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ „ეს არის მკვდარი ტექსტი“, „ნაგავი“. რატომ, რა ლოგიკით უნდა გაამრავლონ იმ ნაწარმოებთა რიცხვი სასკოლო პროგრამაში, რომელიც არაფერს აძლევს თანამედროვეთ?!

ნიჰილიზმმა ეროვნულისა და ქრისტიანულისადმი ისევ გამოჟონა ბატონი მინისტრის ახალ განცხადებებშიც. ამას წინათ იგი საუბრობდა ტელეარხით „202“. მინისტრი საგანგებოდ ამწვავებდა სიტუაციას, როცა ბრძანებდა: დღეს მოსწავლე იძულებული ხდება ისწავლოს ჰაგიოგრაფია ყველა სხვა, თუნდაც უფრო აუცილებელი საგნებისა და <u>ჯანმრთელობის ხარჯზეო</u>.

როცა ჟურნალისტმა მას შეახსენა, — რას ნიშნავს უფრო მნიშვნელოვანი საგანი და არის კი რამე საქართველოში „ვეფხისტყაოსანსა“ და ჰაგიოგრაფიაზე უფრო მნიშვნელოვანიო? — ბატონმა კახამ უპასუხა: არის. ჩვენი სახელმწიფო დემოკრატიული სახელმწიფოა და არა თეოკრატიული, <u>საბედნიეროდო</u>. დახეთ ლოგიკას: ქრისტიანული კაცთმოყვარეობა, ამაღლებული ზნეობის შთამაგონებელი ლიტერატურის სწავლება თურმე ეწინააღმდეგება დემოკრატიას. ამდენი ჰაგიოგრაფიული ტექსტის სწავლება <u>აზიანებს ჯანმრთელობასო</u>. ერთი კვირის წინ კი ითქვა: გავზრდით პროგრამაში ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა რაოდენობასო.

მე დავესწარი, — თქვა მინისტრმა, — ერთ ლიტერატურულ საღამოს და მოვისმინე ფაშისტური ლექსები. ამ ლექსებში ის აზრი იდო, რომ ყველაზე ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოებაა და ქართველები აუცილებლად მართლმადიდებლები უნდა ვიყოთო. მოსწავლეები ჩვენ უნდა გავათავისუფლოთ <u>ფაშისტური ფუნდამენტალიზმისაგანო</u>.

საქართველოს ისტორიის, ქართველი კაცის ბუნების და ავ-კარგის ობიექტური ჭვრეტა ძალიან ცხადად იმაზე მეტყველებს, რომ ქართველობა ერთშემწყნარებლობით და რჯულთშემწყნარებლობით გამორჩეული ერია და არავითარი გათავისუფლება არ სჭირდება.

ასეც ითქვა: ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებს ვერ იგებენო, აძალებენ და აზუთხვინებენო; „ჩემი შვილები საშინლად უაზრო ლექსებს სწავლობენო“; „პატრიოტებად მიაჩნიათ ადამიანები, რომლებიც რელიგიურ თემებზე კითხულობენ ვიღაც დეგენერატების ლექსებსო“.

კარგი მასწავლებლის ხელში ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს კარგად იგებენ, მით უმეტეს ახლა, როცა ხელთა აქვთ ძველი ქართული ლიტერატურის ახალი ქრესტომათია. ბატონი მინისტრი ვერ დაასახელებს ვერც ერთ „საშინლად უაზრო ლექსს“, სასკოლო სახელმძღვანელოში რომ იყოს.

ბატონ კახა ლომაიას მრავალრიცხოვან ინტერვიუებში და რეფორმების გეგმებში არსად ფიგურირებს სიტყვა „აღზრდა“. აქ ვერ ნახავთ ჭეშმარიტი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის, ნამდვილი განათლებისათვის ქრესტომათიულად საჭირო ცნებებს: სულიერება, სილამაზე, მშვენიერება, ამაღლებული, სიკეთე, სიყვარული, მეგობრობა; ცოდვა და მადლი, მიტევება და თავმდაბლობა, წინაპართა პატივისცემა, მამულიშვილობა, ერთგულება...

აბა, რა უნდა ასწავლოს და განუვითაროს განათლების ახალმა კონცეფციამ მომავალ თაობებს? აი, თურმე რა: „ახალი ცხოვრებისა და უნარ-ჩვევების საოცარი ნიჭი“, „ღირსეული პასუხი თანამედროვე ტექნოლოგიურ გამოწვევებზე“, „ცხოვრებისეულ გაჭირვებასთან გამკლავების ძალა“... ცხადზე უცხადესია, რას მოიტანს ზნეობრივი წვრთნისაგან გაძარცვნილი, „ახალი ცხოვრებისა და უნარ-ჩვევების საოცარ ნიჭზე“ ორიენტირებული სწავლება: გაიზრდება უზნეო, გულცივი, პრაგმატისტული თვალთახედვის მონა, მონა და არა თავის უფალი, ყრუ და ბრმა სიკეთისა და მშვენიერის, მამულისა და ღვთის წინაშე. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს ისედაც მოძალებულ ტექნოკრატიულ მაქსიმალიზმს, გლობალიზაციის თანამდევი უსახურობის საფრთხეს. ქართველი კაცი „გაჭირვებასთან გამკლავების ძალას“ ბიბლიიდან, ქრისტიანული კულტურიდან, ეროვნული მწერლობიდან, „მრავალჟამიერის“, „ჩაკრულოს“, „ოდოიასა“ და ქართული ცეკვის წიაღიდან წამოსული შთაგონებით იღებდა და უკეთესი წამალი არც დღეს იპოვება.

ამ ათიოდე წლის წინათ ასე უყიჟინებდა დიდი რუსი სწავლული დიმიტრი ლიხაჩოვი თავის თანამემამულეთ: „ჩვენს შინაგან კულტურაზეა დამოკიდებული ეკონომიკაც, ტექნიკაც, მეცნიერებაც. მოსახლეობის ელემენტარული პატიოსნება — წინამძღვარია ეკონომიკის განვითარებისა. ტექნიკა, ეკონომიკა, ცივილიზაცია, ამ სიტყვების სპეციალური მნიშვნელობით — ყველაფერი ეს არ შეიძლება იყოს თვითმიზანი. კულტურა კი თავისთავად — არის მიზანი ცალკეული ადამიანის, ერის და კაცობრიობის განვითარებისა. თვით ეკონომიკა ემსახურება კულტურას“.

შიშველი, ცივი პრაგმატიზმის იერი აქვს ეროვნული განათლების რეფორმის ახალ გეგმას, კულტურულ წარსულთან იმგვარ დამოკიდებულებას ჰგავს, კომუნისტებს რომ ჰქონდათ. თუმცა ჰაგიოგრაფიული ტექსტები „მკვდრად“ არც საბჭოთა სკოლაში ითვლებოდა, ისწავლებოდა. ტექნოკრატიულად მუდმივგანახლებად ისეთ ქვეყანას, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, პრეზიდენტი რონალდ რეიგანი ასე მოძღვრავდა: „გარდაქმნები არ უნდა ნიშნავდეს წარსულის უარყოფას. მსგავსად ხისა, რომელიც ინარჩუნებს სიცოცხლეს წლის ყოველ დროში, რომლის ფესვები მიწაშია და მზისგან შეიწოვს სიცოცხლეს, — პოზიტიური გარდაქმნებიც თავისი ფესვებით უნდა ემყარებოდეს ტრადიციულ ღირებულებებს — თავის მიწას და კულტურას, ოჯახსა და ხალხს, — გარდაქმნებმა ძალა უნდა შეიძინოს მარადიული რაობიდან, თვით ცხოვრების ისეთი წყაროსთვალიდან, როგორიცაა რწმენა“ (ამ წყაროსთვალად იქვე დასახელებულია ბიბლია).

„ტოტალური ცვლილებების“ მოწადინენი დემოკრატიის, თავისუფლების, ევროპეიზმის დროშით გამოდიან. მათ უნდა შევახსენოთ, რომ ჩვენ „ძველი ევროპელები“ ვართ, როგორც ეს არაერთგზის განაცხადა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა. ევროპელები ვართ მეოთხე საუკუნიდან მაინც, როცა ქრისტიანობა მივიღეთ; VIII საუკუნიდან მაინც, როცა გრიგოლ ხანძთელმა მოიხილა ბიზანტიის სამწიგნობრო კერები და ქართული საგანმანათლებლო სისტემა იქაურს შეუზავა; XII საუკუნიდან, როცა დავით აღმაშენებელმა დააფუძნა გელათის აკადემია „მეორედ იერუსალემად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა“. ევროპული ორიენტაციისათვის, თავისუფლებისა და დემოკრატიის გზა-სავალის ერთგულებისათვის დაიღვარა სისხლი სწორედ ჩვენი წმინდანებისა IV საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე წიწამურის ტრაგედიამდე, წიწამურიდან 1989 წლის 9 აპრილამდე. ეს ერთი ხაზია, ერთი გზასავალია, „მამურ-პაპურთა კვალთა სვლაა“ (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი).

ჯერ კიდევ როდის გვაფრთხილებდა წმ. ილია მართალი: „ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით, ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვაკვეთინეთ... შრომით და გარჯით, <u>ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს</u>, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს და ჩვენს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს სხვანი დაეპატრონებიან“. „პატრონად“ კი ილია თვლის ქრისტეს მოძღვრებას, რომელმაც „იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე“.

„ცოდნით და ხერხით“ მოსულთ გზა უნდა გადავუღობოთ. ეს მოხერხდება მხოლოდ ქართული მწერლობის, კულტურის შემწეობით.

ქართველობამ უნდა იგრძნოს, რომ მას პატრონი ჰყავს. ხოლო პატრონებმა უნდა იცოდნენ, რომ „რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა“ (ილია); ისიც უნდა გაითვალისწინონ, რაც მწერლის სიტყვებით ასე ითქვა: „<u>ინგრევა გარანტია იმისა, ამ ქვეყანაზე რაღაც მაინც რომ არსებობს ხელშეუხებელი, შეუბღალავი, წმინდა...</u> ტრადიცია ერთადერთი სანდო ჯებირია, რომელსაც თანამედროვეობის ყველა ცუდი გავლენის შეკავება შეუძლია. მთავარია, ყოველთვის იყოს ვიღაც, ვისაც საერთო სიბნელეში სარკმლის პოვნა და გამოღება შეეძლება. მთავარია არსებობდეს და, <u>ჰაგიოგრაფიული</u> წმინდანივით, შეეძლოს კიდეც, პირადი მაგალითით გაახსენოს დანარჩენ კაცობრიობას, თუ რა დიდი მადლია ადამიანობა და რა პატარა, რა უმნიშვნელო მოჩანს ყველაფერი მასთან შედარებით... ჩვენი ხსნა ფრანგულად ან თურქულად კი არა, მაინცდამაინც ქართულად განათლებაა“ (ოთარ ჭილაძე).



# „თითოეული პენსიონერისგან 5-10 თეთრი ხომ უნდა მიიღოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმაო“(?!)




(დასაწყისი იხ. გვ. 6)
ბატონ ზურაბ ჟვანიასაც კარგად ვიცნობ და სხვა პოლიტიკოსებსაც. მე იმ ქვეკომიტეტშიც ვმუშაობდი, რომლის თავმჯდომარე მიშა სააკაშვილი იყო. ყველა მათგანთან მხოლოდ სამსახურებრივი და პარტიული ურთიერთობა მაკავშირებს — თანამოაზრეები და თანაპარტიელები ვართ. არა ვარ ის კაცი, მივიდე ვინმესთან და თანამდებობა ვთხოვო.

**— 2003 წლის 14 აგვისტოს „საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე რატომ მოითხოვეს თქვენი განთავისუფლება გენერალური დირექტორის თანამდებობიდან?**

— ვერ გეტყვით. ალბათ იმიტომ, რომ სააკაშვილი-ჟვანიას მხარდამჭერი და მათი გუნდის წევრი ვიყავი. კიდევ იყო ერთი მიზეზი ჩემი განთავისუფლებისა — როცა სახელმწიფო კანცელარიაში გადაწყდა, რომ საპენსიო თანხებს ფოსტა კი არა, ბანკი დაარიგებდა, ჩემთვის, როგორც „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორისთვის, ეს წამგებიანი იყო — ჩვენ ვკარგავდით დიდ შემოსავალს, ყოველწლიურად დაახლოებით 2,5 მილიონ ლარს, რომელიც ჩვენ პენსიების დარიგების მომსახურებისათვის გვერგებოდა. ბუნებრივია, ამ გადაწყვეტილებას შევეწინააღმდეგე. ხელისუფლებას ვუმტკიცებდი, რომ ფოსტას პენსიების დასარიგებლად ჰქონდა სათანადო ბაზა, მაგრამ ეტყობა, ვიღაცებს ხელს არ აძლევდა, რომ პენსიები ფოსტას დაერიგებინა. თანამდებობიდან ჩემი გადაყენების კიდევ ერთი მიზეზი უთუოდ ესეც იყო.

**— ბრალად გდებენ იმასაც, რომ თქვენი ხელშეწყობით გაიყიდა 12 საფოსტო ვაგონი ჯართად და ისიც მიზერულ ფასად...**

— ჯერ კიდევ 1998 წელს „საქართველოს ფოსტის“ მაშინდელმა გენერალურმა დირექტორმა ნანა ლიბრაძემ ვაგონები ბალანსიდან ჩამოწერა(?!) და მისი ფასი განულებული იყო. 2002 წელს, როდესაც „საქართველოს ფოსტას“ კახა თოდუა ხელმძღვანელობდა, შეიქმნა კომისია, რომელმაც შეამოწმა ვაგონები. ამჯერად უკვე გაძარცული და დაჟანგული, გარემონტებასაც აღარ ექვემდებარებოდა. როდესაც გენერალურ დირექტორად მე დავინიშნე, ქონების მართვის სამინისტრომ მომმართა წერილით (იმავდროულად მივიღე „საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი), რომლითაც ითხოვდა ვაგონების ჯართად რეალიზაციას...

აქ დროებით ვწყვეტთ ნესტორ ხურცილავასთან ინტერვიუს და შემოგთავაზებთ მცირეოდენ ნაწყვეტს 2002 წლის 13 დეკემბრის „საქართველოს ფოსტის“ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმიდან (სტილი დაცულია): „სამეთვალყურეო საბჭო წინააღმდეგია ფოსტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების (სარკინიგზო ვაგონების) რეალიზაციის. დაევალოს გენერალურ დირექტორს სარკინიგზო ვაგონების რემონტი და მისი შემდგომი ექსპლუატაციაში გაშვება“.

საუბარს კვლავ **ნესტორ ხურცილავა** აგრძელებს: — ვაგონების რეალიზაციასთან არაფერი მესაქმება. ამ საქმეს ქონების პატრონი სამეთვალყურეო საბჭო განაგებდა, ისინი ითხოვდნენ მათ ჯართად რეალიზაციას(?!). იმ დროს, როცა ვაგონების ჯართად გაყიდვა მიმდინარეობდა, ავად ვიყავი...

აქ კვლავ იძულებული ვართ თვითონ ნესტორ ხურცილავას 2003 წლის 18 აპრილით დათარიღებული ბრძანება გაგაცნოთ: „სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს წერილისა და „საქართველოს ფოსტის“ მიერ „აჭარატერმინალექსპედიტორსერვისთან“ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ჩამოწერილი საფოსტო ვაგონებისათვის ჯართის სახის მიცემისა და წონის დადგენის მიზნით შეიქმნას კომისია. დაევალოს კომისიას ჯართის მყიდველებთან ერთად დაადგინოს ჯართის წონა, ლითონების სახეთა მიხედვით და მოამზადოს შესაბამისი აქტი. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე ვივალებ მე. ნ. ხურცილავა“.

— სხვათა შორის, — აგრძელებს საუბარს **ხურცილავა,** — სამეთვალყურეო საბჭოს მაშინდელმა ხელმძღვანელმა ილია გვარიშვილმა ვაგონების ჯართად რეალიზაციაზე პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და ეს გამომძიებელსაც განუცხადა. დამიჯერეთ, რადგან ჟვანიას გუნდის წევრი ვიყავი, ჩემზე ზეწოლა ხდებოდა...

**— ბატონო ნესტორ, „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ რას იტყვით? შეგახსენებთ, რომ სწორედ ამის გამო გაგათავისუფლეს.**

— რა თქმა უნდა, თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევა სავალდებულო არ ყოფილა, მაგრამ რაკი სტაბილურად ვერ იღებდნენ ხელფასს და ჩვენც არ შეგვეძლო მათთვის ფინანსური დახმარების გაწევა, გავაფორმეთ ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანია „ჰელიოსთან“. სხვათა შორის, ამ ხელშეკრულებით ბევრმა ჩვენმა თანამშრომელმა ისარგებლა. „ჰელიოსის“ ხელმძღვანელობამ ჩვენი თანამშრომლების მკურნალობის ხარჯები მთლიანად დაფარა და იმაზე მეტი გადაიხადა, ვიდრე ჩვენ მათ გადავურიცხეთ(?!).

**— კონტროლის პალატის აქტი ადასტურებს, რომ დაზღვევა დარღვევებით მოხდა. კერძოდ, დაზღვევის ფული „საფოსტო ბანკიდან“ აღებული სესხით გადაიხადეთ, რაც დაუშვებელია.**

— ყველაფერი ეს სასპეკულაციო თემაა, რომელსაც ჩემი მომჩივანთა ჯგუფი იყენებს. ისიც კარგად ვიცი, ვინ მართავს მას — „საქართველოს ფოსტის“ ყოფილი გენერალური დირექტორი ნანა ლიბრაძე. სწორედ ამ ქალბატონმა დადო კაბალური ხელშეკრულებები „საფოსტო ბანკთან“, რომლის შემდეგაც, ფოსტაში მძიმე ფინანსური მდგომარეობა შეიქმნა. ლიბრაძის საქმიანობაზე ბევრი რამის გახსენება შემიძლია. მაგალითად, მსოფლიო საფოსტო კავშირიდან „საქართველოს ფოსტამ“ სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად გრანტის სახით მიიღო 120 ათასი ლარი. თანხის ნაწილი ლიბრაძის მეუღლის ნაქონი ძველი მანქანების, „მერსედესისა“ და „გაზ-66“-ის შესაძენად დაიხარჯა. დანარჩენით სასწორები და მოძველებული კომპიუტერები იყიდეს. ლიბრაძის დირექტორობისას დაიგეგმა ფოსტის მეშვეობით რაიონის მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა. ამ ფინანსური გარიგების შედეგად „საქართველოს ფოსტამ“ 400 ათასი ლარი იზარალა. შემიძლია ასევე გაგაცნოთ კონტროლის პალატის დასკვნაც, საიდანაც გაიგებთ, რომ „საქართველოს ფოსტის“ ყოფილი გენერალური დირექტორის ნანა ლიბრაძის არასწორი გადაწყვეტილების შედეგად, მომენტალური ფილატელისტური ლატარიის დაბეჭდვასა და რეალიზაციას მოგების ნაცვლად, 95 ათასი ლარის ზარალი მოჰყვა. მეტიც, დანახარჯები 156 ათასი ლარის ოდენობით ჩამოწერილია რეზერვების საბალანსო ანგარიშიდან, იმ დროს, როცა ფოსტას არ გააჩნდა მოგება და, შესაბამისად, რეზერვების შევსების წყარო.

1996 წელს შექმნილ შპს „საქართველოს ექსპრესფოსტის“ დამფუძნებელ პირთა შორის კი ნახავთ კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის ყოფილი მოადგილის, ო. ბიწაძის რძალს, ასევე „საქართველოს ფოსტის“ ყოფილი გენერალური დირექტორის, ნანა ლიბრაძის ვაჟს. გარდა ამისა, უხეში დარღვევებით მოხდა ქონების აფასება. მაგალითად, კალკულატორის ღირებულება 30 ლარიდან 548 ლარამდე, მაგიდისა კი 600 ლარიდან 5,3 ათას ლარამდე(!) არის გაზრდილი.

ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება „საქართველოს ფოსტის“ ყოფილი გენერალური დირექტორის, **ნანა ლიბრაძის** მოსაზრება:

— სამი წელია ვდუმვარ. აღშფოთებული ვარ იმით, რაც ხდება ფოსტაში, მაგრამ ჯობს ჩუმად ვიყო, ჩემს ზურგს უკან არავინ დგას. მე ვიღაცების ზღვარგადასულ ამბიციებს შევეწირე.

**— დაგვიკონკრეტეთ, ვინ იყვნენ ის ვიღაცები?**

— ერთ-ერთი იყო ნესტორ ხურცილავა, რომელსაც ძალიან უნდოდა გენერალური დირექტორობა. ალბათ, ეგონა, რომ პენსიების დარიგებით მილიონები გვრჩებოდა. კი, ბატონო, პენსიონერი ფოსტალიონს პენსიის მიტანის დროს ასაჩუქრებდა, ეს იყო და ეს — წილი ფოსტალიონს ზემოთ არ მოჰქონდა. შეუძლებელი იყო ამის დამალვა. ბუნებით მშიშარა ვარ და კანონის დარღვევას მუდამ ვერიდები. თუმცა, არც შიმშილით ვკვდებოდი. შემეძლო ძალიან ბევრი ფული მეშოვა, თუ უკადრებელს ვიკადრებდი. ვიღაცას უნდოდა, რომ ფოსტალიონის აღებული ფულიდან წილი ზემოთ, ფოსტის ადმინისტრაციაში წამოსულიყო. იმას კი არ ფიქრობდნენ, ოთხი ათასი ფოსტალიონისგან ფულის შეკრება შეუძლებელი რომ იყო. თუნდაც ასე მომხდარიყო, ამას ვინ დამალავდა? მერე გავიგე, დაუთვლიათ პენსიონერების რაოდენობა და დასკვნაც გამოუტანიათ — თითოეული პენსიონერისგან 5-10 თეთრი ხომ უნდა მიიღოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმაო(?!). ვიმეორებ, ანგელოზი არ ვიყავი, მაგრამ ხურცილავასა და მისთანებს ნამდვილად ვერ შევედრები.

**— რას გულისხმობთ?**

— თუნდაც იმას, რომ აეროპორტის საფოსტო განყოფილების 800-კვმეტრიანი შენობის პრივატიზება მოახდინეს. ეს ფართი წლების განმავლობაში „საქართველოს ფოსტას“ გაქირავებული ჰქონდა და ყოველწლიურად 36-38 ათას ლარს იღებდა. ამ რამდენიმე წლის წინ კი 17 ათას ლარად გაყიდეს(?!). ამაზე მეტი დანაშაული რა გინდათ? ეს ფინანსური გარიგება ჩემი გათავისუფლების შემდეგ დაიდო.

**— როდის გაგათავისუფლეს?**

— მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა მითხრა, შენს ადგილს ნესტორ ხურცილავასთვის მთხოვენო. მოგვიანებით გავიგე, რომ ხურცილავა გავლენიანი პირების პროტეჟე ყოფილა. დირექტორად დობორჯგინიძე, ხოლო ხურცილავა ექსპლუატაციის დარგში დირექტორად დანიშნეს. სწორედ ეს უნდოდა ხურცილავას, რადგან დირექტორი ექსპლუატაციის დარგში პენსიებს კურირებდა. მალე დარწმუნდა, რომ „საქართველოს ფოსტაში“ ფოსტალიონებს წილი არ მოჰქონდათ და გენერალურ დირექტორად დაანიშვნინა თავი, მაგრამ თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევას შეეწირა. ჩვენ სხვა სადაზღვევო კომპანია გვემსახურებოდა, რაც წლის განმავლობაში 60 ათასი ლარი გვიჯდებოდა. ხურცილავამ კი 175 ათასი გადაიხადა დაზღვევაში და ისიც „საფოსტო ბანკიდან“ ნასესხები ფულით... სამაგიეროდ, ახლა უფრო მაღალი თანამდებობა აქვს „საქართველოს ფოსტაში“ და როგორ „მიდგებ-მოდგება“, თქვენთვის ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს...

ქალბატონ ნანა ლიბრაძესთან ინტერვიუს შემდეგ, გადავწყვიტეთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებელს, დევი მასხარაშვილსაც (იგი „საქართველოს ფოსტის“ საქმეებს იძიებს. — ზ. ჩ.) გავსაუბრებოდით, მაგრამ უშედეგოდ: ჯერ კიდევ ერთი პირი გვყავს დასაკითხი და საქმე გამოძიების პროცესშია, ამიტომ კომენტარისგან თავს შევიკავებო, გვითხრა გამომძიებელმა.

როგორც „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლებმა საიდუმლოდ გამანდეს, ის ერთი პირი „აჭარატრანსექსპედიტორსერვისის“ დირექტორი ოთარ დუმბაძე ყოფილა. მას ზემოხსენებული საფოსტო ვაგონები ჯართად კი არ გაუყიდია, შეუკეთებია (თუ მოინდომებ, შესაძლებელი ყოფილა. — ზ. ჩ.) და ახლა ისინი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაა.

P. S. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ნესტორ ხურცილავას განთავისუფლება სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოსგან ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრს, თამარ სულუხიას მოუთხოვია. სააგენტოს ხელმძღვანელობა მინისტრის წინადადებას დათანხმებია, მაგრამ პროცესი მოულოდნელად შეჩერებულა. ნეტავ ვინ ჩაერია საქმეში? — აი, კითხვა, რომელიც არც მე მასვენებს და ალბათ მკითხველსაც ჩააგდებს საგონებელში. მანამდე კი „საქართველოს ფოსტა“ ვალებში იხრჩობა — მისთვის მაშველი რგოლის გადაგდებას არავინ აპირებს.

*ზვიად ჩაკვეტაძე*


სიახლე!
საქართველოს ელექტროკავშირი



3*-იანი და 51 - ინდექსების ახალი სატელეფონო სადგურების აბონენტებს სთავაზობს დამატებით მომსახურებებს, რომლებიც:
• პაროლის გამოყენებით დაიცავს თქვენი ბინისა და ოფისის ტელეფონებს გარეშე არასასურველი მომხმარებლისაგან;
• ამოიცნობს თქვენი სატელეფონო ზარის ინკოგნიტო ავტორს ნომრის ამომცნობის საშუალებით.
*აგრეთვე უამრავ ახალ სერვისს, რომლის საშუალებასაც ძველი სადგური არ იძლეოდა და რომლის გარეშეც სრულად ვერ შეიგრძნობთ თანამედროვე სატელეფონო სადგურით მომსახურების ყველა სიკეთეს!*
**ჩვენ ვზრუნავთ თქვენზე, თქვენც იზრუნეთ საკუთარ კომფორტზე!**
დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ საბურთალოს რაიონის სატელეფონო განყოფილებაში
მის: ნუცუბიძის ქუჩა №14, ☎ 311200, 311201
უფასო საინფორმაციო სამსახური 900



# „იზვესტიის“ კორესპონდენტი აფხაზეთში არ შეუშვეს



## რადგან ქართული გვარი ჰქონდა

გასულ ორშაბათს სოხუმში რუსეთის საპარლამენტო დელეგაცია ჩავიდა დმიტრი როგოზინის მეთაურობით. მოლაპარაკებები ფრიად პროვოკაციულ თემებზე მიდიოდა: — რუსეთის მიერ აუღიარებელი რესპუბლიკის აღიარება, ან სრულფასოვანი პროტექტორატის დაწესება სოხუმზე. დუმის დელეგაციას სხვა ჟურნალისტებთან ერთად „იზვესტიის“ სპეციალური კორესპონდენტი ნატალია რატიანი უნდა ხლებოდა, მაგრამ მოსკოვიდან გაფრენამდე ერთი საათით ადრე მას განუცხადეს, — აფხაზეთის ტერიტორიაზე თქვენი ყოფნა სასურველი არ არის. მასპინძლებთან შეიძლება დაბრკოლება შეგექმნათ, ჩვენ ვითარების გამწვავება არ გვინდაო... „იზვესტია“ შეეცადა, გაერკვია, რა გამწვავება შეიძლება მოჰყოლოდა რუსეთის ჟურნალისტის აფხაზეთში ჩასვლას, რომელსაც რუსული პასპორტი, რუსეთის მოქალაქეობა, მაგრამ ქართული გვარი აქვს.

— კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებთ, — განუცხადა გაზეთს მოსკოვში აფხაზეთის წარმომადგენელმა იგორ ახბამ, — ამ გადაწყვეტილების საფუძველი გვქონდა.

— ჟურნალისტების სია, სადაც რატიანის გვარიც არის, აგერ, მაგიდაზე მიდევს. პირადად მინდოდა მისი გაცნობა. არ ვიცი, ვინ უთხრა, არ გაფრინდეო. ეს მორიგი პროვოკაციაა, — თქვა აუღიარებელი რესპუბლიკის მთავრობის პრესმდივანმა როინ აგრბამ.

როგოზინის პრესსამსახურის წარმომადგენლებს იგორ ახბამ განუცხადა, — მე უფლებამოსილი ვარ, აფხაზეთის ხელისუფლების ნება გადმოგცეთ, რასაც ვაკეთებ კიდეც და დასძინა: — შეიძლება აფხაზეთის ხელმძღვანელობას რატიანისადმი რაიმე პრეტენზიები გააჩნია.

აშკარაა, ამ განცხადებით ჩინოსანმა თავისი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა „ჩაუშვა“, რადგან როგოზინის სამდივნოსთვის ამ საკითხზე ოფიციალურად არაფერი შეუტყობინებიათ.

აუღიარებელი, მაგრამ მისი ფიქრით, აღიარებული სახელმწიფო, სადაც მოსახლეობის 70%-ს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული, წარამარა ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიაზე ლაპარაკობს და 1810 წლის მსგავსად ცდილობს, რუსეთის პროტექტორატში მოექცეს, რუსეთის ჟურნალისტს უარს ეუბნება აფხაზეთში ჩასვლაზე, თანაც მიზეზს არ ასახელებს... როგორც ჩანს, „დამნაშავეა“ ნატალიას ქართული გვარი და საერთოდ, ქართველი ჟურნალისტები, რომელთაც აფხაზეთის მთავრობამ ავტონომიის ტერიტორიაზე შესვლა აუკრძალა.

ეტყობა, ეს აკრძალვა მარტო ჟურნალისტებზე არ ვრცელდება, მაგ. რუსეთის ერთ-ერთ ტურისტულ ფირმაში პირდაპირ ურჩევენ ქართულგვარიან ხალხს, არ ჩავიდნენ აფხაზეთში — უშიშროების გარანტიას ვერ მოგცემთო.

„ვიცით, რომ რუსეთის შემადგენლობაში შესვლა შეუძლებელია, ამიტომაც ვლაპარაკობთ ასოცირებულ ურთიერთობებზე“, — ასე ახსნა აფხაზეთის წინადადება პროტექტორატზე აგრბამ.

პროტექტორატი კი აფხაზეთს ასე ესმის: ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩარჩოებში სავალუტო და საბაჟო კავშირის შექმნა, მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთთან თავდაცვის, უშიშროებისა და შიდაპოლიტიკის დარგებში, რაც დე ფაქტო უკვე არსებობს.

რესპუბლიკის ოფიციალურ აღიარებას, შემდეგ კი პროტექტორატის შექმნას დრო სჭირდება, თორემ ეს აუცილებლად მოხდება, — სჯერათ აფხაზებს.

***იზვესტია №106***

# „ვინ არის კოკოევი?“

სამხრეთ ოსეთის მეთაურმა ედუარდ კოკოევმა თბილისს კომპენსაცია მოსთხოვა, ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს ოსეთისათვის მიყენებული ზარალი 30 მლრდ დოლარად შეაფასა და განაცხადა, რომ ამ თანხის მიღებამდე ცხინვალი, შერეულ სამუშაო ჯგუფში მუშაობის გარდა, საქართველოსთან ურთიერთობას წყვეტს.

თბილისმა პასუხი არ დააყოვნა. საქართველოს პრემიერმა, ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, — საქართველოსაც შეუძლია წაუყენოს ანგარიშები ომის დროს გადამწვარი ქართული სოფლების და სეპარატისტების მიერ მიყენებული ეკონომიკური ზარალისთვისო, „მაგრამ ჩვენ წარსულში ქექვას არ ვაპირებთ. საქართველო აფხაზ და ოს ძმებს შერიგებას და საერთო მომავლის ერთად აშენებას სთავაზობს,“ — თქვა პრემიერმა. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა კი განაცხადა: — არ ვიცი, ვინ არის კოკოევი და არ მესმის, ეს სუბიექტი რატომ აძლევს თავს ასეთი უტიფარი განცხადებების გაკეთების უფლებასო.



მიხეილ სააკაშვილს და ზურაბ ჟვანიას მიაჩნიათ, რომ რუსეთის იარაღი სამხრეთ ოსეთს ვერ უშველის...

ცხინვალსა და თბილისს შორის კინკლაობა კიდევ უფრო გაამწვავა თბილისის მიერ რუსეთის მიმართ გამოთქმულმა მკვეთრმა საყვედურებმა ცხინვალის რეგიონში იარაღით დატვირთული რუსეთის 150 მანქანის შესვლის გამო. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთს საპროტესტო ნოტაც გაუგზავნა და განმარტება მოსთხოვა. ახსნა-განმარტებაც მაშინვე მოუვიდა — სამშვიდობოთა როტაციის გეგმის მიხედვით, რეგიონში შეგვაქვს საკვები პროდუქტები, კარვები, ავტოტექნიკის სათადარიგო ნაწილები, საწვავიო. საქართველო ამ პასუხმა არ დააკმაყოფილა, თუმცა სკანდალის გაბუქვა აღარ დაიწყეს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა შენიშნა, — რუსეთიდან სამხრეთ ოსეთში იარაღის შეზიდვა უაზრობაა, რაც აჭარაში იყო, იმდენი აღჭურვილობის იქ შეტანას ვერ მოახერხებენ, მაგრამ უშველა ამან ასლან აბაშიძეს?

მიუხედავად ამ განცხადებებისა, როგორც ეტყობა, მიხეილ სააკაშვილს სამხრეთ ოსეთში სწრაფი გამარჯვების იმედი არა აქვს. ბოლო დღეებში მან არაერთხელ მოუწოდა თანამემამულეებს, მოემზადონ „სამხრეთ ოსეთის დასაბრუნებლად კონსტრუქციული, მიზანმიმართული, მშვიდობიანი და გრძელვადიანი მუშაობისთვის“.

14 წლის მანძილზე პირველად შეძლო საქართველოს ხელისუფლებამ კონტრაბანდის ცენტრის — ერგნეთის ბაზრობის მუშაობის ნაწილობრივი შეწყვეტა, რამაც დიდი ზარალი მიაყენა სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტს. გარდა ამისა, საქართველო განაგრძობს ქართული და ოსური სოფლებისათვის ჰუმანიტარული დახმარების დარიგებას, ოსურ სოფლებში ქართული პენსიების გაცემაც დაიწყო. თანაც ლარის მიღება იქ მცხოვრებ რუსეთის მოქალაქეებსაც შეუძლიათ — ოფიციალური მონაცემებით, სამხრეთ ოსეთის 100-ათასიანი მოსახლეობიდან 80%-ს რუსეთის მოქალაქეობა აქვს მიღებული.

***კომერსანტი №105***

# „რუსთავმა“ კიეველები მოხიბლა



...ამ ჰანგებში ეროვნული ხასიათია ასახული, ვაჟკაცურ-თავშეკავებული და ამავე დროს დაუოკებელი ტემპერამენტი...

„რუსთავის“ საკონცერტო პროგრამა იდეალურად შეერწყა ფესტივალის კონცეფციას. ერთი მხრივ, ეს სასულიერო საგალობლებია.

ცნობილია, რომ ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად IV საუკუნეში გამოცხადდა. ქართული საეკლესიო რიტუალი, ისევე როგორც სასულიერო მუსიკა, სათავეს ბიზანტიურიდან იღებს. ამავე დროს, ცხადია, რომ ბიზანტიური საწყისი ეროვნულთან არის შერწყმული. ასე წარმოიშვა ისეთი შედევრები, როგორიცაა: სვანური „კვირია“, ქართლური „ჭონა“, საერთო ქრისტიანული „ქერუბინულის“ („რომელნი ქერუბინთა“), ტროპარების, კონდაკების ეროვნული ვარიანტები.

„რუსთავის“ პროგრამის მეორე ნაწილი ეროვნულ ფოლკლორს ეყრდნობა და ასევე შეესატყვისება საფესტივალო კონცეფციას. კიეველი მსმენელი გაეცნო ქართულ შრომის, ლაშქრულ, სუფრულ და ლირიკულ სიმღერებს. ცნობილი „მრავალჟამიერი“ ორ ვარიანტად იყო წარმოდგენილი — საერო და სასულიერო.

ინსტრუმენტულმა ჩანართებმა კი (ჩონგურისა და ფანდურის თანხლებით სალამურზე შესრულებული ქართული მელოდიების პოპური) ქართული ფოლკლორის სურათი უფრო ხატოვანი და კოლორიტული გახადა.

უკრაინის დედაქალაქ კიევში, ნაციონალური სასახლის „უკრაინის“ სცენაზე საზეიმოდ გაიხსნა VIII საგუნდო ფესტივალი „ზოლოტოვერხი კიევი“. წლევანდელი ფესტივალი განსაკუთრებით გამორჩეულია, რადგან საგუნდო ხელოვნების ზეიმში მონაწილეობდნენ ისეთი მნიშვნელოვანი კოლექტივები, როგორებიცაა ბონის სიმფონიური ორკესტრი რომან კაუფმანის ხელმძღვანელობით, ვლადიმირ ვიარდოსა და ნაუმ შტარკმანის კლავირბენდები და საქართველოს ხალხური სიმღერის სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“. სწორედ ამ კოლექტივის კონცერტით გაიხსნა ფესტივალი, რაც იმის დასტური იყო, რომ მსმენელი ჭეშმარიტი ხელოვნების მოწმე იქნებოდა. „რუსთავი“ დიდი და საინტერესო პროგრამით წარუდგა მაყურებელს (ძველქართული სასულიერო საგალობლები, საქართველოს ყველა კუთხის მუსიკალური ფოლკლორი — სიმღერები, ინსტრუმენტული ტრადიცია).

უკრაინელი მსმენელი მოიხიბლა ვაჟთა გუნდის უნიკალური მრავალხმიანობით. „რა უცნაური ჰარმონიაა“, — ამბობდა გაოგნებული მსმენელი.

***ზერკალო ნედელი***

***გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა***

# საქართველოს ეკონომიკის მინისტრი რუსეთში თავის ქარხნებს ყიდის

საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ნიჟგოროდის გემთმშენებელი ქარხნის „კრასნოე სორმოვოს“ თავისი წილი აქციები გაყიდა. მაგრამ, როგორც ეტყობა, რუსეთის ბიზნესმენად კვლავ დარჩა. როგორც ვოლგისპირეთის ფედერალურ ოლქში რფ-ის პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენელი სერგეი კირიენკო ამბობს, მისი აჩრდილი რუსეთის საწარმოებში კვლავ დადის, ყოველ შემთხვევაში, „კრასნოე სორმოვოში“ მაინცო. ვინ შეიძინა ეს საწარმო, ჯერჯერობით უცნობია.

— ბენდუქიძემ თავისი წილი მენეჯმენტს მიჰყიდა, — თქვა კირიენკომ, — მაგრამ ვის, არც მე ვიცი. ვეჭვობ, ისე წავიდეს, რომ აქაურობაზე გავლენა არ შეინარჩუნოს. ამას მაფიქრებინებს ის, რომ ჯერ არ გაყიდულა წყალქვეშა ნავი, რომელიც ათეულობით მილიონი დოლარი ღირს.

როგორც ეტყობა, წყალქვეშა ნავის გაყიდვის შემდეგ ეს ქარხანა ფუნქციას დაკარგავს. ამჟერად დაკვეთების უმეტესობას ის ვოლგის სამდინარო სანაოსნოდან იღებს. კირიენკოს აზრით, „კრასნოე სორმოვოში“ წყალქვეშა ნავების მშენებლობა პერსპექტიული არ ჩანს და აჯობებს, ამ საქმეს ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ქარხნებმა მოჰკიდონ ხელი — ეს უფრო მომგებიანი იქნება.

პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის თქმით, ბენდუქიძის ჯგუფი ქარხანას დაახლოებით ერთი წლის შემდეგ დატოვებს, როცა მზა წყალქვეშა ნავი გაიყიდება.

ქარხნის გენერალურ დირექტორს ნიკოლაი ჟარკოვს კახა ბენდუქიძის წასვლა მაინცდამაინც არ ეწყინება, რადგან ამბობენ, მათ არც ისე კარგი ურთიერთობა ჰქონდათო.

***გაზეტა. რუ***


## ქ. თბილისის საერო ორსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი კოლეჯით

### აცხადებს მიღებას

1. **უმაღლესში ფარმაცევტულ ფაკულტეტზე.**

დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები I კურსზე, დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე საშუალო ფარმაცევტული განათლების მქონე პირები, ექიმები, ბიოლოგები და ბიოქიმიკოსები II კურსზე.

2. **სამედიცინო კოლეჯში.**

სამკურნალო და ფარმაციის სპეციალობებზე 9 და 11 კლასის ბაზაზე.

საბუთები მიიღება 20 აგვისტომდე 10-დან 18 საათამდე. ჩარიცხვა უგამოცდოდ. კურსდამთავრებულებზე გაიცემა სახელმწიფო დიპლომი და დასაქმდებიან ფირმა „ავერსი“-ს აფთიაქებში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას. მისამართი: ალ. ყაზბეგის (ყოფ. პავლოვის) გამზ. 39, მე-60 საშუალო სკოლა, მეტრო „გოცირიძე“. ტელ: 39-67-74

## სახელმწიფოს ლიცენზირებული საქართველო-ისრაელის სტომატოლოგიის ინსტიტუტი და მრავალპროფილიანი სამედიცინო კოლეჯი

სხვა სასწავლებლებიდან გადმოსვლა გადასახადის გარეშე

მინიმალური გადასახადი

სახელმწიფო დიპლომი

დასაქმება

☎ 61-54-23
61-69-77
71-55-11

www.medical.edu.ge



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გენიოსობენ

4 წლის **გივიკო ბუსკივაძეს** მამა უხსნის:

— თუთიყუში ისეთი ფრინველია, რაც ხშირად ესმის, იმას იმეორებს.

გივიკო უმალვე პასუხობს:

— მამა, ჩვენს სახლში თუთიყუში იცი, რას იტყვის?

— რას იტყვის?

— ნინიკო, წაიკითხე! ნინიკო, წაიკითხე (ნინიკო გივიკოს მეორეკლასელი დაიკოა)!..

***

5 წლის **ხატია არჩვაძე** ბებოს ულოცავს დაბადების დღეს.

— ბებო, გილოცავ დაბადების დღეს. საჩუქარი გიყიდე და ხომ მაჩუქებ?

***

სამი წლის **ქეთი ქადაგიშვილის** პატარა ძმას ტირილით გამოეღვიძა. ალბათ „ბუები“ ნახა სიზმარში, — აუხსნა დედიკომ გოგონას. ქეთი მივიდა ძამიკოსთან და დაამშვიდა:

— ნუ გეშინია, გიკა, მე თოფს ავიღებ, სიზმარში წავალ და „ბუებს“ მოვკლავ.

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„ცივია და ტკბილი, არ სჭირდება კბილი“.**

I



II

გეყოფა თუ არა დეტალები მარჯვნივ მდებარე მოზაიკის ასაწყობად? რომელი დეტალი არ გამოგადგება?




## ალალ-მართალი ბიჭი

ზ ღ ა პ რ ე ბ ი

ერთ ღარიბ კაცს ერთადერთი ბიჭი ჰყავდა. მთელი მისი ქონება ორმოცი ოქროს მანეთიანი იყო. მამამ ეს ორმოცი ოქრო შვილს ხალათის საყელოში გამოუკერა და ვაჭრებს გააყოლა, თან დაარიგა:

— პატიოსნად იარე, შვილო, ტყუილს ნურასოდეს იტყვიო. იარეს, იარეს ვაჭრებმა და ბოლოს და ბოლოს, ერთ ადგილას გაჩერდნენ. უცებ ყაჩაღები დაესხნენ თავს და ყველაფერი წაართვეს, მერე ერთმანეთში მოითათბირეს, მოდი, ამ ღარიბ ბიჭს ჩვენი ნადავლიდან ცოტა რამ მივცეთო. ერთმა ყაჩაღმა ბიჭს გამასხარავება მოუნდომა და უთხრა:

— ეი, ღატაკო, შენ რაღა წაგართვათო?

— მე ორმოცი ოქროს მანეთიანი მაქვსო, — თქვა ბიჭმა.

— შენისთანა ჩამოკონკილს ორმოცი ოქრო საიდან უნდა ჰქონდესო? — გაეცინა ყაჩაღს.

ბიჭმა ხალათის საყელო გაირღვია და ოქროები წამოყარა.

— რა ძალა გედგა, რომ გამოტყდი. ჩვენ რაღაცის ჩუქებას გიპირებდით, ახლა კი იმასაც წაგართმევთ, რაცა გაქვსო.

— მერე რა ვუყოთ, წამართვით, ტყუილს მაინც ვერ ვიტყოდი. მამაჩემი სულ ამას მეჩიჩინება, პატიოსანი და მართალი კაცი გამოდიო.

ყაჩაღები გააოცა ბიჭის პასუხმა, წართმეული საქონელი იმწამსვე დაუბრუნეს ვაჭრებს და ყაჩაღობაზეც ხელი აიღეს.

## ღამურას, ეკალისა და წყალჩიტას ამბავი

ერთხელ ღამურამ, ეკალმა და წყალჩიტამ მოილაპარაკეს, ფართლით (ქსოვილით) ვივაჭროთო. ღამურამ დაიარა ფრინველები და კარგა ბლომად ისესხა ფული. მერე ყველანი ერთად ზღვის გაღმა გაემგზავრნენ საქონლის საყიდლად. იქ მარჯვედ ივაჭრეს. უკან რომ გამობრუნდნენ, მთელი ნავაჭრი წყალჩიტას აჰკიდეს. გზაში წყალჩიტამ წაიფორხილა, ფართალი ზღვაში ჩაუცვივდა და თევზმა გადაყლაპა. რაღას გააწყობდნენ, ადგნენ და შინ დაბრუნდნენ. სახლს რომ მიაღწიეს, მოილაპარაკეს: წყალჩიტამ თევზი მოძებნოს, მუცელი გაუჭრას და ფართალი ამოუღოსო.

ამიტომაა, რომ წყალჩიტა ყოველდღე მდინარის ნაპირთან დაფრინავს, იქნებ ის თევზი ვიპოვო, ჩვენი ფართალი რომ ჩაყლაპაო. ღამურა დღისით ველარ ჩნდება, ეშინია, მევალეებმა არ დამიჭირონო. ეკალი კი ყველას ჩხვლეტს, იჭერს, — ჩვენი ფართლის წამღები ხომ არ არისო.

ისრების მიხედვით მიიყვანე ფისო მანქანასთან



III ანა, გამოიცანი

**1) რომელი ქვეყანა არ მდებარეობს ლათინური ამერიკის ტერიტორიაზე?**

ა) ბოლივია; ბ) კამერუნი; გ) ჩილე; დ) პერუ.

**2) ვინ ჩამოიტანა ქრისტეს კვართი საქართველოში?**

ა) სვიმონ კანანელმა; ბ) წმინდა ნინომ; გ) ანდრია პირველწოდებულმა; დ) ელიოზ მცხეთელმა და ლონგინოზ კარსნელმა.

**3) რომელი არ არის ლადო ასათიანის ლექსი?**

ა) „კრწანისის ყაყაჩოები“; ბ) „სალაღობო“; გ) „ბარდნალა“; დ) „მესაფლავე“.

**4) რომელ ქვეყანაშია შუა საუკუნეების ქართული კულტურის ძეგლი, პეტრიწონის მონასტერი?**

ა) საბერძნეთში; ბ) თურქეთში; გ) რუმინეთში; დ) ბულგარეთში.

**5) ქართული მითოლოგიის მიხედვით, რა ჰქვია ამირანის დედას?**

ა) დარეჯანი; ბ) მზევინარი; გ) მედეა; დ) დალი.

**6) რას ნიშნავს ქართულად ლათინური სიტყვა „ვეტო“?**

ა) ვკრძალავ; ბ) თანახმა ვარ; გ) მოვითხოვ; დ) ვითვალისწინებ.

**7) რომელი ქვეყნის ფულის ერთეულია შეკელი?**

ა) ისრაელის; ბ) ჩეხეთის; გ) უნგრეთის; დ) სინგაპურის.

**8) რომელია ზედმეტი?**

ა) ანცი; ბ) ონავარი; გ) ცელქი; დ) დინჯი.

**9) რას შეისწავლის ჰიპოლოგია?**

ა) ცხვრებს; ბ) ცხენებს; გ) ძაღლებს; დ) ძროხებს.

**10) რომელია იგივე, რაც კომპლიმენტი?**

ა) ქათინაური; ბ) ხოტბა; გ) ოდა; დ) დითირამბი.

იპოვე 10 განსხვავება





პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*

„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უცხოური ზღაპარი გამოსცა. შეამოწმეთ, არის თუ არა ყველა ზღაპარი თქვენს კოლექციაში. ის ზღაპრები, რომლებიც წაკითხული გაქვთ, აღნიშნეთ ასე: — ⊕ და სია აჩვენეთ მშობლებს

1. ○ მელია და მწყერჩიტა
2. ○ ქალთევზა
3. ○ ნაცარქექია
4. ○ მძინარე მზეთუნახავი
5. ○ კომბლე
6. ○ ირმისა
7. ○ ჩიპოლინო
8. ○ წითელქუდა
9. ○ ფიფქია და შვიდი ჯუჯა
10. ○ ხუთკუნჭულა
11. ○ მაკნატუნა
12. ○ თოვლის დედოფალი
13. ○ ბრემენელი მუსიკოსები
14. ○ ალიბაბა და ორმოცი ყაჩაღი
15. ○ სამი გოჭი
16. ○ თორმეტი თვე
17. ○ სიზმარა
18. ○ მაუგლი
19. ○ ჩექმებიანი კატა
20. ○ მგელი და შვიდი თიკანი
21. ○ ნამცეცა
22. ○ ნახევარქათამა
23. ○ სამი ფორთოხალი
24. ○ გოგონა და ურჩხული
25. ○ წიქარა
26. ○ ალადინი
27. ○ ღორების მწყემსი
28. ○ მძლეთამძლე
29. ○ ქოჩორა რიკე
30. ○ უფლისწული ბაყაყი
31. ○ ბულბული
32. ○ რიკი-ტიკი-ტავი
33. ○ კონკია
34. ○ მახინჯი იხვის ჭუკი
35. ○ კატა, მამალი და მელა
36. ○ ცეროდენა
37. ○ გაუცინარი პრინცესა
38. ○ ველური გედები
39. ○ გაქვავებული სამეფო
40. ○ გოგონა და სამი დათვი
41. ○ წითელი ფეხსაცმელები
42. ○ მოჯადოებული კატა
43. ○ მეჩონგურე
44. ○ თხისყურებიანი მეფე
45. ○ ბურატინოს თავგადასავალი
46. ○ ლომი და კურდღელი
47. ○ მოჯადოებული ტყე
48. ○ არვიციას ამბავი
49. ○ ჯიუტი სპილუკა
50. ○ შრომის ფასი

ერთი წიგნი-ზღაპარი + გასართობი გვერდები 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში

# „ისე, როგორც მაშინ — სვეტიცხოველთან, ახლაც მათხოვარი ვარ“

**პატრიარქმა — ნახატები საპატრიარქოში ჩამოიტანეო**



იდა თვარაძე

ძალზე ძველი, ფერმკრთალი, მაგრამ ლამაზი სახლი, გაცრეცილ აივანზე — აკაციის ტოტები და ქოთანში ყვითელი ვარდი — მარტოობის სიმბოლო. ეს **იდა თვარაძის** სახლია. ერთ ოთახში — თავად მხატვარი, ცოცხალი ნახატები, გაზქურა, ჭრელფარდიანი ძველი კომოდები, ჭილით ნაქსოვი ჭურჭლის სადგამი, ძველი საწოლი და ბამბუკის თაროზე — წიგნები. წიგნებს შორის სოლომონ ბრძენი: „ამხილე ბრძენი — მას შეუყვარდები, არ ამხილო ღვთისმგმობელი — შეძულდები!“ ცხოვრების ამ მარტივი წესით მან უცნაურად იცხოვრა, მაგრამ ორჯერ გაჭრილი გულით ქვეყნის ვალი მაინც გადაიხადა. ახლა გულის ოპერაცია მესამედაც სჭირდება.

**— როდის გაიგეთ, რომ ისევ საოპერაციო ხართ?**

— რამდენიმე დღის წინ. იმიტომაც ვარ უგუნებოდ. სხვა დროს ასე არ შეგხვდებოდით. არაფერი აღარ მინდა. მარტო ის — ვინმე გამოჩნდეს და დამეხმაროს. დიდი ფულია საჭირო — 20.000 დოლარი. განცხადება დავწერე, მთავრობას უნდა ვთხოვო.

**— დიდი ხანია გული გაწუხებთ?**

— მას შემდეგ, რაც 25-ის გავხდი. ამიტომ დავანებე თავი ქანდაკებაზე მუშაობას. ფერწერა დავიწყე. სამხატვრო აკადემიაში სწავლისას, ჩემი პედაგოგი ლადო გრიგოლია მარწმუნებდა — ქალი ცოდვაა ქანდაკებისთვის, მძიმე სამუშაოა, ფერწერაზე გადაგიყვანო. გული უგრძნობდა, რაც დამემართებოდა თუ რა, არ ვიცი.

**— უცნაურია, ქალმა ასეთი სამძიმო საქმე რომ აირჩიეთ, მოქანდაკე ხომ არ გყოლიათ ვინმე ნათესავებში?**

— არავინ. მხოლოდ ბაბუა მყავდა მჭედელი. იმის მამაც მჭედელი იყო და მამის მამაც. ლეჩხუმში, სოფელში ამბობდნენ — ვიქტორის კვერის ხმაზე ვიღვიძებთო. ადგებოდა დილაადრიან და მივყვებოდი მეც სამჭედლოში. სულ საბერველზე ვიყავი ჩამოკიდებული. თიხასავით თავის ჭკუაზე მოჰყავდა რკინა. თუნგის კეთებას რომ დაიწყებდა, დავყურებდი და შიშით გული მისკდებოდა — თანდათან გამოჰყავდა თუნგის კბილები, ეს ისე გამოდიოდა, ნამდვილი კბილები მეგონა. მთელი ლეჩხუმი და იმერეთი ბაბუას ნაკეთებ სპილენძის ქვაბებს და თუნგებს ხმარობდა. სპილენძის მოსატანად რომ მიდიოდა, გამოდგებოდა კარზე მისი გამზრდელი დედინაცვალი და დაიწყებდა ლოცვას: წმინდა გიორგის მადლმა მშვიდობით მოგიყვანოსო... ახლა ბაბუაჩემის ნახელავი ჭურჭელი ალბათ თურქეთშია გატანილი. ამ ბაბუასთან დამქონდა ყანაში კალათით სადილი. ნახე, რა სურათია — წარუშლელი! — პაპანაქებაში თოხნის ბაბუა და შვილიშვილს ელოდება. შვილიშვილი კალათს მოარბენინებს.

**— ბებიას რატომ არ იხსენებთ?**

— როგორ არ გავიხსენებ... 8 წელიწადი ბებიასთან და ბაბუასთან ვიზრდებოდი. იმ წლებში გაჩნდა, თუ რაიმე კავშირი მაქვს სამყაროსთან, თუ ჩემში რაიმე კარგია, ისიც იქიდან მოდის. ბებიას კატო-დედას ვეძახდი. წითელ ხავერდის ვარდს ჰგავდა. ამ ვარდივით ლამაზი იყო და მძიმე მზერა ჰქონდა — მოგვივით. ბუნების შვილი იყო, ბუნებაზე შეყვარებული. სულით ხელოვანი. რა ფრინველი გინდა, მისთვის ხმით რომ არ მიებაძა, გინდა, მერცხალივით იჭიკჭიკებდა. ლექსებს წერდა. შემოგვისხამდა გარს და გვიკითხავდა. მარტო ეს მახსოვს, რომ გარს ვესხედით, თორემ რას გვიკითხავდა, ის აღარ მახსოვს, იმიტომ, რომ არც ვუსმენდი. საერთოდ მე არანორმალური ბავშვი ვიყავი — 7 წლამდე არ ვლაპარაკობდი, ამიტომ დიდად არც სხვებს ვუგდებდი ყურს. რახან სულ მუნჯად ვიჯექი, სოფელში, სკოლაში, პირველ კლასში ჩამტოვეს.

**— რა, ვინმეს ჯიბრით არ ლაპარაკობდით?**

— არა, ეტყობა, არ მეხალისებოდა. დაბადებიდან რომ ვდუმდი, დიდმა ბებიამ თურმე ძველი წესით ბაგაზე მიმაბა — თუ ხმა გაილო, ესე იგი, მუნჯი არ არისო. მიყვირია და გახარებიათ.

**— თუ არ ლაპარაკობდით, აბა, რას აკეთებდით?**

— დავდიოდი და ვაკვირდებოდი ქვეყანას. 8 წლისა რომ გავხდი, დედა ჩამოვიდა. მახსოვს, დაჯდა და თმის ვარცხნა დამიწყო. უნდოდა, სადღაც საქმეზე გავეგზავნე. იმდენად არ მინდოდა წასვლა, ფუტკრებს ავხედე და ვთქვი: — ნეტავი, თქვენ, ფუტკრებო, რომ არსად გგზავნიან-მეთქი... ატეხეს ერთი ამბავი, დაილაპარაკაო. მერე დაფიქრდნენ და თქვეს, — ამისგან ადამიანი არ გამოვა, ერთხელ ამოიღო ხმა და ისიც ფუტკრებს შენატრაო.

**— პირველი ნახატიც „მუნჯური“ დახატეთ?**

— ხატვა არ ვიცოდი და რას დავხატავდი? სოფელში ერთი კარგი დარეჯან მამიდა მყავდა. იმ მამიდასთან ერთად ერთხელ მსხლის ძირში ვიჯექი — ის მსხალი ძალიან ჰგავდა ჩემს დიდ ბებიას, იმასავით ხნიერი და ხმელ-ხმელი იყო — მსხალზე პლასტელინი იყო მიწებებული — მამიდას ჩამოჰქონდა შვილებისთვის. მითხრა, — აიღე და შეინახეო. მეც მოვხსენი, მაგრამ დამავიწყდა, რომ უნდა შემენახა და ხელში დავუწყე წვალება. გავიხედეთ, რაღაც გამოდის! მერე ავიღე ჩხირები და სახე გავუკეთე. შეხედა ბებიამ და იყვირა, — ამისა და ამის ბიძაშვილის ქმარს ჰგავსო. წამოვიღე დიდის ამბით ეს ჩემი პლასტელინი და მზეზე დავდე გამოსაშრობად. მივედი და გამდნარი არ არის? ისევ ავიღე და დავიწყე რაღაცის გამოყვანა. მერე ქანდაკების ფაკულტეტზე ჩავაბარე. დღე და ღამე ვმუშაობდი თიხით. მერე რაც მოხდა, გითხარით და... ფერწერა დავიწყე.

**— ალბათ ამიტომ ჰგავს თქვენი პირველი ნახატები რაღაცით ქანდაკებას...**

— მაგას ამბობენ... პირველი ტილო ასე, 30-35 წლის წინ მაქვს დაწერილი. აი ესა, კედელზე რომ კიდია: ქალი, ლამპა და კრამიტი. ეს კრამიტი და ლამპა გელათის ფრესკების რესტავრაციის დროს მიწაში ჩამარხული ვიპოვე და წამოვიღე. ლამაზია, არა?

> სვეტიცხოვლის ფრესკების რესტავრაციაზე ვმუშაობდით. მთელი ტაძარი ხარაჩოებში იყო ჩასმული. საკურთხევლის ფრესკების აღდგენის დრო რომ მოვიდა — ტაძრის მოძღვარმა — ქალს საკურთხეველში ვერ შევუშვებთო. გავიდა და პატრიარქ ეფრემ II-ს დაურეკა. იმ საათშივე ჩამოვიდა უწმინდესი. წარმოგიდგენიათ? აანთო კელაპტარი, მომცა ხელში და მაკურთხა — შებრძანდითო. იქ, სვეტიცხოველში, მაცხოვრის XV საუკუნის დიდებული ფრესკაა.

**— რესტავრირებაზეც მუშაობდით?**

— მე მხატვარ-რესტავრატორი ვარ. იყო ერთი მხატვარი შალვა აბრამიშვილი, ნამდვილი ქართველი. დადიოდა ეკლესიებში, აღადგენდა. მეც წამიყვანა 1973 წელს გელათში. ფრესკების კონსერვაციას ვახდენდით.

**— ეს ის დროა, როცა ეკლესიას ცოტა მზრუნველი ჰყავდა. რესტავრატორი ქალები, მგონი, მაშინ არც იყვნენ.**

— არსებობდნენ ასლის გადამღები ქალები, დიდებული სპეციალისტები. მათ შემოინახეს სვანეთის ფრესკები, დღეს ეს ფრესკები ტაძრებში წაშლილია. რესტავრაციის ფაკულტეტი კი საერთოდ არ იყო. ბატონ შალვას, ჩემ გარდა, არავის წაყვანა არ უნდოდა. სვეტიცხოვლის ფრესკების რესტავრაციაზეც ერთად ვმუშაობდით. მთელი ტაძარი ხარაჩოებში იყო ჩასმული. საკურთხევლის ფრესკების აღდგენის დრო რომ მოვიდა — ტაძრის მოძღვარმა — ქალს საკურთხეველში ვერ შევუშვებთო. გავიდა და პატრიარქ ეფრემ II-ს დაურეკა. იმ საათშივე ჩამოვიდა უწმინდესი. წარმოგიდგენიათ? აანთო კელაპტარი, მომცა ხელში და მაკურთხა — შებრძანდითო. იქ, სვეტიცხოველში, მაცხოვრის XV საუკუნის დიდებული ფრესკაა.

**— თქვენ ბრძანეთ, 70-იან წლებში რესტავრაციის ფაკულტეტი არ არსებობდაო, მაგრამ ვიცი, რომ ხატების რესტავრაციის სახელოსნო ფუნქციონირებდა...**

— ჰო, სახელმწიფო მუზეუმში. მე ჩამოვაყალიბე. თეონა ასიტაშვილი მეხმარებოდა. უნიჭიერესი ქალი იყო. დრეზდენში ჰქონდა ეს საქმე შესწავლილი. სეიფის ხატებსაც ვაკეთებდით. ეს უბედნიერესი წლები იყო ჩემს ცხოვრებაში. ბატონი გურამ აბრამიშვილი ამ საქმეს სიამოვნებით მანდობდა. რასაც ვიტყოდი, ყველაფერს წამსვე გამიჩენდნენ ხოლმე. 1977 წელს საქართველოში აკურთხეს პატრიარქი ილია II. მას მცხეთის სასულიერო აკადემიაში მოღვაწეობის დროიდან ვიცნობდი. მთხოვა, საპატრიარქოს მოწესრიგებაში დამეხმარეო. ამ დროს ასეთი საქმის დაწყება ყველას ეშინოდა — სამსახურს ატოვებინებდნენ. დავთანხმდი. ძალიან მალე მივიდნენ მუზეუმის დირექტორთან და უთხრეს: ორ ადგილზე მუშაობა არ შეიძლება, თქვენმა მხატვარმა ან მუზეუმი უნდა აირჩიოს, ან საპატრიარქოო. საპატრიარქო ავირჩიე. დილის 6 საათზე ვიწყებდი მუშაობას. ძალიან დიდი ენერგია მქონდა მაშინ.

**— და რას აკეთებდით?**

— რაც კომუნისტებს გადარჩათ, საპატრიარქოს ის ქონება უნდა აღმეწერა. ფაქტობრივად, გაჯერანებული იყო იქაურობა. არც ბიბლიოთეკა იყო, არც არქივი. ყველაფერს მოვუყარე თავი, პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის წიგნები ქაშვეთის მტვრიანი სხვენიდან ჩამოვიტანე, არქივიც აღვადგინე... იმ დროს საავადმყოფოშიც დავწექი. პირველი ოპერაცია მაშინ გამიკეთეს. რომ მოვღონიერდი, ისევ დავიწყე მუშაობა. სწორედ იმ წლებში ვმუშაობდი გაიოზ კერატიშვილისგან გატაცებული ხატების აღწერაზე. მოვიდა ზვიად გამსახურდია.



დედაღვთისმშობელი ყრმით

მეც მინდა ვნახო, რა დააბრუნესო. ნახე-მეთქი. როგორც კი ზვიადი დაინახეს, იმ წუთიდან აღარ გამაკარეს ამ საქმეს.

**— ისეთი ახლობელი იყო, რომ ამ საიდუმლო საქმეში ჩაახედეთ?**

— არა მარტო ზვიადი, მერაბ კოსტავაც. როცა ეკლესიებში არავინ დადიოდა, ჩვენ სამივენი, ერთად დავდიოდით. ზვიადს თავლია მანქანა ჰყავდა, გადაწევდა სახურავს და მივდიოდით მცხეთაში, სვეტიცხოველში. სტუდენტები გაფართოებული თვალებით უყურებდნენ მერაბის ჯვარს — მაშინ ჯვარს იშვიათად ატარებდნენ... ბიჭები ტაძარში გალობდნენ ხოლმე. არაჩვეულებრივი, დამატყვევებელი ხმა ჰქონდათ. მახსოვს. ერთხელ მოწამეთაში წავედით მე, ზვიადი, მერაბი, დენიზა სუმბაძე და დალი ლოლუა. გალობა რომ დაიწყეს, მოძღვარს გაუხარდა — თბილისიდან მგალობლები ჩამოსულანო... ეს გალობა იყო ჩვენი პროტესტი — ჩავსხდებოდით მანქანაში, დავდიოდით თბილისის ქუჩებში და ვგალობდით ხმამაღლა.

**— თქვენც დისიდენტი ხართ?**

— მოწოდებით. მთელი სიცოცხლე ექსტრემალურ მდგომარეობაში ვარ. ჩვეულებრივად არ მიცხოვრია... 9 აპრილს ისე მოვიწამლე, რამდენიმე ხანში ისევ ოპერაცია დამჭირდა... ნოემბერში კი ხალხი უწმიდესმა გადაარჩინა. ხომ გახსოვთ, თითქმის 3 კვირა არ დაშლილა ხალხი. მალულად მაძლევდა ფულს — მოშიმშილეებს არ შესცივდეთ, ლეიბები და საბნები უყიდეო. მეც ვყიდულობდი. ერთხელაც მივედი საპატრიარქოში და დამხვდნენ მარიამ ლორთქიფანიძე და მუხრან მაჭავარიანი. წუხდნენ, ხალხი არ იშლება, არ გვიჯერებენ, ცუდი სიტუაციაა, შეიძლება რუსებმა გვესროლონო... უწმიდესმა — არც მე დამიჯერებენო? არც თქვენო, — უთხრეს. მანიშნა, წადი და ლიდერები ჩამომიყვანეო. ავედი. ზვიადთან მაშინ გაბუტული ვიყავი. მერაბს ვუთხარი, პატრიარქი გიბარებთ-მეთქი. ახლავე მოვდივართო... მე არ მიბარებსო? — მოვარდა გია ჭანტურია — ძალიან ახალგაზრდა იყო და ემოციური... შენც-მეთქი. წამომყვნენ. რომ მივედით, ზვიადმა რაღაც სხვა თემაზე დაუწყო საუბარი. მე ემოციური ვარ: ავყვირდი, რა დროს ეგ არის-მეთქი. შემომხედა ჭანტურიამ გაფართოებული თვალებით — ნეტა, რა აყვირებსო... ელაპარაკა პატრიარქი — უნდა დაიშალოთ, ხალხს დაგვიხოცავენო... კარგიო, — მერაბმა, — ხვალვე დავშლი აქციას, ოღონდ ჯერ მოშიმშილეებს მაწონს დავურიგებ, ცოდვები არიანო... ამ ლაპარაკში ვართ და საშინელი გრუხუნი შემოგვესმა. გავვარდი, ვხედავ — ტანკები მოდიან, იქვე მოუხვიეს და სანაპიროთი უკან გაბრუნდნენ. ასფალტზე მუხლუხების კვალი დატოვეს. ეს ტანკები გამოიყენეს 9 აპრილს.

**— ჩანს, პატრიარქთან ახლოს ხართ.**

— ძალიან მიყვარს. მგონი, მასაც არ ვძულვარ, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიური, როგორც საჭიროა, ისე ვერ გავხდი. თუმცაღა, ეკლესია, ჩემთვის მთელი სამყაროა... მე მაშინ მქონდა თბილისის ეკლესიები ფეხით შემოვლილი, როცა იქ არავინ შედიოდა. საათობით ვიდექი ტაძრებში.

**— უწმიდესი იცნობს თქვენს ნამუშევრებს?**

— თითქმის ყველა უნახავს. მხოლოდ ჩემეული ღვთისმშობლის ხატი არ იცის. ეს ბოლო დროის ნამუშევარია. ერთ ყვავილს ჰგავს — გარეთ მწვანეა და შიგნით ღვინისფერი. წმინდა ილია მართლის პირველი ხატი უწმიდესის სურვილით დავწერე. ძალიან უნდოდა, მე დამეწერა. სულ სამი ასეთი ხატი მაქვს შესრულებული: ერთი სიონის ტაძარშია, მეორე იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. მითხრეს, საკურთხეველშია დაბრძანებულიო. პატრიარქი მეუბნება, შენი ნახატები საპატრიარქოში ჩამოიტანე, აქ იყოსო.

**— ვის შეგიძლიათ აჩუქოთ თქვენი ნახატი?**

— ყველა ჩემთან მინდა რომ იყოს, თუმცა იმ ადამიანებს მაინც ვჩუქნი, ვისგანაც სიკეთით დავალებული ვარ. ადამიანმა მადლიერება ხომ უნდა გამოხატოს? მე სხვა არაფერი გამაჩნია. ამას წინათ ერთი — ჩემს ექიმს ვაჩუქე.

**— რაც თქვენთან ვარ, ამ მოკლე ხანში სამმა ადამიანმა მოგინახულათ. თქვენი ახლობლები ხშირად მოდიან?**

— ჩემი მეგობრები არიან ჩემი პატრონები და საპატრიარქო. შევაწუხე ხალხი ჩემი ავადმყოფობით...

**— ნუ განიცდით. ამქვეყნად იმიტომ მოვედით, რომ სიყვარული შეგვეძლოს. იმდენი საღმრთო საქმე გიკეთებიათ, დარწმუნებული ვარ, ოპერაციაც კარგად ჩაივლის.**

— იმის იმედი მაქვს, რომ ღმერთს თავისი შვილები უყვარს. განსაკუთრებით — უპოვარი და ავადმყოფი. ეს ჩემს თავზე გამოვცადე, როცა სვეტიცხოველთან ვმათხოვრობდი.



იოანე ნათლისმცემელი

**— რატომ მათხოვრობდით?**

— რამდენიმე საათით. თავისით მოხდა ასე. დიდი დღესასწაული იყო. მივედი სვეტიცხოველში და სანთელი ვერ ვიყიდე — ფული არ მქონდა. ხელგაწვდილმა მორჩილს ვუთხარი — ფული მომეცი, სანთელი უნდა ვიყიდო-მეთქი... არც იმას ჰქონდა. ასე ხელგაწვდილი სვეტიცხოვლის კართან დავჯექი. 3 საათში 76 ლარი მოვაგროვე. ქაღალდის ფული მათხოვრებს დავურიგე. უწმიდესი წირავდა, მივედი და ვკითხე, — ამ ფულს რა ვუყო-მეთქი. მოიცაო... და თვითონაც დამიმატა... დღემდე ვინახავ ამ ფულს... ძალიან დავიღალე... ცუდად ვარ. ეკლესია ამბობს, ყველას თავისი ჯვარი აქვს საზიდიო, მეც ჩემი მძიმე ჯვარი მაქვს...

**— მალე უნდა გაემგზავროთ საოპერაციოდ?**

— როცა ღვთის ნება და ფული იქნება. დღეს, ისე, როგორც სვეტიცხოველთან, ისევ მათხოვარი ვარ.

**— ხშირად რომელ მხატვრებს იხსენებთ, ვინ გიყვართ?**

— ფიროსმანი და ვან გოგი და... ნიკო სამადაშვილი. მერე რა, რომ პოეტია. სამაგიეროდ, ნამდვილი პოეტია და იმდენად მიყვარს, ეს დავუწერე:

*„თვალები სჭრიან ცას ელვასავით,*
*ცას ჭრილობიდან გადმოსდის სითბო.*
*მხოლოდ სოველი, სულ მთლად სოველი,*
*გაშეშებული მიყურებ თითქოს,*
*მარადი სითბოს ირგვლივ მთოველი,*
*შენი თვალები სიცოცხლეს მითბობს...“*

***ეთერ ერაძე***

# „იმ დღეზე ვოცნებობ, როცა ნაგვის მანქანაზე ჩვენს ამ დღეში ჩამგდებს დავსვამ!..“



— ნაგავი-ი... ნაგავი-ი! — დილაბნელზე აღვიძებს მისი ჩახლეჩილი ხმა ქუჩას, რომელსაც თან ზარის წკრიალიც მოჰყვება და მეტი რა გზაა, ამ „გრაფიკზე“ უნდა აეწყო, — თუნდაც ზამთრის სუსხი იყოს, საწოლიდან უნდა წამოხტე და ქუჩაში გავარდე...

...უკვე მთვრალია და სულ მაწვალებს კითხვა, როდისღა ასწრებს გამოფხიზლებას?!

— მე რომ ფხიზელი ვიყო, განა ნაგავს გავზიდავდიო... — ამბობს, — ფხიზელი თვალით სულ სხვანაირია ცხოვრება. ბევრ ისეთ ნაბიჯს არ გადაგადგმევინებს, სიმთვრალეში რომ არად გიღირს... აი, ამ ქუჩის ბოლოს ერთი ლამაზი ქალი ცხოვრობს, რომელიც ბავშვობიდან მიყვარს. სანამ იმედი მქონდა, ცოლად გამომყვება-მეთქი, მის თვალწინ თამამად დგომას ვერ ვბედავდი, აჩრდილივით უკან დავდევდი... მტვრის ბეწვს არ ვიჩერებდი ფეხსაცმელსა და ტანსაცმელზე. მაინც ვერაფერს გავხდი. ახლა კი... მთვრალი რომ ვარ, თამამად ვუცქერ და რაც ადრე ვერ გავუბედე, ახლა ვეუბნები...

— მაინც რას ეუბნები ხოლმე?

— რომ „ჩემი მზეა ამომავალი“, რამე რომ გაუჭირდეს, მასზე მეტად მე მეტკინება. ქმარი რომ მოუკვდა და დარდიანს ვხედავდი, რომ ეთქვა ვინმეს — იმას გავაცოცხლებთ და შენ მის სამარეში ჩაწექიო, — თანახმა ვიქნებოდი, ოღონდ მას არ ეტირა და ცრემლით არ დაეთხარა ლამაზი თვალები...

— რატომ დაგიწუნათ, სხვა რატომ გარჩიათ?

— ეეჰ, აბა სად მე და სად ის — მე ერთი უპატრონო ბიჭი ვიყავი, მამა თვალით არ მინახავს და არც ის ვიცი, როგორ გამაჩინა დედაჩემმა, არც ქმარი ჰყოლია და არც მეგობარი. ის კი პროფესორის ქალიშვილი იყო. თავად ექიმია, ქმარიც ექიმი ჰყავდა, ძალიან ემადლიერებოდნენ, მაგრამ თავის თავს კი ვერ უშველა და... მაგრამ მაინც ბედნიერი წავიდა ამქვეყნიდან. ისეთ ანგელოზს ეფერებოდა, მე რომ მის ადგილას ვყოფილიყავი, ვერც იმდენხანს ვიცოცხლებდი, ბედნიერება გულს გამიხეთქავდა...

— თავად არ გყოლიათ ცოლი?!.

— ახლაცა მყავს, ჩემისთანა საწყალი და ჩემზე უარესად გაჭირვებული. მის ადგილზე ჩემნაირ ლოთს არ გავუჩერდებოდი... უთქმელია, არც ყვირილი იცის, არც ლანძღვა. მხოლოდ ოხრავს, — თავს რად იკლავო! ის კი არ იცის, რა ძნელია, ამ ცხოვრებას ფხიზელი თვალით უყურო. ასე რომ ყოფილიყო, ვერ გავუძლებდი და უფრო მალე მომეღებოდა ბოლო. აბა, ეს ცხოვრებაა — ამდენი მათხოვარი, უმუშევარი... ადრე ქარხანაში ვმუშაობდი, პროფესიონალი ზეინკალი ვარ, კარგი ხელფასი მქონდა, თავს კაცად ვგრძნობდი, შვილებს ვზრდიდი, ახლა კი სულ იმ დღეზე ვოცნებობ, როცა ჩემ ნაგვის მანქანაზე ჩვენს ამ დღეში ჩამგდებს დავსვამ და ჰაი-დაა, უკან ჩამოსასვლელ გზას აღარ დავუტოვებ...

— მაინც ვის ადანაშაულებ ქვეყნის უკუღმა ტრიალში?

— აბა, მე რა უნდა ვთქვა ისეთი, რაც შენ არ იცი, შენზე ამბობენ, კაი გოგოა, კაი რამეებს წერს, ხალხის სათქმელს ამბობსო! ჰოდა, თუ ვინმემ გკითხოს, ასე უთხარი — ჯეირანას ახლა ბოთლი არყის მეტი არაფერი უნდა, თქვენ იმას მიხედეთ, ათასობით უმუშევარი რომ დაგიდით ქუჩაში და ჯერ კიდევ არ აუღიათ თავზე ხელი-თქო! ახალგაზრდებს მიხედონ და სამუშაო მისცენ, თორემ მშიერი და შიშველი არც ერთი არ გაჩერდება, თუ საქმე და ხელფასი არ ექნათ, ადგებიან და ყაჩაღებად იქცევიან, ადრე თუ გვიან კი იმათაც მიწვდებიან, ვინაც ამ დღეში ჩააგდოთ... ვა-ა, კაცო! რამდენი ვინმე მე არ მომწონს, თითოჯერ რომ ჩამერტყა იმათთვის თავში, ლოთობას კი არ დავიწყებდი!.. შეიყვანეთ ეს ბავშვები სკოლაში და წიგნი ასწავლეთ, ზრდილობა ასწავლეთ, უფროს-უმცროსის ცნობა... შვილები პროფესორებად არ დამიზრდია და ისიც ვიცი, დიდად რომ არ ესახელებათ ლოთი მამა, მაგრამ შინ მისულს ფეხზე წამომიდგებიან ხოლმე, დამიყვავებენ, კითხვაზე პასუხს გამცემენ... შვილები არასოდეს მიცემია, მაგრამ იციან სასიკვდილოდ გავიმეტებ, ვინმემ რომ გამაგონოს — ჯეირანას შვილები კაცებად ვერ გაუზრდიაო!..

— რას საქმიანობენ თქვენი შვილები?!.

— ერთი ბაზრობაზე „ნასილშჩიკია“, მეორემ კაფელის დაგება ისწავლა, ოჯახები აქვთ, შვილებს ზრდიან. ყველანი მუშები ვართ, დიდკაცობა ჩვენი საქმე არაა, მაგრამ პატივისცემას ვითხოვთ — არ წავიღებ ახლა ამ ნაგავს, მოგიპირქვავებთ მანქანას ეზოს წინ და ნახავთ, რასაც იდიდკაცებთ მერე... თაგვი და კურდღელი რომ არ იყოს — არწივი მშიერი მოკვდებოდა, მა-აშ!.. ლაბა ხარის მოთმინება მაქვს, მაგრამ თუ გადავირიე, მწყრებიც ბლომად დამიქრის. მწყრებზე გამახსენდა... ერთი პოლიციელი გადამეკიდა, იცის, ნაგავს ვზიდავ და მაინც არ მანებებს თავს, მაჩერებს, შარს ეძებს, როცა ენას შევუბრუნებ, მიბღვერის — შენ მწყრები ხომ არა გყავსო! ისე მომაბეზრა თავი, ერთ დღესაც ბაზრობაზე არყის ნაცვლად ორი ცოცხალი მწყერი ვიყიდე. სიხარულისგან აღარ ვიცოდი, რა მექნა, როცა წარმოვიდგენდი, რასაც დავმართებდი. მწყრები ქუდში ჩავისვი და მის პოსტს რომ გავუსწორდი, განგებ დავარღვიე წესრიგი.

დაუსტვინა და რომ გავჩერდი, ცხვირში მატაკა ლამის კოტიტა თითები: — შენ რა, კიდევ მწყრები გყავსო?!

— მყავს, აბა, არა მყავს-მეთქი?! — მხიარულად წამოვიძახე და ქუდი მოვიხადე, საიდანაც დამფრთხალი მწყრები გადმოფრთხიალდნენ და სახეში შეაფრინდნენ „წესრიგის დამცველს“. იმ ჩემი ცოდვით სავსეს მოულოდნელობისგან გული გაუხდა ცუდად, წაიქცა და სასწრაფოში გამიხდა წასაყვანი... მაგრამ ჯავრი ხომ ვიყარე. თუმცა, თურმე ჯერ სადა ხარ — ცოტა ხანში სამსახურიდანაც მომხსნეს, რადგან მიჩივლა, მაგრამ ერთ კვირაში თვითონვე შემეხვეწნენ, დაბრუნდიო. განა ყოველ ნაბიჯზეა ჩემნაირი მძღოლი... მთელი ქალაქის ნაგავს, ბოღმას და ღვარძლს ვატევ ამ მანქანაზე...

— ძალიან ადრე მოდიხართ, ადგომა გვიჭირს...

— აბა, ჩემიც იკითხეთ, ერთ რამედ მიღირს საწოლიდან ახალწამოვარდნილ, ლოყებავარდსფერებულ, ხალათმოსხმულ ლამაზებს რომ ვუყურებ, სიცოცხლე მიხანგრძლივდება... ლოთი კი ვარ, მაგრამ ნაღდი მამაკაცი ვარ... იმათი მსგავსი კი არა, გარეგნულად რომ ბრწყინავენ და ფრანგული სუნამოს სურნელი ასდით... ღიპიან, თვითკმაყოფილ კაცებს ვერ ვიტან, კიბეზე ასვლისას გული ყელში რომ ებჯინებათ და ქონი ახრჩობთ... ეეჰ, ამ ქალებსაც ტვინი არ ჰყოფნით...

— სამშენებლო ნარჩენების გატანა მინდა და რამდენს დამიფასებ? — ვიღაცამ ფანჯრიდან გადმოსძახა ჯეირანას.

— ეგ ორი ბოთლი არაყი დაგიჯდებაო! — თავის თარგზე მოსჭრა საფასური...

სულში რაღაც გამითბო ჯეირანა-მენაგვემ თავისი ცხოვრებისეული პოზიციით და „ფილოსოფიით“: მთავარია სული გქონდეს სუფთა, თორემ ბედნიერება ნაგვის გროვაზე შემომჯდარმაც შეიძლება შეიგრძნო თურმე, თუნდაც... არყის ბოთლში გამომწყვდეული.

# ჯეკასა და ბესანდრას ცრემლიანი თვალები...

სიმართლე გითხრათ, აფხაზეთში ნათესავები არასოდეს მყოლია, მაგრამ ერთხელ ბავშვობაში ისე მოვიხიბლე იქაურობით, ვცდილობდი წელიწადში ერთხელ მაინც ჩავსულიყავი სოხუმში, გაგრაში, ბიჭვინთასა თუ ოჩამჩირეში... საქართველო რომ განუმეორებლად ლამაზია, ამაზე არავინ კამათობს... მაგრამ უაფხაზეთოდ გაძლება წარმოუდგენლად მიგვაჩნია „დანარჩენი საქართველოს“ მკვიდრთ. ალბათ ამიტომაცაა, რაც „ჩემი წილი“ აფხაზეთი წაართვეს და მისკენ მიმავალი გზებიც საგულდაგულოდ ჩამიხშეს, ვერა და ვერ ვთავისუფლდები უცნაური გრძნობისაგან — რომ სხვისი კი არა, სწორედ ჩემი მიწა, მზე, ზღვა და მთა მიითვისა გადამთიელმა; რომ ყველა ლტოლვილი ჩემი ნათესავია, ჩემი სისხლისა და ხორცის განუყოფელი ნაწილი და მათი დარდი მეც გამუდმებულ ტკივილად და პირმოუკრავ იარად მექცა... ვწერ აფხაზეთზე... ერთმა ჩემმა რესპონდენტმა, რომელმაც ჩემთან ისურვა შეხვედრა, გაკვირვებულმა მითხრა: — სოხუმზე ისე წერ, რომ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, სოხუმელი თუ არ იქნებოდიო... ეს ჩემთვის დიდი კომპლიმენტი იყო... აფხაზეთისადმი მიძღვნილი ყოველი წერილის შემდეგ უამრავი სოხუმელი, ოჩამჩირელი, გაგრელი, გალელი თუ ბიჭვინთელი რომ მეხმაურება, — შენ გაიხარეო! — ესეც უდიდესი საჩუქარია ჩემთვის. მით უმეტეს, რომ თითოეული მათგანი იმედიანად მეუბნება: — როცა დავბრუნდებით, აუცილებლად ჩვენი ოჯახის სტუმარი უნდა იყოო!..

ბატონი მურმანიც ერთ-ერთი იმათგანია, ვისთან მეგობრობასაც დიდ პატივად ვთვლი. იგი ოჩამჩირის რაიონის სოფელ კოჩარას მკვიდრია და დღემდე თვალცრემლიანი იხსენებს მშობლიურ სოფელს, ხვავითა და ბარაქით სავსე ოჯახს, მეზობლებს და მეგობრებს და... დედას, რომელიც დაკარგული, მიტოვებული მიწის დარდმა იმსხვერპლა: „სოხუმში ვმუშაობდი, ზოგჯერ გვიან ვბრუნდებოდი შინ, ლამის გამთენიისას... დედა მაინც ფეხზე იდგა, ელარჯსაც სულ ცხელს მახვედრებდა... პატარა ბიჭივით მეფერებოდა, მიყვავებდა!.. 1992 წლის 29 ნოემბერს დაეცა კოჩარა. მიუხედავად ყველაფრისა, წინა დღითაც არ დამიჯერებია, რომ ყველაფერი დამთავრდა, მით უმეტეს, გამოქცევაზე არ გვიფიქრია, თითზე გადასახვევიც არაფერი წამოგვიღია. როგორ წარმოვიდგენდი, რომ მართლა გამიბედავდა ვინმე წინაპართა მიწის წართმევას?!.“

ბოლო შეხვედრისას ბატონმა მურმანმა მითხრა: — შენ ხშირად წერ ცხოველების უჩვეულო სიყვარულსა და პატრონისადმი ერთგულებაზე. ბოლოს „შენი“ ბასარას ამბავი რომ წავიკითხე, სულ ჩემს ძაღლებზე ვფიქრობ. უნდა მოგიყვე, იქნებ გაზეთისთვისაც გამოიყენო, მით უმეტეს, რომ მართლა უჩვეულოა ჯეკასთან და ბესანდრასთან დაკავშირებული ამბავი...

ჯეკა ძუ იყო, არც ჯიშით გამოირჩეოდა, არც განსაკუთრებული სილამაზით, მაგრამ ადამიანივით მეტყველი თვალები ჰქონდა და საკმარისი იყო ერთი შემოეხედა, რომ მაშინვე ხვდებოდა რა ხასიათზე იყავი — დაღონებულს, ზედმეტი მოძრაობითაც არ შეგაწუხებდა და გაგეცლებოდა, გახარებულს კი თავადაც მხიარული ყეფით შეგხვდებოდა... ბესანდრა კი ხვადი იყო, ისიც უშიჯო. ისიც არ ვიცით, საიდან მოვიდა, მაგრამ ჯეკამ აირჩია იგი, სხვას რომ სიახლოვეს არ იკარებდა, ბესანდრა დანახვისთანავე მოეწონა და ეზოში შემოუშვა — „ჩამოგვესიძა“, რა... ნეტავი გენახათ, რა მუდარით სავსე თვალებით გვიცქერდა, როცა ბესანდრას ეზოში ყოფნა გავიკვირვეთ, თითქოს გვეხვეწებოდა — ოღონდ არ გააგდოთო!.. დავტოვეთ და მალე გაუჩნდნენ მადლიერები ბესანდრას. კილომეტრზე გრძნობდა ავი განზრახვით მოსულ კაცს, გაავებული ჭიშკართან მოახლოების სურვილს უკარგავდა. მე გამორჩეულად ვუყვარდი ორივეს. ჩემი მანქანის ხმაზე, ჭიშკრიდან გამოვარდნილები, ფრენით მოჰქროდნენ შესახვედრად. ახლა წასვლისას არ იკითხავთ?!. — ჩვენი სახლი ჩიხში იდგა, ცენტრალურ გზამდე გამოჰყვებოდნენ ჩემს მანქანას და მერე ჩაცუცქულები მანამ არ იძვროდნენ ადგილიდან, სანამ თვალს არ მივეფარებოდი... ერთხელ, უკვე არეულობა რომ დაიწყო, მეგობართან ერთად დავბრუნდი შინ დაღლილი, მისავათებული. მანქანა ეზოში დავტოვე, შიგ ავტომატები გვედო: — ათასი მამაძაღლი დაძრწის, მანქანას ღია ცის ქვეშ როგორ ტოვებო! — მეგობარმა. — ნუ გეშინია, ჩემი ძაღლები უცხოს არ შემოუშვებენ-მეთქი!..

ჯეკა ლეკვებს ელოდა. დაუყეფა ბესანდრამ, ისიც ისე დაემორჩილა და „შინ“ წავიდა, თითქოს „ქმარმა“ უხრა, — ფეხმძიმე ქალის საქმე არაა ვაჟკაცობაო!.. ზამთარი იდგა, ყინავდა. დილით, ეზოში გამოსულებმა დავინახეთ, როგორ გამოძვრა მანქანის ქვემოდან ბესანდრა, ყინვისაგან გათოშილი ძლივს მოლასლასებდა, ყეფის თავიც აღარ ჰქონდა... როგორც გითხარით, კოჩარა 29 ნოემბერს დაეცა. 28-შიც არ დამიჯერებია, რომ ბოლო დღეს ვათევდი მშობლიურ სახლში. მივედი, პირუტყვს და ძაღლებს საჭმელი გავუმზადე. სხვათა შორის, ძაღლებზე ადრე ჩვენმა ძროხამ — ცირამ გამაოცა. რომ მივუახლოვდი და შემომხედა, ლამის წავიქეცი, ადამიანივით ტიროდა, ცრემლით ჰქონდა სავსე თვალები... მანქანაში ჩავჯექი, შევნიშნე, რომ ამდენი წლის განმავლობაში პირველად არ დაძრულან ადგილიდან ჯეკა და ბესანდრა და არ გამოდევნებიან ჩემს მანქანას. შემცბარმა უკანა სვლით მოვაბრუნე მანქანა და გადმოვედი, ძაღლებს წინ დავუდექი — რა მოგივიდათ-მეთქი?! გვერდზე გაიხედეს, თვალი ამარიდეს და მაინც დავინახე — ცრემლი ედგათ თვალებში... გულმა ცუდი მიგრძნო... იმ დღის შემდეგ მშობლიური სახლი აღარც მქონია, აღარც ჯეკა და ბესანდრა მინახავს... ვინ იცის, იქნებ სწორედ იმიტომ არ მისცა ენა უფალმა ცხოველებს, რომ ისეთი რამე არ თქვან, რისი გაგებაც ადამიანის არც გონებას ძალუძს და არც გულს...

...ძნელია არ დაეთანხმო ბატონ მურმანს.

***მოამზადა ინგა ჯაყელმა***



# მამულ-დედული

## ზოგი რამ თაფლის შესახებ

ადამიანმა პირველად თაფლს გემო მაშინ გაუსინჯა, როცა შემთხვევით, ფუღუროში ფუტკარჩაბუდებული ხე მოჭრა. მიაგნებდა თუ არა თაფლით სავსე ფუღუროს, ფუტკარს ხოცავდა, ნადავლი კი შინ მიჰქონდა. გვიან მიხვდა, რომ ხე მოენიშნა, ნაწილი თაფლი წაეღო და ნაწილი ფუტკრისთვის დაეტოვებინა. ასე დაიბადა პირველი სკაც და მეფუტკრეც. ცოტა ხანში ერთის მიერ მონიშნულ ხეს მეორე მიაგნებდა და „იპარავდა"... ამან აიძულა ადამიანი მოეჭრა ხის ფუღუროიანი ნაწილი და თავის ეზოში დაედგა. ზოგი წინასწარ გამზადებულ ფუღუროიან ხის ნაჭრებს ხის ტოტებში დგამდა, ზოგი სპეციალურად აკეთებდა დასადგამს. გურია-აჭარაში დღესაც შეხვდებით ხეზე მოთავსებულ ე.წ. გეჯებს. როდესაც შიგ ფუტკარი დაბინავდება, — გეჯა გაცოცხლდაო — ამბობენ.



თაფლის დაშაქრება დამოკიდებულია მის ქიმიურ შემადგენლობაზე; დიდი რაოდენობით ყურძნის შაქრის მქონე თაფლი მალე შაქრდება, მანანის თაფლგარეული — გვიან, ხოლო მანანის თაფლი არ შაქრდება მასში დექსტრინების არსებობის გამო, რადგან ისინი დამშაქვრელ კრისტალებს გარს ეკვრიან და დაშაქრების საშუალებას არ აძლევენ.

თუ თაფლი დაკრისტალებულია და საჭიროა მისი გაწმენდა ან გადნობა, აცხელებენ 50-55 გრადუსამდე. 60 გრადუსის ზემოთ თაფლის გაცხელება დაუშვებელია, რადგან მასში არსებული ფერმენტები ისპობა და კარგავს თავის ძვირფას თვისებებს.

### რომელი თაფლია საუკეთესო

გამონაკლისის გარდა ყველა სახეობის ნატურალური თაფლი ადამიანისთვის მეტად სასარგებლო და აუცილებელი საკვებ-სამკურნალო პროდუქტია იელის, თამბაქოს და რაფსის თაფლი გამოირჩევა არასასიამოვნო, მწარე გემოთი და არცთუ იშვიათად, ორგანიზმისთვის არასასურველ პროდუქტს წარმოადგენს. ასე მაგალითად, იელის თაფლით შეიძლება მოიწამლოთ.

საუკეთესო თაფლია:

**აკაციის** — გამოიყენება ენერგიის სწრაფად აღმდგენ საშუალებად, უძილობის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, თირკმლების და ნაწლავების სამკურნალოდ. მიეკუთვნება უმაღლეს კატეგორიას.

**ცაცხვის** — ახასიათებს ანთებითი პროცესების სამკურნალო თვისება. გამოიყენება ბრონქული ასთმის, ბრონქიტის, ტრაქეიტის, გრიპის, ანგინის, საჭმლის მომნელებელი სისტემის, ჭრილობებისა და დამწვრობის სამკურნალოდ. მიეკუთვნება უმაღლეს კატეგორიას.

**მინდვრის** — ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო თაფლად. აქვს მეტად სასიამოვნო სუნი და გემო. გამოიყენება სხვადასხვა დაავადების, განსაკუთრებით სასუნთქი გზების დაავადების დროს.

**წაბლის** — მიუხედავად მომწარო გემოსი, საუკეთესოა ღვიძლისა და თირკმლების სამკურნალოდ.

თაფლის მიღების სადღეღამისო ნორმა სრულასაკოვანთათვის — 100გ, ბავშვებისთვის — 30-50გ (დღეში 2-3-ჯერ).

### მალამო

ატროფირებული ჭრილობებისა და ჩირქოვანი იარების დროს საუკეთესოა თაფლსა და თევზის ზეთზე (ქონზე) დამზადებული მალამო. თაფლი წმენდს ჭრილობას, ხოლო თევზის ზეთი ასტიმულირებს ქსოვილების ზრდას. კარგია აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებულ ჭრილობაზე 20% ღორის მუცლის ქონისა და 80% თაფლის მალამო.

ჰიპერტონიის დროს: თითო ჩ/ჭ სტაფილოსა და პირშუშხას წვენი, 1 ჩ/ჭ თაფლი და 0,1 ჩ/ჭ ლიმონის წვენი. შეურიეთ ერთმანეთში, მოათავსეთ ჰერმეტულ ჭურჭელში და შეინახეთ მაცივრის ქვედა თაროზე. მიიღეთ ჩაის კოვზით 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 1 საათით ადრე ან 2-3 საათის შემდეგ. მკურნალობის ვადა 2 თვე.

## ზოლებიანი აფთარი



ზოლებიანი აფთარი აფთრისებრთა ოჯახში შემავალი 3 გვარისა და 4 სახეობის ერთ-ერთი წარმომადგენელია, რომელიც გავრცელებულია ჩრდილოეთ აფრიკაში, მცირე აზიაში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, ირანში, ავღანეთში, შუა აზიის სამხრეთ რაიონებში, აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ საქართველოს ნახევარუდაბნოში (ერთეული ეგზემპლარის სახით). მეოცე საუკუნის დასაწყისში საკმაო რაოდენობით ბინადრობდა თბილისის ახლოს მდებარე უდაბურ ადგილებში, გარდაბნის დაბლობში, შირაქის, ელდარის, მარნეულისა და მდინარე ალაზნის აღმოსავლეთი ნაწილის ველებზე, ივრისა და მტკვრის ხეობებში. დღესდღეობით აფთარი საქართველოში იშვიათობაა.

აფთრის ძირითადი საკვები ლეშია. იკვებება ასევე სხვადასხვა სახეობის მღრღნელებით, ქვეწარმავლებითა და კალიისებრი მწერებით.

ზოლებიანი აფთრის სიგრძე 110-130 სმ-ია, კუდისა — 30-45 სმ, კისერი მოკლე აქვს. ყბები იმდენად ღონიერი აქვს (34 მაგარი კბილით), რომ თავისუფლად ამსხვრევს მსხვილ ძვლებს. წინა ფეხები უკანაზე გრძელი აქვს, რის გამოც მისი სხეული მკვეთრად დახრილია. აფთრის ბეწვი გრძელი და უხეშია. ხერხემლის გასწვრივ გრძელი, უხეშბეწვიანი შავი ფაფარი აქვს. გვერდებზე ბალანი რუხი ფერისაა, წყვეტილი განივი ზოლებით.

მაკეობა 3 თვეს გრძელდება, შობს 2-4 ლეკვს. აღზრდაში მონაწილეობს მდედრიც და მამრიც.

საცხოვრებლად ირჩევს უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებს, ქვალორღიან, ბუჩქნარით დაბურულ ადგილებს.

## ალუბალი

დავიწყოთ იმით, რომ ალუბალი ძვირფასი დიეტური და მთელი რიგი დაავადების სამკურნალოდ გამოსადეგი კულტურაა. სასარგებლო და სამკურნალო დანიშნულებისაა არა მარტო ნაყოფი, რომელიც შეიცავს შაქრებს (15%-მდე), ორგანულ მჟავებს (1,5-2,4%-ს); ვიტამინებს — $B_1$, $B_2$, P, PP, C, E, კაროტინს, პექტინებს, მინერალურ მარილებს, მთრიმლავ ნივთიერებებს და სხვა, არამედ ყუნწებიც (შეიცავს ტანინს), ფოთლები (შეიცავს ვიტამინ C-ს, ლიმონის მჟავას; მთრიმლავ ნივთიერებებს) და კურკები (შეიცავს ცხიმოვან ზეთს, ეთერზეთს)...

სამკურნალწამლოდ გამოიყენება: ნაყოფი, თესლი, ფოთოლი, ტოტები, ნაყოფის ყუნწები და ფესვები. ცნობილი სამკურნალწამლო საშუალებაა ყუნწები, რომელსაც ხმარობენ: თირკმლის კენჭოვანი დაავადების, ჰიპერტონიის, დიზენტერიის დროს. ამ დაავადებათა სამკურნალოდ 1 ჩაის კოვზი გამხმარი და წვრილად დაქუცმაცებული ყუნწები ჩაყარეთ ემალის ქვაბში, დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი, დაახურეთ ხუფი, ადუღეთ ნელ ცეცხლზე 10-15 წუთი, გააგრილეთ, გაწურეთ ორმაგ მარლაში, ნახარში შეავსეთ 200 მლ-მდე ადუღებული წყლით და თავდახურული ბოთლით შეინახეთ მაცივრის ქვედა თაროზე. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 3-4-ჯერ დღეში. მიუხედავად ალუბლის მრავალი ძვირფასი თვისებისა, საქართველოში არასოდეს ყოფილა მისი ნარგაობის საკმარისი რაოდენობა. არადა, ერთ-ერთი ყველაზე ადვილად გასამრავლებელი ხეხილია. მრავლდება ფესვის ამონაყრებით, ირგვება 4X4 ან 5X5 მ-ის დაშორებით ერთმანეთისგან.



ჩვენში ძირითადად გავრცელებულია ადგილობრივი ჯიში, რომელიც სხვადასხვა ნიადაგურ და კლიმატურ პირობებში განსხვავებული ზომისა და შემცველობის ნაყოფს იძლევა. გვხვდება აგრეთვე „შპანკა"-ს სახელწოდებით გავრცელებული ჰიბრიდული ჯიშები. ალუბალი კარგად ხარობს მსუბუქ ნიადაგებზე, უძლებს სიმშრალეს და ვერ იტანს ზედმეტ ტენიანობას. პროდუქცია უმთავრესად გამოიყენება სამურაბედ, წვენების დასამზადებლად და კერკად. წვენისგან უძვირფასესი ალკოჰოლური სასმელის დაყენებაც შეიძლება.

## „მორბენალი" ღალღა

ღალღას იშვიათად თუ წაასწრებთ თვალს. რამდენადაც ცუდად ფრენს, იმდენად კარგად დარბის. ისე სწრაფად ინაცვლებს ადგილს, რომ ძნელია მისი ადგილსამყოფელის გარკვევა.

მწყერზე მოზრდილი, 130-190 გრამი წონის ღალღა აზარტული სანადირო „ობიექტია", მაგრამ თუ საკმაოდ გამოცდილი ძაღლი არ გყავთ, ღალღის ამოფრენა გაგიჭირდებათ. არადა, სხვანაირად ვერ მოინადირებთ. საქართველოში გვხვდება ტენიან მდელოებზე მაღალ ბალახეულში, ზოგჯერ იონჯისა და მარცვლოვანთა ნათესებში, აგრეთვე ტყის ნაკაფებში. ძლიერ უყვარს წყალში ჭყუმპალაობა და სუფთა წყლის სმა. მთებში ადის 2000 მ-მდე ზღვის დონიდან. ჩვენში ღალღა მაისის დამდეგს მოფრინავს. ბუდობს ცალკეულ წყვილებად. პატარა, მაგრამ ღრმა ბუდეს იკეთებს მიწაზე, ბალახნარში ან ბუჩქნარში. ბუდე ამოფენილია ხმელი ბალახით. დებს 9-10 კვერცხს, საინკუბაციო პერიოდი 15-17 დღეა. ზოგჯერ, ერთ სეზონზე ორჯერ ასწრებს ბუდობას. იკვებება ნაირგვარი მწერით, სარეველა და კულტურული მცენარეების თესლით. სამხრეთისაკენ გადაფრენას, უფრო სწორად „გადარბენას" ღალღები სექტემბერში იწყებენ. ფეხით გაცილებით დიდ გზას გადიან, ვიდრე ფრენით. გადაიფრენენ მხოლოდ მდინარეებსა და ზღვაზე.



## მოზაიკა

* * *

*ეგვიპტის პირამიდაში აღმოაჩინეს თაფლი, რომლის ასაკი... 5 000 წელია.*

* * *

*პირველად ქსოვა მამაკაცებს გამოუგონიათ — ეს მათი ჰობი ყოფილა. შემდეგ როგორც ჩანს, ეს საქმიანობა დავიწყებიათ და ქსოვა ქალებს გაუგრძელებიათ...*

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

### რით ვუშველოთ ტკბილ ღვინოს?

**— შარშან ჩვეულებრივი წესით დავაყენე ღვინო, მაგრამ რატომღაც ტკბილი გამოვიდა. რით ვუშველო, წელსაც რომ იგივე არ განმეორდეს?**

***გიორგი ჩიქოვანი***

— როგორც ჩანს, თქვენმა ღვინომ დუღილი შეწყვიტა ტემპერატურის დაცემის გამო. ამ შემთხვევაში შაქარი ვერ ასწრებს ბოლომდე დაშლას და ღვინო ინარჩუნებს სიტკბოს. არ არის გამორიცხული, რომ ჰაერის ტემპერატურის მომატებასთან ერთად ღვინოში დუღილის პროცესი განახლდეს. ამიტომ, მაშინვე სცადეთ ხელოვნურად, კულტურული საფუარის საშუალებით განაახლოთ დუღილი.

### ნუ გააჩუქებთ თუთიყუშს



**— ძვირფასო რედაქცია! ოჯახში მყავს ფეხმძიმე რძალი და პატარა შვილიშვილი. ბავშვს ვუყიდეთ თუთიყუში, რომელსაც ძალიან შეეჩვია. გავიგეთ, რომ ეს ჩიტი მავნებელი ყოფილა ორსულისთვის. ამიტომ გვინდა თუთიყუში გავაჩუქოთ, მაგრამ ეს რომ პატარას ვუთხარით, ბევრი იტირა. იქნებ თქვენ გვირჩიოთ, როგორ მოვიქცეთ?**

***ნ. ჩიხლაძე***

— ის, ვინც თქვენ ასეთი არასწორი ინფორმაცია მოგაწოდათ, არც თავად იქნება დარწმუნებული თუთიყუშისა და ფეხმძიმე ქალის „შეუთავსებლობაში", რაღაც ყურმოკრული ამბავი იცის და რატომღაც სურვილი აქვს, ვინმეს თავს მოახვიოს. არ გირჩევთ ცრურწმენას დაუჯეროთ და თუთიყუში გააჩუქოთ, — ნუ ატკენთ გულს თქვენს პატარას.

### როგორ ვებრძოლოთ ტარაკანებს

**— ამ ბოლო დროს ძალიან მომრავლდნენ ტარაკანები (მრავალსართულიან კორპუსში ვცხოვრობ). ძირითადად სამზარეულოში და აბაზანაში „ამოდიან" ნიჟარებიდან. მცირეწლოვანი შვილები მყავს და სახლში მომწამლავი აირის (ქლოროფოსი) გაშვების მეშინია. იქნებ დამეხმაროთ და რაიმე ისეთი საშუალება მასწავლოთ, რაც ტარაკანებსაც მომაშორებს და საშიშიც არ იქნება ადამიანისათვის. თანაც, ეს პრობლემა, როგორც გავარკვიე, მარტო მე არ მაწუხებს.**

***ერთგული მკითხველი***

— ტარაკანების მოსაშორებლად რამდენიმე „რეცეპტს" შემოგთავაზებთ: 1) 200 გრამი ბორაქსი (იყიდება ქიმრეაქტივების მაღაზიაში), 100 გრამი დაფქული წითელი წიწაკა და 60 გრამი ხორბლის ფქვილი კარგად შეურიეთ ერთმანეთს და დაყარეთ იმ ადგილებში, სადაც ჩნდებიან ტარაკანები. 2) 100 გრამი დამწვარი თაბაშირი (გაზქურაზე ტაფაზე დაყარეთ და დიდხანს ურიეთ) და 100 გრამი ფქვილი ასევე აურიეთ ერთმანეთში.

## მკითხველის ფოტო



ფისოს უნდა ვაჭამო...

*გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ*

**რედაქციისაგან:**

ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ.

გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).

წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.



წინა სკანვორდის პასუხები: 1. პო; 2. პარნასი; 3. ანბანი; 4. რელიკვია; 5. სტელა; 6. რაი; 7. წურბელა; 8. ტარა; 9. ტრეკი; 10. „ნივა"; 11. პი; 12. რაპირა; 13. კუ; 14. გეტინგენი; 15. აგა; 16. ამბორი; 17. ტბა; 18. ბაია; 19. ეროტი; 20. ბორი; 21. ტირე; 22. გოლი; 23. სარეველა; 24. ჰერ; 25. დერბი; 26. ალი; 27. ბიტი; 28. ფაქტი; 29. ქროუ; 30. დებიტი; 31. „ლედ"; 32. განდი; 33. ბერნი; 34. გენი; 35. ამება; 36. მელანი; 37. გინეა; 38. ნირვანა; 39. რიალი; 40. ტელეფონი; 41. ორგია; 42. სექცია; 43. ნევა; 44. არაქსი; 45. სუ; 46. დინამიზმი; 47. დილემა; 48. სუნამო; 49. გუ; 50. დესერტი; 51. ქინძი; 52. გონგი; 53. მაორი; 54. მი; 55. ჟამი; 56. ავე; 57. ზებუ; 58. ფონი; 59. „კია"; 60. ქცია; 61. ინგა; 62. „ნოკია"; 63. იუნი; 64. კაა; 65. ნინო; 66. „რამა"; 67. დო; 68. დიაგრამა; 69. ავგია.

1. პატარა გოლიათები; 2. მსუნაგები; 3. სადაც დაგილამდეს; 4. მყავე რეაქცია; 5. გადამგდები.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნომერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

შეადგინა რამაზ ალანიამ

# არ უნდოდა, საქართველოში ჩამოვსულიყავი და მამაჩემის გამო „შური მეძია“... ვიცი, ვინც იყო



ერეკლე ბადურაშვილს ქართველი მაყურებელი იცნობს ფილმებით: „ავტოპორტრეტი“, „თბილისი ჩემი სახლია“, „კიდევ ერთი ქართული ისტორია“. ბოლო დროს ტელეეკრანებზე გამოჩნდა პოპულარული ტელესერიალი „ცხელი ძალლი“, რომლის პირველი ნაწილის რეჟისორიც ერეკლე ბადურაშვილია.

ერეკლეს საინტერესო ბიოგრაფია აქვს. ბადურაშვილების ოჯახს არაერთხელ დამუქრებია განსაცდელი. საბჭოთა სახელმწიფომ არა მარტო მათი წინაპრის, საშა (ალექსანდრე) ბადურაშვილის ცხოვრებას დააჩნია ბოროტი ნაჭდევი, რაკი ის ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი იყო, ტოტალიტარულმა რეჟიმმა, განსხვავებული მიზეზით, მაგრამ ერეკლესაც გამოატარა „ჯოჯოხეთი“. ამ ყველაფერს კი ფონად გასდევს ის, რომ მას, როგორც რეჟისორს, ბევრი კოლეგის მსგავსად, არანაირი სამუშაო პირობები არა აქვს.

„კიდევ ერთი ქართული ისტორია“ მხოლოდ ერთხელ უჩვენეს კინოთეატრ „ამირანში“. სურათში ბევრი რამ არის რეჟისორის მიერ რეალურ ცხოვრებაში განცდილი.

— ჩემი თაობის რეჟისორებმა რაღაც კიდევ მოვასწარით, — გვითხრა ერეკლემ, — თითო-ოროლა ფილმიც გადავიღეთ, შემდეგ ამისი საშუალებაც აღარ არსებობდა. ზოგჯერ ამბობენ, 1991 წლიდან ქართული კინო დეგრადაციას განიცდისო. 7-8 წელი რომ ერთი ფილმის გადაღებას მოუნდები, რა თქმა უნდა, ისეთი ხარისხის არ გამოგივა, როგორიც საჭიროა. ერთსა და იმავე ფილმზე ამდენ ხანს ფიქრით იღლება ადამიანი. როგორღაც გადაღება კი დავამთავრე, მაგრამ ფილმი მხოლოდ ვიდეოკასეტაზე გამოვიდა. ახლა ვცდილობ, მოსკოვში ასლი დავაბეჭდვინო, რომ დიდ ეკრანზე რამდენიმე სეანსი ვაჩვენო მაყურებელს.

**— მამაჩემის ბაბუა — ვახტანგ ბადურაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეგობარი იყო. ალექსანდრე მისი უფროსი ვაჟი გახლდათ. 16 წლის რომ შესრულებულა, მამას თავად წაუყვანია ტყეში, ქაქუცასთან და უთქვამს: ჩემი შვილი მოგიყვანე, შენთან იყოს, თუკი გიღალატებს, შენი ხელით მოკალიო. ასე გახდა 16 წლის ალექსანდრე ქაქუცასთან შეფიცული. როცა ქაქუცა უცხოეთში წავიდა, ისიც გაჰყვა, საფრანგეთში ცხოვრობდა. მოქალაქეობა არ მიუღია, ბოლომდე ელოდა, იქნებ სამშობლოში დავბრუნდეო.**



ალექსანდრე ბადურაშვილი

**— ყველაზე მთავარი რა უნდა იყოს ხელოვნებაში?**

— დღეს საზოგადოებაში სულიერების დეფიციტია. სულიერება უნდა იყოს ხელოვნებაში. ძალიან მინდა, რასაც მე განვიცდი, ჩემს შვილსაც ვასწავლო. ნინი ძალიან კარგი გოგოა, ჩვენ ისე ვმეგობრობთ, ბევრი მამა-შვილი ვერ დაიკვეხნის. რაც მე ოჯახიდან, წინაპრებიდან მომდგამს, მასშიც გადადის.

**— წინაპრები ახსენეთ. თქვენი ბაბუის ძმა, ალექსანდრე ბადურაშვილი ქაქუცას თანამებრძოლი იყო. ალბათ ბევრი რამ გადმოცემით იცით მის შესახებ.**

— მამაჩემის ბაბუა — ვახტანგ ბადურაშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეგობარი იყო. ალექსანდრე მისი უფროსი ვაჟი გახლდათ. 16 წლის რომ შესრულებულა, მამას თავად წაუყვანია ტყეში, ქაქუცასთან და უთქვამს: ჩემი შვილი მოგიყვანე, შენთან იყოს, თუკი გიღალატებს, შენი ხელით მოკალიო. ასე გახდა 16 წლის ალექსანდრე ქაქუცასთან შეფიცული. როცა ქაქუცა უცხოეთში წავიდა, ისიც გაჰყვა, საფრანგეთში ცხოვრობდა. მოქალაქეობა არ მიუღია, ბოლომდე ელოდა, იქნებ სამშობლოში დავბრუნდეო. ისეთი დრო იყო, რას დაბრუნდებოდა! მამაჩემი კომკავშირული საგზურით იყო წასული ავსტრიაში. თურმე ბიძამისიც ჩასულა. შორიდან უყურებდა ქართველებს, ხომ იცოდა, კა-გე-ბეს აგენტები უთვალთვალებდნენ, ამიტომ არც გამოელაპარაკა ძმისშვილს. ცრემლი ჩამომდიოდა, ისე გიყურებდიო, — უთქვამს მერე მამაჩემისთვის. წერილებში იხვეწებოდა: იქნებ როგორმე მომიხერხოთ საქართველოში ჩამოვიდე და მანდ დავიმარხოო...

**— ემიგრანტის ნათესავებს არ აწიოკებდნენ?**

— არა, ჩვენ ალექსანდრე ბადურაშვილის გამო არავინ გვთხოვდა პასუხს. თავის დროზე კი, თელავში, მამამისი წაუყვანიათ დასაკითხად: შენი შვილისა და ქაქუცას ადგილსამყოფელი გვითხარიო. არ ვიციო, — არ გამტყდარა ზაქარა. მაშინ ცივი წყალი უსხამთ იანვრის თვეში კაცისთვის თავზე. სულ შემოჰყინვია ტანსაცმელი. შინ უგონოდ მიუსვენებიათ ურმით. ექიმს რომ უნახავს, ხელი ჩაუქნევია, ორივე ფილტვისა და ტვინის ანთება აქვს, ვერ გადარჩებაო. ალექსანდრემ შური იძია მამამისის მწამებელზე. ტყიდან გამოვარდა ცხენით და ხანჯლით განგმირა თურმე.

**— ალექსანდრე ბადურაშვილს შვილები არ დარჩა?**

— უცოლშვილოდ გადაეგო, თვითონ იწერებოდა, — ქაქუცას რაზმი რომ დაიშალა, ფშავში გადავედით, იქ შემიყვარდა ქალი — ნათელა, მასთან შვილიც შემეძინაო. ეძებდა, მაგრამ რას იპოვიდა...

**— თქვენ ბევრი რამ გამოსცადეთ საკუთარ თავზე, როგორ ფიქრობთ, ბედისწერა იყო თუ ყველაფერს თქვენი ხასიათი განსაზღვრავდა?**

— თუ რამე მოხდა, ყველაფერი ალბათ ასე უნდა ყოფილიყო. ვცდილობ, მართალი გზით ვიარო. მყავს მეგობრები: კარგი ბიჭები, ამავე დროს ვმეგობრობ მამა იოანესთან, რომელიც 25 წელი მარტო იყო, მარტომ ააშენა დანგრეული ბეთანიის მონასტერი. მის მსგავს ადამიანებთან თუ არ გაქვს ურთიერთობა, როგორ უნდა იცხოვრო? მზა პასუხები არ არსებობს, მაგრამ არსებობს საუბარი სულიერებაზე, სადაც იბადება ჭეშმარიტება.

მაქსიმალურად ვცდილობ, ვიყო თავისუფალი. ფული საჭიროა, უნდა გქონდეს იმდენი, რამდენიც გჭირდება, მაგრამ როგორც კი იმაზე ვიფიქრებ, ეგებ ფული დავაგროვო-მეთქი, ყველაფერი მიღმა ჩამივლის. შინაგანად ახალგაზრდა ვარ. ამიტომ მეგობრობენ ჩემთან ჩემი შვილის თანატოლები.

**— თქვენ თბილისის, ბაქოს და ტაშკენტის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოგიხდათ წოლა. ალბათ როგორც ჯოჯოხეთი, ისე გახსენდებათ ის დრო.**

— ეს დიდი თემაა. ამაზე მომავალში დავწერ კიდეც. ეს რომ გადამხდა, არ გავბრაზებულვარ, რაღა მე დამემართა ეს ყველაფერი-მეთქი. გიჟი არც არასოდეს ვყოფილვარ. ბედის ირონიის გამო მოვხვდი ამ გაუგებრობაში. ბუნებით შეურიგებელი ადამიანი ვარ. ვერ ვიტან ბრძანებებს. რუსული არმია კი პირდაპირ ამაზე იყო აგებული. რომ ვერ შევეგუე, ჩათვალეს, რომ ნერვიული ვიყავი. გამამწესეს თბილისის ფსიქონერვიულ საავადმყოფოში. მერე ვიყავი ბაქოში, მერე — ტაშკენტში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში. ამ დროს მამაჩემის „შეთითხნილი“ საქმის გამოძიება მიმდინარეობდა თბილისში. ვიდრე ის არ დამთავრდა, მეც ასე მატარეს. წარმოიდგინეთ, რამდენნაირი ხალხი მყავს ნანახი... ზოგი ფსიქიკურ ავადმყოფობას იგონებდა, არ უნდოდა ჯარში ყოფნა, ნემსებს ყლაპავდა... ზოგი მართლა ავად იყო, მით უმეტეს, ტაშკენტში, სადაც ბევრი მოჰყავდათ ავღანეთიდან ჩამოსულები... მე ავღანეთის საზღვართან ვიყავი ჯარში. მინახავს რა ხდებოდა ავღანეთში. სასტიკი ომი იყო. ბევრის ფსიქიკა ვერ უძლებს ამას. რომ ნახავდი, შენ წინ ადამიანი აფეთქდა და ნაფლეთები ირგვლივ მიმოიფანტა, ადვილი გადასატანი არ იყო. აღმოსავლეთში საშინელი დასჯა იცოდნენ. ხალხს ხელებს, ფეხებს აჭრიდნენ და უდაბნოში ყრიდნენ... ამის გამო ბევრს შეერყა ჯანმრთელობა და ფსიქონერვიულ განყოფილებაში მოჰყავდათ. ვინც შიზოფრენიით დაავადდებოდა, მას ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიყვანდნენ.

**— საშინელებაა, რასაც მიამბობთ. თუმცა ამის მნახველი და განმცდელი ცხოვრებას სულ სხვა თვალით შეხედავთ...**

— ეს სკოლაა, აბა, რა. ასეთ რამეს რომ გამოივლი, რაღა უნდა გაგიკვირდეს? როგორია, 4 თვე ვიყავი ტაშკენტში, ფსიქიატრიულში. ზოგიერთ პაციენტს ღამით თვითონ ვაბამდი, რომ არ ეყვირა, არ მოგპარვოდა და თავში რამე არ ჩაერტყა. ზოგს შეუკავებლობა ჰქონდა და ლოგინში ისვრიდა. ყველა ადამიანია! ამდენ ხანს რომ უყურებ, უმეგობრდები კიდეც მათ. ერთი რუსი პაციენტი მოვიდა და მითხრა: — შენ რაღაც გაქვს, რითაც ადამიანის პატივისცემას იმსახურებ, მინდა შენთან ახლოს ვიყოო. ეს ქართველების თვისებაა. სხვები ამჩნევენ ამას და პატივს გცემენ. დამამახსოვრდა, თბილისში ერთი ბიჭი გავიცანი, გვარად ჩაიკა. ავღანეთიდან ჩამოიყვანეს, ნერვიული აშლილობა ჰქონდა. უმკურნალეს და უკან დააბრუნეს ჯარში... მერე ბაქოში შევხვდი, უკვე მძიმე ფსიქიატრიული ავადმყოფი იყო. აღარც ხმას იღებდა, ველარც მცნობდა. შვილი რომ შემეძინა — ნინი, ბაქოს ფსიქიატრიულში ვიწექი. ექიმმა გამომიძახა: — რაღაცას გეტყვი და არ შეიმჩნიოო. არა-მეთქი. გოგონა შეგეძინაო. რა დაარქვეს-მეთქი, ვკითხე. როლანდიო. კინაღამ გავგიჟდი. მერე ექიმმა მითხრა, — არ მახსოვს, შეიძლება ირინაც დაარქვესო... ჩემს წინააღმდეგ მთელი მანქანა იყო მობილიზებული. დედაჩემი ჩამოვიდა ჩემს სანახავად შუა აზიაში, ქართულად არ მალაპარაკეს, რუსულად ვლაპარაკობდით...

**— ამდენი უცხო ქვეყანა გინახავთ, ყველაზე მძაფრად რა ადგილი ჩაგრჩათ მეხსიერებაში?**

**4 თვე ვიყავი ტაშკენტში, ფსიქიატრიულში. ზოგიერთ პაციენტს ღამით თვითონ ვაბამდი, რომ არ ეყვირა, არ მოგპარვოდა და თავში რამე არ ჩაერტყა. ზოგს შეუკავებლობა ჰქონდა და ლოგინში ისვრიდა. ყველა ადამიანია! ამდენ ხანს რომ უყურებ, უმეგობრდები კიდეც მათ. ერთი რუსი პაციენტი მოვიდა და მითხრა: — შენ რაღაც გაქვს, რითაც ადამიანის პატივისცემას იმსახურებ, მინდა შენთან ახლოს ვიყოო. ეს ქართველების თვისებაა.**

— ძალიან კარგად დამამახსოვრდა მკვდარი ზღვა შუა აზიაში. გემები ისე ყრია, როგორც დახოცილი თევზები. გადაღება მინდოდა ძალიან, მაგრამ იმ ადგილას ვერ დავბრუნდი. იქ ყოფნისას ჩხუბი მომივიდა ერთ იქაურთან. რკინის ჯოხი მომიქნია. სახეში მომხვდა. მილიმეტრით ასცდა საფეთქელს, კინაღამ მომკლა. რომ გამიკერეს თვალი და მოვბრუნდი, მაგრად ვეჩხუბე... აი, ამის გამო გადამიყვანეს ტაშკენტის ფსიქიატრიულში... ბოლოს, უეცრად გამათავისუფლეს. გაკვირვებული ვიყავი, თვითონ არ ვიცოდი, რატომ შეიცვალა ყველაფერი... თურმე მამაჩემის საქმის ძიება შეუწყვეტიათ, მეც ამიტომ გამომიშვეს. ვიღაცას ეშინოდა ჩემი... არ უნდოდა, საქართველოში ჩამოვსულიყავი და მამაჩემის გამო „შური მეძია“... ვიცი, ვინც იყო. მას აუცილებლად მიუზღავს ღმერთი. მაინც, მე ვთვლი, რომ ყველაფერს გავუძელი. ფარ-ხმალი არ დამიყრია, კაცად დავბრუნდი. „კიდევ ერთი ქართული ისტორია“ ფსიქიატრიულის ეპიზოდებსაც მოიცავს.

**— მომავალში რას აპირებთ?**

— ორი თემა მიტრიალებს თავში. ერთი ახალგაზრდებზე მინდა გადავიღო, მეორე უფრო დრამატული, — კაცისა და ქალის ურთიერთობებზე.

*ლელა ჯიყაშვილი*

ძველი ამბების დასტა

# ინვალიდის ეტლი მსოფლიოს ქართველმა აჩუქა

ვაჩნაძეთა შთამომავლებს მარტო თავადური წარმომავლობითა და ნატოს ეშხით როდი შეუძლიათ თავმოწონება. მათ საგვარტომოში ბევრი ისეთი ადამიანი გაიზარდა, რომელთაც ნიჭიერებით უცხოელებიც კი გაოცებით მოახედეს თავიანთი ერისაკენ და მის წინაშე მოწიწებით ქუდი მოახდევინეს... ირაკლი ვასილის ძე ვაჩნაძის საინჟინრო მოღვაწეობის შესახებ დღეს ბევრმა შეიძლება არაფერი იცის. არადა, ცხოვრობდა ასეთი პიროვნება გასული საუკუნის დასაწყისში. საზოგადოება მას ბებურო-ვაჩნაძის სახელით იცნობდა. ტანმაღალი, ულვაშითა და მოხდენილი მიხრა-მოხრით ათას კაცში გამოირჩეოდა. ატარებდა ქართულ ჩოხა-ახალუხსა და ბოხოხს. მაშინაც კი, როცა მოსკოვის, პეტერბურგისა და ინგლისის ფირმებთან კავშირები გააბა, ფრაკითა და ყელში გაჭერილი ბაფთით საზოგადოების წინაშე არსად არ წარმდგარა. ლაკის გაპრიალებულ ფეხსაცმელსაც მუდამ ქართულ „სამეფო“ ჩექმას ამჯობინებდა. ეს



ირაკლი ვაჩნაძე თავის გამოგონილ ინვალიდის თვითმოძრავ სავარძელში

ორიგინალური ქართველი მარტო გარეგნობით არ ხიბლავდა გარშემომყოფთ. იგი საოცრად გულმოწყალე და საპყართა ბედზე დაფიქრებული კაცი ყოფილა. ნათესავი ჰყოლია ერთი — კეთილშობილი, განსწავლული და გონიერი ყმაწვილი — ბავშვობიდან ინვალიდი. ის საბრალო, ხშირად ოცნებობდა თურმე დიდ სპორტულ ასპარეზზე, მაგრამ წელში მოწყვეტილი ამას ვერ შეძლებდა და იტანჯებოდა. ბებურო-ვაჩნაძე დიდ პატივს სცემდა ამ ნათესავის ღირსებასა და განსწავლულობას. ღამეებს ათევდა ფიქრში, როგორმე შეემსუბუქებინა მისთვის ტკივილი. ასე ფიქრსა და საკუთარ თავთან ჭიდილში შექმნა თურმე ინვალიდის თვითმოძრავი სავარძელი, რომელიც სნეულთათვის იყო განკუთვნილი, მის მფლობელს კი შეეძლო იგი სპორტულ შეჯიბრებაშიც გამოეყენებინა.

თვითმოძრავი მანქანა 1912 წელს მოსკოვში გამოსცადეს. 20 ვერსი დაუბრკოლებლად გაუვლია (უბენზინოდ). მაშინვე შემდგარა ამხანაგობა, რომელსაც სპეციალური საწარმო დაუარსებია მისი სერიული წარმოებისათვის. ამ გამოგონებით მალე დაინტერესდნენ პეტერბურგშიც. როცა ეს ამბავი ინგლისელი მეწარმეების ყურამდე მისულა, იქაც შემდგარა ამხანაგობა. თავადმა ირაკლი ბებურო-ვაჩნაძემ ინგლისელებს მის მიერ გამოგონილი „ოფლის მომსპობი ჩულქების“ მოდელიც შესთავაზა. ინგლისელებმა მაშინვე ჩაუშვეს ეს გამოგონებანი წარმოებაში და ავტორს შემოსავლის 50%-ს უხდიდნენ.

XX ს. დასაწყისის ქართული პრესა დიდი ამბით გამოეხმაურა ახალგაზრდა რაციონალიზატორის გამოგონებას და შეაქო მისი ნიჭიერება. რამდენჯერმე გამოქვეყნდა ილუსტრირებული ინფორმაციებიც.

1919 წ. 19 ივლისს გაზეთი „საქართველო“ წერდა: „ირაკლი ვაჩნაძეს, რომელმაც შვიდიოდე წლის წინ გამოიგონა ინვალიდთა თვითმატარებელი, ოფლის მომსპობი წინდები და ჩულქები, ახლახანს კიდევ საზღვაო ტანისამოსიც გამოუგონია, რომლითაც ცურვა დიდ ოკეანეშიც შეიძლება. საჭიროა, ქართულმა სატეხნიკო საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ ახალ გამოგონებას და ღირსიც იქნება, გზა გაუკვლიოს“.

დღემდე ცნობილი არ არის, მართლა გაუკვლია თუ არა გზა ქართულმა სახელმწიფომ გამომგონებლის მიერ დანერგილ სიახლეებს, ერთი კი ცხადია: ვაჩნაძის საინჟინრო ნიჭმა და ნააზრევმა თავის დროზე მსოფლიო აალაპარაკა.

*ეთერ თარიმანი*

CMYK

# „საიდუმლოებები“, რომლის დამალვა აღარ სურთ

26 წლის ნატომ დედასთან შეთანხმებით გადაწყვიტა, მისთვის ძვირფასი ადამიანის „ოჯახს მიღმა“ ამბავი მოეთხრო ჩვენთვის.

„კარგა ხანია ვიცოდი მამაჩემის „საიდუმლო“, რომელსაც წლების მანძილზე საგულდაგულოდ მალავდა. მას დედაჩემიც თავისებურად უყვარდა...

გურამის და ლიზის ამბავი ყველამ იცოდა, ერთ-ერთი „მთავარი პირის“, დედაჩემის გარდა. მამის სიკვდილის მერე დედამ მაინც გაიგო ეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც შეუცხადებია, არც საყვედური უთქვამს. დედა მართლაც იშვიათი ადამიანია და ამიტომაც ვერ მიატოვა მამამ, მაგრამ დიდ სიყვარულზეც ვერ თქვა უარი, რის გამოც მთელი ცხოვრება ორცეცხლშუა იყო.

გურამს და ლიზიკოს სკოლიდან უყვარდათ ერთმანეთი. ბევრ ლამაზ ეპიზოდს იხსენებდა მოგვიანებით ნათლიაჩემი, მამაჩემის მეგობარი გოგი:

თურმე, ერთხელ, მუშთაიდის ბაღში რომ სეირნობდნენ, ბიჭების ერთ ჯგუფს თვალში მოსვლია ლამაზი გოგო და გურამისთვის უმიზეზოდ ჩხუბი აუტეხიათ. ლიზიკო გაშველებისას შემთხვევით დაზარალებულა. ვიღაცას დანა ამოუღია და გურამისკენ წასულა. ეს რომ



დაუნახავს, გადაჰფარებია შეყვარებულს... — ვაიმეო, — დაუძახია ლიზიკოს და ჩაკეცილა, მერეღა მიმხვდარან მოჩხუბრები, რომ გოგონა დაჭრეს და გაიფანტნენ. გურამს ხელი დაუტაცნია მისთვის და ასე, ხელში აყვანილი მიუყვანია იქვე, რკინიგზის საავადმყოფოში. სანამ ბეწვზე ეკიდა გოგონას სიცოცხლე, სიტყვა არ დაუძრავს და ფეხი არ გადაუდგამს გურამს, მერე კი, როცა კრიზისი უკან დარჩა, სიხარულისგან გაგიჟებულს მისი პალატა ყვავილებით აუვსია...

ბედნიერად დასრულებული ამ ინციდენტის მერე, ეჭვი აღარავის ეპარებოდა, რომ გურამი და ლიზი სულ მალე დაქორწინდებოდნენ, მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

გურამი ჯარში წავიდა, ლიზი კი მოიტაცეს. ჯარიდან ჩამოსულს საყვარელი გოგონა დედა დაუხვდა...

გავიდა წლები და გურამმა ცოლი შეირთო, მერე გავჩნდი მე... დაზუსტებით არ ვიცი, როგორ აღდგა მათ შორის ურთიერთობა, მაგრამ პატარაობიდანვე მახსოვს, „შემთხვევით“ შეხვედრილი ძალიან ლამაზი დეიდა თავის გოგონასთან ერთად ხან ზოოპარკში, ხან მუშთაიდში, ხან კი — ფუნიკულიორზე. ერთხელ, მამას მიამიტად ვკითხე კიდეც: ამ დეიდას სწორედ იქ მიჰყავს თავისი შვილი სასეირნოდ, სადაც ჩვენ მივდივართ-მეთქი. მამას გაეცინა, მაგრამ ასეთი „უცაბედი“ შეხვედრები რომ გახშირდა, ბოლოს მთხოვა: — დედიკოს ნუ ეტყვი, თორემ ეწყინებაო. რაღაცას მივხვდი, მაგრამ ბოლომდე — ვერა, თუმცა, დედაჩემთან კრინტიც არ დამიძრავს. მერე, გვიან, 15-16 წლის ასაკში ვიგრძენი, რომ მათ მართლა უსაზღვროდ უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ვერც ერთმა ვერ შეძლო გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა...

ერთხელ, მახსოვს, მამა ძალიან დაღონებული დამხვდა. ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, მოუსვენრად იყო. მაშინ 17 წლის ვიყავი. დავიმარტოხელე და ვკითხე: — რა მოგივიდა, მე და შენ ხომ მესაიდუმლეები ვართ-მეთქი. აღარ დაუმალავს, ყველაფერი მაშინ მიამბო დაწვრილებით მისი და ლიზის სიყვარულის შესახებ. მამაჩემის ნერვიულობის მიზეზი კი ის იყო, რომ იმ დღეებში ლიზის ოპერაცია გაუკეთეს, მძიმედ იყო, მამა კი მის ნახვას ვერ ბედავდა. დახმარება შევთავაზე: — მივალ მასთან, შენს მოკითხვასაც გადავცემ და მის ამბავსაც მოგიტან-მეთქი. ძალიან გაუხარდა მამას... ალბათ გაგიკვირდებათ და იკითხავთ, ამ საქციელით ხომ დედას ღალატობდიო. ღალატს ვერ დავარქმევ ამას. დედა უსაზღვროდ მიყვარდა, მაგრამ მამას ვაღმერთებდი. ვატყობდი, რომ რაც არ უნდა წინააღმდეგობა გამეწია, მამა

მაინც ვერ შეძლებდა იმ გრძნობის დათრგუნვას და ლიზის ვერ დაკარგავდა, ჩემი პრეტენზიებით კი შეიძლებოდა იგი მეც და დედასაც დაგვეკარგა. უმამობას ნამდვილად ვერ გადავიტანდი... გარდა ამისა, ლიზი საოცარი ქალი იყო, ძალიან თბილი და ალერსიანი. მას ორი შვილი ჰყავდა, ქალ-ვაჟი. მათში არ მარჩევდა. რაც მე გამიცნო, ჩემი დაბადების დღე ისე არ ჩაივლიდა, რომ რაიმე არ ეჩუქებინა ჩემთვის... არც მესაკუთრე იყო. მამა მეუბნებოდა: — არ მახსოვს, ერთხელ მაინც წამოსცდენოდეს, ცოლს გაშორდიო. არადა, თვითონ დიდი ხნის გაშორებული იყო ქმარს...

ერთხელ ბებია ცუდად გაგვიხდა. დედაჩემმა იგი მოსკოვში წაიყვანა სამკურნალოდ. ლიზი ყოველდღე მოდიოდა, სახლს გვილაგებდა, სადილს გვიკეთებდა, დიდ ყურადღებას გვაქცევდა. ერთი თვის მერე დედაჩემი ჩამოვიდა და, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა კიდეც ყველაფერი რომ ზედმიწევნით მოწესრიგებული იყო, რადგან საოჯახო საქმეები არასოდეს მიტაცებდა. აი, მაშინ კი შემრცხვა დედის. ასე მეგონა, რაღაცას ვპარავდი, კარგა ხანს თვალს ვერ ვუსწორებდი...

სულ ვფიქრობ, მამის სიცოცხლეში დედას რომ გაეგო ეს ამბავი, რას იტყოდა, ან რას იზამდა-მეთქი. იგი იმდენად გაწონასწორებული პიროვნებაა, იშვიათად მინახავს ნერვებაშლილი, თუმცაღა ყველაზე მშვიდი ქალისთვისაც აუტანელი უნდა იყოს ქმრის ღალატი... ერთხელ, მაინც ვერ მოვითმინე და ვკითხე: — მიცვალებულს ყველაფერს აპატიებენ და შენც აპატიებდი მამას, ადრე რომ გაგეგო-მეთქი? კარგა ხანს დაფიქრებული მომყვებოდა (სასაფლაოდან მოვდიოდით), მერე კი მითხრა: — ალბათ მაინც ვაპატიებდი, რადგან მამაშენი ძალიან მიყვარდაო. გული მომეწურა, შემეცოდა დედა...

მამა რომ ავად გახდა, ლიზი ძალიან განიცდიდა. ნათლიაჩემს დაჰყვებოდა სანახავად... დედაჩემი ისე იყო დადარდიანებული, ვერც ხვდებოდა, ვინ მოდიოდა და მიდიოდა. ლიზიმ კი მოსკოვიდან ჩამოიყვანა ორი პროფესორი მამას სამკურნალოდ... დიდი მცდელობის მიუხედავად, მამის გადარჩენა ვერ შეძლეს. თუკი აქამდე ახერხებდა თავის ხელში აყვანას, მძიმე წუთებში ეგ ველარ მოახერხა ლიზიმ... ტიროდა, ხმამაღლა ქვითინებდა, ეფერებოდა მამას. სწორედ მაშინ „აღმოაჩინა“ დედამ იგი. გაოცებულმა ჩურჩულით მკითხა, — ვინ არისო. აღარ დავუმალე, მოკლედ ვუპასუხე, მეგობარია-მეთქი. იმ დღეების გახსენება ძალიან მიჭირს. მესამე წელია, რაც მამა აღარ მყავს. ლიზი კი სულ ახლახან, მარტის ბოლოს გარდაიცვალა. მამაჩემის სიკვდილი იდარდა და ლოგინად ჩავარდა. ბევრჯერ, როცა მოუყოლიათ ოჯახის დამანგრეველ ქალებსა და კაცებზე, მეც გამჩენია მათი გაკილვის სურვილი, თუმცა ლიზის და მამაჩემის ურთიერთობას არასოდეს ვაიგივებდი ღალატთან. მათ მართლაც საოცარი გრძნობით უყვარდათ ერთმანეთი. მამას ყოველთვის შესაშური პასუხისმგებლობა ჰქონდა ოჯახის მიმართ, ლიზი ყველანაირად უწყობდა ხელს, იმითაც კმაყოფილი იყო, რომ გურამი ამქვეყნად არსებობდა და უყვარდა...

მამამ ერთხელ ლიზის ჩანაწერები წამაკითხა. ცრემლები ღაპაღუპით მომდიოდა და ისე ვკითხულობდი. აი, ამ ჩანაწერებიდან რამდენიმე ამონარიდი:

„...რა დავაშავე, ღმერთო? რატომ წავიდა ჩემი ცხოვრება ასე? თუმცა, ალბათ დავაშავე... ყველაფერი კანონზომიერია, ისე არაფერი ხდება... როცა მიჭირს, გურამი მენატრება. მისი თვალებიდან ხომ ისეთი სითბო იღვრება ხოლმე, საოცარი სიმშვიდე მეუფლება... როგორ გვიყვარდა ერთმანეთი... როგორ გვეიმედებოდა მომავალი... თუმცა, რა? ახლა მაინც ხომ ერთად ვართ, მაგრამ იმის გაფიქრება, რომ ის მაინც „სხვისი“ ქმარია და ჩემს შვილებს კი „სულ სხვა“ მამა ჰყავთ, მაგიჟებს; დეპრესია არ მჩვევია, მაგრამ გურამის წასვლის შემდეგ, კარგა ხანს ძალა მეცლება, არაფრის ხალისი აღარ მაქვს. ეჰ, გურამ, გურამ, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ, ის ბავშვური სიყვარული დღევანდელთან შედარებით ღიმილის მომგვრელია...“

„...გურამი კუჭს უჩივის ამ ბოლო დროს. ექიმთან მივყევი და მირჩია, მოსკოვში წაიყვანეთო. გურამი არ მომყვება. ავდგები და იქიდან ჩამოვუყვან კარგ ექიმს... ყველაფერი კარგად იქნება. გურამს რომ რამე მოუვიდეს, თავს მოვიკლავ, მაგრამ რას ჰქვია, რამე მოუვიდეს? რა სისულელეს ვლაპარაკობ, ჩემი გურამი კარგად იქნება!“

წინა ჩანაწერები არ უჩვენებია და რადგან არ ჩათვალა მაშინ საჭიროდ, არც მე გამოვაქვეყნებ, თორემ ისინი კიდევ უფრო ემოციურია.

სხვათა შორის, დედაჩემმაც წაიკითხა ლიზის ჩანაწერები და ისიც ჩუმ-ჩუმად იწმენდდა ცრემლს.

ასეა, დიდი და ლამაზი სიყვარული არც ხალხის „რისხვას“ იმსახურებს და არც ირონიას, ასეთი გრძნობა მხოლოდ თანაგრძნობის ღირსია.

ეს ჩემი აზრია და ვფიქრობ, რომ მკითხველიც არ შემედავება.

***მარინა ბაბუნაშვილი***

# აფროდიტეს სილამაზის რეცეპტები



— ნახევრამდე აავსეთ აბაზანა 30⁰-იანი წყლით, დაამატეთ 250 მგ ზღვის ან საჭმელი მარილი და 20 წუთი შიგ ჩაწექით. შემდეგ გაეხვიეთ ხაოიან ხალათში, წამოწექით 30 წუთი. გადაივლეთ შხაპი. ეს პროცედურა გამოდევნის შემაერთებელი ქსოვილიდან ტოქსინებს, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას.

— ჩაყარეთ მარლის ტოპრაკში 2-3 პეშვი შვრიის ბურბუშელა, ჩამოკიდეთ წყლით სავსე აბაზანაში ონკანის ქვეშ და ჩაწექით 20-25 წუთი. არ შეიმშრალოთ კანი, თავისით შეგაშრეთ. ამით უმჯობესდება ნივთიერებათა ცვლა და ელასტიკური ხდება შემაერთებელი ქსოვილი.

— 2 პეშვი ბალბის გამხმარი ყვავილი ჩაყარეთ ბამბის ქსოვილის პარკში და ონკანის ქვეშ ისე ჩამოკიდეთ, რომ წყალი ესხმებოდეს. დაამატეთ 200 გ ზღვის ან ჩვეულებრივი მარილი და 15-20 წუთით ჩაწექით (წყლის ტემპერატურა 25⁰) აბაზანაში. ეს პროცედურა აუმჯობესებს სისხლის მოძრაობას, ამაგრებს კანს, ხდის გლუვსა და ნაზს, ხსნის კუნთების დაძაბულობას.

— დაამატეთ აბაზანაში 30⁰-იან წყალს 10 წვეთი მანდარინის ზეთი და 1 ფინჯანი რძე. ჩაწექით 15 წუთი. მოგეხსნათ კუნთების დაძაბულობა. ეს პროცედურა ამაგრებს, ატენიანებს და ასუფთავებს კანს.

— 2 მუჭა ცაცხვის ყვავილს და 2 ს/კ კოჭას დაასხით 2 ლ წყალი და მიიყვანეთ ადუღებამდე. გააჩერეთ 20 წუთი მჭიდროდ თავდახურული, შემდეგ გადაწურეთ და ნაყენი ჩაასხით აბაზანაში. დაამატეთ 2 ფინჯანი ზღვის მარილი. ცაცხვის ყვავილი სასარგებლოა ნაზი, მშრალი და მგრძნობიარე კანისთვის.

გამოხმაურება

# მინდა ღირსების გრძნობა დაიბრუნო



წინა ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა „ჯიუტად ველოდები სიყვარულს“ ბევრს გაახსენა თავისი ამბავი. ერთ-ერთი მკითხველი მიმართავს ერთ დროს ძალიან ახლობელსა და ძვირფას ადამიანს, რომელმაც ვერ სძლია ცდუნებას, ზურგი აქცია საყვარელ გოგონას და ცოლად შეირთო ის, ვინც არ უყვარდა.

„...ბოლოს, შარშან, წინასაახალწლოდ შეგხვდი. კარი ცხვირწინ მომიჯახუნე. იმდენად იყავი სხვების ენას აყოლილი, ჩემი მოსმენაც არ გინდოდა... არ ვიცი, როგორ დაგარწმუნო, რომ შენთვის კარგის მეტი არ მინდოდა, ასეა ახლაც, როცა უკვე სხვასთან ხარ...

ჩვენს შორის შავმა კატამ მაშინ გაირბინა, როცა ბათუმის მატარებელში შემთხვევით შევხვდი შენს ნაცნობს და მკითხა, გიცნობდი თუ არა. შენი ხსენება ყოველთვის სიხარულს მგვრიდა, მაგრამ მერე, ყველაფერი აირია. არ ვიცი, იმ ნაცნობმა რა ამბავი მოგიტანა ჩემზე.

დარწმუნებული არ ვარ, რომ ბედნიერი ხარ, სწორედ ეგ მიკლავს გულს. ასე მგონია, ჩემზე უკეთ არავინ გიცნობს. ახლობლები მარწმუნებენ, რომ კაცი, რომელიც საკუთარ კაცობას ფულზე გაყიდის, არ ღირს სანერვიულოდო... არ მინდა დავიჯერო, რომ ფულზე გაყიდე ღირსება, ალბათ რაღაცამ გაიძულა ასე მოქცეულიყავი, მაგრამ რამ, ვერ გამიგია!

ერთი საშინელი თვისება გაქვს. იოლად უჯერებ და ჰყვები სხვის ენას. განა შეიძლება კაცი ასეთი მერყევი იყოს?

განა შენ არ მარწმუნებდი, ფულს არ მოაქვს ადამიანისთვის ბედნიერებაო? განა, აღფრთოვანებული არ გისმენდი, როცა მაღალ მატერიებზე ლაპარაკობდი? ეჰ, ჩემო კარგო, შენს რწმენას შენვე უღალატე.

ახლა კი, როცა საბოლოოდ დასრულდა ჩვენი ურთიერთობა, მაინც ვერ გწირავ, მინდა ბედნიერი იყო, მინდა კვლავ დაგიბრუნდეს ღირსების გრძნობა და ის სილაღე, რითიც აღფრთოვანებული ვიყავი.

***თ.ქ.“***

# ქალის გულიც ისეთი ყოფილა

***ნათქვამია, „კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა, რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ენატრება სხვისაო“. არც ქალის გული ყოფილა ნაკლები, თავის ქმრებს ხომ იწუნებენ და იწუნებენ, სრა-სასახლე თუ აქვთ, ისიც არ მოსწონთ საკუთარი, მზეს რომ ეთამაშებოდნენ სილამაზით, მაინც სხვის მშვენიერებას შენატრიან. ამიტომაც ამბობენ კაცები — ქალის გულიც და თვალიც უძღებიაო.***

**თეშური (42 წლის):** — ძალიან ლამაზი ცოლი მყავს, არც მე ვარ ურიგო. ქალების ყურადღებითაც განებივრებული გახლავართ, მაგრამ ამ ჩემი ცოლის თვალსა და გულს ვერაფერი მოვუხერხე. ამას წინათ ისეთი რამ მითხრა, ვიფიქრე, ხომ არ მეჩვენება-მეთქი. რომ შემეძლოს, ბრედ პიტს შვარცენეგერის ტანს მივაბამდი (ვითომ ბრედ პიტს რას უწუნებს! — ე.ლ.), თანაც პიტს ცხვირიც არ უვარგა. მამაკაცური, აი, დე ნიროს ცხვირი უფრო მოუხდებოდა. ცხვირის ოპერაციასაც გავუკეთებდი და „დაცემა“ კაცს გამოვიყვანდიო. ვუყურებდი ჩემს ცოლს და მიკვირდა, — ღმერთმა ასე ლამაზი რომ გააჩინა, სულ ცოტა ჭკუა რატომ არ გაიმეტა-მეთქი.



**მერაბი (37 წლის):** — შარშან ჩემმა ძმამ თავის მეუღლეს უყიდა „ფოლკსვაგენ-პასატი“, ნახმარია, მაგრამ არა უშავს. ჩემი ცოლი დაიბოლმა — მეც მინდა მანქანაო. ავდექი და ახალთახალი იმავე მარკის მანქანა ვუყიდე. ორი თვის მერე აითვალწუნა, „ბე-ემ-ვე“ მინდაო. გავყიდე „პასატი“ და ვუყიდე „ბე-ემ-ვე“. მშვენიერი მანქანაა. არ მოსწონს, ახლა „იაგუარი“ მოუნდა. აი, ეგეც რომ ვუყიდო, ცოტა ხანში „როლს-როისს“ მომთხოვს... ამიტომაც მის ბუზღუნს ყურადღებას აღარ ვაქცევ. საღამოობით მიყვება, მის რომელ დაქალს რა უყიდა ქმარმა, თანაც, ისეთი სახით მიყვება, აშკარად ზედ აწერია — აბა, შენა ხარ ქმარიო?! სიყვარულის ბრმა თვალებს რა ვუთხარი, თორემ...

**ლევანი (48 წლის):** — ჩემი ცოლი როგორც კი ვინმეს შემადარებს ნიშნის მოგებით, ვალში არ ვრჩები. მაგალითად, ძალიან ამწარებს ასეთი რამ, რას გიგავს კბილები (არადა მაგარი კბილები აქვს), მაგის პატრონი როგორ უნდა იცინოდე-მეთქი. ჯულია რობერტსი რომ გამოჩნდება ეკრანზე, მის გასაგონად ვიწყებ ოხვრას — ოჰ, რა ქალია-მეთქი... გიჟდება ლიკა. ახია მაგაზე. ტვინი არ აქვს, ანგელოზივით გოგოა და სულ ვიღაცის სილამაზე შურს.

**მეგი (34 წლის):** — ჩემი აზრით, ქალების უმრავლესობა თვალხარბია, ოღონდ ხმამაღლა ყველა არ გამოხატავს ამას. ჩემი ყველა ღირსება და ნაკლი მშვენივრად ვიცი, მაგრამ სხვას რომ ვნახავ ლამაზს, რომ ვჯობდე კიდეც, მაინც მგონია, რომ ის არის ჩემზე უკეთესი. სანამ გავთხოვდებოდი, სულ ვფიქრობდი, ახლა ამ ბიჭს რომ გავყვე ცოლად და მერე უკეთესი გამოჩნდეს, რაღა ვქნა-მეთქი. შიშით გავთხოვდი, იმის მერე გული მიწუხს — ჩემს ქმარს ხან ვის ვადარებ და ხან ვის, მგონი ავად ვარ...

**გიორგი (24 წლის):** — ჩემი სიდედრის გული რომ უძღებია, დარწმუნებული ვარ, ცოლი კი მყავს თავმდაბალი, მაგრამ სიდედრმა სისხლი გამიშრო. არ მოვწონვარ. სულ იძახის — უკეთესი სიძე არ მეკუთვნოდა მეო? ეჰ, რა დავაშავე, ეგ რომ „მერგო“, თორემ თვითონ ჩემნაირი სიძის ღირსი ნამდვილად არ არის.

**ლილი (57 წლის):** — კაცის გულია უძღები საერთოდ. რაც გვაქვს, ვერ ვაფასებთ. ზოგჯერ რაღაცას ან ვიღაცას უმიზეზოდ ავითვალწუნებთ ხოლმე და როცა ვკარგავთ, მაშინღა ვხვდებით მის ფასს. მხოლოდ სიკეთესა და სიყვარულში უნდა ვიყოთ გაუმაძღარნი, ერთმანეთს სულ თვალებში უნდა ვუყურებდეთ და ღმერთს მადლობას ვუხდიდეთ, რომ ჩვენი გზები შეაერთა...

***ეკა ლომიძე***

CMYK

# „ხალხური სიმღერის გარეშე მეობას დავკარგავთ“

ორიოდე კვირის წინ კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი იშვიათი ფურორის მოწმე გახდა, რაც დიდი ხანია არათუ ამ დარბაზს, კონსერვატორიასაც კი არ ახსოვს. ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლის „ლაშარის“ კონცერტზე დასასწრებად ორჯერ მეტმა მსურველმა მოიყარა თავი. უადგილოდ დარჩენილი მსმენელი ფოიეში უსმენდა სულგანაბული, საუკუნოვანი დუმილის შემდეგ აჟღერებულ უძველეს ფოლკლორულ ნიმუშებს. ანზორ ერქომაიშვილი აღტაცებას ვერ ფარავდა: „ჩაკრულოს“ ისეთი ინტერპრეტაცია მოვისმინე, როგორიც დღემდე არსად, არც ერთ უძველეს ჩანაწერზეც კი არ შემხვედრია“, — გვითხრა მან. სამწუხაროდ, ეს სიმღერები არ ჟღერს ჩვენს ტელერადიო ეთერში და შესაბამისად, ხალხს წარმოდგენაც კი არა აქვს იმ სიახლის შესახებ, რომელმაც დააინტერესა მსოფლიოს პოპულარული ტელეარხები და მუსიკის სპეციალისტები. ყოველივე ამის შესახებ მოგვითხრობს „ლაშარის“ ხელმძღვანელი, **გიორგი უშიკიშვილი,** რომელიც ამავე დროს ახლახან ჩატარებული ხალხური სიმღერების ფესტივალის — „არტ-გენის“ ერთ-ერთი



ორგანიზატორიც გახლდათ.

— ქართულმა პოლიფონიურმა ფოლკლორმა ალბათ დღემდე იმიტომ მოაღწია, რომ მომღერალთა ოჯახები ერთმანეთს ხალხური სიმღერის წარმოჩენაში ეჯიბრებოდნენ. ფესტივალის იდეა რომ გაგვიჩნდა, კარდაკარ დავიარეთ საქართველოს სოფლები, მომღერალ ოჯახებს ვეძებდით, ისეთი სიტუაცია დაგვხვდა, ავტირდით. კახეთში, სადაც სიმღერის კულტი იყო, აღარავინ მღერის. ქორწილი, შრომა, ლხინი თუ ჭირი ხალხური სიმღერის გარეშე მიდის და ამიტომაც ქართული ლხინი ღრეობაში გადაიზარდა. ადრე კახელი კაცი ღვინის სმისას მღეროდა, ღვინის გრადუსი სიმღერის ხანგრძლივობაზე იყო გათვლილი და არასოდეს თვრებოდა. ამიტომაც არავისზე ამბობდნენ, ნასვამია ან მთვრალიაო. ამბობდნენ — შექეიფიანებულიაო. აი, საინგილოში მცხოვრებმა ქართველებმა შემოინახეს უძველესი ტრადიცია. ღვინოსაც ნაღდს სვამენ, სიმღერასაც ნაღდს მღერიან და მათი სუფრაც აღტაცებას იწვევს.

— **გათანამედროვებული ქართული სუფრა კი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ბერძენმა რეჟისორმა მარმარინოსმა თეატრალურ ფესტივალ „საჩუქარზე“ საგანგებოდ ირონიული სპექტაკლიც კი მიუძღვნა გადაგვარებულ ქართულ სუფრას.**

— ეტყობა, იმ კაცს გული ატკინა ჩვენი სუფრის დიდი კულტურის გადაგვარებამ და სარკე დაგვიდგა წინ გონზე მოსასვლელად. ნებისმიერი უცხოელისთვის საქართველო იმითაც იყო მომხიბვლელი, რომ სუფრის, ღვინის და სიმღერის დიდი და ულამაზესი ტრადიცია გვქონდა. ვისაც ეს ერთხელ მაინც უნახავს, დღევანდელ ქართულ სუფრასთან ვეღარ ძლებს. გვინდა, ფესტივალით ხალხი ჩვენი საუკეთესო ტრადიციებისკენ, სიმღერისკენ მოვაბრუნოთ. ამ მხრივ მხოლოდ სვანეთშია კარგი მდგომარეობა. საქართველოს ბარი კი კატასტროფულ მდგომარეობაშია.

მე-19 საუკუნეში ლილვაკებზე იწერდნენ სიმღერებს. ეს იმდენად ძვირი სიამოვნება იყო, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებს აღბეჭდავდნენ. ერთ ლილვაკზე ერთ სიმღერას წერდნენ. დღეს საქართველოში ასობით უძველესი ლილვაკი ინახება და მუზეუმებში იმტვრევა. არავინ ფიქრობს მათ გაშიფვრაზე, აღდგენაზე. ჩვენმა სამეგობრომ გადავწყვიტეთ ეს ლილვაკები საფრანგეთში წავიღოთ გასაშიფრად, რათა განძი არ დავკარგოთ. როდესაც საქართველო გლობალიზაციის პროცესში ერთვება და მსოფლიო ოჯახის წევრი ხდება, მზად უნდა იყოს უზარმაზარი ცივილიზაციის მორევში შესასვლელად. თამამად უნდა განვაცხადოთ, რომ მართალია, არ გვაქვს დიდი ტერიტორიები, ნავთობი, მატერიალური კეთილდღეობა და ა.შ. მაგრამ გვაქვს უძვირფასესი კულტურული მემკვიდრეობა, რომელსაც ვერანაირი მატერიალური ღირებულება ვერ შეედრება. ამის თქმას ვერ შევძლებთ, თუ ნივთმტკიცებას, თუნდაც იმავე ლილვაკის სახით არ დავდებთ. ლილვაკის გაშიფვრა და უძველესი სიმღერების მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის გაცნობა განძის გადარჩენას ნიშნავს, მისი შენარჩუნება აუცილებელია. ეს ჩვენი ბიოგრაფია და სავიზიტო ბარათია. სხვანაირად მეობას დავკარგავთ.

— **როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია საზოგადოების მხრიდან ამ „ბიოგრაფიის“, განძის მიმართ გულგრილობა?**

— დღეს საზოგადოება ინფორმაციის ტყვეობაშია. ადამიანის თვალსაწიერი ტელეეკრანის, ჟურნალ-გაზეთების ტყვეა. მასმედია კი ხალხური სიმღერებით არ ინტერესდება. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, როცა „კვირის პალიტრამ“ გამოაქვეყნა წერილი ქართული ხალხური სიმღერის გასაჭირზე, მას საოცარი გამოხმაურება მოჰყვა. აღმოჩნდა, რომ საზოგადოება სულაც არ ყოფილა გულგრილი, მას შეხსენება სჭირდება თურმე. მარტო „კვირის პალიტრის“ მცდელობა კი ამ მხრივ ერთი მერცხლის ჭიკჭიკს ჰგავს. მასმედიას დღეს საოცარი ძალა და ფუნქცია აკისრია. თქვენ შეგიძლიათ უღირსი ღირებულად აქციოთ. სწორედ ამის შედეგია, რაც თუნდაც თანამედროვე ქართულ მუსიკალურ სამყაროში ხდება. ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს საკითხებს. გამოვიდა „ლაშარის“ ახალი ალბომი, რომელშიც 17 ისეთი სიმღერა შევიდა, საუკუნის მანძილზე რომ არავის შეუსრულებია. კრინტი არავის დასცდენია მედიაში ამის შესახებ. ეს სამწუხაროა. განა იმიტომ, რომ მე „ლაშარის“ ხელმძღვანელი ვარ. არა, ჩვენი უძველესი კულტურის, ფესვების იგნორირება ხდება, რაც კარგს არაფერს მოგვიტანს.

— **როგორც ვიცი, ამ კვირიდან იწყებთ ქართული ხალხური სიმღერის წარდგენის ორიგინალურ აქციას.**

— ეს ექსკლუზიური ინფორმაცია საგანგებოდ „კვირის პალიტრისათვის“. აქცია შემდეგში მდგომარეობს: ერთ დღეს მივალთ, მაგალითად, მეტრო „რუსთაველთან“, პარლამენტთან, ზოოპარკთან ან ვაგზლის მოედანზე, სადაც გამუდმებით ისმის უგემოვნო მუსიკა. მივვარდებით ჩოხებით, დავცხებთ ქართულ სიმღერას და მაგარ ცეცხლს დავანთებთ. მთელი კვირის განმავლობაში გვექნება ასეთი სიურპრიზები უფასო კონცერტების სახით, თან დავარიგებთ ბუკლეტებს, სადაც ხალხს შევახსენებთ, რომ აუცილებელია ხალხურ სიმღერასთან სიახლოვე. ეს არ იქნება ერთჯერადი აქცია. გარდა ამისა, ვაპირებთ განვახორციელოთ პროექტი — სოხუმში არსებულ აფხაზურ ფოლკლორულ ჯგუფთან ერთად, ჩავწეროთ კომპაქტდისკი. გვინდა კულტურული ხიდის აღდგენა ახალგაზრდებს შორის. დაგეგმილია აფხაზების კონცერტის ჩატარება თბილისში, რის შემდეგაც „ლაშარიც“ ესტუმრება ალბათ სოხუმს. ჩვენ არ ველოდებით, როდის დაგვეხმარება ვინმე, რაც შეგვიძლია, ვაკეთებთ. თუმცა, მხარში დგომაც არ გვაწყენდა სახელმწიფოს მხრიდან, თუ ჩვენმა თაობამ ხალხური სიმღერა არ იმღერა, სავალალო შედეგს მივიღებთ. „ლაშარს“ სარეპეტიციო დარბაზიც არა აქვს, ჩვენს ბიჭებს რეპეტიციებზე სასიარულოდ გზის ფულიც არა აქვთ ხანდახან. რუსთავიდან ვერ ჩამოდის მომღერალი. ერთი ქუთაისელია, არაჩვეულებრივი მომღერალი, მას 100 ლარიც კი არა აქვს, ბინა რომ იქირაოს თბილისში. გულდასაწყვეტია, რომ ჩვენს კონცერტზე გულითადი მოწვევის მიუხედავად, არც პრეზიდენტი მოვიდა და არც კულტურის მინისტრი... არადა, გვინდოდა, მათ ენახათ რა საქმეზე ვართ გადამკვდარი. გვიჭირს, მაგრამ ნარკომანებივით ვართ, ძალიან ძნელია ამ საქმეს შეეშვა.

— **წინათ ქართული ლაშქარი ომშიც სიმღერით მიდიოდა. დღევანდელ ჯარშიც შესაძლებელია ალბათ მხედრული სულისკვეთების სიმღერების შეტანა.**

— „მხედრული“, „მგზავრული“, „ლაშქრული“ ჯარის სიმღერებია. ერთი კონცერტი სამხედროებისთვისაც გვაქვს დაგეგმილი. მხედრული სიმღერები ტყუილად კი არ იქმნებოდა წინათ. სხვადასხვა ყოფითი სიმღერა ძალას და ენერგიას მატებდა ადამიანს. ქართველები ყველაფერში უდიდეს სიბრძნეს და ფსიქოლოგიურ დატვირთვას დებდნენ. ჩვენს ტინეიჯერებს სრულიად გარდაქმნის ეს სიმღერები, ასწავლის ქალის, სამშობლოს მიმართ სხვაგვარ დამოკიდებულებას, აი, დილა რომ მრავალჟამიერით დაიწყოთ, მთელი დღე მრავალჟამიერი გექნებათ.

— **გიორგი, როგორც ვიცი, „ლაშარმა“ ძალიან დააინტერესა უცხოელები.**

— დიახ. ახლახან ჩამოვიდნენ ერთ-ერთი პოპულარული გერმანული ტელეკომპანია „არტის“ წარმომადგენლები. ეს არხი მხოლოდ კულტურას ემსახურება. ქალბატონი რუთი მსოფლიო ფოლკლორზე იღებს ფილმს, რომლის ძალიან დიდი ნაწილი ეთმობა საქართველოს. ერთ-ერთი კონსულტანტი მეც გახლავართ. ფილმს მთელი მსოფლიო ნახავს.

# „თუ გინდა ხელოვანი იყო, რისკზე უნდა წახვიდე“



საქართველო ალბათ ერთადერთი ქვეყანაა, სადაც უამრავი დიდ-პატარა მომღერალი „ვარსკვლავია“. ვინ როგორ „ვარსკვლავობს“, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. ქართული შოუბიზნესის სამყარო, მიუხედავად ასეთი „ვარსკვლავთცვენისა“, კვლავაც ჩაბნელებულია და უხარისხო მუსიკით მსმენელსაც გვარიანად დაუმახინჯდა ყურთასმენა. სამწუხაროდ, მკაცრი რეალობა სხვაგვარად განსჯის უფლებას არ იძლევა. ხშირად ისეთებს უკრავენ ტაშს და სცემენ თაყვანს, რომ გული გეტკინება, მით უმეტეს, თუ ჩვენი უძველესი ქართული მუსიკის შესახებ გსმენია რამე. სამწუხარო ფაქტია, რომ დღეს უჭირთ მომღერლებსაც და მსმენელთა დიდ ნაწილსაც. ძირითადად უჭირს უმცროს თაობას, რომელსაც თუ დროულად არ მიაწვდიან სმენისთვის საჭირო „ულუფას“, შეიძლება მართლაც დაყრუვდეს და დაბრმავდეს კიდეც. ასე ფიქრობს უკვე აბიტურიენტი (აბარებს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე), მომღერალი **მარიკა თხელიძე**, რომელსაც თავისი შრომისმოყვარეობის და ცხადია, ნიჭიერების გამო მომავალში მართლაც აქვს ვარსკვლავობის პერსპექტივა. დღეს იგი ცდილობს, სწორ გზას დაადგეს, რაც მისთვისაც და მსმენელისთვისაც სასარგებლო იქნება. თუმცა, როგორც თავად მიაჩნია, შესაძლოა ამ გადაწყვეტილებით გარკვეულწილად რისკზე მიდის. მარიკა თავად გვესაუბრება ამის შესახებ.

— როდესაც ჩემმა პედაგოგმა, რუსიკო ბახტაძემ შემომთავაზა მომემზადებინა სოლო კონცერტი, მეგონა, ლაპარაკი იყო დღემდე შესრულებულ სიმღერებზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უნდა გამოვსულიყავი სრულიად ახალი პროგრამით. პროგრამა ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა, თუმცა ერთფეროვნებას მიჩვეული ჩვენი მსმენელისთვის — რთული და უჩვეულო. ჯერ კი დავეჭვდი, როგორ მიიღებდა ამ მუსიკას მსმენელი... საბედნიეროდ, ამაზე დიდხანს არ მიფიქრია. გადავწყვიტე, მსმენელის სამსჯავროზე გამეტანა სრულიად ახალი, მსოფლიო ხალხთა ფოლკლორიდან აღებული თემები და კლასიკური მუსიკა. დღეს თუ იმაზე ვიფიქრებთ, რომ შეიძლება სიახლე სათანადოდ ვერ მიიღოს მსმენელმა... და შეიძლება კომერციულად ვერ გაამართლოს, პირველ რიგში წავაგებთ ჩვენ, მომღერლები...

— **საქართველოში გავრცელებულია მოსაზრება, რომ მომღერალი იმას აწვდის მსმენელს, რასაც მისგან ითხოვენ.**

— არ მინდა ვინმეს ეწყინოს, მაგრამ ეს არასწორია. მსმენელი ითხოვს იმას, რასაც მიაჩვიეს. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, პენსიონერებს რომ 14-ლარიან პენსიასაც არ უხდიდნენ და წლების მანძილზე მოხუცები მიტინგებს აწყობდნენ ერთადერთი მოთხოვნით — გადაგვიხადეთ 14 ლარიო. ამ ხალხს ვერც კი წარმოუდგენია, რომ უფრო დიდი პენსია მოსთხოვოს მთავრობას. მსმენელიც ამ პენსიონერებს მაგონებს. თუ მათ ნაღდ მუსიკას მიაწვდი, ხვალ უკეთესს თუ არ შესთავაზებ, მართლა მიტინგს მოგიწყობს. ჩემი აზრით, თუ გინდა გერქვას ხელოვანი და შექმნა რაიმე ღირებული, აუცილებლად უნდა წახვიდე რისკზე.

— **შენი ახალი რეპერტუარის თითქმის ყველა ტექსტი ქართველ კლასიკოს პოეტებს ეკუთვნის. რატომ თქვი უარი „მოდური“ ტექსტების ავტორებზე?**

— ვასრულებ ახალ სიმღერას გალაკტიონის „ლურჯა ცხენებზე“. ჯერ თვითონ ლექსია ჩემთვის ძვირფასი. ის განცდა, რასაც ტექსტი და სიმღერა განიჭებს, მინდა მსმენელსაც გადავცე. ვფიქრობ, მაღალმხატვრული ტექსტი და კარგი სიმღერა პიროვნულად დახვეწს მსმენელს. ეს ჩემი აზრი არ გახლავთ. ვითვალისწინებ ფსიქოლოგთა, მეცნიერთა კვლევებს, დასკვნებს და მინდა ვაკეთო ის, რაც ჩემთვისაც უმჯობესი იქნება და მსმენელისთვისაც. ძველი თაობის მომღერლებისგან, მართლა ვარსკვლავებისგან მსმენია, რა ხიბლი აქვს კარგ ლექსზე დაწერილ მუსიკას, ე.ი. ლექსმა აგამღერა და ამიტომ დაწერე მუსიკა. თუ ასეთი ტენდენცია კვლავ დამკვიდრდება, ალბათ ვეღარავინ გაგვაშაყირებს, ქართველი მომღერლები მეტეოროლოგიურ პროგნოზებზე მღერიანო.

*გვერდი მოამზადა ეკა ლომიძემ*



CMYK

## ორშაბათი 21 ივნისი

კვირის პალიტრა

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.15 მოამბე 12.15 დოკ. ფილმი „ხმელთაშუა ზღვაში ზვიგენები დათარეშობენ" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.15 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ქალაქები" (დუბლინი) 15.20 ფორმულა-1 (ვიდეოჩანაწერი) 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე16.10 ფორმულა-1 (ვიდეოჩანაწერი) (გაგრძ.) 17.30 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი"18.45 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 „ღამის მატარებელი" 23.35 ფეხბურთი. შვეიცარია-საფრანგეთი01.35 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 01.55 მხ. ფილმი „ძაღლი კბილის თამაშისას„ (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" (U) 21.00 პალიტრა 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.00 მხ. ფილმი „ინდოჩინეთი„ (15)

...

10.40 მხ.ფილმი „იასონი და არგონავტები„ 12.25 მუსიკა 12.30, 16.30, 20.30, 22.30 საინფორმაციო გამოშვება 12.45 ბოევიკი „ცუდი კომპანია„ 14.40 მუსიკა 14.50 კომედია „ახალდაქორწინებულნი„16.45 მულტფილმი „ურჩხული და მზეთუნახავი„ 17.55 მუსიკა 18.20 „მზე აქ შემოჩერებია„ 18.30 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 19.00 დოკუმენტური ფილმი 20.00, 01.50 მუსიკა 20.15 „სტარტი„ 21.00 დრამა „ორნი ქალაქში„ 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.00 მხ.ფილმი „ჩრდილთა წიგნი„02.10 კომედია „სიყვარული წესების დაცვით„ 04.20 დეტექტივი „ნევადა„

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00 Новости 10.20 Владимир Кузнецов в детективе "В ПОЛОСЕ ПРИБОЯ" 12.00 Док. детектив. "Покушение". Дело 2004 г. 12.40 Следствие ведет Колобков. 13.10 Арнольд Шварценеггер в комедии "ДЖУНИОР". 15.10 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 16.20 Ирина Скобцева в фильме "ЯНТАРНЫЕ КРЫЛЬЯ". 1 с. 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.00 "Шутка за шуткой". 19.50 Сериал "КЛОН". 20.50 "Стирка на миллион". 21.00 Жди меня. 22.00 Время. 22.30 Телесериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 23.30 Криминальная Россия. "Репортаж с того света". 1 с. 00.00 Док. фильм "Потерпевшие победу". 00.50 Искатели. "Драгоценная карта СССР". 01.20 "Русский экстрим". 01.50 ФУТБОЛ. Чемпионат Европы. Сборная Швейцарии - сборная Франции. 04.05 Пол МакКартни в фильме "ПЕРЕДАЙТЕ ПРИВЕТ БРОД-СТРИТ". 05.40 Мистический триллер "В ПЛЕНУ У ПРИЗРАКОВ".

## სამშაბათი 22 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.15 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 ლერერის შოუ 15.20 სერიალი „რვაფეხა-4" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.10 სერიალის გაგრძელება 16.20 დოკ. ფილმი „ცისფერი მატარებელი" 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 17.30 „ამბობენ" (განმ.) 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი" 18.45 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 სერიალი „ფსიქფაქტორი" 22.30 „მუსიკალური არჩევნები" 23.35 ფეხბურთი. იტალია-ბულგარეთი 01.35 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 01.55 მხ. ფილმი „წინააღმდეგობა„ (15)

...

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00 Новости 10.20, 22.30 Телесериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50 Сериал "КЛОН" 12.20 "Ералаш". 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом". 13.10 Дмитрий Медведев в фильме "Я - РУССКИЙ СОЛДАТ" 15.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 16.20 Ирина Скобцева в фильме "ЯНТАРНЫЕ КРЫЛЬЯ". 2 с. 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.00 "Шутка за шуткой". 19.20 Док. сериал "Прогулки с морскими чудовищами". 19.50 Сериал "КЛОН". 20.50 "Стирка на миллион". 21.00 Телесериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН". 22.00 Время. 23.35 Футбол. Чемпионат Европы. Сборная Дании - сборная Швеции. 01.40 Футбол. Чемпионат Европы. "Португальские таймы". 02.30 Брендон Ли в боевике "БЕГЛЫЙ ОГОНЬ"

## ოთხშაბათი 23 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 00.40 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „შავკანიანთა მუსიკა" 1-ლი ს. 15.20 სერიალი „რვაფეხა-5" 1-ლი ს. 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.20 დოკ. ფილმი „სიკვდილს გადარჩენილნი" 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 17.30 „მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი" 18.45 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 „ღამის მატარებელი" 23.35 ფეხბურთი. ჰოლანდია-ლატვია 01.35 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 01.55 მხ. ფილმი „ნივთმტკიცება" (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"(U) 21.00 დოკ. ფილმი „ჩემი საყვარელი ოჯახი" 21.20 ჩვენი მისამართია 22.00 მხ. ფილმები „ლიმილის ბიჭები„(U)

...

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00 Новости 10.20, 22.30 Телесериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50 Сериал "КЛОН" 12.30 Мультсериал "Кошки-мышки". 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом". 13.10 Александр Феклистов в фильме "ОТРЯД" 15.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 16.10 Игорь Шавлак в детективе "КРУТЫЕ: СМЕРТЕЛЬНОЕ ШОУ" 1 с. 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.00 "Шутка за шуткой". 19.20 Док. сериал "Прогулки с морскими чудовищами". 20.50 "Стирка на миллион". 21.00 Телесериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН". 22.00, 00.30 Время. 23.40 Спецназ. "Дуэль на вертикали". 00.50 "Сканер". 01.20 "Гении и злодеи". 01.50 ФУТБОЛ. Чемпионат Европы. Сборная Германии - сборная Чехии. 03.55 Сэм Нил в триллере "ПРЕДЗНАМЕНОВАНИЕ" 05.40 Новые чудеса света. "Нейпир - город потерянного времени".

## ხუთშაბათი 24 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „კორტო მალტეზის 13 ცხოვრება" 15.15 სერიალი „რვაფეხა-5" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.30 დოკ. ფილმი „მხატვრები და პროვანსი" 17.00 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 17.30 ჯანმრთელობა 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი" 18.45 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 სერიალი „ფსიქფაქტორი" 22.30 „მუსიკალური არჩევნები" 23.35 ფეხბურთი. მეოთხედფინალი. 01.35 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 01.55 მხ. ფილმი „რისკით უნდა იცხოვრო„ (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა" (U) 21.00 დოკ. სერიალი „მოგზაურობა" 22.00 მხ. ფილმი „პიანისტი„ (15)

...

ფანტასტიკა „დროის გამჩერებელნი„ 18.30 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი„ 19.00 დოკუმენტური ფილმი 20.15 „სტარტი„ 21.00 ბოევიკი „სნაიპერი 2„ 23.00 „ექსკლუზივი„ 00.00 დეტექტივი „მინისქვეშა გადასასვლელი„ 02.00 მელოდრამა „ღმერთების შური„ 04.10 მუსიკა 04.30 ფანტასტიკა „ბატაკა„ 05.10 დოკუმენტური ფილმი

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00 Новости 10.20, 22.30 Телесериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20, 19.50 Сериал "КЛОН" 12.30 Мультсериал "Кошки-мышки". 12.40 Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". 13.10 Лидия Пупуре в детективе "ШАХ КОРОЛЕВЕ БРИЛЛИАНТОВ" 15.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 16.20 Детектив "КРУТЫЕ: СМЕР-ТЕЛЬНОЕ ШОУ". 2-я с. 17.20 "Угадай мелодию" 17.50 "Большая стирка" 19.00 "Шутка за шуткой" 19.20 Док. сериал "Прогулки с морскими чудовищами". 20.50 "Стирка на миллион". 21.00 Телесериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН". 22.00, 00.30 Время. 23.35 "Человек и закон" 00.50 Дневник Московского кинофестиваля. 01.20 Ударная сила. "Истребители танков". 01.50 Неизвестная планета. "Кавказский Вавилон". 02.40 Барбара Стрейзанд в фильме "ПРИНЦ ПРИЛИВОВ" 04.45 Гарри Хэмлин в триллере "КАРАНТИН".

## პარასკევი 25 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი „სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ოსურ ენაზე 14.05 დოკ. ფილმი „მოსფილმი" 15.15 სერიალი „რვაფეხა-5" 16.00 მოამბე ინგლისურ ენაზე 16.05 სერიალის გაგრძელება 16.20 დოკ. ფილმი „მხატვრები და პროვანსი" 16.55 მულტსერიალი „ჯუჯების ახალი სამყარო" 17.20 „მუსიკალური არჩევნები" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი „უშიშართა ახალი თავგადასავალი" 18.45 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 19.05 „იმღერე რამე" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.05 სერიალი „სოლედადი" 22.00 „ღამის მატარებელი" 00.00 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 00.20 მუს. ფილმი 01.05 მხ. ფილმი „ფხიზელი ძილი„ (15)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"(U) 21.00 დოკ. ფილმი "ეგვიპტოლოგიის პიონერები„ 21.40 აფხაზეთის ტვ. 22.00 მხ. ფილმი „ათასი მილიარდი დოლარი„ (12)

...

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00 Новости 10.20 Телесериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ" 11.20 Сериал "КЛОН" 12.20 "Ералаш". 12.40 Мультсериал "Принцесса Сисси". 13.10 Игорь Бочкин в фильме "ЧП РАЙОННОГО МАСШТАБА" 15.00 Сериал "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 16.10 Сериал "ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА" 17.50 "Большая стирка" 19.00 "Шутка за шуткой". 19.20 Док. детектив. "Ловцы "скорпионов". Дело 2004 г. 19.50 "Основной инстинкт". Ток-шоу 20.50 "Поле чудес" 22.00 Время. 22.30 ВЫПУСКНОЙ БАЛ В КРЕМЛЕ. 23.45 Брекин Мейер в комедии "ДОРОЖНЫЕ ПРИКЛЮЧЕНИЯ" 01.40 ВЫПУСКНОЙ БАЛ НА ПЕРВОМ. 03.15 Алисиа Витт в триллере "ГОРОДСКИЕ ЛЕГЕНДЫ" 04.50 Мистический триллер "В ПЛЕНУ У ПРИЗРАКОВ".

## შაბათი 26 ივნისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 01.35 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.30 საქართველო არის ესე 12.20 მხ. ფილმი „მომხიბვლელი თოვლის ქალი" 14.00 სერიალი „სანდრა და მისი გუნდი" 15.20 სერიალი „რვაფეხა-5" 16.20 ცირკის საერთაშორისო ფესტივალი 17.00 დოკ. სერიალი „ცხოველთა სტრატეგია" მე-3ს. 18.00 „ვესტნიკი" 18.30 „ევრო-2004„ (მიმოხილვა) 18.55 იმღერე რამე 19.30 ისტორიანი 20.35 ცაიტნოტი 22.00 ფორტუნა 22.40 „საღამოს საუბარი" 23.35 ფეხბურთი. მეოთხედფინალი. 01.45 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე" 02.05 მხ. ფილმი „გაალე პოლიცია" (12)

19.00 მულტფილმი „კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" 19.30 სერიალი „ეშმაკუნა"(U) 21.00 მუსიკალური ოქტაგონი 22.00 მხ. ფილმი „სამიზნე„ (15)

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი „ჯადოქარი" 09.00, 12.00, 15.00 ...

...

07.00, 11.00, 13.00 Новости. 07.10 Сериал "Все путешествия команды Кусто". "Спящая акула Юкатана". 07.40 Татьяна Доронина в фильме "КАПЕЛЬ" 09.20 Играй, гармонь любимая! 10.00 Слово пастыря. 10.10 Здоровье. 11.10 "Смак" с Андреем Макаревичем. 11.30 "Любовные истории". Эммануил Виторган. 12.00 "Пестрая лента". Зоя Федорова. 13.10 История с географией. "Братья по крови: Возвращение в воду". 14.10 Дог-шоу. 15.00 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". 15.20 "Ералаш" 15.40 Умницы и умники. 16.20 Евгений Матвеев в фильме "ОСОБО ВАЖНОЕ ЗАДАНИЕ" 18.50 Золотые годы Микки Мауса. Впервые в России. 19.00 "Шутка за шуткой". 19.10 "КВН-2004". Премьер-лига. Четвертая игра. 21.00 "Кто хочет стать миллионером?" 22.00 Время. 22.20 "Розыгрыш". 23.35 Футбол. Чемпионат Европы. 1/4 финала. Прямой эфир из Португалии. 01.40 Эммануэль Беар в мелодраме "ФРАНЦУЗСКАЯ ЖЕНЩИНА" 03.30 Джин Хэкмен в триллере "РАЗГОВОР" 05.40 Мистический триллер "В ПЛЕНУ У ПРИЗРАКОВ".

## კვირა 27 ივნისი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.05 მოამბე 08.15 სერიალი „ოჯახური ურთიერთობანი" 10.00 დილის პაემანი 10.35 „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" 11.30 სპა 12.20 მხ. ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი" 13.40 დოკ. სრიალი „მსოფლიოს ქალაქები" 14.00 სერიალი „სანდრა და მისი გუნდი" 15.20 სპექტაკლი „კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ლიტერატურა" 16.30 დოკ. ფილმი "ტიბეტი" 17.25 „მათი შვილები" (თამარ ნუცუბიძე) 18.10 იმღერე რამე 18.45 „ევრო-2004„ 19.00 დოკ. სერიალი „არტე" 19.15 ჩვენი მისამართია 20.35 დოკ. სერიალი „მე-20 საუკუნის დიდებული ქალბატონები" 21.05 მუს. ოქტაგონი 22.00 ტვ-ლოტო 22.45 ამბობენ 23.15 სატ. ფილმი „ლადო ასათიანი" 00.15 ვიდეოფილმი „საქართველო მე-20 საუკუნე". 00.35 მხ. ფილმი „რაც არ მერგება, არ შემერგება" (15)

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 სტუმრად მსახიობთა სტუდიაში (ქვინ სპეისი) 20.30 ძველი აფიშა 21.00 მრავალსახეობა 21.45 პალიტრა 22.00 მხ. ფილმი „მამები" (12).

08.00 კლასიკა 08.30 მულტსერიალი ...

...

07.00, 11.00, 13.00 Новости. 07.10 Сериал "Все путешествия команды Кусто" 07.40 Леонид Быков в драме "АТЫ-БАТЫ ШЛИ СОЛДАТЫ..." 09.20 Служу Отчизне! 09.50 Дисней-клуб: "Тимон и Пумба". 10.10 "В мире животных" 11.10 "Непутевые заметки" 11.30 Пока все дома. 12.00 "Угадай мелодию" 12.30 Футбол. Чемпионат Европы. "Португальские таймы". 13.10 Премьера комедийного сериала "ДЕФЕКТИВНЫЙ ДЕТЕКТИВ". 14.40 Павел Любимцев в программе "Путешествия натуралиста". 15.15 Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда". 15.40 "Большие родители". Олег Ефремов. 16.10 Дачники. 17.10 Андрей Миронов в комедии "ТРИ ПЛЮС ДВА" 19.00 Времена. 19.40 Джефф Голдблюм в фильме "ЗАТЕРЯННЫЙ МИР: ПАРК ЮРСКОГО ПЕРИОДА" 22.00 Время 22.45 Церемония закрытия XXVI Московского международного кинофестиваля. 23.35 Футбол. Чемпионат Европы. 1/4 финала. 01.40 Бокс. Заб Джуда - Кори Спинкс. 02.40 Нив Кэмпбелл в мелодраме "ТРУППА" 04.50 Мистический триллер "В ПЛЕНУ У ПРИЗРАКОВ".

ინფორმაცია მოგვაწოდა შპს „ინფოზაგრმა"

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**თუკი ბავშვს აქვს ცუდი სარძევე კბილები, ნიშნავს თუ არა ეს, რომ ძირითადი კბილებიც ასეთი ექნება? შესაძლებელია თუ არა მუდმივი კბილების კარიესის პროფილაქტიკა?**

***პატივისცემით ნინო ძ.***

ქრონიკული პერიოდონტიტით (კბილის რბილი ქსოვილის ანთება) დაავადებული სარძევე კბილები უარყოფითად ზემოქმედებს მათ ქვემოთ მდებარე მუდმივი კბილების ჩანასახის განვითარებაზე: იგი შეიძლება მოკვდეს და საერთოდ აღარ ამოიჭრას ან კბილში არასწორად მოხდეს მაგარი ქსოვილების (მინანქრისა და დენტინის) ფორმირება. ასეთ შემთხვევაში იცვლება კბილის ფერი, მისი ფორმა. მუდმივი კბილების მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მემკვიდრულ ფაქტორებზე, ბავშვის ავადმყოფობაზე სიცოცხლის პირველ წელს და, რაღა თქმა უნდა, პირის ღრუს ჰიგიენაზე. თუ ბავშვს დაავადებული სარძევე კბილები აქვს და მას დროულად არ უმკურნალებთ ან არ ამოუღებთ, როცა ეს საჭიროა, შეიძლება დაზარალდეს არა მხოლოდ ქვეშმდებარე ძირითადი კბილი, არამედ მთელი ორგანიზმი, რადგან დაავადებული კბილი ქრონიკული ინფექციის კერაა. ძირითადი კბილების კარიესის პროფილაქტიკა გულისხმობს რამდენიმე აუცილებელი წესის დაცვას:

საჭიროა პირის ღრუს საგულდაგულო ჰიგიენა ძირითადი კბილების ამოჭრის მომენტში.

სასურველია ვიზიტი სტომატოლოგთან წელიწადში ორჯერ, იმის მიუხედავად, სტკივა თუ არა პატარას კბილი.

ბავშვს ესაჭიროება ხარისხიანი საკვები, რომელშიც ნახშირწყლების შემცველობა არ აჭარბებს დადგენილ ნორმებს და, რომელიც ოპტიმალური რაოდენობით შეიცავს კალციუმს, მაგნიუმს, სხვა მინერალებს, ცილებს. მნიშვნელოვანია წყლის შემადგენლობაც. იგი უნდა შეიცავდეს ფტორის საკმაო რაოდენობას (1-1,5 მგ 1 ლ წყალზე).

ვიტამინები და ფტორის შემცველი პრეპარატები ინიშნება მხოლოდ საჭიროებისამებრ. არ შეიძლება ისინი დაენიშნოს განურჩევლად ყველას. პატარებისთვის, რომელთაც კარიესით კბილების მრავლობითი დაზიანებები აქვთ, რეკომენდებულია კალცინოვა, რომელიც კალციუმისა და ვიტამინებს საჭირო დოზით უზრუნველყოფს ორგანიზმს.

**შეუძლია თუ არა ტარაკნებს რაიმე დაავადების გადატანა ან არის თუ არა მათგან რაიმე სარგებელი?**

***მკითხველი***

ბუნებაში ტარაკნებს მართლაც მოაქვთ გარკვეული სარგებელი — ისინი მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლაში, ნიადაგის წარმოქმნაში, ამასთან, წარმოადგენენ საკვებს ზოგიერთი ცხოველისათვის. სახლის ტარაკნები ქმნიან ანტისანიტარიულ პირობებს და გადააქვთ ნაწლავური დაავადებები. ამიტომ საჭიროა ბრძოლა ამ მწერებთან.

**შოკოლადის ჭამის შემდეგ კარგ გუნებაზე ვდგები. მართლა არის რაიმე კავშირი შოკოლადსა და განწყობილებას შორის, თუ ეს უბრალო დამთხვევაა?**

***ლერი ჩომახიშვილი***

შოკოლადის შემადგენლობაში შედის ფსიქოაქტიური ნივთიერება — თეობრომინი. მისი წყალობით იფანტება ნაღველი და მაღლდება შრომისუნარიანობა. მასში შედის ნივთიერებები, რომლებიც ასტიმულირებს ენდორფინის (ე.წ. ბედნიერების ჰორმონის) გამომუშავებას. ამით აიხსნება ემოციური სტრესის შემდეგ შოკოლადის ჭამის სურვილი. აგრეთვე მიკროელემენტები და $B^1$, $B^2$, PP, F ვიტამინები. შოკოლადი ხელს უწყობს სეროტონინის გამომუშავებას, რომელიც ჩვენს განწყობილებაზე ზრუნავს. თუ ორგანიზმში ეს ნივთიერება არ არის საკმარისი, შეიძლება განვითარდეს დეპრესია. ყველაზე „ეფექტიანად“ ითვლება შავი შოკოლადი, რადგან იგი ნატურალურია.

**ჩემს 5 წლის გოგონას ზოგჯერ თავბრუ ესხმის. სხვა თითქოს არაფერი აწუხებს. გთხოვთ, მირჩიოთ, რომელ ექიმს უნდა მივმართოთ და აუცილებელია თუ არა ასე შემთხვევაში ექიმის კონსულტაცია?**

***ერთგული მკითხველი ლამარა ვ. თელავი***

ექიმს აუცილებლად უნდა მიმართოთ იმ შემთხვევაში, თუ თავბრუსხვევა ხშირია და 4-6 კვირის განმავლობაში მუდმივად მეორდება, აგრეთვე, თუკი იგი უკარგავს ბავშვს მოძრაობის უნარს, თუ ეს ნიშანი გაჩნდა ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადების ან ვესტიბულარული პათოლოგიის ფონზე. საყურადღებოა, ხომ არ აღენიშნება ბავშვს სმენის ცვლილება ან თვალების უჩვეულო მოძრაობები. დიაგნოზის დასაზუსტებლად მიმართეთ ბავშვთა ნევროლოგს. ამისთვის დღეს არსებობს კვლევის თანამედროვე მეთოდები: თავის ტვინის კომპიუტერული და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, თვალის მოძრაობის კომპიუტერული და ვიდეოგრაფიული რეგისტრაცია და სხვ.

**ჩემმა ვაჟმა რამდენიმე დღის წინ თავი დაარტყა, თუმცა არც გონება დაუკარგავს, არც გულისრევა ჰქონია, მხოლოდ დიდი კოპი ჰქონდა. მაინც ვშიშობ, რამე არ გამომეპაროს. ტყუილად ვღელავ თუ მაინც სჯობს, ექიმს მივმართო?**

***თქვენი ერთგული მკითხველი მარიამ ლაფერაშვილი***

განვითარდა თუ არა ტრავმის დროს ტვინის შერყევა, ამის დადგენა მხოლოდ ექიმს შეუძლია. გირჩევთ მიმართოთ გამოცდილ ნევროლოგს. ქალა-ტვინის ტრავმის საშიშროება მხოლოდ ტვინის შერყევის შესაძლო განვითარება როდია. არსებობს უფრო მძიმე პათოლოგიური პროცესები, რომლებიც პირველ ხანებში არ ვლინდება და საწყის ეტაპზე მათი შეცნობა პაციენტისთვის შეუმჩნეველი, სულ უმნიშვნელო ნიშნებით არის ხოლმე შესაძლებელი.

## კარაბადინი

**ვეხმაურები მკითხველს, რომელიც ითხოვდა რევმატიზმის სამკურნალო მცენარეულ წამალს. მეც მაწუხებს რევმატიზმი, მაგრამ წამლები კუჭს მიღიზიანებს, ამიტომ დიდხანს ვიკვლევდი, რომელი მცენარეები შეიძლებოდა გამომეყენებინა. ბოლოს მივაგენი ასეთ რეცეპტს: აიღეთ 1 ს/კ ხეჭრელის ქერქი, 4 ს/კ არყის ხის კვირტები და 5 ს/კ ტირიფის ქერქი. ამ ნარევის ერთი სუფრის კოვზს დაასხით 1,5 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დადგით წყლის ორთქლზე 15 წუთი. გადმოდგით, შეაგრილეთ, გადაწურეთ და მიიღეთ 1/2 ჩ/ჭ 4-ჯერ დღეში. ამ ნაყენის მიღებას ვიწყებ ხოლმე, როდესაც დაავადება მიმწვავდება და ძალიან მშველის.**

***პატივისცემით მ. მჭედლიძე***

**ექიმის კომენტარი:** ნაყენი შეიცავს სალიცილის ნაერთებს, რომელთაც აქვს ანთების საწინააღმდეგო და ოფლმდენი მოქმედება, ამიტომ დადებით შედეგს იძლევა სახსრების ანთების გამწვავების პერიოდში.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

## მკითხველი — მკითხველს

**1 წლის წინ დამეწყო ადგილ-ადგილ თმის ცვენა. ექიმმა დამიდგინა „ბუდობრივი ალოპეციის“ დიაგნოზი. მკურნალობამ არ მიშველა. იქნებ ვინმემ იცოდეს ხალხური რეცეპტი ამ დაავადების სამკურნალოდ.**

***ერთგული მკითხველი***

**ეგებ ვინმემ იცოდეს პანკრეატიტის ხალხური მკურნალობის მეთოდი.**

***მკითხველი***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ფსორიაზი — გამოუცნობი დაავადებაა...

ეს თითქოსდა სიცოცხლისთვის უსაფრთხო სენი ძალიან ბევრ ოჯახს, კარიერას ანგრევს და ადამიანებს მშვიდ ცხოვრებას აკარგვინებს. რადგან ფსორიაზის გამომწვევი მიზეზები დღემდე ექიმებისთვის უცნობია, ამიტომ არც მისი განკურნების წამალი არ არის. ამ დაავადების საიდუმლოს ამომხსნელს ელოდება ნობელის პრემია, ხოლო უინსტონ ჩერჩილი, რომელიც ფსორიაზით იტანჯებოდა, დაპირებული იყო, ვინც კი ამ დაავადებაზე გაიმარჯვებდა, ოქროს ძეგლს დაუდგამდა. მაგრამ... ჯერჯერობით არც პრემია და არც ძეგლი არავის რგებია. თუმცა, არსებობს თეორიები იმის შესახებ, თუ რა იწვევს ფსორიაზს: — უცნობი ვირუსი, სტაფილოკოკი, ნერვული სისტემის მუშაობის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ალერგია, მემკვიდრეობა და ჰორმონები. ფსორიაზით ავადდებიან როგორც პატარები, ისე მოხუცები.

ხშირ შემთხვევაში ეს დაავადება თავს იჩენს 15-25 წლის ასაკში, მენოპაუზის წინა პერიოდში (როდესაც ორგანიზმში მიმდინარეობს ჰორმონული ცვლილება), მენსტრუაციის დროს და მეძუძურ დედებში.

დერმატოლოგ-ფიტოთერაპევტებს მიაჩნიათ, რომ ფსორიაზს იწვევს ნაწლავების, თირკმლებისა და ღვიძლის ცუდი მუშაობა, როდესაც ისინი წყვეტენ გამწმენდ ფუნქციას, ტოქსინები ხვდება სისხლში და ლიმფურ ჯირკვლებში. ასე რომ, ფსორიაზი არის ორგანიზმის მცდელობა — გათავისუფლდეს ტოქსინებისგან.

არსებობს ყოველი თეორიის როგორც დამამტკიცებელი, ასევე საწინააღმდეგო აზრი. თუმცა, ერთი რამ მაინც უტყუარია — ფსორიაზი გადაეცემა მემკვიდრეობით.

ფსორიაზის პროვოცირებას ახდენს:

1. სტრესები და ემოციური გადატვირთვა;
2. ალკოჰოლი, განსაკუთრებით, შამპანური და ლუდი;
3. ცხიმიანი, სანელებლები და კონსერვები (შოკოლადი, ციტრუსები, პომიდორი, ბადრიჯანი, ღორის და ძროხის წითელი ხორცი);
4. ჰორმონული „ქარიშხალი“;
5. ინფექციები (ტონზილიტი, ჰერპესი, გრიპი და სხვა);
6. გაცივება ან პირიქით, მზეზე გადახურება;
7. ფსორიაზისადმი მიდრეკილების მქონე ადამიანებში შეიძლება ფსორიაზის გამომწვევად იქცეს — ტრავმები (გაჭრა, დამწვრობა და ა.შ.).

მართალია, ფსორიაზი არ იკურნება, მაგრამ მისი „დაოკება“ მაინც შეიძლება — მიაჩნიათ ექიმებს, რისთვისაც არსებობს დასალევი წამლები, სალიცილის მალამო, ჰორმონული პრეპარატები და ა.შ.

აზრი იმის შესახებ, რომ ფსორიაზის დროს წყლისგან თავი უნდა შევიკავოთ, მცდარია. პირიქით, სასარგებლოა აბაზანები, აბანო, განსაკუთრებით საუნა.

ფსორიაზი იწყება კანის გაწითლებით, შემდეგ ჩნდება წერტილოვანი ბალთები, რომელიც იქერცლება. ის შეიძლება გაჩნდეს ნებისმიერ ადგილას, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის იბუდებს იდაყვებსა და მუხლებზე. ამ დროს კანი უხეშდება, მუქდება, იქერცლება, ჩნდება ქერტლი, რაც იწვევს ქავილს და იწყება სახსრების ტკივილი, კანი იჭიმება, ფრჩხილები ყვითლდება და ფორებიანი ხდება, ზოგჯერ ტემპერატურაც იწევს.

საოცარია, რომ ფსორიაზის დროს თმა არ წყვეტს ზრდას — აი, კიდევ ერთი საიდუმლოება ამ საოცარი დაავადებისა.

***სობესედნიკი №19***

## ზურმუხტისფერი სასწაულმოქმედი



ხურტკმელი (კრიკინა, ორყუნწა, ჩრდილოეთის ყურძენი) მდიდარია ვიტამინებით, სპილენძით, ფოსფორით, თუთიით, მაგნიუმით, ნატრიუმით, ფოლიუმის მჟავათი. A ვიტამინის შემცველობით ის ბევრად აჭარბებს ჟოლოს, ალუბალსა და ვაშლს. ასევე შეიცავს A, C ვიტამინს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმიდან მძიმე მეტალების გამოდევნას და — სილიციუმს, რომელიც ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს. ეს სასწაულმოქმედი კენკრა შეიძლება ჭამოთ გულით, თირკმლებით, შარდის ბუშტით, ჰიპერტონიით, ათეროსკლეროზით, ანემიით დაავადებულებმა, საუცხოოა სიმსუქნის საწინააღმდეგოდ. ხურტკმელი მსუბუქი გამხსნელია, ნაღველ და შარდმდენია.

მისი ჭამა რეკომენდებულია ორგანიზმში რკინის, სპილენძის უკმარისობის, შეშუპების, ქრონიკული ყაბზობის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის და კანის დაავადებების დროს. ხურტკმელი გამოდევნის ორგანიზმიდან ტოქსინებისა და რადიოაქტიურ ნივთიერებებს, აუმჯობესებს მხედველობას.

*რეკომენდებულია:* კარდიონევროზის, გასუქების, ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას მიიღოთ 3-4 კვირა დღეში, 500-700გ ხურტკმელი.

*ანემიის, ქრონიკული ყაბზობის დროს* 1ს/კ ხურტკმელს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი 10 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გააცივეთ, გაწურეთ და სვით 0,5 ჩ/ჭ ნაყენი 4-ჯერ დღეში, ჭამის წინ.

*ეგზემა თუ გაქვთ:* 1 ს/კ მწიფე ნაყოფს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ადუღეთ 10 წუთი, გააცივეთ, გაწურეთ და შეიზილეთ მტკივნეულ ადგილზე.

*ტუბერკულოზით დაავადებულებმა* 1 ს/კ დაქუცმაცებულ ხურტკმელის ფოთოლს უნდა დაასხათ 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, გააჩეროთ 15 წუთი, გადაწუროთ და სვათ 0,5 ჩ/ჭ ნაყენი დღეში 3-4-ჯერ, ჭამამდე 20 წუთით ადრე.

*გახსოვდეთ!* ხურტკმელი არ უნდა ჭამოთ, თუ გაქვთ კუჭის წყლული, ენტერიტი, დიაბეტი და თირკმლების დაავადება.

ეს ზურმუხტისფერი კენკრა გამოიყენება კოსმეტიკაშიც.

**გთავაზობთ რეცეპტებს:**

ჭორფლისა და პიგმენტური ლაქების დროს მკვახე ხურტკმელის ნაყოფი დაჭყლიტეთ, გამოწურეთ წვენი და წაისვით სახეზე, 5 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ცივი წყლით. პროცედურა ჩაიტარეთ დღეში 2-3-ჯერ, ერთი კვირის განმავლობაში.

*მოდუნებული (მოშვებული) სახის კანს* ამკვრივებს: 0,5 ჩ/ჭ ახალ არაჟანს შეურიეთ 2 ჩ/კ დაჭყლეტილი ნაყოფი და წაისვით სახესა და დეკოლტეზე, 30 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ თბილი წყლით.

*მშრალი სახის კანი* თუ გაქვთ: 1/4 ჩ/ჭ რძეს შეურიეთ 1/4 ჩ/ჭ ხურტკმელის წვენი, დაასველეთ მარლა, დაიფინეთ სახეზე, ზევიდან კი — სველი პირსახოცი. 15-20 წუთის შემდეგ სახეზე წაისვით მკვებავი კრემი.

*მგრძნობიარე კანს* დაგიამებთ: 1-1 ჩ/კ თაფლსა და ხაჭოს შეურიეთ 2 ჩ/კ ხურტკმელის წვენი. წაისვით სახეზე, 10—15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ ცივი წყლით.

*ფორებიანი და ხორკლიანი კანისთვის:* კენკრის ფაფას დაამატეთ თაფლი და კვერცხის გული, წაისვით 10—15 წუთით სახეზე და შემდეგ ჩამოიბანეთ ცივი წყალი.

**გთავაზობთ ხურტკმელის მურაბის რეცეპტს:**

1კგ შაქრისა და 2 ჩ/ჭ წყლისგან მოადუღეთ სიროფი, დაამატეთ 5-6 ც ალუბლის ფოთოლი, მიიყვანეთ ადუღებამდე, ჩააწყვეთ შიგ 1 კგ ხურტკმელის ნაყოფი, ადუღეთ 3 წუთი და გააცივეთ. 2 საათის შემდეგ ისევ მიიყვანეთ ადუღებამდე, ისევ გააცივეთ და 2 საათის შემდეგ მოხარშეთ.

***ცელებნიკი №15***

## მივიწყებული რეცეპტები

*ოსტეოქონდროზის დროს:* 1/4 ჩ/ჭ არაყს შეურიეთ 1/2 ჩ/ჭ თაფლი, 3/4 ჩ/ჭ გახეხილი ბოლოკი და 1 ს/კ მარილი. ამ ნარევით დაიზილეთ კისრის მალები.

*ქრონიკული დაღლილობის დროს:* — ყოველდღე მიიღეთ 1/2 ჩ/კ თაფლი 10 დღის განმავლობაში.

*დაჩირქებული წყლულების დროს*: ახალი კომბოსტოს ფოთოლი დაიდეთ წყლულზე და შეიხვიეთ, დაიტოვეთ მთელი ღამე, მეორე დღეს გამოცვალეთ ფოთოლი. კომბოსტოს ფოთოლი შეიწოვს ჩირქს და ჭრილობა მალე შეხორცდება..

*ხელის გაჭრის შემთხვევაში,* გაჭერით ალოეს ფოთოლი, დაიდეთ ჭრილობაზე და შეიხვიეთ. რამდენიმე საათის შემდეგ ჭრილობა, რომელსაც 3-4 დღე სჭირდება შესახორცებლად, პირს შეიკრავს, მეორე დღეს კი შეხორცდება.

*კუჭის წყლულის (ასევე კუჭის კატარის) დროს:* 1 კგ კარტოფილი გათალეთ, დაჭერით, დაასხით იმდენი წყალი, რომ კარტოფილი დაიფაროს და ხარშეთ: როგორც კი კარტოფილი დაიწყებს დაშლას, წყალი გადაწურეთ და თბილად დალიეთ. შემდეგ დაწექით ზურგზე, 10 წუთის შემდეგ გადაბრუნდით მარჯვენა გვერდზე, შემდეგ 10 წუთით — მუცელზე, შემდეგ კი, მარცხენა გვერდზე. ტკივილი გაგივლით და მშვიდად დაიძინებთ. ხოლო მოხარშული კარტოფილი — მიირთვით, როგორც პიურე.

***კომსომოლსკაია პრავდა №81***

# მარწყვი წამალია



მაის-ივნისის ჰაერი თითქოს მარწყვის სურნელითაა გაჯერებული. დროა, ვიცოდეთ მისი სარგებლიანობის შესახებ.

მარწყვი ძლიერი ანთებსაწინაალმდეგო საშუალებაა.

მუცლის ტკივილის დროს მარწყვს უწერენ, როგორც წამალს.

უზმოზე 4-6 ს/კ მარწყვის წვენი შველის ნაღველ-კენჭოვან დაავადებას.

ნაყოფის და ფოთლის ნახარში კარგია თირკმლის დაავადების პროფილაქტიკისათვის.

მარწყვის ჭამა ნაცადია ხალხურ მედიცინაში: ეგზემის, კანზე გამონაყარის და ნაკაწრების მოსაშუშებლად — დაიდეთ მარწყვის ფაფა ნატკენზე.

მარწყვის წვენი აამებს მზით დამწვრობას.

მარწყვის ფაფა საუცხოოდ ასუფთავებს სახის კანს, ამისთვის 15 წუთით დაიდეთ სახეზე და მერე გრილი წყლით ჩამოიბანეთ.

*გახსოვდეთ:* ამგვარივე სამკურნალო თვისებები აქვს ხენდროსაც.

***მედიცინა***

# სვით კეფირი და გახდით!

თუ გინდათ სწრაფად და უმტკივნეულოდ გახდეთ, იკვებეთ კეფირით (რა თქმა უნდა, უცხიმოთი და სასურველია, ბიფიდობაქტერიებით გამდიდრებული), დალიეთ 1 ჭიქა ჭამის წინ და ერთი — ძილის წინ. თუ საღამოს ტრაპეზს მხოლოდ მჟავე რძის პროდუქტით შეცვლით, წონაში შესამჩნევად დაიკლებთ.

მსგავსი პროფილაქტიკა დაგეხმარებათ კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარებაში. მაგრამ გახსოვდეთ, კეფირის მიღებიდან სხვა საჭმლის მიღებამდე უნდა გავიდეს არანაკლებ 30 წუთი, რათა პროდუქტი მთლიანად გადამუშავდეს.

***ჯენტე***


გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად

შეიძინეთ!!! 95 ლარად



• აპარატები
• ტესტ-ჩხირები
• ერთჯერადი ნემსები
• ავტომატური საჩხვლეტი
• კარდიოლოგიური ფონეიდოსკოპი



შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03; 899-19-60-55

ვმკურნალობთ

ქრონიკულ პროსტატიტს

- ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
- ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
- კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №10 პოლიკლინიკა, კაბ. №7, 10-13სთ-მდე
☎ 8(93) 31 42 35

პირველად საქართველოში!
მხოლოდ ჩვენს კლინიკაში!

მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური განკურნების გარანტიაა!!!

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო ცენტრი, მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, I სართული, კაბ. 2. ტელ: 99 64 99 მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა

ანონიმურობა დაცულია!

მკურნალი

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"

სექსოპათოლოგიის კლინიკა
ტელ.: 32 21 21

• ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
• სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
• წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
• სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:

*პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.*

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11


# შეუგნებლობით გამოწვეული კატასტროფა?!

## „ვინც ახლა იქ ცხოვრობს, უკვე ნახევრად ავადმყოფია“

თბილისში, როგორც იქნა, ნამდვილი ზაფხული დადგა. ქალაქის ხვატით და ბუღით შეწუხებულ თბილისელებს, სულის მოსათქმელად ახლომახლო ტყეპარკებისაკენ, ტბებისკენ მიუწევთ გული. როგორც ცნობილია, აეროვენტილაციის თვალსაზრისით, თბილისს საკმაოდ არახელსაყრელი მდებარეობა აქვს. მანქანების გამონაბოლქვი ტოქსინებით გაჯერებული ცხელი ჰაერი კარგად ვერ ნიავდება, რაც ზოგიერთ ჩვენს თანამოქალაქეს გონებასაც კი აკარგვინებს.



გასაოცარია ზოგიერთის უპასუხისმგებლობა და უცოდინარობაც კი — დღეს ხშირად ნახავთ საავადმყოფოს ეზოში საქონელს — ვიმეორებ, ხუდადოვის ტყეში კი არა, ტუბდისპანსერის ეზოში. იქაური გარემო ხომ საშინლად დაბინძურებულია. ტუბერკულოზის ჩხირი მტვრის სახით 20 წლის განმავლობაში ცოცხლობს და თუ საქონელმა ბალახთან ერთად მიიღო (რაც სავსებით მოსალოდნელია), ჩხირი რძეშიც გადადის. თუმცა, იმ რძეს თვითონ არ სვამენ, ყიდიან(!).

თბილისის ირგვლივ „მწვანე გუშაგები“ თითქმის აღარ არსებობს. ისინი ჩვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე აღარ დგანან და აღარც დედაქალაქის „ფილტვების“ ფუნქციას ასრულებენ.

„კვირის პალიტრა“ თავის მკითხველს შემდგომშიაც მიაწვდის ინფორმაციას დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ. ამჯერად კი ხუდადოვის შემოგარენით დავინტერესდით.

თავის დროზე ონკოლოგიური საავადმყოფოც, ინფექციურიცა და ტუბდისპანსერიც ქალაქგარეთ ააშენეს. აუცილებელი იყო მათი დისტანცირება დასახლებული რაიონებიდან. დღეს დისტანცია ან სულ აღარ არსებობს, ან ძალიან მცირეა. ახალ-ახალი მშენებლობები ელვის სისწრაფით მიიწევს საავადმყოფოებისაკენ. ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ჩვენსავე უგუნურებას — არ ვიცით, რას ვაკეთებთ და როგორ ვაკეთებთ.

ქალბატონი **მაკა სანიკიძე** 15 წელია, რაც ხუდადოვზე ცხოვრობს. პროფესიით ექიმს ტუბდისპანსერშიც უმუშავია. რაც მის და მისი მეზობლების თვალწინ ხდება, ყველაზე გულგრილ მკითხველსაც კი აღაშფოთებს:

— თავის დროზე ტუბდისპანსერი ქალაქგარეთ აშენდა. აქამდე სიტუაცია საავადმყოფოში კონტროლს ექვემდებარებოდა, ახლა კი სრული განუკითხაობაა.

საირმის გორაზე (რომელიც ინფექციური საავადმყოფოს უკან მდებარეობს), მწვანე საფარი ავადმყოფობის გამომწვევი ბაცილების ბუნებრივ ბარიერს წარმოადგენდა, დღეს იგი სრულიად გაჩეხილია. სასახლეების ასაშენებლად მთელი დამცავი სისტემა გაანადგურეს. დღევანდელებისგან განსხვავებით, კომუნისტებმა კარგად იცოდნენ მწვანე საფრის მნიშვნელობა. ხუდადოვის ტყე სწორედ იმიტომ გაშენდა, რომ იგი გასული საუკუნის დასაწყისში აშენებულ ტუბდისპანსერს სჭირდებოდა... ხომ იცით, რატომ დაერქვა იმ რაიონს „ნაძალადევი“? ერთ ღამეში, უნებართვოდ შენდებოდა სახლები. უფრო მკაცრად რომ ემოქმედა მთავრობას და აქ მშენებლობის უფლება არ მიეცათ, საავადმყოფო არ მოექცეოდა ქალაქის ცენტრში. ყოველივე ეს უკვე დიდ პრობლემად იქცა აქაური მცხოვრებლებისთვის და არა მხოლოდ მათთვის. გასაოცარია ზოგიერთის უპასუხისმგებლობა და უცოდინარობაც კი — დღეს ხშირად ნახავთ საავადმყოფოს ეზოში საქონელს — ვიმეორებ, ხუდადოვის ტყეში კი არა, ტუბდისპანსერის ეზოში. იქაური გარემო ხომ საშინლად დაბინძურებულია. ტუბერკულოზის ჩხირი მტვრის სახით 20 წლის განმავლობაში ცოცხლობს და თუ საქონელმა ბალახთან ერთად მიიღო (რაც სავსებით მოსალოდნელია), ჩხირი რძეშიც გადადის. თუმცა, იმ რძეს თვითონ არ სვამენ, ყიდიან(!).

**— ეს ხომ მოსახლეობის რეალურად დასნებოვნების საშიშროებას ქმნის?**

— ბევრი ვიბრძოლეთ ამაზე საავადმყოფოს თანამშრომლებმა. ამაოდ, ვერაფერს გავხდით. მეტსაც გეტყვით, იციან, რომ აქ ტუბერკულოზით დაავადებულებს მკურნალობენ, მიუხედავად ამისა, საავადმყოფოს პალატებში ბინავდებიან. მაგრამ, თვითონ კი არ ცხოვრობენ, ყიდიან ან აქირავებენ. ერთმა ნაცნობმა მითხრა, გავიგე, თურმე შენს სამსახურთან ახლოს ბინები ძალიან იაფად, 100 დოლარად იყიდებაო. თავდაპირველად, ვერაფერს მივხვდი. ბოლოს, მიმანიშნა, საავადმყოფოს ეზოშიო. ვუთხარი, თუ გინდა მთელი შენი გვარი დაავადდეს, შედი, ბატონო და იცხოვრე-მეთქი. იყვნენ ასეთი ჯგუფები — შეიჭრებოდნენ საავადმყოფოში, დაიკავებდნენ პალატებს, მერე კი ყიდდნენ... ყველა მათგანი როდი იყო ლტოლვილი. გუშინ ერთმა ახალგაზრდამ მკითხა, აქ „ობშეჟიტიე“ სად არისო? ვუთხარი, იმ „ობშეჟიტიეში“ თუ შეხვედი, ჯანმრთელი ვეღარ გამოხვალ-მეთქი.

**— ყოველივე ეს ხვალ და ზეგ, შეიძლება, დიდ კატასტროფად იქცეს.**

— დიახ, თითოეული ჩვენგანის შეუგნებლობით გამოწვეულ კატასტროფად. აქაურობა ერთ დროს ბაღნარი იყო. ადრე აქ ბავშვები უშიშრად თამაშობდნენ. მაშინ პაციენტებს საავადმყოფოდან გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ. ვერც უცხო პირი შევიდოდა. მწვანე საფარი მოსახლეობას დაავადებისგან იცავდა. ყველა ხე, ბუჩქი ამოძირკვეს და გარაჟები ააშენეს. ამბობენ, მანქანა უნდა დავიცვათო და საკუთარ ჯანმრთელობას კი არ იცავენ. ვერც იმას ხვდებიან, რომ ჩვენს დასახლებას ემიჯნება ტუბინსტიტუტი, სადაც 100 წლის განმავლობაში იწვნენ ავადმყოფები. ვინც ახლა იქ ცხოვრობს, უკვე ნახევრად ავადმყოფია. იცით, ეს ხალხი ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ხაჭაპურს ყიდის(!)... აქ რომ საავადმყოფო აღარც იყოს, მიწა ისე უნდა დამუშავდეს ქიმიურად, რომ კარგა ხანს ბალახი ვეღარ ამოვა. დღეს კი საავადმყოფოს ტერიტორიაზე ხალხი ცხოვრობს და საქონელიც ძოვს. ნორმალურ ქვეყანაში ყველაფერ ამას რომ მოჰყვე, არც დაგიჯერებენ.

P. S. ალბათ, ყველას გახსოვთ მითი, პანდორამ ყუთი რომ გახსნა და იქიდან ათასი ჯურის დაავადება და სატკივარი მოედო ქვეყანას. ყუთში მხოლოდ იმედი დარჩა. ჩვენთვის კი, ეტყობა, იმედიც არ დარჩენილა — მის ადგილას მავანთ სასახლეები და გარაჟები წამოჭიმეს...

***ლელა ჯიყაშვილი***

# თურმე შემწვარი...



ქიმიკოსებმა, რომლებიც იკვლევდნენ შემწვარი კერძების შემადგენლობას, აზრი იმის შესახებ, რომ შემწვარი პროდუქტი (მათ შორის ხორცი) შეიცავს კანცეროგენებს, უარყვეს. უფრო მეტიც, შემწვარ ცხვრის ხორცში აღმოაჩინეს ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარებას. თუმცა, იქვე აღნიშნავენ, რომ შემწვარ საკვებს შეუძლია გამოიწვიოს კუჭ-ნაწლავის დაავადებანი, გააუარესოს ღვიძლისა და თირკმლების მუშაობა და გვირჩევენ, ზომიერება დავიცვათ მათი ჭამის დროს.

***ლიზა №23***

# სასარგებლო წიწაკათერაპია



გაცივების დროს გააცხელეთ 100 მლ წითელი ღვინო, დაამატეთ 1/4 ჩ/კ შავი დაფქული წიწაკა და ძილის წინ დალიეთ თბილი.

ხველა მალე გაგივლით, თუ გულმკერდს წიწაკის მალამოთი დაიზელთ: აურიეთ 2 ს/კ დაფქული წითელი წიწაკა 1 ჩ/ჭ ზეთში და გააცხელეთ წყლის ორთქლზე 15-20 წუთი.

ართრიტი, ნევრალგია იკურნება წიწაკის ნაყენით: 0,5 ლ არაყს დაამატეთ 1 ჩ/კ შავი და 1/2 ჩ/კ წითელი წიწაკა და გააჩერეთ 1 კვირა ბნელ ადგილას. დალიეთ დღეში სამჯერ თითო სუფრის კოვზი ჭამის შემდეგ.

***ოჯახის ექიმი №24***

# ევროპა თავმჯდომარეს ირჩევს



ჟაკ შირაკი და რომანო პროდი

ევროკავშირს მნიშვნელოვანი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი — უნდა აირჩიოს ევროკომისიის თავმჯდომარე. ამჟამად ეს პოსტი იტალიელ რომანო პროდის უჭირავს. მანამდე იგი თავისი ქვეყნის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო. პროდის უფლებამოსილება ოქტომბერში იწურება. მისი შემცვლელის არჩევა ევროპის კონსტიტუციის განხილვასთან ერთად დადგა დღის წესრიგში.

ამ პოსტზე ორ კანდიდატს ასახელებენ — ბელგიის პრემიერ-მინისტრ გი ვერჰოფშტადტს და ბრიტანელ კრის პატენს, რომელიც ამჟამად ევროკავშირის კომისარია საგარეო პოლიტიკის დარგში. კარგა ხანს უპირატესობას ვერჰოფშტადტს ანიჭებდნენ, მაგრამ მოულოდნელად პატენს მხარი დაუჭირა ევროპის უმსხვილესმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ — ევროპის სახალხო პარტიამ, რომელსაც ევროპარლამენტში ყველაზე მრავალრიცხოვანი ფრაქცია ჰყავს.

ევროპელებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, ვინ გახდება კომისიის თავმჯდომარე — ბელგიელი პრემიერი თუ ბრიტანელი ევროკომისარი. ვერჰოფშტადტი ევროპის სახელმწიფოთა ღრმა ინტეგრაციის მომხრეა. მას მხარს უჭერენ ევროპის გაერთიანების იდეოლოგები — საფრანგეთი და გერმანია.

ევროკავშირის ზოგიერთი წევრი, დიდი ბრიტანეთის მეთაურობით, დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ცდილობს და თავის კანდიდატს, პატენს ემხრობა. ძალიან რთულია ამ პოსტზე იყოს იმ ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც არ მონაწილეობს ევროპული პოლიტიკის ყველა სპექტრში, — განაცხადა საფრანგეთის პრეზიდენტმა შირაკმა. იგი გულისხმობდა იმას, რომ დიდმა ბრიტანეთმა არ შემოიღო ევრო და ემხრობა დამოუკიდებელ საბაჟო პოლიტიკას.

კონსტიტუციის პროექტზე მოლაპარაკება უფრო შეთანხმებულად მიმდინარეობდა. ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად უნდა გაუქმდეს კავშირში შემავალ ყველა სახელმწიფოს შორის კონსენსუსის მიღწევის აუცილებლობა. ამიერიდან ყოველ გადაწყვეტილებას ევროკავშირის წევრთა 55%-ის მხარდაჭერა ეყოფა.

***იზვესტია №106***

# ლიბერია ერაყი არ არის!

ლიბერიის დედაქალაქ მონროვიაში ამერიკის საელჩო დაცხრილეს. დაიღუპა 90 ადამიანი.

მე-19 საუკუნეში აფრიკელი მონების მიერ დაარსებული ამ სახელმწიფოს მიმართ ვაშინგტონის პოლიტიკა არსებითად განსხვავდება ერაყის მიმართ მისი პოლიტიკისაგან. გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა ბუშს მოუწოდა, სასწრაფოდ გაგზავნოს ჯარი სამოქალაქო ომის ხანძარში გახვეულ ქვეყანაში. თუ სწრაფად ვიმოქმედებთ, ვფიქრობ, მდგომარეობის გამოსწორებას შევძლებთ, — განაცხადა კოფი ანანმა.

მონროვიაში საელჩოს და მიმდებარე შენობები ამბოხებულებმა დაცხრილეს. იქ თანამშრომლების გარდა, ათი ათასამდე ადგილობრივ მცხოვრებს ჰქონდა თავი შეფარებული, რადგან ეგონათ, რომ ამერიკის საელჩოს თავს არ დაესხმებოდნენ.

მონროვიაში საელჩოს დასაცავად საზღვაო ქვეითების მცირე ჯგუფი გაგზავნეს. პენტაგონის თავკაცის დონალდ რამსფელდის ბრძანებით, აფრიკის დასავლეთ სანაპიროზე 5 ათასამდე საზღვაო ქვეითს გადაიყვანენ.

ამერიკის ხელმძღვანელობას ღიად არ სურს ლიბერიის საქმეში ჩარევა. სამხედრო ოპერაცია, თუნდაც მცირემასშტაბიანი, არ აძლევს ხელს შტატებს. პარადოქსი კი ის არის, რომ პრეზიდენტ ბუშს არ სურს იქ ჯარის გაგზავნა მანამ, ვიდრე ამჟამინდელი პრეზიდენტი, სამხედრო დამნაშავე ჩარლზ ტეილორი არ გადადგება. ტეილორი კი აცხადებს, რომ მხოლოდ მაშინ დატოვებს იქაურობას, როცა მის ქვეყანაში სამშვიდობოები ჩავლენ.

აშშ ლიბერიელ ამბოხებულებს მოუწოდებს, შეწყვიტონ მონროვიაზე თავდასხმები, რასაც უდანაშაულო ხალხი ეწირება. გაერომ აღიარა, რომ ვერ ეხმარება ლიბერიას და ამიტომ იქიდან თავისი წარმომადგენლების გამოყვანა დაიწყო.

***ნიუზუქი***

# კომისია ბუშს ადანაშაულებს...

დამოუკიდებელმა კომისიამ, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების საქმეს იძიებდა, მუშაობა დაასრულა. აქამდე უცნობ ბევრ ამბავს მოეფინა შუქი. მაგალითად, იმას, რომ პირველი შეტევის შემდეგ ადმინისტრაციამ დროულად ვერ შეძლო სათანადო ზომების მიღება. ავიაგამანადგურებლების პილოტებისთვის კონკრეტული დავალებები არ მიუციათ და ეგონათ, რუსეთის რაკეტებთან ჰქონდათ საქმე. თავდაცვის მინისტრმა არ იცოდა, რომ თეთრმა სახლმა მიიღო იმ თვითმფრინავების ჩამოგდების ბრძანება, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ სახელმწიფო ობიექტებს, დასახლებულ რაიონებს და ა.შ.

კომისიის ერთ-ერთი დასკვნა მეტისმეტად საზიანოა ჯორჯ ბუშისა და მისი გუნდისათვის. კომისია ირწმუნება, რომ სადამ ჰუსეინისა და „ალ-ქაიდას“ კავშირზე ლაპარაკი სრული უაზრობაა. მართალია, თავის დროზე უსამა ბინ ლადენმა სუდანიდან რამდენჯერმე შეუთვალა, — ერაყში ჩემი მეომრების საწვრთნელ ბანაკს გავხსნი და იარაღის შეძენაშიც დამეხმარეო, მაგრამ ჰუსეინს, რომელიც რელიგიურ ექსტრემიზმს არ ემხრობოდა, პასუხი არ გაუცია. ბინ ლადენი სუდანიდან ავღანეთში გადავიდა, სადაც თალიბები სიხარულით შეხვდნენ.

კომისიის დასკვნის მიუხედავად, ბუში ჯიუტად იმეორებს, — დარწმუნებული ვარ, რომ ჰუსეინი „ალ-ქაიდასთან“ თანამშრომლობდაო. ფაქტი ის არის, რომ მითური თანამშრომლობა და ვითომდა ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობა გახდა ომის დაწყების საბაბი. თუმცა, ვერც ერთი დადასტურდა და ვერც — მეორე.

კომისიის დასკვნებს მშვენივრად იყენებს ჯონ კერი, რომლის საარჩევნო შტაბი აქტიურად უთხრის ბუშს ორმოს. მას მხარი ცნობილმა რესპუბლიკელმა პოლიტიკოსებმაც დაუჭირეს, რომელთათვისაც ქვეყნის ბედი პარტიულ ამბიციებზე მნიშვნელოვანია. მათ მიმართვაში ნათქვამია: — მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე მსოფლიო ჩვენ მიმართ არასოდეს ყოფილა ასე ანტიპათიურად განწყობილი. ბუში-უმცროსი თავისი საგარეო პოლიტიკით საფრთხეს უქმნის ამერიკის შეერთებული შტატების უსაფრთხოებას და მაჰმადიანურ სამყაროში ქვეყანას ავტორიტეტი შეულახაო.

***ნიუს რუ***

# გაეროს შენობას რეკონსტრუქცია სჭირდება

**მინის ცათამბჯენი, რომელიც გიგანტური ასანთის კოლოფს ჰგავს — კარგად ნაცნობი სატელევიზიო „სურათია“; მის ფონზე, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს ხოლმე რეპორტაჟი გაეროდან. შენობა არქიტექტურულ შედევრადაა მიჩნეული.**



გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა შენობის კაპიტალური რემონტის გეგმა. ამჟამად იხილება ე.წ. მიწისქვეშა შენობის აგების შესაძლებლობა. იგი მთავარი შენობის მაგივრობას გასწევს მისი რეკონსტრუქციის პერიოდში.

ახალი 35-სართულიანი შენობა, რომლის საერთო ფართი 83,6 ათასი კვადრატული მეტრია, პირველი ავენიუს 41-ე და 42-ე ქუჩების კუთხეში აიგება, მთავარი შენობის გადაღმა. ამჟამად იქ პარკია და ნიუ-იორკის შტატში რომელიმე პარკის სათამაშო მოედნის გაუქმება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ კომპენსაციის სახით იმავე რაიონში გააშენებენ ანალოგიურ პარკს ან მოედანს.

მიწისქვეშა შენობა 330 მლნ დოლარი დაჯდება. მშენებლობა შემოდგომაზე დაიწყება და 2008 წლისთვის დასრულდება. მას ცნობილი იაპონელი არქიტექტორი ფუმიჰიკო მაკი დააპროექტებს, მან გაიმარჯვა კონკურსში, რომელშიც მონაწილეობის უფლება მხოლოდ პრესტიჟული, პრიცკერის არქიტექტურული პრემიის ლაურეატებს ჰქონდათ.

წლის დამლევს მთავარი შენობის კაპიტალური რემონტის გენერალური გეგმის პირველი ეტაპი დაიწყება. ის ითვალისწინებს მთავარი შენობის ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას. 2007 წლის დამლევიდან სხდომები ახალ შენობაში გაიმართება და სამდივნოს 3000 თანამშრომელიც დროებით იქ გადავა.

ნახევარი საუკუნის წინ ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, როკფელერების მიერ ნაჩუქარ მიწის ნაკვეთზე აგებული გაეროს სამდივნოს 39-სართულიანი შენობა იმ დროისთვის უახლესი ტექნიკით იყო აღჭურვილი. 2450-ფანჯრიანი მარმარილოს შენობის დაპროექტებაზე 11 ქვეყნის გამოჩენილი არქიტექტორი მუშაობდა. დრომ თავისი გაიტანა, ყველაფერი მოძველდა, ბევრი რამ შესაცვლელია, კომპლექსი, ცხადია, ნაკლები რაოდენობის თანამშრომლისთვის იყო განკუთვნილი, ამ ხნის განმავლობაში გაეროს წევრი ქვეყნების რიცხვი გაიზარდა და შესაბამისად — წარმომადგენლებისაც. ამჟამად მასში 191 ქვეყანაა გაერთიანებული.

ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ გაეროს კაპიტალური რემონტისათვის შესთავაზა სესხის სახით 1,2 მლრდ დოლარი, რომელიც 30 წლის განმავლობაში უნდა დაიფაროს წლიური 5,4%-ის დამატებით. თავად ხელისუფლება ვალის 22%-ის დაფარვას ვარაუდობს. გაეროს წევრი ქვეყნები სესხს და პროცენტს აშშ-ის მთავრობას კი არ გადაუხდიან, არამედ კერძო ინვესტორებს. წევრი ქვეყნები გაკვირვებულნი არიან — რატომ არ შესთავაზა აშშ-მა გაეროს უპროცენტო სესხი, როგორც ნახევარი საუკუნის წინ.

***ეხო პლანეტი №23***




## მოკლედ

**გაეროს** მონაცემებით, მსოფლიოში 10 მლნ-მდე ლტოლვილია. ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ბევრმა დევნილმა შეძლო სამშობლოში დაბრუნება. მარტო ავღანეთში ომის დროს გაქცეული მილიონი ადამიანი დაბრუნდა.

**კვიპროსის** საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ტასოს პაპადოპულოსმა განაცხადა, რომ მზად არის კუნძულის გასაერთიანებლად მოლაპარაკების გასაახლებლად. მისი აზრით, მოლაპარაკება შედეგიანი იქნება, თუ კვიპროსელ ბერძნებს უსაფრთხოების გარანტიებს გაუზრდიან.

**ერაყში,** ჯარში კონტრაქტით დაქირავების ბიუროს შენობასთან შაჰიდმა ასაფეთქებელი ნივთიერებით დატენილი მანქანა ააფეთქა. იმ დროს იქ მხოლოდ 100 ერაყელი მოხალისე იმყოფებოდა, 90 კაცი დაიღუპა. სადამ ჰუსეინის მომხრეები არც იმ თავისიანებს ინდობენ, რომლებიც კოალიციის ჯარში აპირებენ სამსახურს.

**ფრანგმა** ენერგეტიკოსებმა პროტესტის ნიშნად შუქი გაუთიშეს ქვეყნის პრეზიდენტის, ჟაკ შირაკის რეზიდენციას — ისინი ენერგეტიკული დარგის პრივატიზაციის წინააღმდეგნი არიან. 15 წუთით სიბნელეში ჩაიძირა ელისეს მინდვრები და სასახლე.

**სამხრეთ კორეის** ახალი კანონის თანახმად, ის პირები, რომლებიც ჩრდილოეთ კორეაში გასაიდუმლოებულ ინფორმაციას მოიპოვებდნენ, მიიღებენ კომპენსაციას, თითოეული დაახლოებით 216 ათას დოლარს. სეულმა პირველად აღიარა, რომ „ცივი ომის“ ეპოქაში ინფორმატორები ჰყავდა. კომპენსაციის მიმღებთა სია 13 ათას ადამიანს ითვლის.

**ყაზახეთსა** და რუსეთს შორის ურთიერთობა მწვავდება. მოსკოვის მრავალრიცხოვანი გაფრთხილების მიუხედავად, ყაზახეთმა ხელი მოაწერა ბრიტანეთის კომპანია BAE SYSTEMS-თან კონტრაქტს ქვეყნის საჰაერო თავდაცვის სისტემის მოდერნიზაციისთვის.

**კატარის** ტელეარხმა „ალ-ჯაზირამ“ აჩვენა ვიდეოფირი, რომელზეც აღბეჭდილია „ალ-ქაიდას“ ახალი ლიდერი აბუ ლეისი. მას ერთი სიტყვითაც არ უხსენებია უსამა ბინ ლადენი, რაც, შესაძლოა, იმას მოასწავებს, რომ მსოფლიოს ნომერი პირველი ტერორისტი ცოცხალი აღარ არის...

**ვლადიმირ პუტინის** განცხადებით, რუსეთის სპეცსამსახურებმა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ და ერაყში ომის დაწყებამდე იცოდნენ, რომ სადამის რეჟიმი აშშ-ის ტერიტორიაზე ტერაქტებს გეგმავდა. ეს ინფორმაცია ჯორჯ ბუშს მიაწოდეს. მან იგი ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნია და პირადად გადაუხადა მადლობა რუსეთის სპეცსამსახურის ერთ-ერთ ხელმძღვანელს.

# ავღანეთის ლიდერს არჩევნების გადადება ურჩევნია

ქვეყნის მეთაურმა ჰამიდ ყარზაიმ განაცხადა, რომ სექტემბრის არჩევნებს წინ, ქვეყანას ტერორიზმის ტალღა გადაუვლის. მან ამერიკის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერ-



ვიუში ნატოს მოუწოდა, გაზარდოს სამშვიდობო კონტინგენტი. თავის მხრივ, ავღანეთის მთავრობისა და გაეროს მიერ ერთობლივად შექმნილი საარჩევნო კომიტეტი ირწმუნება, რომ სექტემბერში სახელმწიფოს მეთაურის არჩევნების ჩასატარებლად არც სამყოფი ფული აქვს და არც დრო ეყოფა ყველა ამომრჩევლის სარეგისტრაციოდ. სადღეისოდ 10 მლნ მოსახლიდან მხოლოდ 3,3 მლნ-ია აღრიცხული. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არასტაბილურ რაიონებად რჩება პუშტუნებით დასახლებული ადგილები. თავის დროზე სწორედ იქ შეიქმნება მოძრაობა „თალიბანი“.

ასეა თუ ისე, არც ავღანეთის ლიდერს ეტყობა, რომ მაინცდამაინც ჩქარობდეს არჩევნების ჩატარებას. ცხადია, ჯორჯ ბუშსაც დაეკითხება. თუმცა ეს არც ამერიკის პრეზიდენტისთვისაა იოლად გადასაწყვეტი საკითხი — ერაყსა და ავღანეთში დემოკრატიის დამყარებისთვის მებრძოლი ბუში შესაძლოა თავად დამარცხდეს ნოემბრის არჩევნებში. ასე რომ, ჯერ თავისი გასჭირვებია.

***ვლასტი №24***

***გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ***

# ჯერ ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო კონტრაბანდის ეფექტურად აღკვეთა

## მსოფლიო ბანკსა და სავალუტო ფონდს კოჭს ველარ ვუგორებთ...

„ახალი საგადასახადო კოდექსის შემმუშავებელმა ჯგუფმა ერთ თვეში წარმოადგინოს ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი" — ეს ფრაზა, შავით თეთრზე, გარკვევით წერია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2004 წლის 3 აპრილით დათარიღებულ ბრძანებაში. ჯგუფმა აღნიშნულ ვადას 2 თვით გადააცილა და საზოგადოებას მხოლოდ ახალი საგადასახადო კოდექსის „პროექტის პროექტი" წარუდგინა. სამართლებრივი სახელმწიფო, სტაბილური საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდა, ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერა და ფისკალური ლიბერალიზაცია — ასე გამოიყურება ახალი საგადასახადო კოდექსის პრიორიტეტები.

წარმოდგენილი ზოგადი მონახაზების თანახმად, რჩება მხოლოდ 9 გადასახადი: აქედან საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის მაჩვენებელი 20-დან 12%-მდე მცირდება. სოციალური გადასახადი 33%-დან 20-მდე ჩამოვა, დამატებული ღირებულების გადასახადი 2%-ით შემცირდება (20%-ის ნაცვლად იქნება 18%). არ შეიცვლება მოგების 20%-იანი და ქონების 1%-იანი განაკვეთები.

იმის მიუხედავად, რომ ჯერ ახალი საგადასახადო კოდექსის ტექსტიც კი არ არსებობს, ხელისუფლება თამამად აცხადებს, რომ დასავლეთ ევროპასა და დსთ-ის სივრცეში საქართველოს ყველაზე ლიბერალური გადასახადები ექნება. ზურაბ ჟვანიას დაპირებით, აღნიშნული კოდექსის ტექსტი ივნისის ბოლოს უკვე მზად იქნება, რის შემდეგაც მთავარი საგადასახადო დოკუმენტი პარლამენტში გადაინაცვლებს და ახალ საგადასახადო რეჟიმში ცხოვრება უკვე 2005 წლის 1-ელი იანვრიდან გახდება შესაძლებელი. თუმცა არ გამორიცხავენ, რომ სოციალური და საშემოსავლო გადასახადების შემცირებული განაკვეთები უკვე პირველი ნოემბრიდან ამოქმედდეს. როგორც ჩანს, მთავრობა ისევ აიმედებს ინდმეწარმეებს და გადასახადებისგან გათავისუფლებას კვლავ ჰპირდება (ისინი მხოლოდ საკუთარი შემოსავლების დეკლარირებას მოახდენენ). თუმცა მთავრობის ამ ინიციატივას აშკარად უპირისპირდება ლიბერალი ეკონომიკის მინისტრი და მიიჩნევს, რომ ამგვარი ნაბიჯით 850 000 ადამიანს ბიუჯეტის შევსების შესაძლებლობას ართმევენ. ბენდუქიძეს მიაჩნია, რომ სახელმწიფოში ყველა უნდა იყოს გადამხდელი, რათა ამის სანაცვლოდ, სახელმწიფოსგან რაიმე მოითხოვოს. ვნახოთ, მოხდება თუ არა ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრების მოსაზრებათა თანხვედრა. კულუარული ინფორმაციის თანახმად, წარმოდგენილი „პროექტის პროექტში" შეღავათები მთლიანად ბენდუქიძის დამსახურებაა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობაში ამჟამად გადამხდელთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე ჩაერთო.

მთავრობის წევრების გაღიმებული სახეების ფონზე (სასტუმრო „მეტეხში" გამართულ შეხვედრას ვგულისხმობ) აშკარად იკვეთებოდა მცირე მეწარმეთა ასოციაციის ხელმძღვანელთა უკმაყოფილო გამომეტყველება, რადგან საგადასახადო შეღავათები მათზე არ ვრცელდება. „სანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძვრესო" — ასე აფასებენ მცირე მეწარმეები შექმნილ ვითარებას და აცხადებენ, რომ 1-ელ იანვრამდე, ამგვარი დაბეგვრის რეჟიმში არაერთი ლეგალური თუ არალეგალური მცირე საწარმო გაკოტრდება. მცირე მეწარმეები ითხოვენ, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში ცალკე კარად შევიდეს მცირე მეწარმეთა საგადასახადო რეჟიმი.

ექსპერტების მოსაზრებით, ბენდუქიძეს სერიოზული ომის გადატანა მოუწევს ფინანსთა სამინისტროსთან, ვინაიდან ბიუჯეტის ჩავარდნის შემთხვევაში, პასუხი ნოღაიდელს მოეკითხება, ამიტომ ის ყველანაირად შეეცდება, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში საკუთარი ინტერესები გაითვალისწინოს. დღეს, როდესაც ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია ლიბერალიზაციის მომხრეა და გაეროც კი ადასტურებს, რომ სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთი გზა მეწარმეობისთვის ხელის შეწყობაა, საქართველოს ჩათვლემის უფლება არა აქვს — აღნიშნავენ ექსპერტები.

**გია ჯანდიერი**, ექსპერტი: — ჯერ მხოლოდ ახალი საგადასახადო კოდექსის პირველი მონახაზები გვაქვს და როგორც ირწმუნებიან, სერიოზული მუშაობა მხოლოდ ახლა დაიწყება. თუ ეს მხოლოდ მთავრობის პირველი ნაბიჯია, რა თქმა უნდა, დადებითად შემიძლია შევაფასო, მაგრამ თუ უკანასკნელი, მაშინ, შედარებით ფრთხილად გამოვთქვამდი ჩემს მოსაზრებას. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ რა გამოადგება ქვეყანას და არა იმაზე, თუ რას იფიქრებენ ამა თუ იმ ნაბიჯზე უცხოელები, როგორ შეაფასებს ამას მსოფლიო საზოგადოება. აღარ არის იმის დრო, რომ კოჭი ვუგოროთ მსოფლიო ბანკსა და სავალუტო ფონდს. დროულად უნდა შევიმუშაოთ და განვახორციელოთ მართებული პოზიციები.

**სოსო სიმონიშვილი,** ექსპერტი: — კარგია, რომ მთავრობამ საბოლოოდ დაიჯერა, მოქმედი საგადასახადო კოდექსი უვარგისია, საგადასახადო ტვირთი კი საკმაოდ მაღალიო. ისიც კარგია, როდესაც ერთხმად აღიარეს, რომ მოქმედი კოდექსი კორუფციის ინკუბატორი და ბუდეა... მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი წინააღმდეგობრივია და ცალკეული ნორმები გამორიცხავს ერთმანეთს. ამავე დროს არ ითვალისწინებს ძირითად და უმთავრეს ღირებულებებს: თანასწორობას კანონის წინაშე და უდანაშაულობის პრეზუმფციას. ეს კი ნიშნავს, რომ საგადასახადო ორგანოს პირდაპირ შეუძლია გამოგაცხადოთ დამნაშავედ და სასამართლოს გარეშე დაგსაჯოთ კიდეც. ბენდუქიძე ამბობს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსი სამოქალაქო კოდექსის პრინციპებით აიგება. მისასალმებელია, რომ მთავრობაში მოხდა მენტალური გარღვევა, შეწყვიტეს ვიწრო „ბიუჯეტური" აზროვნება და ასეთი ნაბიჯებით ცდილობენ სახელმწიფოებრივად იაზროვნონ.

> მცირე ბიზნესი მძლავრი პოლიტიკური ინსტრუმენტია, მაგრამ თუ ხელოვნურად შევუქმნით საფუძველს, იგი სოციალიზმივით დაგვენგრევა თავზე. თუ ჩვენს ქვეყანაში რომელიმე ბიზნესს განვითარების პერსპექტივა აქვს, ის ყველა პირობებში უნდა განვითარდეს. უპირატესობის მოპოვება კი ბაზარს უნდა მივანდოთ.

**— მთავრობა აცხადებს, რომ განაკვეთების შემცირებით „რევოლუციური" საგადასახადო ცვლილებები მოხდება. თქვენ როგორ შეაფასებთ ამ ცვლილებებს?**

— ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ საგადასახადო წნეხის შემცირება იგრძნობა, მაგრამ თუ გამოცხადებულ განაკვეთებს ისევ მოქმედ კოდექსს მივუყენებთ მექანიზმად, ვერანაირ ლიბერალიზაციას ვერ მივიღებთ. პრობლემა მხოლოდ განაკვეთების შემცირებაზე არ უნდა დავიყვანოთ, ჩვენ გვჭირდება სტაბილური საგადასახადო დოკუმენტი.

**გია ჯანდიერი:** — სავსებით ვეთანხმები ბენდუქიძეს, რომ შეღავათები ყველა სფეროში უნდა გაუქმდეს. პრიორიტეტულ სფეროდ უნდა გამოცხადდეს მხოლოდ ორი სფერო: საფინანსო და მაღალი ტექნოლოგიების. ამ პრიორიტეტული დარგების განვითარებით ხელს შევუწყობთ კერძო სოციალური ინსტიტუტების განვითარებას. მაგალითად, კერძო საპენსიო სისტემა მხოლოდ მაშინ განვითარდება, როდესაც მძლავრი საფინანსო სისტემა გვექნება.

**— აქამდე აქტიურად ლაპარაკობდნენ მცირე ბიზნესისთვის შეღავათების დაწესებაზე...**

— რა თქმა უნდა, მცირე ბიზნესი მძლავრი პოლიტიკური ინსტრუმენტია, მაგრამ თუ ხელოვნურად შევუქმნით საფუძველს, იგი სოციალიზმივით დაგვენგრევა თავზე. თუ ჩვენს ქვეყანაში რომელიმე ბიზნესს განვითარების პერსპექტივა აქვს, ის ყველა პირობებში უნდა განვითარდეს. უპირატესობის მოპოვება კი ბაზარს უნდა მივანდოთ. ბაზარი კი მთავრობასთან შედარებით ძალიან ობიექტურია. არ ვეთანხმები იმ მოსაზრებასაც, რომ ინდმეწარმეები არ უნდა იბეგრებოდნენ, მათ რა, სახელმწიფო არ სჭირდებათ?

**სოსო სიმონიშვილი:** — სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არ ვიცით პროგრესული დაბეგვრის სისტემა გვექნება თუ, როგორც ამერიკელები მოიხსენიებენ, ე.წ. ბრტყელი დაბეგვრა, რომელიც არც პროგრესირებადია და არც რეგრესირებადი. პროგრესული დაბეგვრის სისტემა თავისთავად გულისხმობს შეღავათებს მცირე მეწარმეობისთვის, მაგრამ თუ არჩევანს ბრტყელი დაბეგვრის სისტემაზე შეაჩერებენ, მაშინ მცირე ბიზნესი ყოველგვარი შეღავათის გარეშე დარჩება. მაგალითად, მე არ გამოვყოფდი ცალკე მცირე მეწარმეობას და მიმაჩნია, რომ საგადასახადო სისტემა მთლიანად უნდა იყოს ლიბერალური, საგადასახადო წნეხი კი დაბალი. ამ შემთხვევაში კი სისტემა თანაბრად გაუწევს სტიმულირებას როგორც მსხვილ, ასევე წვრილ ბიზნესს.

**— მართალია, გაცხადებული განაკვეთების მიხედვით, დღგ 2%-ით შემცირდება, თუმცა ისიც ითქვა, რომ ახალ საგადასახადო კოდექსში შესაძლოა დღგ-ის დიფერენცირება მოხდეს. ამით რა შედეგი შეგვიძლია მივიღოთ?**

— უკვე დიდი ხანია ვამტკიცებ, რომ დღგ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მძლავრი მუხრუჭია. ის ქვეყნები, სადაც დღგ მიჩნეულია ძირითად გადასახადად, ძალიან ბევრს ზარალობენ ამის გამო. ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც ახერხებენ მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც აუარონ გვერდი ამ გადასახადს (აშშ, იაპონია), უფრო დინამიკურად ვითარდებიან და მოქნილი ეკონომიკა აქვთ. ჩვენს ხელისუფლებაში ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ბიუჯეტი სოციალურად ორიენტირებულია, რაც, მინდა დაგარწმუნოთ, რომ მტკნარი სიცრუეა. პენსიონერი, რომელსაც პენსია 20 ლარი აქვს, ერთი თვის განმავლობაში რეალურად 20 ლარზე მეტს დღგ-ის სახით მის მიერ შეძენილ პროდუქციაში იხდის. ჩვენმა ეკონომიკის მინისტრმა ერთ-ერთი გამოსვლის დროს აღნიშნა, რომ დღგ ცუდ გადასახადად მიაჩნია და ეს გადასახადი ქვეყნის ეკონომიკისთვის სერიოზული ნაკლია. შესაძლოა, მთავრობა საბოლოო ჯამში ვერ შეჯერდეს დღგ-ის სრულად გაუქმებასთან დაკავშირებით, მაგრამ აუცილებელია, რომ ამ გადასახადის განაკვეთი კიდევ უფრო შემცირდეს, ან დღგ-ის V მოდელის (რაც ჩათვლების სისტემას გულისხმობს) ნაცვლად შემოიღონ (ფრანგული, შედარებით ლიბერალური) მოდელი. გასაგებია, რომ ფინანსთა სამინისტროს ეშინია, ბიუჯეტში ფული არ შევაო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თუ საგადასახადო წნეხს 85-იდან 20%-მდე დავიყვანთ, ქვეყნის ბიუჯეტში გაცილებით მეტი თანხები შევა, ვიდრე ახლა შედის, რადგან ყველა გაათეთრებს საქმიანობას და დაიწყებს გადასახადების სრულად გადახდას.

**— ცნობილი გახდა, რომ ხელისუფლება აქციზის გაზრდას გეგმავს. განსაკუთრებით დიდი დოზით თამბაქოს პროდუქციასა და ალკოჰოლის მაღალი შემცველობის სასმელებზე.**

**გია ჯანდიერი:** — ეს იქნება სერიოზული პოლიტიკური შეცდომა. ალბათ გახსოვთ, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში აღნიშნულ პროდუქციაზე აქციზი რამდენჯერმე გაიზარდა, თუმცა ამას ყოველთვის თან სდევდა კონტრაბანდის გაძლიერება. როგორც კი ხელისუფლება გაზრდის სააქციზო გადასახადს, მაშინვე მიხვდება, რომ მის ადმინისტრირებას ვეღარ ახერხებს. მართალია, ბოლო პერიოდში გამუდმებით გვიმტკიცებენ, რომ სერიოზული ბრძოლაა კონტრაბანდის წინააღმდეგ, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ჯერ ვერც ერთმა სახელმწიფომ ვერ შეძლო კონტრაბანდის ეფექტურად აღკვეთა, თუკი ამ კონტრაბანდას სერიოზული ეკონომიკური მოტივაცია აქვს. ამის მაგალითია ნარკომაფიის გაძლიერება და ამერიკაში წარსულში მშრალი კანონის გამოცხადებით შექმნილი მძლავრი კონტრაბანდა.

*ემა ტუხაშვილი*

# აფხაზეთში მოსალოდნელი პოლიტიკური ვენდეტა

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

**— აფხაზების მოძმე „დამცველების" — ჩრდილოკავკასიელების ხშირი სტუმრობა, კაზაკთა გვარდიის შექმნა, რუსი დეპუტატების მოხშირებული ვიზიტები სოხუმში რისი მომასწავებელია?**

— აფხაზური სეპარატისტული ხელისუფლება კორესპონდენტებს აგზავნის ჩრდილოკავკასიელი ხალხების ლიდერებთან. ისინი კი საკუთარი ხელისუფლებისგან დანაბარები საქართველოს საწინააღმდეგო ინფორმაციებით და პროვოკაციული შეკითხვებით აგიჟებენ და აქეზებენ ამ ლიდერებს, ამიტომ გამოხატავენ მზადყოფნას „აფხაზთა მჩაგვრელ" საქართველოსთან საბრძოლველად. რაც შეეხება რუსი დეპუტატების სოხუმში ჩასვლას, ამაში ახალი არაფერია. მთავარი ის არის, პუტინმა უკვე გააცნობიერა, რომ საქართველოს იმიჯმა აიწია და მსოფლიო საზოგადოებას თვალში ნაცარს ასე იოლად ვეღარ შეაყრიან.

**— მაგრამ იმის იგნორირებაც არ შეიძლება, რუსები რომ აფხაზებისთვის სასაზღვრო-საბაჟო რეჟიმის გამარტივებას აპირებენ. გაუგებარია, რატომ უნდათ ეს რუსებს, ასე ხომ აფხაზეთში მოთარეშე ათასი ჯურის დამნაშავეს კიდევ უფრო გაეხსნება ხელ-ფეხი რუსეთში გადასასვლელად.**

— თქვენ გგონიათ, რასაც აფხაზები ამბობენ, ყველაფერი სიმართლესთან ახლოს არის? რაგოზინი ჩამოსული რომ იყო სოხუმში, აფხაზები დაჩოქილები ეხვეწებოდნენ საბაჟო-სასაზღვრო რეჟიმის გამარტივებას, მაგრამ კატეგორიულ წინააღმდეგობას წააწყდნენ. რუსებმა იციან, რომ თუ ამაზე წავლენ, წინ ვეღარაფერი დაუდგება აფხაზეთის პორტში იორდანიიდან და სირიიდან შემოსულ ბოევიკებს, რომლებიც სოხუმში რუსულ პასპორტებს აიღებენ და მათ ქვეყანაში შეაღწევენ. რუსეთი აღარ აძლევს აფხაზებს ფსოუზე თავისუფლად გადაადგილების საშუალებას.

**— გამოდის, რომ აფხაზეთში ბლოკადა უკვე არა მხოლოდ საქართველოს მხრიდან მოქმედებს, არამედ მათ რუსებიც ბლოკადით ემუქრებიან. ასე თუ გაგრძელდა, რა სურათს მივიღებთ?**

— რასაც ველით. ხალხის მოთმინების ფიალა აივსება და სეპარატისტულ ხელისუფლებას დაუპირისპირდება. მათ უკვე უკიდურესად უჭირთ. მალე გამოსავლის ძებნას დაიწყებენ და კარგ პირობებს რომ შესთავაზებ, შენკენ წამოვლენ. ახლაა აუცილებელი სახალხო დიპლომატიის მძლავრად ამოქმედება. უახლოეს მომავალში აფხაზეთში სიტუაცია უკიდურესად გამწვავდება(!). პრეზიდენტის არჩევნებამდე, რომელიც ოქტომბერშია დანიშნული, სოხუმის მთავრობასთან დათმობაზე საუბარს აზრი არა აქვს. ახლა იქ პროქართულ ინტერესებს, კიდევაც რომ ჰქონდეთ, მაინც ვერავინ დააფიქსირებს, რადგან პოლიტიკაში მარცხი გარანტირებული ექნება და ხელისუფლებაში ვერ მოვა. ახლა რაც მთავარი და აუცილებელია, უნდა გაძლიერდეს ჩვენი ჯარი და ეკონომიკა, საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებიდან უზარმაზარ დახმარებებს ვიღებთ, რაშიც აფხაზეთის და სამაჩაბლოს რეაბილიტაციის პროექტებიც არის გათვალისწინებული. ეს ყველაფერი უკვე ახდენს გავლენას, როგორც ოსებზე, ისე — აფხაზებზე. უბრალო ხალხს ვგულისხმობ. ცენტრის კიდევ უფრო გაძლიერებისა და სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარების შემდეგ კი, აფხაზეთში სიტუაცია საქართველოს მიმართ თავისთავად დათბება.

*ეკა ლომიძე*


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 19 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,9200 |
| ევრო | 2,3002 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5063 |
| რუსული რუბლი | 0,0661 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,2886 |

ლუიზოლი Louise-all

თქვენ მრავალი საშუალება გაქვთ ნაცადი ჭარბთმიანობისაგან განსაკურნებლად... გაგიცრუვდათ იმედი?! გულს ნუ გაიტეხთ!!!

ჩვენ გთავაზობთ ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო კრემს და ლოსიონს — „ლუიზოლი" — სრულყოფილი შედეგით!

ეს სიახლეა!!!

„ლუიზოლი" დაგეხმარებათ ადვილი, უვნებელი და ძალზე ეფექტური საშუალებით სამუდამოდ გათავისუფლდეთ ჭარბთმიანობის უსიამოვნო კომპლექსისაგან.

კაბინეტი „ლუიზოლი" ☎ 37-38-13; 92-17-10

„ვლობალონსის" ფირმის მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ძალიან იაფად

ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.

ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია

მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის" გვერდით

☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

შპს „გეოკორი"



აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად

მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118

ტ: 33-26-75; 36-64-02

საქართველოს ბიზნესის უნივერსიტეტი

აცხადებს მიღებას შემდეგ კვალიფიკაციებზე:

1. საგარეო ურთიერთობათა ეკონომისტ-მენეჯერი; 2. სამართალმცოდნეობა (იურისტი); 3. ფინანსისტ-ეკონომისტი, ფინანსისტ-აუდიტი; ბუღალტერ-ეკონომისტი; საბანკო საქმის მენეჯერი; 4. კომერციული, საბირჟო საქმის და ვაჭრობის ორგანიზაცია და მენეჯმენტი; 5. კვების მრეწველობის ტექნოლოგ-მენეჯერი; 6. საკურორტო-ტურისტული მეურნეობის მენეჯერი; 7. სამედიცინო სამსახურის მენეჯერი.

მის: ჩიქოვანის (ყოფ. ხოლიანის) 26.

☎ 36-33-78; 22-75-50; 32-89-42; 899-71-35-55

# ცხოვრებისეული კურიოზები

## 1. ხუმარა ინკასატორი



ჩემს სოფელში ერთი ხუმარა, კეთილი გულის კაცი ცხოვრობდა, ინკასატორად მუშაობდა და ხშირად დილაადრიან უწევდა ხოლმე სოფლის შემოვლა.

ერთ დილასაც სოფლის ორღობეში მიმავალს ასანთი დავიწყებოდა და პაპიროსს ნერვიულად ათამაშებდა ხელში. ამასობაში გამოჩნდა მიტოს სახლიც, რომლის ეზოში მასპინძელი შეშას ჩეხდა.

— ასანთი არა გაქვს, მიტო? — იმედიანად მიადგა მეგობრის ჭიშკარს ინკასატორი.

— არა! — მოკლედ მოუჭრა შეშის ჩეხვაში გართულმა.

— მა, დილით „ფეჩს“ დაგორებით ანთებ? — იხტიბარი არ გაიტეხა ინკასატორმა.

***ლექსო ღლიღვაშვილი, სიღნაღის რაიონი, სოფელი ნუკრიანი***

## 2. „კორექტურა“



ლანჩხუთის რაიონული გაზეთი ოთხგვერდიანი იყო, შიდაგვერდების თავში მთელ სიგრძეზე სასათაურო შრიფტით, გამოკვეთილი ასოებით დაიბეჭდა შემდეგი სათაური: „მიმდინარე წელს ჩვენი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება წყლით!“

მაშინ ეს დიდი მოვლენა იყო. მეორე დილით ახალი გაზეთი ჯერ რაიონის პრესის გავრცელების ჯიხურებში მიიტანეს, შემდეგ კი ის-ის იყო, სოფლებში უნდა გაგზავნილიყო, რომ... გაზეთის მთელი ნომერი მოიხსნა, ყველა ეგზემპლარი რედაქტორის კაბინეტში აღმოჩნდა „დაპატიმრებული“, ხოლო თვით რედაქტორი რაიკომის პირველ მდივანთან გამოიძახეს.

სახელდახელო ბიურომ სტამბის დირექტორს სასტიკი საყვედური გამოუცხადა, გაზეთის რედაქტორს კი უბრალო საყვედური აკმარა. გაზეთის ტირაჟი ხელახლა დაიბეჭდა... ეს ამბავი მაშინ არავის გაუგია, მოგვიანებით „გამოჟონა“ ინფორმაციამ: თურმე ბეჭდვისას გამორჩენილა სათაურის ბოლო სიტყვის პირველი ასო „წ“.

***გურამ ბისეიშვილი, ლანჩხუთი***

## 3. მხიარული ბიურო



მოგეხსენებათ, კომუნისტების მმართველობის დროს რა რეზონანსი ჰქონდა რაიკომის ბიუროებს, რომლებიც ძირითადად თანამდებობის პირთა დასჯით მთავრდებოდა. სწორედ ამიტომ სხდომებს მუდამ პირქუში იერი დაჰკრავდა. გამონაკლისი ქარელის რაიკომის ბიუროზე მოხდა, როდესაც ეგრეთ წოდებული „მაჭიკების საქმე“ განიხილებოდა...

ძველად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაბამისი კადრების სიმცირის გამო ხშირად პრაქტიკოსი მეურნეები მართავდნენ. ბუნებრივია, ისინი წერა-კითხვაში გაწაფულნი ვერ იქნებოდნენ და ამბავიც აქედან დაიწყო... კერძოდ, ერთ-ერთი კოლმეურნეობის ფერმაში მაჭიკები (ყველის ამოსაყვანი) შემოაკლდათ და მწველავს სთხოვეს შინიდან მოეტანა. სამაგიეროდ, ხუთი დღის მანძილზე ფერმიდან ყველის გატანებას შეჰპირდნენ...

ფერმის გამგემ რაღაც მიზეზთა გამო დადებული პირობა ვერ შეასრულა და ელენემაც (ასე ერქვა მწველავს) კოლმეურნეობის თავმჯდომარეს წერილობით მიმართა: მაჭიკში შეპირებულს არ მაძლევენო... ამ უკანასკნელმა კი განცხადებას ასეთი რეზოლუცია დაადო: — ფერმის გამგეს ვუბრძანებ, ელენეს სასწრაფოდ მისცენ მაჭიკში!

შემდეგში კი ფერმის გამგე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ასეთი წერილით პატაკობს: — თქვენი ბრძანებისამებრ ელენე დავაკმაყოფილეთ — ხუთჯერ მივეცით მაჭიკში!

სიცილ-ხარხარი კი იყო, მაგრამ ორივე ხელმძღვანელი „უხეში“ სტილისტური შეცდომების დაშვებისთვის სასჯელს ვერ გადაურჩა...

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

## 4. ტერაქტი



სამი დღე გაგრძელდა ქორწილი სოფელ ბანოჯაში. ბაჭუია ჩოგოშვილმა ნანატრი რძალი მოიყვანა სახლში ერთადერთი ბიჭის, ომიკოსათვის.

სამშაბათ დილით ბაჭუიამ სატვირთო „ზილიდან“ ამოღებული ძრავის რეცხვა დაიწყო „აი-93“ ბენზინით. ნახმარ ბენზინს იქვე ვედროში ასხამდა. აბა, ეზოს ხომ არ მოსპობდა. ყოველ ნახევარ საათში გვერდზე გადიოდა და თითო ღერ სიგარეტს ეწეოდა.

საღამოს ძრავას პრიალი გაუდიოდა. ბაჭუია გვარიანად დაიღალა და იქვე, ჰამაკში ჩამჯდარ რძალს მორიდებით გასძახა, — ნარგო, ბოდიში, ახალი რძალი კი ხარ, მარა ეს ერთი ვედრო წაიღე და სადმე შორს დაღვარეო. ნარგომაც აიღო ბენზინიანი ვედრო და ეზოში ხომ არ დაღვრიდა, 20-ოდე მეტრში ტუალეტი იდგა და იქ ჩაცალა. ბაჭუიას ამ ამბისთვის ყურადღება არ მიუქცევია. ხელები გადაიბანა მორჩენილი ცოტაოდენი ბენზინით და ტუალეტისკენ არხეინად გასწია, თან სიგარეტის მოსაწევად გაემზადა. ...ასანთის გაკვრა იყო და „დამჯდარ ფორმაში“ ბაჭუიას ყირამალამ აფეთქების ხმას დაასწრო. ტუალეტიდან კი აღარაფერი დარჩა. კიდევ კარგი, გადარჩა ბაჭუია...

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

## 5. სამარშრუტო ტაქსის მძღოლის ნაამბობი



### ანგარიში

ჩემი სვანი ახლობელი 30-თეთრიან სამარშრუტო ტაქსიზე მუშაობს. ამას წინათ სამი ბიჭი მისდგომია, ისინიც სვანები ყოფილან, — 60 თეთრი გვაქვს და სამს წაგვიყვანო? ჩემს ძმაკაცს უფიქრია, რატომ ვიზარალოო და უპასუხია: — არა, ორს 60 თეთრად წაგიყვანთ. ერთს კიდე, ისეო.

იმათაც მადლობა გადაუხდიათ და დამსხდარან...

### რომელ ვაჟას?..



ეს კურიოზიც ჩემმა ძმაკაცმა მძღოლმა მიამბო:

„ორი კვირის წინ პლეხანოვზე მივდივარ, ბოლო გასვლაა, უკვე ბნელა. ქალმა დამიქნია ხელი. ორი მგზავრი იჯდა, მეტი არა. გამოაღო კარი ქალმა და მთელი ხმით დასჭექა: — ვაჟას უდგება? მე ჩემთვის ფიქრებში ვარ გართული, საჭის ტრიალისგან ფიქრის თავი სადა მაქვს და ავტომატურად შევუბრუნე კითხვა: — რომელ ვაჟას-მეთქი? ქალმა, დეგენერატოო მომაძახა, კარი კინაღამ მომიტეხა და მგზავრები რომ ლამის სიცილით დაიხოცნენ, მერელა მივხვდი, რაც მოხდა“.

***ჩაიწერა მაია ჭელიძემ, თბილისი***

## 6. „პოჩტის“ ყუთი



მეგობარი მყავს, ბენო ნიგურიანი, სვანი კია, მაგრამ საკმაოდ ენაკვიმატი და ხუმარაა. ეს ამბავიც, რომელიც საკმაოდ გახმაურებულია და ანეკდოტად ქცეული, მან მომითხრო. მე გადამხდა და თუ გინდა ზუსტად იცოდე, რა და როგორ მოხდა, მომისმინეო:

„ახალი ჩამოსული ვარ მესტიიდან და სად გავისეირნებდი პირველად (ვერაზე ვცხოვრობდი ახლობელთან), თუ არა რუსთაველის პროსპექტზე. პირველად ჩემი ყურადღება შოთას ძეგლმა და „ბუტილკა“ შარვლებმა მიიპყრეს, მერე — გაკრიალებულმა მოკასინებმა. სწორედ გაკრიალებულ მოკასინებს დავაშტერდი, როცა თავაზიანად მომმართა სიმპათიურმა ახალგაზრდამ: — მეგობარო, ერთ წუთს თუ შეიძლებაო და საფოსტო ყუთზე მიმითითა, ცოტა ხანი დამიჭირე, ვიღაც მაიმუნს ლურსმნები დაუძრია, აგერ აქვე ვცხოვრობ, მოვიტან და დავაჭედოთო. ჩავბღუჯე ყუთი, მხარიც მივაშველე და თვალი გავაყოლე ელეგანტურად ჩაცმულ ჭაბუკს. გავიდა ოცი, ორმოცი წუთი, მაგრამ სადაა მშველელი. მოულოდნელად ჩემი ყურადღება მიიქცია ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ატეხილმა სიცილ-ხარხარმა. გავიფიქრე, იქ რაღაცა ხდება, ამ ყუთს ცოტა ხანს დავდებ, გავალ, გავიგებ, რამ გააგიჟა ეს ხალხი-მეთქი, მაგრამ რად გინდა, ყუთი არ იძვრის ადგილიდან. კარგად რომ შევამოწმე, აღმოჩნდა, რომ ოთხივე ლურსმანი მაგრად იყო ჩაჭედებული შენობის კედელში!

ეს იყო და ეს, აგერ ორმოცი წელია, რუსთაველის პროსპექტის იმ მხარეს არც გამიხედავს და არც გამივლია!“

ახლა მთავარი — მკითხველი ალბათ მიხვდებოდა, რომ ეს სიმპათიური, მოკასინებიანი ახალგაზრდა თბილისის კოლორიტი, მწერალი და იუმორისტი, ნიაზ დიასამიძე გახლდათ.

***გიორგი რატიანი, თბილისი***

## 7. განქორწინება



ჩემი უბნელი ცოლს ეყრებოდა. მრავალგზის ჩატარებული სასამართლო პროცესი არა და აღარ მთავრდებოდა. აქეთ ქმარს აწყდებოდა ნერვები, იქით — ცოლს. ერთ პროცესზე რომ დაიწყო ამ გოგომ ძალიან ინტიმურ თემაზე ლაპარაკი, აღარ დაამთავრა. ქმარმა შენიშვნა მისცა: — ერუდირებული გოგო ხარო... ცოლმა წინადადების დამთავრება არ აცალა, ისე მიახალა: — ერუდირებული შენს გვარში მოიკითხეო. მოსამართლემ ჯერ ქმარს შეხედა თანაგრძნობით, მერე ცოლს და უპრობლემოდ დაადასტურა მათი განქორწინება.

***მ. ჭ., თბილისი***

# ყურადღება!

## კურიოზების კონკურსი

**„კვირის პალიტრამ“ მკითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააწესა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.**

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

*ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 23 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 24 ივნისის 13 საათამდე.*

**კურიოზების კონკურსი**

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________

თქვენი სახელი, გვარი

**კვირის პალიტრა №25**

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



**8.** რესტორანში მაგიდას უსხედან ებრაელი და ქართველი. პირველმა მოკრძალებული შეკვეთა მისცა. ქართველისთვის კი მოაქვთ და მოაქვთ დელიკატესები.

ებრაელი გამოელაპარაკა მეზობელს: — მეც მიყვარს ხელგაშლილობა, მაგრამ ექიმმა ამიკრძალა ბევრი ჭამაო, რაზედაც ასეთი პასუხი მიიღო — მეც ამიკრძალა, მაგრამ მაღარიჩი ვიკისრე და მაშინვე ნება დამრთოო.

***იოსებ ნაცვლიშვილი, თბილისი***

## მილოცვა

დედას და ბებიას – **ლუდმილა ჭითანავა-ბეჭვაიას!**



მართალია, ქალის ასაკს არ ახმოვანებენ, მაგრამ შენ, ჩვენო დედიკო, ძლიერ გიხდება შენი 90 წელი. ჩვენ ძლიერ გვიყვარს დღეს შენი თმა დათოვლილი, სახე დაღარული, რადგან თითოეულ ღარს ატყვია შენი სიხარულიც და დარდიც, რომელიც ცხოვრების გზაზე შეგხვედრია. მართალია, სიბერე გარშემო გივლის, დროდადრო გეპარება, გეძახის, – დამნებდიო, მაგრამ შენ არ ნებდები. ლ. ასათიანის თქმისა არ იყოს, „დე, სიბერემ ბაღში გიცადოთ, თქვენ ახლა მისთვის აღარ გცალიათ". შვილებს კი ბედნიერებას ანიჭებ იმით, რომ ჯერ კიდევ გვაქვს უფლება, დავიძახოთ ჯადოსნური სიტყვა „დედა". ასევე ამაყები ვართ იმითაც, რომ ქ. ზუგდიდის ერთ-ერთი გამორჩეული ოჯახის – ლუდმილა და ვასო ბეჭვაიების შვილები ვართ.

შენ ტვირთი გაწევა და სახელოვნად ზიდე კიდეც ეს ტვირთი. იყო სამშობლოსთვის, ოჯახისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის ზრუნვა, ერთი დღე არ გიცხოვრია პირადად შენთვის, სხვისი ტკივილიც გქონია ბევრი.

ჩვენო დედიკო! შენ ხომ შეგვარგე ბავშვობა, ახალგაზრდობა (ხანშიშესულობა), ახლა შვილები ვალდებული ვართ, შეგარგოთ მოხუცებულობა. დედას რა უნდა, როგორც ყველამ, ჩვენც ვიცით:

*„კარგი შვილობა შვილისა*
*კარგი ღიმილი შვილისა*
*მოურჩენს ყველა იარას".*

ჩვენ ვეცდებით, იარა არ მოგაყენოთ, ღიმილი არ მოგაკლოთ. გისურვებთ ჯანმრთელობას.

*ლია, სოსო ოჯახით, ლიკას შვილები და შვილიშვილები*

**3 წლის ლუკა მათეს ძე გურაშვილს!**

ჩვენი ოჯახის პირველო სიხარულო, გილოცავთ დაბადების დღეს. გაიზარდე ჯანმრთელი ვაჟკაცი. იმედი გვაქვს, სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს და ღმერთი ყველაფერს გაარჩევს.

*შენი მამა მათე, ბიძა ვანო, პაპები – მათე, ვაჟა, ბებია მარო*

**ფრიდონ კენკებაშვილს!**



ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, თავის ოჯახთან ერთად.

*პატივისცემით: ნათელა ქადაგიძე, თინიკო და რამაზ თამარაშვილები*

## მადლობა

1-ელ ივნისს ხაშურის რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ბატონმა **გივი ხუბულოვმა** გამიკეთა ურთულესი ოპერაცია, რამაც დამიბრუნა და გამიხანგრძლივა სიცოცხლე 76 წლის კაცს, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი და ვუსურვებ მის მარჯვენას, დიდხანს ეშრომოს ჩემნაირ გაჭირვებულ ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე.

ამასთან ერთად, მინდა დიდი მადლიერებით მოვიხსენიო განყოფილების მთელი კოლექტივი, განსაკუთრებით განყოფილების გამგე, ბატონი **მალხაზ გოგატიშვილი,** ქირურგი, ბატონი **მალხაზ ჩოჩიშვილი** და ანესთეზიოლოგი, ქალბატონი **ლალი სხირტლაძე**. მთელ განყოფილებას ვუსურვებ წარმატებას, ხალხის საკეთილდღეოდ.

*გიორგი (ჟორა) ჯაფარაშვილი (ხაშური)*

ქალაქ სალონიკში (ნორბისის) თანამშრომლებს – ბატონ **ვალერის ოაკიმიდის** და ბატონ **იურის ქსანიდის** მინდა მადლობა გადავუხადო გულისხმიერებისა და თანადგომისათვის. ფარავდეს უფალი მათ და მათ ოჯახებს.

*მანანა (სალონიკი)*

## ბინები

იყიდება 5-ოთახიანი, ჩეხური პროექტის სუფთა ბინა 8(9), ნაძალადევის ცენტრში (ქორწინების სახლის თავზე), მეტროსთან ახლოს, ავტოფარეხით, დიდი ლოჯიით, დიდი სათავსოთი, რკინის კარით, თერმექსით, ბ/აირით, „პანასონიკის" ტიპის კონდიციონერით („ზამთარ-ზაფხული"), მუდმივი წყლით. ლიფტი მუდმივად მუშაობს. ფასი $25.000. ტელ: 69-87-21. შორენა ან ზურა; 899 43-25-55

ქირავდება ყიფშიძის ქუჩაზე, გალაკტიონის ძეგლთან ოთახნახევრიანი (გადაკეთებული 2-ად) სუფთა, უცხოვრებელი ბინა, ახალაშენებულ სახლში, ბ/აირით, მუდმივი დენით და წყლით, ტელეფონით, საჭირო ავეჯით. სასტუმრო ოთახის ფართი – 40 კვმ, საძინებელი – 12 კვმ. აქვს შემინული ლოჯია და სამზარეულო ერთად. მის: ყიფშიძის ქ. №5ა, მე-3 სადარბაზო, მე-3 სართ. ბინა №45. ფასი $200. ტელ: 34-32-79; 899 53-42-51; 899 91-86-81

იყიდება ქვიშხეთში, კარგ უბანში, 2-სართულიანი კაპიტალური სახლი 2000 კვმ ბაღით, ხეხილით, კაკლებით, ყურძნით, ჭით, ბოლოში ჩამოუდის პატარა მდინარე შოლა; ან იცვლება ტაბახმელა-კოჯრის სხვადასხვა ვარიანტზე. ტელ: 22-12-64; 899 490-497; 899 55-17-77

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიასა და საფრანგეთში 1 წლით, ოფიციალური ხელშეკრულებით, AU-PAIR პროგრამით, დასაქმებისა და სწავლის შეთავსებით. უზრუნველყოფა ჯიბის ფულით (ხელფასით), საცხოვრებლით, კვებით, სამედიცინო დაზღვევით და საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯებით. ტელ: 95-64-18; 7-74-79 (ქუთაისი)

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებდით განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება $200-400 აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მისამართი. მ. „დიდუბე", „სამთო ქიმიის ინსტიტუტი", I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

საქმიანი ცენტრი აცხადებს თანამშრომელთა მიღებას კონკურსის საფუძველზე. ტელ: 39-29-28 (დილით ან საღამოს)

მუდმივ სამუშაო ადგილზე გვესაჭიროება ლიცენზირებული ექიმები: 2 პედიატრი, 2 თერაპევტი, 1 კარდიოლოგი. ტელ: 70-59-76

უცხოურ ფირმას ესაჭიროება სპეციალისტები უმაღლესი განათლებით. სამუშაო მაღალანაზღაურებადია. ტელ: 76-10-96. ნანა

ქართული დამოუკიდებელი ორგანიზაცია სტრუქტურულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით აწარმოებს კადრების შერჩევას და გადამზადებას, ამავე ორგანიზაციაში დასაქმების პერსპექტივით. შერჩევა მიმდინარეობს კონკურსის წესით. რეგისტრაციისათვის დაგვიკავშირდით: 92-17-62. ქეთევან პაპუაშვილი

„აუ-პაიერი" – გერმანიასა და ავსტრიაში! 18-27 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ მუშაობას და სწავლას გერმანულ და ავსტრიულ ოჯახებში, 1 წლით, „აუ-პაიერ" პროგრამით. დაგევალებათ მსუბუქი საოჯახო საქმეები და ბავშვის მოვლა, დღეში 5 საათი. ანაზღაურება 300 ევრომდე. შეუძლიათ მოგვმართოთ ამ პროგრამით გერმანიაში უკვე ნამყოფებმაც. ტელ: 590-590

აღმოსავლურ-აზიურ კომპანიას გახსნილი აქვს წარმომადგენლობა თბილისში და აგრძელებს თანამშრომლების მიღებას. უპირატესობა ენიჭებათ პედაგოგიურ და ადმინისტრაციულ საქმიანობაში გამოცდილ ადამიანებს. სასურველია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 72-28-19; 893 13-32-04

Требуется сотрудники с высшим образованием в офисе, для административной кадровой работы. Оплата высокая. Желательно со знанием русского языка. Тел: 77-29-94

Международная компания обьявляет дополнительный набор сотрудников на конкурсной основе. Возраст 30-40 лет, образование высшее. Тел: 70-40-61

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია – 1 სთ – 12 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, მე-9 კორპ, VI სად, III სართ, ბინა 3. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით და ანესთეზიით. უკიდურესად გაუხეშებული თმიანობის შემთხვევაშიც კი, განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპების და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. შედეგი – პირველსავე სეანსზე; სახის გაწმენდა; მასაჟი საუკეთესო მალამოებით. თუ ისარგებლებთ, დარწმუნდებით. მის: იოსებიძის 66. II სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22. მანანა

ავეჯის რესტავრაცია – სამეულები, მატრასები, ტახტები; ნაჭრის შეცვლა, დარბილება. მეორად სამეულებზე ლაქების ამოყვანა, მშრალი წმენდა. ტელ: 76-01-33. გია

შევაკეთებ საბჭოურ და უცხოურ მაცივრებს, კონდიციონერებს და დახლმაცივრებს, ძველი მაცივრების ძირებს და რეზინებს, გარანტიით. ტელ: 893 90-32-28; 96-18-10

რბილი ავეჯის რესტავრაცია, სამეულების, მატრასების, სკამების გადაკვრა-გაახლება; სამზარეულოების, სხვა ნებისმიერი ავეჯის დამზადება ლამინატისგან. თანამედროვე ევროპული დიზაინი, ხარისხისა და შესრულების ვადების გარანტიით. ტელ: 96-22-59. ვიქტორი

საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდია „მემატიანე" გთავაზობთ კინოფილმების (35 მმ, 16 მმ, 8 მმ) შეღავათიან ფასად გადატანას ვიდეოფირზე (VHS, DVD, მინი DV და CD). შეკვეთები მიიღება: აღმაშენებლის გამზ. №166. ტელ: 34-29-75, 34-29-72; 893 30-88-12. სტუდიის დირექტორი რამაზ (ბუბა) ხოტივარი

## მკურნალობა

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თეთრ მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. განკურნება გარანტირებულია. ტელ: 56-37-37; 899 54-64-81

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, პოსტინსულტური დამბლა, კიფოზი, შაკიკი, დიარეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), სუბფებრილიტეტი (t = 37,2°C), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები; წონის დაკლება. კონსულტაცია და დიაგნოსტიკა უფასოა. მის: მეტრო „გურამიშვილი", ძმები გარიშვილების ქ. №18. ანატოლი შავიძე. ტელ: 61-65-03; 893 20-68-21

ალკოჰოლისა და თამბაქოსაგან გათავისუფლება სწრაფად და ეფექტურად, ექსკლუზივის უფლებით თითოეული პაციენტისთვის, Лоовит პროგრამებით. ემსახურება ორგანიზმის ეფექტურ გაჯანსაღებას, არა აქვს უკუქმედებები და გვერდითი მოვლენები. გამოიცადა წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში და გაიარა კლინიკური გამოკვლევები. ანალოგი არ გააჩნია. ტელ: 899 43-97-34; 32-39-46 (საღამოს). ნათია

ანტიალკოჰოლი და ანტითამბაქო, ნევროზი, უძილობა, შიშები, ინსულტის შემდგომი პერიოდი, ჰიპერტონია, ვარიკოზი, ბუასილი, კოლიტი, სოკო, ფსორიაზი, თვალის დაავადებები, ქრ. ბრონქიტი, ასთმა, ალერგია, კუჭის წყლული – სერტიფიცირებული მცენარეული პრეპარატებით, რომლებსაც უკუჩვენება არ გააჩნია – დამზადებულია მოსკოვში, აკადემიკოს ლიხარიოვის ლაბორატორიაში. ტელ: 99-75-90; 899 21-13-66. ლალი

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ციცო მჭედლიძე

აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდებით და ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებით: ალკოჰოლიზმი, შიში, დეპრესია, უძილობა, ნევროზი, ჰიპერტონია, ინსულტის შემდგომი პერიოდი, კლიმაქსი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის უხარისხობა, პროსტატიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, კოლიტი, ასთმა, ალერგია. ტელ: 893 96-94-51; 35-17-48 (საღამოს)

სმენის აღდგენა და გაუმჯობესება, ყურის ანთების, ხმაურის, ქავილის, ტკივილის მკურნალობა ენერგოინფორმაციის მეთოდით, აპარატურისა და ოპერაციის ჩარევის გარეშე, ყველა ასაკის პაციენტისთვის. ვმკურნალობ აგრეთვე ოსტეოქონდროზს, რადიკულიტს, სისხლძარღვთა შევიწროებას და სხვა. მის: ვაკე, ჭავჭავაძის №37ა, სამების ეკლესიის უკან, თენგიზ აბულაძის ქ. №8. დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. მიღება – 9-13 სთ. ტელ: 91-31-19; 91-32-42. ლევან სეხნიაშვილი

პარადონტოზის ეფექტური მკურნალობა უახლესი ტექნოლოგიებისა და უძველესი ტიბეტური მედიცინის საფუძველზე მიღებული ექსკლუზიური საშუალებებით; ქლამიდიოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა. ტელ: 22-11-47

ალკოჰოლიზმსა და თამბაქოსთან ბრძოლა, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული დაავადებებისაგან განკურნება; ჰეპატიტები, ნევროზები, ორგანიზმის გაწმენდა ალკოჰოლური ინტოქსიკაციისაგან. მცენარეულ პრეპარატებს არ გააჩნიათ არავითარი უკუჩვენება. მკურნალობა შეიძლება პაციენტისგან ფარულად (ახლობლის მიერ). ტელ: 53-08-02. ნინო

ალკოჰოლიზმთან და ნაბახუსევთან („პახმელია") ბრძოლა, ჰეპატიტები, ნევროზები, ჰალუცინაციები, პაციენტისგან ფარულად (ოჯახის წევრის მიერ). კრემლის ყოფილი ლაბორატორიის მაღალეფექტური, სერტიფიცირებული პრეპარატებით (აკად. ლიხარიოვი), ორგანიზმისთვის უკუჩვენებების გარეშე. პრეპარატები ნაკურთხია სრულიად რუსეთის პატრიარქის მიერ. ტელ: 899 22-63-90

გთავაზობთ ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ძალზე ეფექტურ მკურნალობას (შესაძლოა პაციენტისგან ფარულადაც). აგრეთვე ვმკურნალობ ვენების ვარიკოზულ გაგანიერებას, ინსულტის შემდგომ პერიოდს, ჰიპერტონიას, ნერვოზებს, აკ. ლიხარიოვის მეთოდით. ტელ: 77-71-22 (საღამოს); 99-75-90 (12-15 სთ). ლელა

გაჯანსაღება განსაცვიფრებელი შედეგით: პროსტატიტი, ადენომა, კონტაქტის შიში, პენისის ანთება, სოკოვანი, სპერმის ხარისხი, სქესობრივი სისუსტე, სპერმის ნაადრევი და უნებლიე გამოყოფა, ბუასილი, ეგზემა, ფსორიაზი. ტელ: 68-47-24. ნონა; 899 49-84-23

## ვასწავლი

საზაფხულო 50%-იანი ფასდაკლება: საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური" – კომპიუტერის შემსწავლელი კურსები, თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, სათანადო სერტიფიკატი. მის: უზნაძის ქ. №70 (ყოფ. კამოს ქ.). ტელ: 29-48-61

ევგენი მიქელაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას: საფორტეპიანო, საორკესტრო, საესტრადო-ჯაზურ, სიმღერისა და ვოკალურ განყოფილებაზე. სამუსიკო სკოლის (7 წლის) და სასწავლებლის (14 წლიდან) საფეხურებზე კოლეჯის კურსდამთავრებულები მიიღებენ დიპლომს შესაბამისი კვალიფიკაციით. მისაღები გამოცდები ჩატარდება 14 ივნისს და სექტემბერში. მის: ბარნოვის ქ. №54 (სასტუმრო „საქართველოსთან"). ტელ: 22-19-49; 22-63-58

კომპიუტერული სტუდია „დაჯი" კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფ-შემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. ვიზაჟისტი; 2. პარიკმახერი; 3. მასაჟისტი. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-89 (ბინა)

მიღება კოსმეტიკის კურსებზე, დაჩქარებული მეთოდით. შეისწავლება: კანის აგებულება, მკურნალობა, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), მასაჟი, ეპილაცია, კანის გაწმენდა, ნიღბები, რძეები, ლოსიონები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: აღმაშენებლის №90 (მ. „მარჯანიშვილთან"), I სად, II სართ. ტელ: 95-47-67; 66-53-56; 893 33-09-66

შევასწავლი კომპიუტერზე მუშაობას. საოფისე: Windows, Word, Excel, Internet, E-mail, საგამომცემლო და გრაფიკა: Page Maker, PhotoShop., CorelDraw; Quarkxpress, AutoCAD, Arcicad, 3d-MAX; veb-dizaini: Flash, Dreamweaver და პროგრამირების ენები. მის. მ. „რუსთაველთან", რესტორან „სამოთხის" უკან. გაბაშვილის ქ. 7. ტელ. 98-80-23

## იყიდება

ნაკვეთი 2800 კვმ, გზიდან შიგნით, სიღრმეში, დიდ დიღომში, III მ/რ. ფასი: 1 კვმ – $3,5. ტელ: 53-12-48; 877 71-16-17

ნაკვეთი 2000 კვმ, გზიდან შიგნით, 100 მ-ში, დიდ დიღომში, III მ/რ. ტელ: 53-12-48; 877 71-16-17

472 კვმ ფართი, რესპუბლიკის მოედანზე, რუსთაველის №37-ში. მიწისქვეშა კომპლექსი. ტელ: 899 11-66-39

მოქმედი საწვავ-გასამართი სადგური, ქალაქის ცენტრში, საკუთრი 1800 კვმ მიწის ნაკვეთით. ტელ: 899 20-84-74. ნოდარი

ახალი ირანულ-ამერიკული სტომატოლოგიური კაბინეტი „ფაპრესინა" მთელი კომპლექტით. ფასი $3000. ტ: 22-64-08; 877 47-46-00; 877 49-76-09

ახალი კორეული სატელიტური ანტენა ციფრული მიმღებით. იღებს ქართულ, რუსულ და ევროპულ ტელეარხებს. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა – 320; კომპლეტის ფასი – 140$; მონტაჟი – 40 ლარი. რუსეთის 26 ტელეარხი – ფასი $200, მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით, აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ. 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99



### ჯული ბულისკერია-ქობალიას გახსენება



ერთი წელია, უშენოდ ცხოვრობს ჩვენი ოჯახი, რომელსაც სრული ბედნიერებისთვის შენი სიცოცხლე აკლია. ახლა უფრო კარგად გვესმის, რა დიდი უბედურებაა უშენოდ ჩვენი ცხოვრება. ძნელია, გვერდით არ გყავდეს მოსიყვარულე მეუღლე, დედა, ბებია, რომელიც ბუნებამ იშვიათი თვისებებით დააჯილდოვა.

24 ივნისი შენი დაბადების დღეა, მაგრამ ყოველთვის გლოვის დღე იქნება ჩვენს გულებში, რადგან დაბადების დღეს წახვედი ჩვენგან, ცხოვრების ორმოცდამეთორმეტე საფეხური ჩაგიტყდა და დარჩი მარად ახალგაზრდა, სიცოცხლესა და ოჯახზე შეყვარებული ქალი-ლეგენდა, შეუდარებელი შვილი, მეუღლე, დედა, ბებია და საერთოდ ადამიანი, ღვთისგან დაჯილდოებული დიდსულოვნებით. ერთი წელია, რაც გაჩერდა შენი გული, რომელიც ნათესავებისა და ახლობლების დიდ სიყვარულს იტევდა. შენ ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი და მოთმინების დიდი უნარი გქონდა. ეს ღვთისგან გქონდა მომადლებული.

მჯერა, ამქვეყნიური განვლილი გზა იმქვეყნიურ სასუფეველს დაგიმკვიდრებს.

*შენი ოჯახი*

### თამაზ ბარამიძის მოგონება



სულ მინდა, არ დავიჯერო, რომ მართლა აღარ ხარ ცოცხალი და მარადიულ სასუფეველში დაიდე ბინა, ბიძია თამაზ! სულ მგონია, თბილისიდან მალე ჩამოხვალ და საჩუქრებს ჩამომიტან, როგორც იცოდი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული.

*მარიამ ჯაკობია*

### ნინო ჩერქეზიშვილის მოგონება



მარად 21 წლის, სიცოცხლითა და სიხარულით სავსე ნინო! უშენოდ მოვიდა 25 ივნისი, შენი დაბადების დღე. შენი ახლობლები, მეგობრები მილოცვის ნაცვლად საფლავზე სანთლებს აგინთებენ და ატირდებიან.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, შენი ლამაზი სულისთვის ვილოცოთ.

*გვინდა იცოდე, როგორ*
*გვიყვარხარ,*
*შენს სულს ვავედრებთ ანთებულ სანთლებს.*
*გვინდა გვჯეროდეს, რომ დღეს სადაც ხარ,*
*ყველგან ნათელი უფლისა თან გდევს.*

*შენი მეგობრები*

### გიორგი გვიანიძის ხსოვნას!



შენი მეორე დაბადების დღეა უშენოდ, შენი სტუმართმოყვარეობის, სილაღის, სიცილისა და მოფერების გარეშე... შენი პატარა სიცოცხლით უზარმაზარ სიკეთეს, სიყვარულს და მეგობრობას გვაზიარე. ახლა კი — უშენობა ყოველდღე ენით აუწერელი ტკივილით გვახსენებს თავს. შენს დაბადების დღეზეც მოჩვენებითი სიმკაცრით ავუკრძალავთ ერთმანეთს ტირილს, მერე კი სათითაოდ, ჩუმად ავცრემლდებით...

### ანა ვახანიას გახსენება



ჩემო ერთავ, ჩემი სისხლის, ხორცისა და სულის ერთადერთო ნაწილო! მოვიდა უშენოდ ჩემი არსებობის, ტანჯვისა და წამების მერვე ივნისი, უსაშველოდ გაწელილი თავისი გრძელი დღეებით. დამღალა, ანიკო, ფიქრებთან ჭიდილმა, მაგრამ ვერ ვპოვე ჭეშმარიტი პასუხი, მე, სიცოცხლემისჯილმა. შენ, ბუნებით დინჯი და უჩვეულოდ აუჩქარებელი, იმ 27 ივნისს რატომ აფრინდი და რატომ შეასკდი მანქანას?! იქნებ ზეციდან უფრო ლამაზია ჩვენი საქართველო? იქნებ ბოროტებასთან ბრძოლის და უგუნურების დამარცხების ერთადერთი გზა ტრაგიკული აღსასრულია, ანუ მესამედ დაბადების, სამარადისო დაბადების დაჩქარებაა?!

მაგრამ მე როგორ შემელიე? მე რატომ გამწირე? მე რატომ დამტოვე უსამართლოდ დევნილი და მიუსაფარი სადღაც, შორეულ ციმბირში გადახვეწილი?!

სასოებითა და რუდუნებით ველი იმ დღეს, როცა ჩვენი სულები სამუდამოდ შეერწყმიან ერთმანეთს.

*შენი მამა მურმან ვახანია*

### ზაზა ფეიქრიშვილის ხსოვნას!



უშენოდ მოვიდა გაზაფხული, უშენოდ დაითოვეს ტყემლებმა, უშენოდ გაირბინა ცრემლიანმა და სევდიანმა ერთმა წელიწადმა, ჩვენო საყვარელო ზაზა.

რა უსაშველო ტკივილი და სევდა დაგვიტოვე. რაც დრო გადის, მით უფრო ღრმავდება უშენობით მოყენებული იარა.

შენ ხომ მხოლოდ 25 წელში მოასწარი ყველასათვის თავის შეყვარება, ლამაზი და ტკბილი ოჯახის შექმნა და შემდეგ მისი სწრაფად დატოვება, მაგრამ გვჯერა — შენც გეწადა სიცოცხლე. უსამართლო ცხოვრებას თავი მსხვერპლად შესწირე და ზეციური საქართველოს სამოთხეში დაისადგურე.

*შენი ოჯახი*

### შალვა (ცაცო) მახარაშვილის გახსენება



უდროოდ წამოგეწია მუხთალი ბედისწერა მშობლიური ქსოვრისის მიწაზე. სიკვდილმა ტრაგიკულად წაგვართვა მამა და უკვე მეორე წელია, უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს ცრემლიანი გულებით.

ძვირფასო მამა! 10 ივნისი შენი დაბადების დღე იყო. დიდი სიყვარულით და მონატრებით მოგილოცეთ ცრემლიანი 68 წლის იუბილე, მოგიძღვენით უამრავი ყვავილი და წმინდა სანთელი.

ღმერთს შევთხოვთ, ცათა სასუფეველი დაგიმკვიდროს, საყვარელო მამავ, ერთგულო მეუღლევ და მოსიყვარულე პაპავ. მშვიდად იძინე. მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, ჩვენი ცრემლი კი სალბუნად დაეფინოს შენს საფლავს. ვიდრე ვიცოცხლებთ, ჩვენს გულებში იცოცხლებს შენი სახელი შალვა (ცაცო).

*დიდი სიყვარულით შენი ოჯახი*

### ვანო ქშუტაშვილის გახსენება



*რადგან სიცოცხლე ასე*
*ნავარდობს,*
*სიკვდილის ყველა კარი*
*დარაზეთ,*
*და იმ ბედნიერ დღეს*
*გაუმარჯოს,*
*როცა შენ გაჩნდი ამ*
*ქვეყანაზე...*

სწორედ იმ ღამეს გაალო სიკვდილმა შენთვის კარი. ტკბილად ჩაძინებულმა, ცოლ-შვილზე ფიქრით დატოვე წუთისოფელი. ვაი შენს დედ-მამას, დებს, რომელთაც ცივი ქვის ყურება და შენი ლამაზი სურათის მოფერება არგუნე.

31 წლის შესრულებას გილოცავთ. 18 ივნისს მოვალთ საფლავზე. ვილოცებთ შენი სულისთვის.

*ოჯახი*

### გიორგი ანთიძის გახსენება



გიორგი, ერთადერთო შვილო, უსაყვარლესო და მარადიულო მწარე მოგონებავ, უდიდესი გულისტკივილით და მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს. 29 ივნისს, 32 წელი შეგისრულდებოდა. 28 წელი შემოგხაროდით, რა ბედნიერები ვიყავით, მაგრამ რა უბედურად შებრუნდა ყველაფერი იმ ავადსახსენებელ დღეს. 7 დეკემბერს დაბნელდა ჩვენთვის მზე. წახვედი ამქვეყნიური ცხოვრებიდან და შეუცნობელი სამყაროს მკვიდრი გახდი. უშენობით გაუსაძლისი გახდა სიცოცხლე. შენ წაიღე ჩემი გული და სული. საშინელებაა იმის გააზრება, რომ შენ ვერასოდეს იქნები ჩვენ გვერდით. ვერაფრით მოვიშუშებთ ამ შეუხორცებელ ჭრილობას და ვრჩებით ცოცხალი სიკვდილმისჯილი. შენზე ფიქრებში უსიხარულოდ მიღამდება და მითენდება დღეები. აბა ასეთ ყოფას რა ყოფა უნდა ერქვას. როგორი გაუბედურებულები დაგვტოვე მშობლები და ცოლ-შვილი. შენს ანუკის როგორ გაუმწარე ბავშვობა. ვერასოდეს იტყვის ძვირფას სიტყვას — „მამიკო". ლელა არაფერს აკლებს ანუკის, უშენობით გამოწვეული დიდი ტკივილი რომ შეუმსუბუქოს. მე კი, შვილო, ყოველდღე შენს საფლავთან მოვდივარ თვალცრემლიანი და კანდელს გინთებ.

ღმერთს ვთხოვ ლოცვით, შენი უკვდავი ლამაზი სული აცხონოს და ნათელში ამყოფოს.

*შენი მშობლები, ცოლ-შვილი, ახლობლები და მეგობრები*

### ნურა ბოლქვაძის მონატრება

27 ივნისს ერთი წელი გახდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ძალიან, ძალიან გვენატრები. მთელი შენი ცხოვრება დისშვილებისა და შვილიშვილების სიყვარულსა და მოვლას შეალიე. ახლა შენს დედასთან, დასთან, სიძესთან და დისშვილთან ხარ.



ყველას ძალიან გვენატრები. დღე ისე არ გავა, ბავშვებმა ნურა ბებო არ გაიხსენონ.

შენი გარდაცვალება კი არჩილ მაღლაფერიძემ ასე გამოხატა:

#### სანამ ოცნება დაიბინდება

*ჩემში კვნესოდა წუთისოფელი,*
*თუ ღამეული იყო სიზმარი,*
*სულს ღამე აწვა, როგორც ღრუბელი.*
*და თენდებოდა დღე უჩინარი.*
*სანამ ოცნება დაიბინდება,*
*წამო, შემოჰკარ განგაშის ზარი,*
*დამფრთხალი სული გადიკარგება,*
*ღიად თუ დამრჩა მთვლემარეს კარი.*
*ვიცით, სიცოცხლე დროში გვიმეტებს,*
*ზეცას შევყურებთ ვედრების თვალით,*
*გარდაცვალება დღეს გვისაკლისებს,*
*რადგან სიცოცხლეს არა აქვს ზღვარი.*
*მიწაც გვიზიდავს, გვეპატიჟება,*
*უფლის წესია და მისი მადლი,*
*როგორც კი სული გამოგვეცლება,*
*მოგვიზომავენ იმწამსვე ადლით.*
*დაგვიბერდება ასაკი ქვაზე*
*და წაიშლება გავლილი წლები,*
*არავინ ფიქრობს ხვალინდელ დღეზე,*
*ჟამში მივდივართ თავდავიწყებით.*
*ჟამი სიკვდილთან წილნაყარია,*
*სული დაღლილი მგზავრია მარტო.*
*ზეცაში ეძებს ახალ საუფლოს*
*უსხეულო და უმისამართო.*

ღმერთს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი კეთილი და მოსიყვარულე სული.

*შენი საყვარელი დისშვილები და შვილიშვილები*

### ფედო კვიჟინაძის გახსენება



ჩვენო ფედო, 1 წელი სრულდება, რაც მოულოდნელად დაგვტოვე და სამარადისო სასუფეველში წახვედი.

დიდი გულისტკივილი და სევდა დაუტოვე ოჯახს, ახლობლებსა და სამეგობროს.

ყველას უზომოდ გვენატრები. დაუვიწყარია შენი ხსოვნა.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი ლამაზი, სპეტაკი სულისთვის და წმინდა სანთლები აგინთოთ.

*შენი ოჯახი, დედმამიშვილები, ძმისშვილები და ბიძაშვილები ოჯახებით*

### სოსო ჯანჯღავას ხსოვნას!



გილოცავ დაბადების დღეს – 20 ივნისს ზეციურ სასუფეველში, საყვარელო. თვალცრემლიანი ვემთხვევი შენს ხატად ქცეულ საფლავს. ჩვენი სიყვარულის უკვდავსაყოფად მოგიძღვნი ცრემლით დანამულ ლამაზ ყვავილებს, სევდანარევი ჩურჩულით გიამბობ ტკივილიანი მონატრების შესახებ. ლამაზად განვლილი ცხოვრების 47-ე საფეხური ჩაგიტყდა და დარჩი მარად ახალგაზრდა, სიცოცხლისა და ოჯახის მოტრფიალე, შეუდარებელი შვილი, მამა, მეუღლე, მეგობარი და ადამიანი ღვთისგან დაჯილდოებული დიდსულოვნებით. სამი წელია, რაც გაჩერდა შენი კეთილშობილი გული, რომელიც ნათესავებისა და ახლობლების დიდ სიყვარულს იტევდა. შენ ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი და მოთმინების დიდი უნარი გქონდა. ეს ღვთისგან გქონდა მომადლებული. მჯერა, რომ შენი ამქვეყნიური განვლილი გზა იმქვეყნიურ სასუფეველს დაგიმკვიდრებს.

*უბედური დედა*

### ია და ბადრი გრძელიძეებს!



ჩემო ძვირფასებო, მონატრებულებო, უსაყვარლესო იკო და ბადრი!

ჩემო მარადისობაში უდროოდ გადასულო ქმარო და შვილო, ვაი, რა ტკივილი და მოუშუშებელი ჭრილობა ხართ ჩემთვის!

ჩემო ბადრი, კაცურად ებრძოლე სიკვდილს, მაგრამ გულმა იკოსკენ გადაგძლია და ოთხი წლის უნახავ შვილთან ერთად დაიმკვიდრე სამუდამო სასუფეველი.



იკო, დედიკო, მეხუთედ მოვიდა შენი დაბადების დღე, 18 ივნისი უშენოდ. 25 წლის გახდებოდი. ოცნებობდი, კარგი ექიმი გამხდარიყავი, მაგრამ ტრაგიკულმა შემთხვევამ არ დაგაცადა. როგორ მინდა, შენს დაბადების დღეზე მივიდე და ქვაზე გაცოცხლებულ შენს ჭკვიან, ნაღვლიან თვალებს მოვეფერო, შენი ცივი ქვა გავათბო. 11 ივნისი, ბადრი, შენი დაბადების დღეა. ვაჟკაცურად წახვედი ამ ქვეყნიდან. შენი სათნოება და კაცთმოყვარეობა მუდამ საამაყოდ ექნება შენს ერთადერთ შვილს — რამაზს და მთელ შენს შთამომავლობას.

თქვენ მარად იცოცხლებთ ჩემს გულში.

ღმერთმა ნათელში მიმყოფოს თქვენი უკვდავი სულები.

*თქვენი ლია*

### გიორგი ხისფეხიშვილის გახსენება



ჩვენო კეთილო, საყვარელო მამა, დაბადების დღეს გილოცავთ. 23 ივნისს ხომ 60 წლის გახდებოდი, მაგრამ განგებამ სამარადისო სასუფეველს მიგაბარა. უშენოდ მოვიდა შენი დაბადების დღე, მოულოდნელად გამოგვეცალე ხელიდან. შემზარავი იყო შენი სიკვდილის გაგონება ყველასთვის. უშენობა უსაშველო ტკივილია ჩვენთვის, ტკივილი, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს.

მოვდივართ შენს საფლავთან, ვიხსენებთ, ვნატრობთ იმ ბედნიერ დღეებს, რომელიც შენთან ერთად გაატარა შენმა საყვარელმა ოჯახმა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული და შენს სახელზე ანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა ცათა სასუფეველში.

*ოჯახი*

### თემურ ბეროძის გახსენება



ჩვენო თბილო და უსაზღვროდ მონატრებულო, ჩვენო საყვარელო თემურ, მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს უშენოდ. 22 ივნისს 57 წელი შეგისრულდებოდა.

ცრემლებით, მონატრებით და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, ძვირფასო.

უსაზღვროა შენი დაკარგვით გამოწვეული ჩვენი მწუხარება, მაგრამ მაინც ბედნიერი კაცი. ყოფილხარ, თემურ, ისე რომ წახვედი ამ ქვეყნიდან, ჩვენი შვილის, ჩვენი საყვარელი შოთიკოს სიკვდილს რომ ვერ მოესწარი. გაუსაძლისი შეიქნა ჩვენთვის უთქვენოდ ყოფნა. ტკივილამდე გვიყვარხართ და გვენატრებით.

უფალი ქადაგებს: ადამიანი სანამ გონებაშია, ის უკვდავიაო. თქვენ კი ჩვენს გონებაში სულ იქნებით და სულ იცოცხლებთ.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა თქვენი ლამაზი სულები, ჩვენო ძვირფასებო.

*თქვენი ოჯახი*

### ინგა ბოჭორიშვილისა და გიორგი საყვარელიძის მონატრება

საყვარელო შვილებო!



მესამე თვეა, რაც ჩვენგან წახვედით, მესამე თვეა ჩვენს თვალზე ცრემლი არ შრება, საშველი კი არსაით არის.

საყვარელო გიორგი! 25 ივნისს ოცი წელი გისრულდება. ორივენი საგანგებოდ ემზადებოდით ამ დღისათვის, მაგრამ განგებამ ეს არ ისურვა.

ჩემო გიორგი, ჩემო ნანატრო შვილო, როგორ მინდა, რომ გულში ჩაგიკრა და მოგეფერო. ვაი, რომ უშენოდ ვხვდები შენს დაბადების დღეს. როგორი უბედური დედა ვყოფილვარ, ჩემო ძვირფასო, რა ძნელია უშენოდ სიცოცხლე. მენატრებით, როგორ მაკლიხართ. თქვენი დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, რას არ გავაკეთებდი, მაგრამ ამაოდ.

თქვენს ნატვრასა და დარდში გავატარებ ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს და ვილოცებ შენს დაზე, ნინოზე, რომელსაც ძალიან ენატრები.

*თქვენი დაკარგვით გაუბედურებული ოჯახი*

### გიორგი და ინგა!

*ჩაქრა მომავალი, ჩაქრა სანთელი,*
*ისმის*
*შეძახილი:*
*„შვილო, სად*
*წახვედი?!"*
*ორჯერ*
*დაკივლება,*
*ორივეს სახელი,*
*რატომღაც*
*გაიღო სამოთხის*
*კარები.*



*გულში*
*დაგვიტოვეს*
*სევდა და ნაღველი,*
*ისე უეცრად რომ დასჭირდათ წამები.*
*დარდი, მოგონება და კვლავ სანთლები.*
*ახლა რაღა ვქნათ? ყველას გვენატრებით.*
*იქ, სადღაც შორს, ალბათ თენდება,*
*ნარინჯისფრად თოვს და არავინ ბერდება.*
*გულით ერთად ყოფნა მათ არ ჰბეზრდებათ,*
*ამას ვამბობ და ფარდაც ეშვება.*
*მუდამ ჩვენს გულებში იქნებით.*

*მარიკა, თეკო, ქეთი, მაია*

### ნოდარ შანავას მონატრება

აი, შენი დაბადების დღეც მოვიდა. მოვიდა უშენოდ, შენ გარეშე. მესამე დაბადების დღეა უშენოდ. მოვალთ საფლავზე და მოგილოცავთ ამ ლამაზ დღეს. მოვალთ თვალცრემლიანები და დიდი, ძალიან დიდი გულისტკივილით — იმ ტკივილით, რომელიც შენი წასვლის შემდეგ დაგვრჩა და რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძლიერდება და გაუსაძლისი ხდება. არადა, შენ ხომ ირგვლივ სიყვარულს, სითბოსა და სიხარულს არიგებდი, შენი დიდი, მოსიყვარულე გულით, იმ გულით, რომელმაც ბოლოს ასე გიმტყუნა. საყვარელო ნოდარ, ერთმა ავბედითმა წუთმა დაამსხვრია და ცას შეატოვა ოჯახის ბედნიერება, დაცარიელდა ის შეუცვლელი ადგილი, რომელიც შენ გეკავა. გაქრა შენი ომახიანი შეძახილი, მხიარულება, სითბო, შენი თუნდაც ერთი იმედიანი სიტყვა. შენ ირგვლივ ყველაფერი ლამაზი და ამაღლებული იყო, რადგან თვითონ იყავი ასეთი. ვერ ვუძლებთ ტკივილს, რომელსაც მონატრება ჰქვია. რამდენი დაგვიგროვდა სათქმელი. ვერავინ შეუმსუბუქებს დარდს შენს უბედურ დედას, სამუდამოდ ჩამოუგდე მხარი შენს მეუღლეს. შენი შვილები და შვილიშვილები მხოლოდ მოგონებებით და მონატრებით დატოვე, ისინი ხომ სიცოცხლეს გერჩივნა. მხოლოდ სიზმრად დარჩი და ტკბილ მოგონებად.

დაე, ჩვენი ანთებული სანთლები გინათებდეს სამუდამო სასუფეველს! ვილოცებთ შენი წმინდა სულისათვის.

*შენი ოჯახი*

### გულიკო ყიფიანის ხსოვნას!

ჩვენო საყვარელო გულიკო!



უკვე ერთი წელი გასულა იმ საბედისწერო დღიდან, რაც ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ვერავინ და ვერაფერი ვერ ავსებს იმ აუტანელ სიცარიელეს, რომელიც შენ დაგვიტოვე.

„ჩემო სიცოცხლევ!" — ამ სიტყვებით იწყებდი მიმართვას ჩვენთან, შენს მეგობრებთან, შენს ახლობლებთან. ამ სიტყვებით იწყებდი იმიტომ, რომ შენ ძალიან კარგად იცოდი სიცოცხლის ფასი, სიცოცხლის თითოეულ დღეს, თითოეულ წუთს მაქსიმალურად იყენებდი იმისთვის, რომ სხვებისთვის დახმარების ხელი გაგეწოდებინა, სხვა გენუგეშებინა; ყველას სატკივარი გულთან მიგქონდა და ამიტომაც ვერ გაუძლო მეტს შენმა დაღლილმა გულმა.

ჩვენო გულიკო, შენ იყავი მშვენიერების, სიკეთის, სათნოების, ურთიერთნდობის, მიტევების განსახიერება. შენში თავს იყრიდა იდეალური ქალის და იდეალური თანამშრომლის ყველა თვისება, ამიტომ გვტკივა გული ყველას ასე მწარედ, ამიტომაც ვერ გიხსენებთ უცრემლოდ.

ბოლო დღემდე სამსახურში დადიოდი. სამსახურიდან გაგაცილეთ ბოლოს იმედიანი სიტყვებით. ერთი წუთითაც არ დაგვიშვია ის, რომ შეიძლებოდა რაიმე ცუდი მომხდარიყო, მაგრამ განგებამ სხვაგვარად განსაჯა.

ჩვენო გულიკო, ჩვენო კარგო ქალბატონო, გვწამს, რომ უფალმა ღირსეული ადგილი დაგიმკვიდრა სასუფეველში, ჩვენ კი შენს საფლავს ლამაზი ყვავილებით და წმინდა სანთლებით შევამკობთ, რათა უფრო გაბრწყინდეს შენი სპეტაკი სული.

*ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლები*

ჩვენ გვწერენ

# რას მერჩოდნენ?

ამას წინათ, გამთენიისას გამეღვიძა. ჯერ კიდევ ბინდბუნდში ოთახში ორი საოცარი გარეგნობის არსება გავარჩიე. ორივეს ვერცხლისფერი სამოსი ეცვა, რაც მთლიანად უფარავდათ სხეულს. თითებიც კი არ მოუჩანდათ. ოდნავ წაგრძელებული სკაფანდრები ეხურათ და თითქოს ასხივებდნენ. არ ვიცი, რა ჰქვია მდგომარეობას, როცა არც შიშს გრძნობ, არც გაოცებას, არადა სწორედ ასე ვიყავი. ისეთი ოლიმპიური სიმშვიდით შევცქეროდი დაუპატიჟებელ სტუმრებს, თითქოს ერთად გაზრდილები ვიყავით და ასე თამამადაც უნდა ევლოთ ჩემს ბინაში.



ისინი სრულიადაც არ მაქცევდნენ ყურადღებას. კედლებს ათვალიერებდნენ. მერე ტელევიზორთან შეჩერდნენ და დიდხანს უტრიალეს გარშემო. დავინახე, ერთ-ერთმა კოლბა ამოიღო და იქიდან ტელევიზორის უკან რაღაც ჩაასხა. ბოლოს სტუმრებმა ინებეს და მეც დამითმეს ყურადღება. ერთ-ერთი მომიახლოვდა და ვერცხლისფერი ცივი საგანი საფეთქელზე მომადო. გაუცნობიერებელი რამ ვიგრძენი. თითქოს გული მტკიოდა, სინამდვილეში კი რაღაც სასიამოვნო და უცნაური განცდა მქონდა. თვალი დავხუჭე და სიგრილეში ჩავიძირე.

როცა გონზე მოვედი, ქალაქში აღმოვჩნდი. შენობები სულაც არ ჰგავდა ჩვენს, დედამიწის შენობებს. ზოგი ოვალური იყო, ზოგი — ჩაღრმავებული. დიდი, მრგვალი ანტენები ედგათ თავზე. ჩემ გარდა, იქ რამდენიმე ადამიანი (დედამიწელი) დადიოდა. ყველანი ჩემსავით გათიშულები იყურებოდნენ აქეთ-იქით. უცებ მრგვალი შენობიდან ის ორი ნაცნობ-უცნობი უცხოპლანეტელი გამოვიდა (სხვა აბა, რა უნდა ვუწოდო? დედამიწაზე მსგავსი არსებები არ არიან). მოხუცი ქალი და მამაკაცი, ჩემს მარჯვნივ რომ იდგნენ, ხელით მიიყვანეს იმ უცნაურ ნაგებობამდე და გაუჩინარდნენ. არ ვიცი, რა დრო დაჰყვეს იქ. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვიდნენ, თითქოს იღიმებოდნენ, კმაყოფილი გამომეტყველება, მაგრამ ოდნავ შეშუპებული სახეები ჰქონდათ.

შემდეგი მე ვიყავი. ის ოვალური შენობა შიგნიდან ტელეეკრანის მსგავსი, ოთხკუთხედი სქელი მინით იყო სავსე. ცენტრში დამაყენეს და სინათლე აინთო. ეს იყო მწვანე, გულისგამაწვრილებელი სინათლე. მუხლი მომეკვეთა და გულის რევა ვიგრძენი. არ ვიცი, ამ დროს რა ხდებოდა, სამიოდე წუთში კი ძილბურანში გავეხვიე. ავმჩატდი.

არ იფიქროთ, ყველაფერი დამესიზმრა. სულაც არა. დილის 9 საათზე „გამეღვიძა“. აივანზე ვიყავი გართხმული.

მე არც მთვარეული ვარ, არც შეშლილი, ამას მეზობლები და ნათესავებიც დაგიდასტურებენ. ძლივს ავდექი. ძვალრბილი მტკიოდა. ჰოი, საოცრებავ! აივნის კარი შიგნიდან აღმოჩნდა ჩაკეტილი. ყვირილი მოვრთე. მეზობლებმა სახანძრო მანქანა გამოიძახეს, აივანზე ამოვიდნენ და კარი შემამტვრევინეს.

ის დღე ცუდად ვიყავი. სახე შესივებული მქონდა, აზროვნება მიჭირდა, რაც ახლა გიამბეთ, მეორე დღეს გამახსენდა. თვითონვე მოვინდომე რაიმე საბუთის მოძიება, რომ ჩემთან მართლაც უცხოპლანეტელები იყვნენ. ტელევიზორთან მივედი. ჩავრთე, — არ ჩაირთო. ბევრი ვუტრიალე გარშემო, მაგრამ სხვა ვერაფერი ვიპოვე. ხელოსანმაც ვერაფერი გაუგო — თითქოს ყველაფერი წესრიგშია, რატომ არ ირთვება, ვერ გეტყვითო.

დღესაც არ ვიცი, რას მერჩოდნენ ან მე და ან ჩემს ტელევიზორს უცხოპლანეტელები.

***კლარა ზაუტაშვილი***
***თბილისი***

# რას ითხოვდა მიცვალებული

ეს ამბავი ოცდაათი წლის წინ მოხდა. მაშინ პატარა ვიყავი. ჩემს მეზობლად, ქვრივ დეიდა ნინოს ერთადერთი ვაჟი დაეღუპა ავტოავარიაში. როცა ქალაქიდან ეს ამბავი მოიტანეს, დეიდა ნინოს თავის მოკვლა უნდოდა. ძლივს შეძლეს მისი დაკავება. ასეთი უბედურების მომსწრე თანასოფლელები ცრემლგამშრალნი იდგნენ და რა ეღონათ, არ იცოდნენ.



დაკრძალვის შემდეგ დეიდა ნინო ლოგინად ჩავარდა, არც წყალს სვამდა, არც საჭმელს იკარებდა, თვალსაც არ ახელდა... და საშინელი სიზმრები დაეწყო. ყოველ ღამით ატირებულ ვაჟს ხედავდა, რომელიც რაღაცას ითხოვდა, რას — ვერ იგებდა. შეწუხებული ქალი ლოგინიდან წამოდგა. ხან რის გაკეთება სცადა, ხან — რისი მიცვალებულის სულის დასამშვიდებლად, ამაოდ. სიზმრები არ ასვენებდნენ. ძალაც ხომ იყო საჭირო, რომ შვილისთვის ელოცა. ნელ-ნელა მეზობლების დაჟინებული თხოვნით — საჭმლის ჭამა დაიწყო, მაგრამ შინიდან გამოსული კი აღარავის გვინახავს.

ასე, ორი თვე იქნებოდა შვილის გარდაცვალებიდან გასული, ისევ ესიზმრა და პირველად გაიგონა, რას სთხოვდა ვაჟი: — მშიაო. კინაღამ გაგიჟდა დეიდა ნინო. ყოველ შაბათს ძვირფას სადილს მოამზადებდა, რაკი თვითონ გარეთ არ გამოდიოდა, მე დამიძახებდა, კალათაში ჩაწყობილ ნუგბარს მომაწვდიდა და მეტყოდა: — სასაფლაოზე წაიღე, შვილო, სანთელიც დაანთე, ამოალაგე ყველაფერი და დატოვეო.

დღეები გადიოდა, უბედური დედა კი ერთსა და იმავე სიზმარს ნახულობდა. მეც, ყოველ შაბათს, როგორც წესი, სასაფლაოზე მიმქონდა საკურთხი.

ერთ შაბათსაც კალათით ხელში რომ მივდიოდი, მტვერში ამოგანგლული, ბურთის თამაშით დაღლილი ჩემი კლასელები შემომეხვივნენ. ერთ-ერთმა კალათისკენ გააპარა თვალი:

— აუ, რა ნაზუქები ჩანს, ბიჭო!

— ნახე, რა სუნი ამოდის, — თქვა მეორემ, — ისე, შენ არ გშია? — შემომაპარა კითხვა.

— არა, არ მშია, — მოკლედ მოვუჭერი. მშიოდა, როგორ არა, მაგრამ მიცვალებულისთვის განკუთვნილს ხელს როგორ მოვკიდებდი...

— მაშინ ჩვენ გვშია! — მითხრეს ბიჭებმა. — მოდი, რა, ვჭამოთ, დეიდა ნინო რას გაიგებს, შინიდან არ გამოდის... ეს ერთხელ ვჭამოთ, რა...

მოკლედ, იმდენი მეხვეწნენ, ხათრი ვერ გავუტეხე. იქვე, ჭალას შევაფარეთ თავი, დავსხედით და მოვულხინეთ.

მეორე დილით ჩვენს ეზოს დეიდა ნინო მოადგა და დამიძახა. გაოცებული გავედი აივანზე. პირველი შემთხვევა იყო, რომ ის ბინიდან გამოვიდა. გულგახეთქილი ჩავედი ეზოში.

— შვილო, გოდერძი, არაფერი დამიმალო, — შემომტირა, — მითხარი, გუშინ რა მოხდა... საფლავზე რამე უცნაური ხომ არ შეგინიშნავს, ან გზად ხომ არ ყოფილა რამე სხვანაირი...

შიშით როგორ ვიტყოდი, ბიჭებს ვაჭამე ყველაფერი-მეთქი. თავი ჩავკიდე და ტირილი დავიწყე. დეიდა ნინომ გულში ჩამიხუტა.

— ნუ ტირი, შვილო, უბრალოდ, ამ 6 თვის მანძილზე პირველად მესიზმრა გაღიმებული ჩემი შვილი. მადლობა მითხრა...

მაშინ კი ხმამაღალი ბზუილი ამოვუშვი და სლუკუნით ვუამბე დეიდა ნინოს წინადღის ჩემი „უნამუსობა“. მან კი მკოცნა და მკოცნა. მერე მითხრა: — მომავალ შაბათს მოდით, კიდევ წაიღეთ ნაზუქები, ხაჭაპურები, ქადები. ქუჩაში დასხედით და ვისაც გშიოდეთ, ყველამ მიირთვითო.

ასე მექცა ცუდი საქციელი მადლად და ასე გავხდი დეიდა ნინოს ავი სიზმრებისგან მხსნელი.

***გოდერძი ლიქოკელი***

**„საზალდო-სალადო“ გვერდის პასუხები**

I. ნაყინი.

II. არ არის სახის ერთი დეტალი, ხოლო მე-6 და მე-8 დეტალები შეცდომითაა მოცემული.

III. აბა, გამოიცანი:

1) — ბ); 2) — დ); 3) — დ); 4) — დ); 5) — დ); 6) — ა); 7) — ა); 8) — დ); 9) — ბ); 10) — ა).

# შურისაგან თავის დასაცავად...

შურიანობას ზოგიერთი ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევს და არავითარ საშიშროებას არ ხედავს მასში, მაგრამ ასე არ არის.



შური სხვისი ბედნიერებითა და კეთილდღეობით გამოწვეული ბოღმაა, რომელიც შურის ობიექტზე უარყოფით ენერგეტიკულ გავლენას ახდენს, თანაც ეს მარტო იმას კი არ ვნებს, ვისიც შურთ, არამედ მასაც, ვისაც შურს. შურიანობისგან თავის დასაცავად საჭიროა:

1. ჯიბით ატარეთ ლობიოს, ცერცვის ან ოსპის მარცვალი. წყვილლებნიანებს ადამიანისგან შურის აცილების მაგიური ძალა გააჩნიათ.

2. გაახმეთ მუხის რამდენიმე ფოთოლი და ჩაიდეთ იმ ჩანთაში, რომლითაც საქმეზე მიდიხართ. დანარჩენი კი შინ დამალეთ იქ, სადაც ფული და ძვირფასი ნივთები გიწყვიათ.

3. შურისაგან თავდასაცავად კარგია აბზინდა, შეგიძლიათ ის ოფისშიც იქონიოთ.

4. დაკიდეთ კარის თავზე გამხმარი სამყურის კონა, რათა სახლში შური არ შეიპაროს. ეს ბალახი ოჯახის წევრთა კარგ ურთიერთობასაც უწყობს ხელს.

5. სახლში შესასვლელ კარზე დაამაგრეთ გიშრის ჯვარი.

***ოტდოხნი! №22***

# გაცოცხლებული ზღაპარი

როცა ჩემს რესპონდენტს მოვუსმინე, ერთი ქართული ხალხური ზღაპარი გამახსენდა, როცა მადლიერმა სიკვდილმა ერთ ჩვეულებრივ კაცს მკურნალის ნიჭი უბოძა, ოღონდ სასტიკად გააფრთხილა: „ავადმყოფთან მოსული, თუ დაინახავ, თავთან ვდგავარ, იცოდე, მომაკვდავია და გაეცალე, თუ ფეხებთან ვიდგები, თამამად უმკურნალე, გადარჩებაო!..“

ბატონი თორნიკე ექიმია, ქირურგი და როცა გაიგო, ვინც ვიყავი, შეთქმულივით ჩამჩურჩულა ყურში:

— ერთ უცნაურობას გეტყვი, გაზეთშიც შეგიძლია დაწერო, ოღონდ ერთი პირობით, ჩემს ვინაობას ნუ გაამხელ, არ მინდა ყურადღების ცენტრში მოვხვდე და ხალხს ჭორაობის საბაბი მივცე, თანაც, რაც მე მჭირს, მართლაც წარმოუდგენლად რთული დასაჯერებელიაო...

მერე კი თავისი უჩვეულო უნარის შესახებ მიამბო და თან წარამარა მეკითხებოდა: — გჯერა, რომ მართალია, რასაც გიამბობ?!.

— ექიმი ნათესაობაში არ გვყოლია, მამა ინჟინერი მყავდა, დედა — პედაგოგი. დებიც მასწავლებლები არიან, მე კი პატარაობიდანვე რომ ამოვიჩემე — ექიმი უნდა გავხდე-მეთქი, ყველაფერი გავაკეთე მიზნის მისაღწევად. ექიმობა კი საყვარელი ბებიის გარდაცვალებამ მაფიქრებინა...

მე ბებიასთან ვიზრდებოდი, რადგან დედმამა მუშაობდა და არ ეცალათ ჩემთვის. ზოგჯერ მგონია, მარო ბებია მშობლებზე მეტადაც მიყვარდა და ალბათ ასეც იყო, საოცრად მშვიდად ვგრძნობდი მის გვერდით თავს. ხუთი წლის ასაკში სწორედ ეს სიმშვიდის შეგრძნება გამიქრა, ბებიას გვერდით მყოფს სულ მეშინოდა რაღაცის, ერთ მშვენიერ დღეს კი დავაფიქსირე, რომ ბებიას უკან ნისლისმაგვარი აჩრდილი დაჰყვებოდა... ვთქვი კიდევაც ამის შესახებ ხმამაღლა, მაგრამ არც მომისმინეს, ჭირვეულობას დააბრალეს, არადა იმ „აჩრდილის“ გაჩენიდან ორ კვირაში ბებია გარდაიცვალა...

...მსგავსი „აჩრდილი“ მოგვიანებით სხვა ადამიანების უკანაც დავაფიქსირე და ყოველი მათგანი ორ-სამ კვირაში გარდაიცვალა ამის შემდეგ...

მშობლებმა ფსიქიატრთანაც მიმიყვანეს ამის გამო და „ნევროზზე“ მიმკურნალეს. არ ვიცი, „მკურნალობამ“ გამოიღო შედეგი და არ ვიცი სხვა რამის გამო, უჩვეულო შეგრძნებები გამიქრა და არც შეუხსენებია თავი, სანამ ექიმი არ გავხდი და დამოუკიდებლად არ დავიწყე ოპერაციების კეთება...

26 წლის ასაკში „აღმიდგა“ სიკვდილის სიახლოვის შეგრძნება, 1977 წელი იდგა. კარგად მახსოვს, კუჭის ოპერაციას ვაკეთებდით და შუა ოპერაციისას ავადმყოფის სასთუმალთან გაჩნდა ნაცრისფერი აჩრდილი... გულმა რეჩხი მიყო, მაგრამ არაფერი შევიმჩნიე, მაინც არ დამიჯერებდნენ...

ის ავადმყოფი მალე დაიღუპა.

**— ყველა ავადმყოფს უჩნდებოდა ნაცრისფერი აჩრდილი?!**

— თავიდან არა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში თითქმის ყოველთვის ვხედავ, თან ერთ რამესაც დავაკვირდი — ავადმყოფი მხოლოდ იმ შემთხვევაში იღუპება, თუ აჩრდილი თავთან „დგას“, ფეხებთან მდგომი აჩრდილის „პატრონი“ კი, რაც უნდა მძიმედ იყოს, მაინც დაუძვრება კრიზისულ მდგომარეობას...

**— ზუსტად ისე, როგორც ქართულ ზღაპარშია, საოცარია...**

— როგორც ჩანს, ზღაპარიც რეალურად განცდილის გამოძახილია, ასეთი რამის მოგონება შეუძლებელია, ოღონდ რადგან იშვიათად ვინმეს ეძლევა ხედვა, დაუჯერებელია და ამიტომ მართლა ზღაპარივით ისმენენ...

**— ამ ნიჭის შესახებ პარანორმალური მოვლენების შემსწავლელ წრეებთანაც გქონიათ ლაპარაკი...**

— მქონდა, მაგრამ ვერავინ ახსნა ეს უნარი, ეგ კია, ენერგეტიკის გამზომმა ხელსაწყოებმა ჩემ მიერ მითითებულ ადგილზე, ანუ აჩრდილის ადგილზე მართლა დააფიქსირეს უცხო, უხილავი ველის არსებობა, რომელიც ავადმყოფის გარდაცვალების შემდეგ ქრებოდა...

**— გამოჯანმრთელების შემთხვევაში?**

— ამ შემთხვევაშიც მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: „თავისი სიკვდილის“ აჩრდილი ყველა კაცს თან დასდევს ყოველთვის და კრიტიკულ მომენტში გააქტიურდება ხოლმე...

სხვათა შორის, თქვენს გაზეთში ისეთი წერილიც დაიბეჭდა, ვიღაც სიკვდილის სიახლოვეს სუნით რომ გრძნობს და ასეთი რამეც არსებობს ალბათ... მე აჩრდილს ვხედავ, ვიღაც სუნს გრძნობს, სხვათა შორის, ისიც წამიკითხავს — ვიღაც სიკვდილის სიახლოვეს სიცივის შეგრძნებით რომ აღიქვამდა...

**— გაწუხებთ თქვენი უნარი?**

— დისკომფორტს ნამდვილად მიქმნის, მით უმეტეს, როცა სიკვდილის აჩრდილს ახლობელი ადამიანების გვერდით ვგრძნობ...

**— სხვა უჩვეულო არაფერი შეგიმჩნევიათ თავისთვის?**

— საკმარისი არაა, რაც მჭირს?! — კითხვა დამიბრუნა თორნიკე ექიმმა. დავემშვიდობე და კიდევ ბევრი საფიქრალი გამოვიყოლე თან...

***ინგა ჯაყელი***

# თოვლის კაცის „მოგზაურობა“ ტიბეტიდან პარიზში

მოსკოვის ჰომინოლოგიის საერთაშორისო ცენტრში, საფრანგეთში ტურისტული მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ილია ხანკოვმა მიიტანა უცნაური ფოტო, რომელიც მან ამ მოგზაურობისას გადაიღო პატარა პროვინციულ ქალაქ ბურგანიოფში.

ფოტოზე გამოსახულია ექსპონატი, რომელსაც ყველას უჩვენებდნენ აქ გამართულ გამოფენაზე. ესაა გაყინული ჰომინოიდი (თოვლის კაცი). მისი სიმაღლე 2.60 მ-ია. ექსპონატის მფლობელის განცხადებით, ჰომინოიდი თოვლის ზვავში მოყვა და დაიღუპა. ის ტიბეტიდან ჩამოიტანეს და მაცივარში მოათავსეს.

გარეგნულად ჰომინოიდი კარგად იყო შენახული. გამოკვეთილად ჩანდა სხეულის ბეწვის საფარველი, მუსკულატურა, სახის გამომეტყველება, კბილები, ოდნავ გაღებული პირი და სხვა.

ფრანგმა კრიპტოზოოლოგებმა ჩათვალეს, რომ ეს იყო მორიგი სიცრუე, რადგან ექსპონატის მფლობელი ექსპონატიანად მოულოდნელად გაქრა. როგორც ჩანს, იგი შეაშინა გავრცელებულმა ინფორმაციამ ჰომინოიდის შესახებ და იფიქრა, ვინმემ არ გამომაცალოს ხელიდანო.

ჰომინოლოგიის საერთაშორისო ცენტრის თანამშრომლებს იმავე ტურისტმა გადასცა თოვლის კაცის თმის რამდენიმე ღერი, რომელიც მან ექსპონატის მფლობელისაგან შეიძინა.

მოსკოველმა კრიპტოლოგებმა თოვლის კაცის თმა ექსპერტიზისათვის გაუგზავნეს ცნობილ სწავლულს, დოქტორ ფარენბახს, ბერლინში.

ექსპერტიზის შედეგად, აბსოლუტურად გამოირიცხა ვერსია იმის თაობაზე, რომ თმა ადამიანს ან მეცნიერთათვის ცნობილ მაიმუნთა რომელიმე სახეობას ეკუთვნოდა.

***ტაინაია ვლასტი №6***

# ლემურები კომპიუტერთან



დიუკის უნივერსიტეტის ამერიკელმა სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ ლემურებს კომპიუტერული თამაშების ნიჭი აქვთ. აქამდე ეს ნახევრად მაიმუნები არც ისე გონიერები ეგონათ. როგორც კვლევამ ცხადყო, ლემურებს სხვა მაიმუნებისაგან განსხვავებით, კონკრეტული მოტივაცია სჭირდებათ რაიმე სასუსნავის სახით და მაშინ ისინი სასწაულებს ახდენენ.

როგორც ფსიქოლოგი ელიზაბეტ ბრენონი ამტკიცებს, ლემურები საოცრად აზარტულებიც არიან — შემთხვევას არ უშვებენ, რომ კომპიუტერს მიუსხდნენ. ამასთან, ეკრანის სენსორულ გადამცემებს თათებით კი არა, ენის წვერით ან ცხვირით ეხებიან.

***ეხო პლანეტი №22***

# რეკლამის თავისებურებანი

ამას წინათ, სიანგანის (ჰონკონგი) ერთ-ერთი ხმაურიანი სავაჭრო რაიონი რამდენიმე საათით თითქმის პარალიზებული იყო — რომელიღაც ფირმამ სარეკლამო მიზნით ქუჩაში გაუშვა თავისი მოდელები ახალი კონსტრუქციის ბიუსტჰალტერების დემონსტრირებისთვის.

ქალის ამ თეთრეულის თავისებურებებიდან გამომდინარე, მოდელები ნახევრად შიშვლები იყვნენ, ამიტომ ქუჩაში მოძრაობა გაჩერდა. ავტობუსების, ტაქსის, კერძო ავტომობილების მგზავრები და მძღოლები ტროტუარებზე ჩამწკრივდნენ. მაღაზიების მეპატრონეებმა აქციის გამო ვაჭრობის უპერსპექტივობა აღიარეს და ისინიც მოსეირეებს შეუერთდნენ.

„ბიუსტჰალტერული" აღტყინება პოლიციამ ჩაახშო — მოდელები გაყარეს და სავაჭრო რაიონშიც სიმშვიდემ და საქმიანმა ატმოსფერომ დაისადგურა.

***დენგი***

# რა აწუხებს კამილას



პრესის ცნობით, პრინც ჩარლზის საყვარელი, კამილა პარკერი, რომელთანაც მისი აღმატებულება უკვე 30 წელია მეგობრობს, დიდი ხანია ავადმყოფობს — სერიოზული პრობლემები აქვს ფილტვებთან დაკავშირებით. თურმე ქალბატონი კამილა დღეში 40 სიგარეტს ეწევა.

შარშან, მაისში მან გადაწყვიტა სიგარეტის გადაგდება და ანტინიკოტინიანი სალეჭი რეზინის ღეჭვაც კი დაიწყო, მაგრამ რამდენიმე კვირაში ისევ მიუბრუნდა სიგარეტს.

კამილა ვერ ელევა ამ მავნე ჩვევას, ის ხომ უკვე 30 წელია ეწევა — მას შემდეგ, რაც მისი და ჩარლზის რომანი დაიწყო და ვერა და ვერ მოახერხეს დაქორწინება.

კამილას და ჩარლს ახლო მომავალში უნდა დაეწერათ ჯვარი, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, ეს საპატარძლოს ავადმყოფობის მიზეზით იქნება.

***ტაიმი***

# სექსსიმბოლოს ახალი სამშობლო აქვს



„მალიბუს მაშველი", 36 წლის ვარსკვლავი პამელა ანდერსონი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე გახდა — მან ათ საგამოცდო შეკითხვას უპასუხა და დახურულ ცერემონიაზე ახალ სამშობლოს ერთგულება შეჰფიცა. თუმცა არც ძველი დავიწყებია — პამელა კანადაში დაიბადა, აშშ-ში კი 1989 წელს გადავიდა. რატომ გადაწყვიტა აშშ-ის მოქალაქეობა, არავინ იცის.

პამელა ანდერსონი 90-იანი წლების სექსსიმბოლოდაა აღიარებული, ჟურნალ „ფლეიბოის" გარეკანზე კი ხუთჯერ დაიბეჭდა მისი ფოტო. ორჯერ რადიკალურად შეიცვალა გარეგნობა — ჯერ გაიდიდა მკერდი, მერე კი დაიპატარავა. პუბლიკას თავს არ ავიწყებს — მუსიკოს ტომი ლისთან ქორწინებაც კი შოუდ აქცია — ვიდეოფირზე აღბეჭდა თაფლობის თვის ინტიმური წვრილმანები და გაავრცელა. ახლა კი პამელა ჟურნალისტიკაში ცდის ბედს — იგი ჟურნალ „ელის" კანადური გამოცემის მიმომხილველი გახდება.

***ლიზა***

# კოლიმ ორასი სიტყვა იცის...



გერმანიის ქალაქ დორტმუნდში ცხოვრობს 9 წლის კოლი, სახელად რიკო, რომლის ლექსიკონშიც 200 სიტყვაა. ამასთან, ძაღლს შეუძლია გაიგოს იმ სიტყვის მნიშვნელობაც, რომელიც პირველად ესმის.

რიკოს მეპატრონემ, სუსანა ბაუსმა ძაღლს საგნების გარჩევა ერთი წლის ასაკიდან დააწყებინა. იგი ოთახის სამ სხვადასხვა ადგილას დებდა სხვადასხვა სათამაშოს და ლეკვს ავალებდა ერთი კონკრეტულის მოტანას. სწორად შესრულებული დავალების სანაცვლოდ რიკო იღებდა წამახალისებელ ნუგბარს ან მხიარულ თამაშს.

დოქტორმა ჯულია ფიშერმა და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს ექსპერიმენტების სერია. რიკომ სწორად განსაზღვრა 40-მდე ხმამაღლა დასახელებული საგანი და გააოცა მკვლევარები. ისინი ვარაუდობენ, რომ ძაღლის ლექსიკონი თამამად შეიძლება შევადაროთ განსწავლული შიმპანზეს, ზღვის ლომის, დელფინის ან თუთიყუშის ლექსიკონს. მაგრამ ამის შემდეგ რიკომ კიდევ უფრო მეტად მოხიბლა ექსპერიმენტატორები. ნაცნობ საგნებთან ერთად მას დაუდეს ერთი მისთვის უცნობი საგანი. 20-დან 7 შემთხვევაში ოთხფეხა გენიოსმა დავალებას თავი წარმატებით გაართვა, ერთი თვის შემდეგ კი მან აბსოლუტური სიზუსტით დაიმახსოვრა ახალი სათამაშოს დასახელება.

რიკოზე ჩატარებული ცდებით დაასკვნეს, რომ ძაღლის ენობრივი მონაცემები სამი წლის ბავშვის მონაცემებს შეესაბამება.

***მირ ნოვოსტეი***

# „დამზადებულია... ციხეში"

გერმანიის დედაქალაქის ფეშენებელურ კროიზბერგის რაიონში გაიხსნა მაღაზია, სადაც... ციხეში შეკერილი ტანისამოსით ვაჭრობენ, იარლიყებზეც აწერია: „დამზადებულია ციხეში".

ამ რუხი ფერის, გამძლე, უხეში ქსოვილით შეკერილ ტანსაცმელს ჰქვია HAEFTLING-ი („პატიმარი"). ეს ახალი, მოდური შარვლები, ქურთუკები, პიჯაკები, ფეხსაცმელები ციხის ტანსაცმლის ყაიდაზეა შეკერილი მკვლელებისა და მოძალადეების ხელით. ციხის ატელიეში მკერავებს დღეში 14 ევროს უხდიან.

ამ ტანსაცმლით ბიზნესმენი შტეფან ბოლე ვაჭრობს. ეს შესანიშნავი იდეა მას მაშინ დაებადა, როცა გაზეთში წაიკითხა განცხადება, რომელიც მომხმარებელს სთავაზობდა ბერლინის მკაცრი რეჟიმის ციხის „ტეგელის" ატელიეში შეკერილ სამოსს. თანაც ციხის დასახელება ისეთი წვრილი შრიფტით ეწერა, რომ მისი წაკითხვა მხოლოდ ლუპით შეიძლებოდა.

ბოლე მაშინვე მიხვდა: ციხის მმართველობა ცდილობდა თავისი საქონლის დამზადების ადგილის გასაიდუმლოებას — ეტყობა, ციხის მესვეურები ფიქრობდნენ, რომ სიტყვა „ციხე" მყიდველს დააფრთხობდა. შტეფანმა, პირიქით, იარლიყზე „ციხე" უფრო მსხვილი შრიფტით დააბეჭდვინა და ისე დაიწყო გაყიდვა. ალღომ არ უმტყუნა. მას ახლა უამრავი მუშტარი ჰყავს.

37 წლის ევა სტუკერმა ქმარს პერანგი 36,5 ევროდ უყიდა. „პირველად პერანგი იმიტომ ვიყიდე, რომ ციხეში იყო შეკერილი. ქმარს მოეწონა. ახლა კი ხუმრობს, ამ პერანგში თავს ისე ვგრძნობ, როგორც ციხეშიო და ამიტომ შინ ყველა სამუშაოს მორჩილად ასრულებს. „ახლა კიდევ მეტად რომ გაბეჯითდეს, მეორეც შევუძინე", — ამბობს ევა სტუკერი.

საქმე შესანიშნავად მიდის. ატელიეები გერმანიის 12 ციხეში ამუშავდა და პროდუქციას გასაყიდად ჰერ ბოლეს უგზავნიან.

შტეფან ბოლე მიღწეულით არ კმაყოფილდება და თავის საქმიანობას აფართოებს. მისი მკერავები ახლა თეთრეულსაც კერავენ და ტყავის ელეგანტურ პორტფელებსაც უშვებენ. ბოლემ მოლაპარაკება დაიწყო ბავარიის ქალთა ციხესთან ქალის ტანსაცმლის შეკერვის თაობაზე.

ალღოიან ბიზნესმენს სხვა გეგმებიც აქვს. მომავალში ის სოსისის, თაფლის და ღვინის გამოშვებასაც აპირებს და, რაღა თქმა უნდა, მათზეც იქნება დაკრული იარლიყი წარწერით HAEFTLING-ი.

***შტერნი***

# იცით თუ არა, რომ...

— ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატისთვის პორტუგალია „საფუძვლიანად" მოემზადა — გულშემატკივრებს ახალი ეროტიკული ნაკრები გაახარებს. მასში ყველა აქსესუარი პორტუგალიის დროშის ფერებითაა გაფორმებული. ავტორებს ღრმად სწამთ, რომ ეს ნაკრები ეროვნულ გუნდს წარმატებას მოუტანს და ენერგიას შემატებს წყვილებს, რომლებიც ნაცვლად იმისა, ლოგინში ინებივრონ, საფეხბურთო მატჩებს დაესწრებიან.

— ინდოეთი, სადაც მასობრივადაა გავრცელებული ვაზექტომია (მამაკაცების სტერილიზაცია), კვლავაც აპირებს ჩასახვის საწინააღმდეგო პრეპარატების აქტიურ გავრცელებას მოსახლეობაში. ქვეყანაში ვაზექტომიის 8000-ზე მეტი ოპერაცია ჩატარდა. ამის საჭიროება ინდოეთში ყველასათვის აშკარაა — 600-მილიონიანი მოსახლეობის ყოველწლიური ნამატი თითქმის 14 მილიონს შეადგენს. დღეს ქვეყანაში რეპროდუქციული ასაკის 120 მილიონი გათხოვილი ქალი ცხოვრობს და მთავრობა ოფიციალურად ჰპირდება მათ კონტრაცეპტივებით მომარაგებას.

— კომპიუტერების თურქი სპეციალისტი ილიას ტოპალოღლუ საკუთარი ხელების წყალობით მთელ ქვეყანაშია ცნობილი. ხელები კი მართლაც „ოქროსი" აქვს — თითოეული ექვსთითიანია. ეს მას დიდ უპირატესობას ანიჭებს სხვა კოლეგებთან შედარებით — ისე სწრაფად შეჰყავს ტექსტი, რომ მალე ალბათ გინესის რეკორდების წიგნში შეიტანენ. ეს ანატომიური თავისებურება ხელის ჩამორთმევისას ბევრს აოგნებს. ნათესავები ორი ზედმეტი ნეკის მოშორებას ურჩევენ, მაგრამ ილიასი უარზეა. ახლობლები უკვე შეეჩვივნენ მის უცნაურ ხელებს, რომელსაც მედიცინა მეექვსე თითის რუდიმენტს უწოდებს და უბოროტოდ ეხუმრებიან, ექვსთითას ეძახიან.

***მირორი***

# ეს სიყვარულს არ უშლის ხელს



ადრე ითვლებოდა, რომ ქმარი ცოლზე უფროსი უნდა ყოფილიყო. ახლა დრო შეიცვალა და ქალები გაცილებით ახალგაზრდა მამაკაცებს ირჩევენ პარტნიორებად. ამის მაგალითია 75 წლის შვედი მომღერლის ბიბი ჯონსისა და 35 წლის ხორვატი პიანისტის ალექს რაციტას კავშირი. უკვე 7 წელია წყვილი ერთად არის და თავს ძალიან ბედნიერად გრძნობს. ისინი საკუთარ სახლში ცხოვრობენ მიუნხენის მახლობლად. ასაკის მიუხედავად, მომღერალი შესანიშნავად გამოიყურება და ეს იმიტომ, რომ არც სიყმაწვილეს მისტირის და არც გარეგნობას, არ იკეთებს პლასტიკურ ოპერაციებს, უბრალოდ, ცხოვრებით ტკბება. ალექსმა არაერთხელ სთხოვა ცოლობა საყვარელ ქალს, მაგრამ ბიბიმ უარი უთხრა, ვინაიდან ის თავისუფალი მანდილოსანია და ქორწინება მისთვის თავისებური შეთანხმებაა, რომელიც შეზღუდავს მის თავისუფლებას. ზაფხულში ბიბი კრის ჰოულანდომის ჯგუფთან ერთად გასტროლებზე მიემგზავრება. ასე რომ, 75 წლის ასაკში ცხოვრება არ მთავრდება!

***ოჯი***

## ჟურნალ „კარუსელის" საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის"



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში გალაკტიონ ტაბიძის სტრიქონებს ამოიკითხავთ.**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ | ა | რ | მ | ო | ი | წ | ყ | ე | ნ | თ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ნ | ლ | | ძ | ა | ს | ა | ე | ა | ე | ი | ო | ა | რ | ლ | | ი | | დ | ი | ლ | ი |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |

**ჩ.** ხიზრი ალდამოვის ეროვნება; **ვ.** იტალიელი კომპოზიტორი; **ე.** რა ერქვა დათა თუთაშხიას დას; **ნ.** თორნიკეს როლის შემსრულებელი ფილმში „მონანიება"; **თ.** ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **ა.** პირისახე წინიდან; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე.** ჩარლი ჩაპლინის ეროვნება; **რ.** აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; **თ.** დაბა აღმოსავლეთ საქართველოში; **ა.** კარტოფილის სამშობლო; **დ.** სპარსეთის მეფე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა ორ დიდ ბრძოლაში დაამარცხა; **ა.** დაავადება, რომელსაც სულის ხუთვის შეტევები ახასიათებს; **რ.** რისამე მარაგი; **მ.** რედიარდ კიპლინგის ნაწარმოები; **ო.** ნორვეგიის დედაქალაქი; **ი.** სუფთა გამარჯვება ძიუდოში; **წ.** ძვირფასბეწვიანი ცხოველი; **ყ.** სტუმრობისას დამეგობრებული პირი კავკასიაში; **ე.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **ნ.** დინამიტის გამომგონებლის გვარი; **თ.** სხეულის ორგანო, რომელიც ჰანიბალმა გაცივების შედეგად დაკარგა.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**გ.** გიშერი; **ა.** აკელა; **ე.** ერნესტო; **რ.** რეისი; **თ.** თეტიდა; **ე.** ესკიმო; **დ.** დოინჯი; **ა.** აკვანი; **დ.** დუიმი; **ა.** აკლდამა; **ი.** ილიონი; **ს.** სოსელო; **ვ.** ვახუშტი; **ე.** ელვა; **ნ.** ნიაგარა; **ე.** ექსცესი; **ჩ.** ჩხა; **ვ.** ვერონა; **ე.** ერუდიტი; **ნ.** ნინუა; **თ.** თედო; **ა.** აზატი; **ნ.** ნიუტონი; **ე.** ელჩი; **რ.** რევერსი; **თ.** თხემი; **ა.** აზნაური; **დ.** დიონისე.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: შენი ტკივილი სხვას არ უნდა უჩვენო.**

# კვირის «მინიკალენდარი»

**„კვირის პალიტრა“ დაბადების დღეს ულოცავს ამ კვირაში დაბადებულ მკითხველებს. სახელგანთქმული ადამიანების „მინიკალენდარი“ კი ასეთია:**



**21 ივნისი:**

**აკაკი წერეთელი**, პოეტი, საზოგადო მოღვაწე; **შარლოტა ბრონტე**, მწერალი; **ჟან პოლ სარტრი**, ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი.

**22 ივნისი:**

**მიხეილ ქვლივიძე**, პოეტი; **სულიკო ჟღენტი**, კინოდრამატურგი; **ელგუჯა ამაშუკელი**, მოქანდაკე; **ვილჰელმ ჰუმბოლდტი**, გერმანელი ენათმეცნიერი; **ერიხ მარია რემარკი**, მწერალი; **მერილ სტრიპი**, მსახიობი.

**23 ივნისი:**

**კობა გურული**, მხატვარი; **ანა ახმატოვა**, პოეტი; **ალექსანდრ კაიდანოვსკი**, მსახიობი.

**24 ივნისი:**

**ელევთერ დიუპონი**, მწარმოებელი, დიუპონების დინასტიის ერთ-ერთი დამაარსებელი; **ვიქტორ გესი**, ფიზიკოსი.

**25 ივნისი:**

**ანტონიო ჰაუდი**, არქიტექტორი; **ჯორჯ მაიკლი**, მომღერალი; **ვლადიმირ კრამნიკი**, მოჭადრაკე.

**26 ივნისი:**

**უილიამ კელვინი**, ფიზიკოსი; **ვილი მესერშმიდტი**, ავიაკონსტრუქტორი; **კრის აიზეკი**, პოპ-მომღერალი.

**27 ივნისი:**

**ევგენი მიქელაძე**, დირიჟორი; **პაულ მაუზერი**, იარაღის კონსტრუქტორი; **იზაბელ აჯანი**, მსახიობი.

# სიტყვათა კონა

**კვრინვა** (ძვ.) — ვეფხვის, ფოცხვერის, კატისა და მისთ. კრუტუნი.

**კიალი** — ნათება, ბრწყინვა, კიაფი, ელვარება.

**კივკივი** — ინდაურის ხმიანობა. (კივკივა ინდაურის ეპითეტია).

**კიკო** — 1. ბანქოს სათამაშო ქაღალდი, რომელზედაც მხოლოდ ერთი გამოსახულებაა (ერთი ჯვარი, ერთი ყვავი...) — ტუზი. 2. (საუბ.) კენტი, ცალი, მარტოხელა.

**კილი** — 1. მცირე ნაკლი, წუნი. 2. თავთავიან კულტურათა მარცვლის ბუდე. 3. დაჩრჩილული ხის მტვერი.

**კილიტი, კილიტა** — 1. ფერადი ლითონის სიფრიფანა ფურცელი,: იხმარება სარკეების წარმოებაში, ტყავის სატვიფრავად და ა.შ.

**კილო** — 1. ღილის შესაკრავი ჭრილი ტანსაცმელზე, — საღილე, თასმისა ან დაგრეხილი ძაფისგან გაკეთებული ყულფი, ღილზე გადასაცმელი. 2. ისრის ბოლო ჭდე, რომლითაც იგი მშვილდის ლარს ედება.

**კიმპალი** — ყურძნის მტევნის მხარი, რომელზედაც ორი-სამი მარცვალია.

**კინტო** — ძველ თბილისში — ხელზე მოვაჭრე; გამოირჩეოდა თავისებური ჩაცმა-დახურვით, სხარტი სიტყვა-პასუხით და ცუღლუტობით. 2. გადატ. (ლანძღ.) ცუღლუტი, მასხარა, ლაზღანდარა.

# «მე და ლექსო და-ძმა არა ვართ!..»

**— მართალია თუ არა, რეპერის ლექს-სენის და „მაესტროს“ ერთ-ერთი წამყვანის თიკო სადუნიშვილის დაძმობის ამბავი? მათ იხუმრეს თუ „I სტერეოს“ თანამშრომლებმა, ველარ გავარკვიე. იქნებ თქვენ გვიპასუხოთ?**

***ანი მამულაშვილი***

კითხვაზე უპასუხებს **თიკო სადუნიშვილი**.



— რატომღაც ჭორები თავისით აგორდა და ეს უკვე დიდი ხანია გრძელდება. ერთხელაც ყელში ამომივიდა ეს შეკითხვა და ჟურნალისტს ვუთხარი, მართალია-მეთქი. რა ვიცოდი, ჩემს უწყინარ ხუმრობას თუ ასეთი აჟიოტაჟი მოჰყვებოდა. მე და ლექსო ნამდვილად არ ვართ და-ძმა, ჩვენ უბრალოდ ვმეგობრობთ. ორივეს ერთი პროდიუსერი გვყავს, მამუკა ღლონტი და მხოლოდ ერთხელ ჩავწერეთ ერთად სიმღერა. სულ ეს არის და ეს. მართალია, ლექსოს მანამდეც ვიცნობდი, მაგრამ ერთი წელია, რაც ვმეგობრობთ — მას შემდეგ, რაც „მაესტროში“ დავიწყე მუშაობა. ამდენად, კიდევ ერთხელ ვისარგებლებ შემთხვევით და ხმამაღლა ვიტყვი — მე და ლექსო და-ძმა არა ვართ!..

# რა ღირს ადგილი სასაფლაოზე?!

**— გთხოვთ გვიპასუხოთ, რა ღირს ადგილი სასაფლაოზე ოფიციალურად და არსებობს თუ არა გარკვეული კატეგორიის მიცვალებულებზე შეღავათი?**

***დავით თაბაგარი***

კითხვაზე უპასუხებს **ვალერი დონდუა**, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესის“ დირექტორი.

— ყველა მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მყოფ სასაფლაოზე დასაკრძალი ფართობი გაიცემა უფასოდ. გადასახდელია მხოლოდ მომსახურების ღირებულება, რომელიც 92 ლარს შეადგენს. მომსახურებაში შედის: მიწის გათხრა, დამარხვა, ყვავილების გატანა და ა.შ. თუ აღნიშნულ სამუშაოებს გარდაცვლილის ახლობლები აიღებენ თავიანთ თავზე, მაშინ არც ამ თანხას გადაიხდიან. იგი სავალდებულო არ არის. მაგრამ, თუ სასაფლაოს მომსახურება სურთ, შესაბამისად გადაიხდიან ამ გადასახადს.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები სამედიცინო დასკვნით (გარდაცვალების ცნობა) მოგვმართავენ ჩვენ და გამოთქვამენ სურვილს, თუ რამდენადგილიანი საფლავი ანუ რამდენი კვადრატული მეტრი მიწის აღება სურთ. დედაქალაქის საკრებულოს მიერ დამტკიცებულია მაქსიმალური ზღვარი, რაც 12 კვმ-ს, ანუ ოთხადგილიან საფლავს შეადგენს. ეს ფართობი გაიცემა უსასყიდლოდ. რაც შეეხება შეღავათს, მხოლოდ აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილთა გარდაცვალების შემთხვევაში მომსახურების თანხას (92 ლარს) იხდიან ადგილობრივი გამგეობები. ხოლო გარდაცვლილი ომის ინვალიდების მომსახურებაში მერია და გამგეობები 350 ლარს გვიხდიან. ამ თანხაში შედის სასახლე, კატაფალკა, მიწის გათხრა და რიტუალური მომსახურება...

# თბილისში წყლის გადასახადის სხვადასხვა ტარიფი მოქმედებს...

**— გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენს შეადგენს წყლის გადასახადი ერთ სულზე იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობას წყალი გრაფიკით მიეწოდება?**

***თინათინ ხორავა***

კითხვაზე უპასუხებს **გოჩა ჯელია**, თბილისის წყლით მომარაგების მთავარი სამსახურის („თბილწყალკანალი“) პრესცენტრის ხელმძღვანელი.

— თბილისის საკრებულოს 2003 წლის 9 სექტემბრის № 12-1 გადაწყვეტილებით: „დედაქალაქის იმ კატეგორიის მოსახლეობისთვის, სადაც მოქმედებს წყლის მიწოდების მკაცრი გრაფიკი (ანუ სასმელი წყალი მიეწოდებათ დღე-ღამის განმავლობაში 8 საათზე ნაკლები დროის განმავლობაში) განისაზღვროს ტარიფი არა 1.2 ლარის, არამედ 0.9 ლარის ოდენობით“. ეს შეღავათი ეხება ქვემოთ ჩამოთვლილი რაიონებისა და ქუჩების მცხოვრებთ:

გლდანი-ნაძალადევის რაიონი — ლომთათიძის ქუჩაზე მდებარე სატუმბი სადგურიდან წყლის მიწოდების ზონა: ილურიძის, ბეჟანიშვილის, დიდი ჯიხაიშის, ჯავის, კოკინაკის, ბაბუშკინის ქუჩები თავისი შესახვევებით. ლოტკინის დასახლების მაღალ ნიშნულებზე განთავსებული უბნები: ბახმაროს, გომარეთის, წერონისის, თოდრიას, ბუგეულის, დაისის ზედა ნაწილები.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი — ჩეჩელაშვილის, დავითაშვილის, ბაგრატიონის, ხრამჰესის, გუმათის, ნორიოს აღმართის, ცაიშის, აბაშის ქუჩების ზედა ნაწილები.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონი — ფონიჭალა 3-ის დასახლება, ქვედა ფონიჭალის მაღლივი კორპუსები, ზოოვეტის დასახლება.

ისანი-სამგორის რაიონი — ლილოს დასახლება, ზე-ემ-კას დასახლება, მოსკოვის პროსპექტი, ვარკეთილის 3-ის V მ/რ, თეთრიხევის და საქნავთის დასახლება.

# გაიწვევენ თუ არა გოგონებს ჯარში?..

**— მაინტერესებს, იღებენ თუ არა გოგონებს „კომანდოს ბატალიონში“, უკვე ხომ არ ირიცხებიან მის შემადგენლობაში ქალები. რა პირობაა საჭირო იმისათვის, რომ გოგონებიც გაგვიწვიონ ჯარში?**

***თამილა გიორგობიანი***

კითხვაზე უპასუხებს **კობა ლაჟყებიანი**, თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის მეთაური.

— „წვრთნისა და აღჭურვის“ ცნობილ „კომანდოს“ ბატალიონებში მართლაც ირიცხებიან გოგონები, ოღონდ საქმის წარმოებისა და სამედიცინო მომსახურების სფეროში. ისე კი ბატალიონებში გოგონები ამჟამად არ მსახურობენ. ეს უთუოდ საინტერესოც კი იქნებოდა, ვინაიდან საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა ჯარში გოგონების გაწვევას არ ითვალისწინებს, თუმცა არც კრძალავს. ჯარში გოგონების მიღებაზე უარს არ ვიტყოდით, მაგრამ ამისთვის მხოლოდ მათი სურვილი არ კმარა. აუცილებელია ფიზიკური მომზადება და ამტანობა. გოგონებმა უნდა იცოდნენ, რომ ეს სახუმარო საქმე არ გახლავთ და შეღავათს სხვა შემთხვევაში თუ უწევენ, ჯარში პირიქით, ყველაფერი სრული სიმკაცრით მოეთხოვებათ. ერთი სიტყვით, ჯარისკაცობის მსურველმა გოგონებმა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართონ ადგილობრივ კომისარიატებს განცხადებით. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში გაივლიან მომზადების პროგრამას, რომლის წარმატებით ჩაბარებისა და შესაბამისი სამედიცინო კომისიის დასკვნის შემდეგ ჩაირიცხებიან ბატალიონებში.

# ვახტანგ გოგუაძე: რუსულ ენაზე კახური წიგნი გამოვეცი

**— სად არის ვახტანგ გოგუაძე. რატომ აღარ ჩანს არც ტელეეკრანებზე და არც პოლიტიკურ წრეებში. რას საქმიანობს ამჟამად? კვლავაც კომუნისტურ პარტიაშია თუ არა?**

***ანგი ჯელაძე***

კითხვაზე უპასუხებს **ვახტანგ გოგუაძე**.



— საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცხოვრება უდაბნოს კლიმატურ პირობებს ჰგავს. შესაბამისად, მეც ჩრდილში ყოფნა მირჩევნია. ამ პოლიტიკურ თამაშებში არ ვმონაწილეობ და გულწრფელად გეტყვით, მასში ჩემს ადგილსაც ვერ ვხედავ. თუმცა, აქტიურად ჩართული ვარ საზოგადოებრივ მოვლენებში. მაგრამ, რატომღაც ჩემ მიმართ პრესა თუ ტელევიზია გულგრილობას ამჟღავნებს. არც ამის გამო ვცხარობ.

სპიკერობისას არ ვმუშაობდი ისეთი დატვირთვით, როგორც ამჟამად. გამოვეცი 3 წიგნი (რუსულ ენაზე). 2000 წელს გამოსულმა ჩემმა წიგნმა „Верните мне мою Россию“ მოწონება დაიმსახურა რუსეთის პოლიტიკურ ელიტარულ წრეებში. ეს არის კახური წიგნი, რუსულ ენაზე დაწერილი. მასში მეფე ერეკლეს სულისკვეთების სიდიადეზე, ქართველი ხალხის ვაჟკაცობაზე, რუსეთთან მეგობრობასა და სხვა საკითხებზე ვწერ. მეორე და მესამე წიგნიც („Глас из Грузии“, „Два зверя: Ленин и Сталин“) ასევე რუსი და ქართველი ხალხების კეთილმეგობრული დამოკიდებულების შესახებ გახლავთ.

რაც შეეხება კომუნისტურ პარტიაში ჩემს ყოფნა-არყოფნას, გიპასუხებთ, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს არაერთხელ მრიცხავდნენ პარტიის რიგებიდან. ამით იმის თქმა მინდა, რომ კომუნისტი არასოდეს ვყოფილვარ. უბრალოდ, ყოველთვის ვიდექი კომუნისტების გვერდით და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ ჩაგრავდნენ. ამიტომ კითხვა არასწორია, მე ამ პარტიას ყოველთვის დავიცავ, თუმცა მისი წევრი არ ვყოფილვარ.

***რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა***

**ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...**



# ლატვიელებმა ევროპა გააოცეს



რა უნდა დაუპირისპიროს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გუნდებს, რომელთაგან ერთ-ერთმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე დაამარცხა მასპინძელი პორტუგალია (2:1) და ფრედ ითამაშა ესპანეთთან (1:1), ხოლო მეორემ იტალიის ნაკრებთან ფრეს (0:0) ბულგარეთთან იოლი გამარჯვება მოაყოლა (2:0). თანაც, ყოველივე ეს ისე დამაჯერებლად გააკეთეს, რომ მაყურებელს, არც საბერძნეთსა და არც დანიაზე, წამითაც არ უფიქრია, რომ ჩემპიონატის ფავორიტ მეტოქეებთან შედარებით, სუსტად გამოიყურებოდნენ. მათთან საქართველომ უწინარესად, ისევე გააზრებულად და უშიშრად უნდა ითამაშოს, როგორი თამაშიც ლატვიის ნაკრებმა ჩეხებთან და გერმანელებთან შეხვედრაში აჩვენა. როგორც არ უნდა დასრულდეს ბალტიისპირელთა მომდევნო მატჩი ჰოლანდიელთა წინააღმდეგ, უკვე შეიძლება ითქვას, რომ ლატვია ამ ჩემპიონატზე მთავარი სენსაციის შემოქმედია. მათგან მართლაც გმირობის ტოლფასია ჩეხებთან გამართული უშეღავათო ბრძოლა და გერმანელებთან მიღწეული უგოლო ფრე. რადგან ლატვიელებზე ვსაუბრობთ, ამ ჯგუფის დანარჩენი გუნდებიც აქვე ვახსენოთ. ბოლო ტურის წინ ჩეხებმა უკვე გაინაღდეს მეოთხედფინალის საგ-



იტალიასთან მარცხისაგან შვედები იბრაგიმოვიჩის საოცარმა გოლმა იხსნა

ზური და გერმანიასთან ალბათ ძირითად შემადგენლობას დაასვენებენ, რაც რუდი ფიოლერის არცთუ ძლიერ გუნდს გამარჯვების შანსს უორმაგებს. თუ გერმანიამ მოიგო, ჰოლანდიისა და ლატვიის შეხვედრის შედეგის მიუხედავად, მეორე ადგილს იკავებს, ჰოლანდია კი ჯგუფში რჩება. ისე ლატვიასაც კი აქვს მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსი.

ყველაზე შთამბეჭდავი, რაც დღემდე გამართულ მატჩებში მოხდა, „ც“ ჯგუფში შვედების 5:0 გამარჯვება გახლდათ, თითქოსდა, არცთუ ურიგო გუნდის მქონე ბულგარეთთან. ლარსონის, იბრაგიმოვიჩის და ლიუნგბერგის წყალობით, შვედეთის ნაკრებმა, იტალიელებთან ნათამაშები 1:1-ით მეორე ტურშივე დაამტკიცა, რომ ბულგარელებთან შემთხვევით არ მოუგია და სადღეისოდ ძლიერ კოლექტივს წარმოადგენს. თუმცა, სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, არცთუ მცირე შანსია იმისა, რომ ეს ძლიერი გუნდი მეოთხედფინალს მიღმა დარჩეს. საკმარისია, არანაკლებ მომზადებულმა დანიამ შვედები დაამარცხოს და ნერვებისმომშლელად მოთამაშე იტალიამ ისედაც დაუძლურებულ ბულგარეთს აჯობოს, რომ შვედების გარჯა წყალში ჩაიყრება, ხოლო ჰენრიკ ლარსონის ბომბარდირობაზე ოცნება წარსულს ჩაბარდება.



ტოტიმ პოულსენს...

ბომბარდირობას რაც შეეხება, პირველი ორი ტურის შემდეგ, საამისოდ, ყველაზე დიდი პრეტენზია, ზინედინ ზიდანს უნდა ჰქონოდა, ხორვატებთან მისი შესრულებული საჯარიმო დარტყმიდან გატანილი გოლი ავტოგოლად რომ არ მოენათლათ. თუმცა, ამ მატჩის შემდეგ ზიზუს ეს საკითხი, ალბათ, ნაკლებად ანაღვლებდა, რადგან „ბ“ ჯგუფში მყოფმა საფრანგეთმა, ტრეზეგეს მიერ აშკარად წესის დარღვევით გატანილი გოლით (ფრანგმა ბურთი ხელით გაისწორა), ძლივს აიღო ხორვატებთან ერთი ქულა.

სამაგიეროდ, ფრანგებთან დასანანი მარცხის შემდეგ, დამაჯერებლად გაიმარჯვა ინგლისის ნაკრებმა, რომელმაც შვეიცარიას 3:0 მოუგო და მეოთხედფინალში გასვლის შანსი გაზარდა (ამ ჯგუფში, მეოთხედფინალში გასვლის შანსს, 4-ქულიანი საფრანგეთიდან დაწყებული, 1-ქულიანი შვეიცარიით დასრულებული, ჯერჯერობით, ოთხივე გუნდი ინარჩუნებს).

ინგლისი-შვეიცარიის მატჩის 23-ე წუთზე გატანილმა პირველმა გოლმა 18 წლის ინგლისელი რუნი მყისვე აქცია ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად, რომელსაც მეტოქის კარი აუღია. აქამდე ეს რეკორდი იუგოსლავ დრაგან სტოიკოვიჩს ეკუთვნოდა, რომელმაც 19 წლის ასაკში, 1984 წელს, ჩემპიონატის მასპინძელი საფრანგეთის კარი დალაშქრა.

თავისებურად გამოიჩინა თავი იტალიელმა ფრანჩესკო ტოტიმაც, რომლისგანაც კარგი ფეხბურთის ჩვენების ნაცვლად, მაყურებელმა დანიელი პოულსენისთვის სახეში შეფურთხება მიიღო. „ვერ გამიგია, როგორ ჩავიდინე ასეთი საქციელი. გაოგნებული და დამწუხრებული ვარ“, — ბოდიში მოიხადა ტოტიმ, რამაც უეფა-ს წარმომადგენლებზე ოდნავ იმოქმედა და ოთხის ნაცვლად 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

რუს ფეხბურთელებს მოედანზე მსგავსი არაფერი ჩაუდენიათ, მაგრამ ვერც კარგი თამაშით დაგვამახსოვრეს თავი და პირველები გახდნენ მათ შორის, ვინც ევრო-2004 პრაქტიკულად დატოვა.

# ქალები ნომინანტებს ასახელებენ...

ქალთა რამდენიმე გერმანული გაზეთის გამოკითხვის შედეგებით ევროპის ჩემპიონატზე მოასპარეზე გუნდებიდან ყველაზე ანტიპათიურ ნაკრებად რუსეთის ნაკრები მიიჩნიეს.

ყველაზე მიმზიდველ მოთამაშედ აღიარეს გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი სებასტიან კელი. ასეთი შედეგები ერთგვარად მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგანაც თანამედროვეობის ისეთ პოპულარულ ფეხბურთელს, როგორიც დევიდ ბექჰემია, მხოლოდ მეორე ადგილი ერგო. თუმცა, ის საგრძნობლად ჩამორჩა მოპოვებული ქულების მიხედვით გერმანელს. ერთ-ერთი გულშემატკივარი ქალბატონი მიანიშნებდა: „ბექჰემი მართალია დღესაც მომხიბვლელად გამოიყურება, თუმცა მის ტანზე სხვადასხვა ადგილას გაკეთებული ტატუირება ჩლუნგობაა და მეტი არაფერი.“ როგორც ჩანს, გერმანელ ქალებს განსაკუთრებული გემოვნება აქვთ, რადგანაც ისინი სექსუალურობის ნომინაციაში არ სწყალობენ იტალიელებს. საუკეთესო იტალიელი მათ სიაში მხოლოდ მეხუთეა — ეს პატივი ფრანჩესკო ტოტის ერგო, დელ პიეროს კი მეათე პოზიცია უკავია. ბევრისთვის საკამათო აღმოჩნდა ის, რომ ყველაზე სიმპათიურ ფეხბურთელთა რიგში მოიხსენიეს ლუიშ ფიგუ, კევინ კურანი და კრიშტიანუ რონალდუ.

აქვე დასახელებულია ჩემპიონატში მონაწილე ყველაზე არასიმპათიურ ფეხბურთელთა ათეული. ამ ნომინაციაში „საუკეთესოდ“ ლატვიელი მიხაილ ზემლინსკია მიჩნეული. არასიმპათიურთა შორის ყველაზე მეტი წარმომადგენელი ბულგარელებს ჰყავთ — სამი. აქ ცნობილ ფეხბურთელთაგან დასახელებულია მხოლოდ ინგლისელი უეინ რუნი.

# დანია ჩემპიონატის ფავორიტია(?!)

ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ეროვნული ნაკრების მეკარეთა მწვრთნელს, ოთარ გაბელიას და ნაკრების ყოფილ მთავარ მწვრთნელს, რევაზ ძოძუაშვილს.

**— ევროპის ჩემპიონატზე ჩატარებული ორი ტურის შემდეგ როგორი შთაბეჭდილება დატოვეს საქართველოს ნაკრების მეტოქეებმა?**



**ოთარ გაბელია:** ორივე საკმაოდ კარგი გუნდია. მთლიანობაში დანიური ფეხბურთი კარგად არის განვითარებული, რაშიც უდიდესი წვლილი ლეგიონერებს მიუძღვით. დანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონობაც კი მოუპოვებია.

იმავეს ვერ იტყვი საბერძნეთზე, მაგრამ გერმანელმა ოტო რეჰაგელმა საკმაოდ კარგი გუნდი ჩამოაყალიბა. ბერძნებს ურიგო ფეხბურთელები არ ჰყავთ, მაგრამ მათ სჭირდებოდათ მწვრთნელი, რომელიც ყველას თავის ადგილზე დააყენებდა. რეჰაგელმა ეს მოახერხა და შედეგიც მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს, დანიისა და საბერძნეთის სახით, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში სერიოზული მეტოქეები ეყოლება და საერთოდ, მეტად ძლიერ ჯგუფში მოვხვდით.

**— გამოიკვეთა თუ არა გუნდები, რომელთაც ჩემპიონობის სხვებზე მეტი შანსი აქვთ?**

— ბულგარელებთან 5:0 გამარჯვების შემდეგ, შვედეთის ნაკრებზე იტყოდი, რომ ჩემპიონი გახდებაო. სიმართლე გითხრათ, ვიცოდი, რომ იტალიას ვერ მოუგებდა, თუმცა, ერთ-ერთ ფავორიტად მაინც რჩება. ისე, შემსრულებლები ყველა ნაკრებშია, მათ შორის, რა თქმა უნდა, საფრანგეთშიც, მაგრამ იცით რაშია საქმე, ყველა ვარსკვლავი კლუბსა და ნაკრებში ერთნაირად ვერ ავლენს საკუთარ მონაცემებს. მაგალითად ანრი ავიღოთ, ყველასათვის ნათელია, თუ რამხელა წვლილი მიუძღვის მას „არსენალის“ წარმატებებში, მაგრამ საფრანგეთის ნაკრებში, ჯერჯერობით, ვერაფერს აკეთებს.

**— წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე თუ იგრძნობა რაიმე სიახლე?**

— ჯერჯერობით, არანაირი. ბოლო დროს ხშირად ამბობენ, რომ 80-იან წლებთან დღევანდელი ფეხბურთის შედარებაც არ შეიძლებაო. მას შემდეგ ფეხბურთი მართლაც განვითარდა, უფრო სწრაფი გახდა, მაგრამ სისწრაფეზე მეტად უხეშობამ იმატა. თანაც, ამ სისწრაფის მომატებასაც თავისი ახსნა აქვს — ახლა ფეხბურთელები, ფიზიკური კონდიციის ასამაღლებლად ისეთ პრეპარატებს და იმ დოზით იღებენ, რომ გარდაცვალების ფაქტებიც კი გახშირდა. კლუბების წარმომადგენლები კი, იმის ნაცვლად, რომ ყოველივე ამას შეებრძოლონ, ყველა გზებით წარმატებების მოპოვებაზე ფიქრობენ.



**რევაზ ძოძუაშვილი:** — გასაკვირია, რომ საბერძნეთმა და დანიამ ძალიან მაღალი დონის, 21-ე საუკუნის ფეხბურთი გვიჩვენეს. ეს გუნდები იმ გზას ადგანან, რომელსაც ფეხბურთი სწორი მიმართულებით მიჰყავს. თვალსაჩინოა, რომ საბერძნეთს გენიალური მწვრთნელი ჰყავს ოტო რეჰაგელის სახით. ზოგადად, გერმანელებმა თავიანთი ფეხბურთი „დააკონსერვეს“ და მხოლოდ იმით გადიან ფონს, რასაც გერმანული დისციპლინით ცნობილ „მანქანად“ მოიხსენიებენ. რეჰაგელმა ეს „მანქანა“ კარგად შეუთავსა ბერძენ ფეხბურთელთა ტექნიკას. მოკლედ, საბერძნეთი ძალიან ძლიერი მეტოქეა.

**— ჩემპიონობის შანსი თუ აქვთ ჩვენს მეტოქეებს?**

— შვედეთის ნაკრებთან ერთად, დანია ევროპის ჩემპიონატის ფავორიტად შეიძლება ჩაითვალოს. ეს ორი გუნდი, თავისი თამაშით ნამდვილად იმსახურებს ფინალში გასვლას. თუმცა, ვერც საფრანგეთს, იტალიასა და ჰოლანდიას ჩამოვწერთ...

# პროფლიგამ სეზონი გაახანგრძლივა

გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევთ ეროვნული ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელებს, გასულ კვირას მიღებულ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის კონფერენციის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე. 24 ივლისი-30 მაისი — ასეთია ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის 2004-05 წლების სეზონში დაწესებული სათამაშო ვადა, რომელიც ხანგრძლივობით ყველა წინამორბედს გაცილებით აღემატება. ამის უპირველესი მიზეზი მატჩების რაოდენობის 44-მდე გაზრდაა, ანუ უმაღლესი ლიგის 12 გუნდს 4 წრედ 11-11 შეხვედრის გამართვა მოუწევს. კარგია ეს თუ ცუდი? ეს სისტემა რომ შეეთავაზებინათ უცხოეთის მოწინავე ლიგების მონაწილეთათვის, რომლებსაც ერთდროულად რამდენიმე ისედაც გადატვირთულ ტურნირში უწევთ ასპარეზობა, რა თქმა უნდა, პროექტი ჩანასახშივე ჩაკვდებოდა. მაგრამ ჩვენთან, ვფიქრობთ, ამ წამოწყებამ უნდა გაამართლოს. ყოველ შემთხვევაში, ფეხბურთელები ხანგრძლივი დროის განმავლობაში თამაშით მეტ პრაქტიკას მიიღებენ და მეტ-ნაკლებად, ფორმაში მაინც იქნებიან. მათ გადაწვაზე ფიქრს კი, ჩვენი ჩემპიონატის დონიდან გამომდინარე, არა გვგონია, საფუძველი ჰქონდეს. რაც შეეხება ჩაწყობილ და უმოტივაციო მატჩებს, ესეც საერთო სათამაშო დონისა და შეგნების ამაღლებაზეა დამოკიდებული, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში შარშანდელი „ექვსეულების“ სისტემა მაინც იმოქმედებდა.

საერთო დონის ამაღლებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომავალ სეზონში პროფლიგის მიერ გუნდებისადმი წაყენებული მოთხოვნები, რომელთა შორის პრიორიტეტული კარგ მდგომარეობაში მყოფი მინდვრის საფარი და 300 ათას ლარიანი საგარანტიო წერილია, რომელიც გუნდებმა ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე უნდა წარმოადგინონ. ზუსტად ორი კვირით ადრე და არც ერთი დღით გვიან — ასეთია უეფას მოთხოვნების შესაბამისად, პროფესიული ფეხბურთის ლიგის მკაცრი გადაწყვეტილება, რასაც პროფლიგის პრეზიდენტის დიმიტრი რამიშვილის სიტყვებიც ადასტურებს: „დღეიდან ჩამოყალიბდა კომისია, რომელიც სალიცენზიო კომიტეტთან ერთად, კლუბების მდგომარეობის შესასწავლად იმუშავებს. ადრინდელი პრეცედენტების მსგავსი ფაქტები, საგარანტიო წერილების წარდგენის ვადის გადაწევასთან დაკავშირებით, ამჯერად, გამოირიცხება. თუ აღნიშნულ კომისიას უმაღლესი ლიგის რომელიმე გუნდი მოცემულ ვადებში, ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილების დამადასტურებელ საბუთს ვერ წარუდგენს, ის პირველ ლიგაში დაქვეითდება. შესაძლოა, ამის გამო პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდების რიცხვი 18-მდეც კი გაიზარდოს, ხოლო უმაღლეს ლიგაში, წელსვე 10-მდე შემცირდეს“.

თუკი უმაღლესი ლიგის 12-ივე ბინადარმა დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნები და შესაბამისად, ჩემპიონატიც დაგეგმილი სისტემით გაიმართა, მაშინ უმაღლეს ლიგას სატურნირო ცხრილში ბოლო სამ ადგილზე გასული გუნდი დატოვებს, ხოლო ბოლოდან მეოთხე ადგილზე გასული გადათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების გარდა, ზემოაღნიშნულ კონფერენციაზე პროფესიული ფეხბურთის ლიგის წევრები ბოლნისის „სიონის“ დისკვალიფიკაციის საკითხსაც შეეხნენ. როგორც დიმიტრი რამიშვილმა განაცხადა, პროფესიული ლიგის წევრები საკმარისად მიიჩნევენ იმ დამსჯელ ზომებს, რაც ბოლნისელთა მიმართ გატარდა.



დიმიტრი რამიშვილი

„ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასული ბოლნისის „სიონის“ მე-6 ადგილზე დაქვეითება და უეფას თასზე არდაშვება (რასაც, მინიმუმ, 80 ათასი შვეიცარიული ფრანკის ზარალი მოჰყვა. — რედ.), ისედაც დიდი სასჯელია. ამიტომ ჩვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, მერაბ ჟორდანიას მივმართავთ სარეკომენდაციო წერილით, ბოლნისელთათვის 10 საშინაო მატჩის დისკვალიფიკაციის მოხსნის შესახებ“, — განაცხადა რამიშვილმა.

მოკლედ, პროფლიგამ „სიონი“ შეიწყალა, და ფეხბურთის ფედერაციასაც იგივე მოუწოდა. გაიზიარებს თუ არა ამ აზრს მერაბ ჟორდანია, ამას მომავალი გვიჩვენებს. ისე, მაინც გვგონია, რომ გაიზიარებს და ამას, წარსულის გამოცდილება არ გვალაპარაკებს. პროფლიგის კონფერენციამდე ერთი დღით ადრე ფეხბურთის ფედერაციის მე-7 ყრილობაზე მერაბ ჟორდანიას სფფ-ის პრეზიდენტად ყოფნის ვადა 1 წლით გაუხანგრძლივეს (ეს გამოწვეული იყო ფიფა-უეფას რეკომენდაციით, რადგან ეს ორგანიზაციები თვლიან, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების წელი, ამ შემთხვევაში 2006 წელი, მთლად მოსახერხებელი არ არის საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებლად), ჰოდა, მიღებული პრაქტიკის მიხედვით, გარკვეულწილად ახალარჩეული პრეზიდენტი დასჯილების მიმართ ამნისტიის კანონებს იყენებს. ძნელი დასაჯერებელია, მოვლენები სხვაგვარად განვითარდეს და ჟორდანიას მიერ დასჯილი ბოლნისელები მანვე არ დაამშვიდოს...

*მოამზადა*
*გიორგი ბაკურაძემ*

## №24 (402) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 576 მკითხველი გამოეხმაურა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 200-მა ქალმა და 373-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ვის ენდობით ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა 89% ნდობას მიხეილ სააკაშვილს უცხადებს.

თუ მარტის თვეში ყველაზე მეტად პრეზიდენტს რესპონდენტთა 75% ენდობოდა, დღეს, როგორც ვხედავთ, ეს მაჩვენებელი საგრძნობლად გაზრდილია.

საშუალო ქულით **7,73,** მიხეილ სააკაშვილი პირველ ადგილზეა.

შემდეგ ადგილზე, ისევე, როგორც ორი თვის წინ, ნინო ბურჯანაძეა. საინტერესოა, რომ მაშინდელ რეიტინგში ქალბატონ ნინოს 9%-მა მისცა მაქსიმალური შეფასება, დღეს კი მაქსიმალური ქულით მას მხოლოდ 4% აფასებს, ხოლო, რაც შეეხება მინიმალურ ქულებს, უნდა აღინიშნოს, რომ არც დღეს და არც ორი თვის წინ არც ერთ მკითხველს არ მიუკუთვნებია მისთვის მინიმალური ქულა.

მესამე ადგილს კობა დავითაშვილი ფლობს. მასა და შალვა ნათელაშვილს კი რეიტინგში საერთო ის აქვთ, რომ ორივე მათგანი მკითხველთა ზუსტად ერთნაირმა რაოდენობამ (2,5%) შეაფასა მაქსიმალური ქულით.

მინიმალური — 1 ქულა კი ნათელაშვილს რესპონდენტთა 45%-მა მიაკუთვნა — ანუ ეს რაოდენობა ყველაზე ნაკლებად სწორედ მას ენდობა. „ჟამთა სიავის“ კლასიკური მაგალითია უიღბლო ლეიბორისტი — ნდობის მწვერვალიდან დაბლა დაშვებული. თუ რატომ, ამაზე ხალხსაც და ექსპერტებსაც ერთი პასუხი აქვთ — ნოემბრის რევოლუციის დროს პასიურობა. არადა, ბევრი მათგანი, ვინც მაშინ მოვლენათა ეპიცენტრში იდგა, დღეს სიამოვნებით ინაწილებს მაღალ-მაღალ პოსტებს, ზოგიც საოცარი მიზანდასახულობით იბრძვის სანუკვარი მიზნისთვის.

მარტის თვის ნდობის რეიტინგში ნათელაშვილი მეექვსე, ხოლო თებერვლის თვეში — მეხუთე ადგილზე იყო, მარტში მან მხოლოდ გოგი თოფაძე, დავით გამყრელიძე და აკაკი ასათიანი ჩამოიტოვა უკან, ხოლო თებერვალში — აკაკი ასათიანი, დავით გამყრელიძე, ასლან აბაშიძე და იგორ გიორგაძე. დღევანდელ „შემადგენლობაში“ კი, როგორც ხედავთ, სულ ბოლო ადგილზეა.

რეიტინგში მაქსიმალური ქულების სიმცირით გამოირჩევიან დავით ბერძენიშვილი (0,2%) და მაია ნადირაძე (0,4%).




საპრიზოს ზუსტად ოთხი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები — 66 წლის **ზურაბ დოლიძე,** 29 წლის **ეკა ეკალაძე;** 23 წლის ზუგდიდელი **გიორგი მეზონია** და ქუთაისელი, 56 წლის **გიორგი ლოლომაძე,** რომელმაც, უნდა ითქვას, რომ რეიტინგში გამარჯვებების რაოდენობით, ერთგვარი რეკორდიც კი მოხსნა.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 23 ივნისს, 17 საათზე.

## №25 (403) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **«მკითხველის პრემიაში»**.

**№25 (403) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 23 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 24 ივნისის 13 საათამდე.** © თბილისი

თემა №25(403) — ტელეწამყვანი ქალები

**თქვენი აზრით, ვინ არის საუკეთესო ტელეწამყვანი ქალი** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **9** ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№25(403) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | ტელეწამყვანი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ნინო შუბლაძე (რუსთავი 2) | |
| 2 | თათია თოფურია (იმედი) | |
| 3 | ნინო ჟიჟილაშვილი (მზე) | |
| 4 | ნატა ამაღლობელი (რუსთავი 2) | |
| 5 | ნინო კურატაშვილი (I არხი) | |
| 6 | ნათია ლაზაშვილი (რუსთავი 2) | |
| 7 | დიანა ჟოჟუა (იმედი) | |
| 8 | სოფო მოსიძე (მზე) | |
| 9 | ნათია ზამბახიძე (რუსთავი 2) | |

**მკითხველის რეიტინგი**

**თქვენი აზრით, ვინ არის ყველაზე სიმპათიური მინისტრი?**

✓ ____________________

**მკითხველის პრემია**

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ____________________

____________________
თქვენი სახელი, გვარი

____________________
ქალაქი (რაიონი)

__________ ასაკი __________ ტელეფონი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

### დამატებითი კითხვის შედეგები

**თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებისთვის მზად ხართ თუ არა, რომ სახელმწიფო მოხელეს მისცეთ ქრთამი?**

1. დიახ
2. არა
3. მიჭირს პასუხის გაცემა




***დამატებითი კითხვას 506-მა რესპონდენტმა უპასუხა***

## ფოტოინტიმვერი © ·ფოტოპალიტრა·



აბა, ვინ ვარ ახლა მე?

— ციხიდან „პირდაპირ“ პარლამენტში!

რუსული „მატრიოშკის“ ქართული ვარიანტი „ბაბუიოშკა“

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***

**ე.შ.** — სააკაშვილი გვეწევა, სავარცხელს ვაგდებ!

**ა.ა.** — ისევ წინ არ გადააგდო, თორემ მოკვდა ცხენი ტყეების ჩეხვით და კლდეებზე ცოცვით!

**ა.ა.** — საით მივდივართ, ბატონო ედუარდ, დათოვლილ მთას ვხედავ.

**ე.შ.** — ეგ ცხენის თავია, შე აბდალა.

**ცხენი ა. აბაშიძეს** — ძაღლებს რომ გადაჰყევი, ერთი ვირი მაინც გაგეზარდა შენთვის.

**ა.ა. ე. შევარდნაძეზე, ცხენს** — ამან რომ ვირები გამოზარდა, ნეტავ რომელი გამოადგა?

***დურმიშხან ყიფიანი***

*„ბაბუების პარადი!“...*
*არ ყოფილა მარადი.*

***ი.ხაჩიძე, რუსთავი***

**ა.ა.** — ისე, ცოტა ვიწროდ კი ვზივართ, ხო იცი...

**ე.შ.** — მერე, გადადი მეორე ცხენზე, შე კაცო, თუ არა, კოკოითს და არძინბასაც თუ ამ ცხენზე მოუნდათ ამოსვლა, სივიწროვე მერე ნახე შენ.

***ზურაბ გვიშიანი, თბილისი***

**უახლესი ქართული წყევლა:**

შენს ოჯახში შემოსულიყოს იგორ ივანოვი გიორგობა დღეს.

***გია ჯოხაძე, თბილისი***

**ა.ა.** — *ბაბუ, ბაბუ, ჩემო ბაბუ.*

**ე.შ.** — *რაო, ჩემო ასლანა?*

**ა.ა.** — *ცხენიდან რომ ჩამოხტები, მეც ჩამოვხტე?*

**ე.შ.** — *აბა, რაა!*

***ნინო გულბათაშვილი, თბილისი***



ედუარდ შევარდნაძე, ასლან აბაშიძე

### *„საგულაოდ“ მიდიან*

*პატარა და დიდი ბაბუ*
*„საგულაოდ“ მიდიან,*
*ფული ბევრი დააქუჩეს,*
*სულაც ფეხზე ჰკიდიათ*
*დარჩენილი სიცოცხლე რომ*
*გაატარონ თამაშში,*
*რაა გასაბრაზებელი?*
*რაა ცუდი ამაში?*

***გელა ზურაბიშვილი, სოფელი შილდა***

## ფოტო განწყობისათვის



— ნახეთ, რა ფუმფულა ბალიშები მაქვს...

25/VI ☽
პირველი მეოთხედი
მაგნიტური დღეა
22/VI 15-დან 17 საათამდე

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. კორსიკა; 4. სინატრა; 6. გრევი; 7. იმამი; 8. „ოტელო“; 9. ამონი; 10. არბატი; 13. ატონია; 16. ჰაინე; 18. მარკიზი; 19. რეტორტა; 20. უნაბი; 22. რიარია; 23. კაკადუ; 25. პრიმა; 27. ლიტვა; 28. გოტიე; 29. ნოლტი; 30. იალბუზი; 31. ავიაცია.

**შვეულად:** 1. კუსტურიცა; 2. აგრიკოლა; 3. „დეკამერონი“; 4. სირინოზი; 5. ადსორბცია; 11. „ბურდა“; 12. ტაიტი; 14. „ტატრა“; 15. ნარმა; 16. ჰიუ; 17. ერი; 21. არისტოტელე; 22. როლს როისი; 24. უზურპაცია; 25. პოლიგონი; 26. აკადემია




ღირსეული პროფესია საიმედო მომავლისათვის




საქართველოს
თავდაცვის ეროვნული აკადემია

- სამოქალაქო და სამხედრო განათლება ერთად
- სწავლება NATO-ს სტანდარტებით
- თანამედროვე საყოფაცხოვრებო პირობები

- საბუთების მიღება 28 ივნისიდან 16 ივლისამდე
- გამოცდები ჩატარდება:
  - ფიზიკური მომზადება – 19 ივლისი
  - ზოგადი უნარების ტესტი – 20 ივლისი

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, დ. უზნაძის 117
E-mail: genda@posta.ge
საინფორმაციო გვერდი: http://academy.geoweb.ge/genda
ტელეფონი: (822) 95 15 44


**თარაზულად:** 1. სახლს მიშენებული ღია ან შემინული აივანი; 4. ბედნიერი შემთხვევა, იღბალი; 6. რეგულარული უშრომელი შემოსავალი კაპიტალიდან; 7. ამერიკული კოსმოსური ხომალდების სერია; 8. მმართველის ტიტული მუსლიმანურ ქვეყნებში; 9. ამერიკელთა მეტსახელი ევროპაში; 10. მეფის მთავრობასთან მებრძოლი მთიელი პარტიზანი. 13. ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის იდეის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, რომლის სახელსაც ატარებს მთავარი ევროპული პრიზი; 18. ჯარში გამოკლებული ცხენების შევსება; 19. ქართული სამარკო წითელი ღვინო; 20. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში; 22. ადამიანის განცდა, სულიერი მღელვარება; 23. ევროპის მიმდინარე ჩემპიონატის თილისმა; 25. ზღვის სანაპირო; 27. სოფელი ახმეტის რაიონში; 28. ფრანგი მწერალი, რომელიც ქართულ საზოგადოებას ილია ჭავჭავაძემ გააცნო; 29. ფოლადის ძელი რკინიგზის ვაკისზე; 30. ბანკში შეტანილი ფული; 31. ავგაროზი.

**შვეულად:** 1. თამაშობა: პასუხების გაცემა კითხვებზე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან; 2. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი; 3. იტალიელი კინორეჟისორი, მწერალი და მხატვარი; 4. მეფის ან დედოფლის საყვარელი; 5. ზღვის ქალღმერთი, პოსეიდონის ცოლი; 11. სტალონეს კინოგმირი; 12. ქალაქი და ნავსადგური ბელგიაში, აღმ. ფლანდრიის ადმ. ცენტრი; 14. სახელმწიფო შუამდინარეთში; 15.შვეიცარული ფირმა, რომლის პროდუქციის შემხედვარე ეთანხმები იმ აზრს, რომ დრო ძვირი ღირს; 16. ქუთაისის ძველი სახელწოდება; 17. მატონიზებელი სასმელი; 21. რუსეთის ყველაზე დიდი პატრიოტი „ევრო-2004“-ზე; 22. ადამიანების ორგანიზებული გამოყვანა მოსალოდნელი საფრთხის ზონიდან; 24. სხვაობა ორ მუსიკალურ ბგერას შორის მათი სიმაღლის მიხედვით; 25. საუკეთესო ხარისხის ნაყინი; 26. მოვლენა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს ერთნაირი შემადგენლობის, მაგრამ განსხვავებული ფიზიკურ-ქიმიური თვისებების მქონე ნაერთები.

**შეადგინა რამაზ ალანიამ**

## ბრედ პიტი — ჰოლივუდის ტროას ცხენი

ახლახან აშშ-ის ეკრანებზე გამოსულ ისტორიულ ბოევიკ „ტროაში“ ამერიკის ყველაზე სექსუალურმა მამაკაცმა ბრედ პიტმა 17 მილიონი დოლარი აიღო. ფილმში მონაწილეობისათვის პიტს ბევრ რამეზე მოუწია უარის თქმა. თავი დაანება მოწევას, დროის უდიდეს ნაწილს უთმობდა ფიზიკურ მომზადებას (ამიტომაც ყოველთვის სპორტულ ფორმაშია). მსახიობს ძალიან ცოტა ეძინა, სამაგიეროდ, უფრო დიდხანს ვარჯიშობდა. და მაინც, ამ მასშტაბური ფილმის გადაღებებმა (განსაკუთრებით უჩვეულო სიცხის დროს), ბრედს გაცილებით მეტი ძალა წაართვა, ვიდრე



ის ვარაუდობდა. რომ იტყვიან, ფილმმა იგი „ლიმონივით გამოწურა“. თითქოს ჯიბრზე, პრემიერის წინ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ მსახიობის შესანიშნავი სპორტული ფორმის საიდუმლო დოპინგშია. ამან პიტი საშინლად აღაშფოთა, სასწრაფოდ პრესკონფერენცია მოიწვია და ჟურნალისტებს განუცხადა:
— დოპინგი არასოდეს მიმიღია და ამას არც შემდგომში ვაპირებო!...


ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტი

(სტუ სპეც. ფაკულტეტი) აცხადებს მიღებას 2004/2005 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ა) სამართალმცოდნეობა; ბ) სამხედრო სამართალი; გ) საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი (ქართული, რუსული და ინგლისური სექტორი).
2. ა) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი); ბ) საბანკო საქმე; გ) საბაჟო-საგადასახადო საქმე (წარმოების და მომსახურების კონტროლი და ზედამხედველობა).
3. მთარგმნელობითი საქმიანობა:ა) ინგლისური ენა (ქართული და რუსული სექტორი); ბ) გერმანული ენა; გ) ფრანგული ენა.
4. ა) ჟურნალისტიკა; ბ) ინტერნეტ-ჟურნალისტიკა; გ) რეპორტიორი (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა); დ) საზოგადოებრივი ურთიერთობები.

დღის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებაზე ჩარიცხვა წარმოებს გამოცდა–ტესტირების საფუძველზე.

ინსტიტუტთან ფუნქციონირებს ლიცეუმი. სწავლა ფასიანია, აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი; 2. 4 ფოტოსურათი 3X4; 3. პირადობის მოწმობა; 4. მიწერის მოწმობა (დედანი ასლთან ერთად).

საბუთების მიღება 1 ივლისიდან, შაბათ–კვირის გარდა, 10–15სთ.
მის: თბილისი, მ. კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, VIII სასწავლო კორპ. II სართ.

☎ 36-30-72; 36-30-73; 36-60-78; 36-34-34


ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 25 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№25 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 24 ივნისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

***„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**

**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**

**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**

**სარედაქციო კოლეგია**

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: **რედაქცია:** 33-39-54
**რეკლამა, ფაქსი:** 33-50-32; 98-74-44
news@kvirispalitra.com
www.opentext.ge/kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი © 1518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში“.